# კვირის პალიტრა

36 გვ

№ 7 (357) ◆ 18 – 24 თებერვალი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




## მოვუწოდებ ჩვენს სპეცსამსახურებს, ნუ მოგვერიდება ჩვენი ქვეყნის მტრების გამოვლენა

გვ.3

რატომ არ მიმართავს რუსეთი მსგავს ღონისძიებებს ინგუშეთში მყოფი ჩეჩენი ლტოლვილების მიმართ და რატომ იწყებს ლტოლვილთა ჩეჩნეთში დაბრუნების კამპანიას საქართველოდან.

„პატრუშევმა განაცხადა, რომ ავთანდილ იოსელიანი ითვლება რუსეთის №1 მტრად, რადგანაც მისი სამსახური მიჩნეულია საქართველოს პრეზიდენტის აქტიურ მხარდამჭერად და რუსეთის ერთ-ერთ ძირითად მოწინააღმდეგედ და რომელსაც გააჩნია მჭიდრო ურთიერთობა დასავლეთის ქვეყნების სპეცსამსახურებთან... „ჩემთან საუბარში კაკუბავამ ერთი ისეთი ინფორმაციაც გაამჟღავნა, რომ გაკვირვებული დავრჩი... შეუძლებელია, კაკუბავას ასეთი ინფორმაციები ჰქონდეს!

## რეპლიკა შვეიცარიიდან აფხაზეთის საკითხზე

გვ.12

***შვეიცარია, 09.02.2002***
***კონსტანტინე ზ. გამსახურდია***



## „თუ ლოთის დახვრეტენ, არც თქვენ გიწერიათ დიდი დღეო...“

„ჟურნალისტი კი არა, ხუნტის შპიონი ხარო, უთქვამს ქობალიას და ტყვია დაუხლია. პირველი ტყვია დათოს ლოყაში მოხვდა.“

გვ.5

## კიდევ ერთხელ ჟურნალისტ დათო ბოლქვაძის დახვრეტის ირგვლივ

## „მზად ვარ დავისაჯო, ოღონდ ეს მუხლი შევიდეს კონსტიტუციაში...“



არ შეიძლება ყოველღამე აშშ-ის ელჩი ჟვანიას ოჯახში იჯდეს და მასთან ერთად სვამდეს ყავას ან შემაგრებულ ჩაის. ახალი ელჩის ჩამოსვლა ბევრ რამეს ახლებურად გადაანაწილებს.

ამერიკაში ვიზიტი გარკვეულწილად ანგარიშის მოთხოვნაა, – ამდენი ფული რომ დაგახარჯეთ გრანტების და კრედიტების სახით, რა დაგემართათ, რა კინკლაობა და ჩხუბი აგიტყდათო და ეცდებიან, ეს სამი სუბიექტი შეარიგონ.

გვ.7

## რუსეთი პანკისს ტერორისტების ისეთივე ბუდედ მიიჩნევს, როგორც აშშ ერაყსა თუ ირანს

გვ.8



**რა ვუყოთ პანკისის ხეობას თავშეფარებულ შეიარაღებულ ხალხს?**



მრისხანე ჩრდილოელი მეზობელი „გვაწვება“ – ან გადმოგვცემ ჩეჩენ ბოევიკებს, ანდა გავაკეთებთ იმასვე, რაც ამერიკამ ავღანეთში ქნაო!

ვინც ამჟამად ხეობაში იმყოფება, ანუ იმ შეიარაღებულ რაზმებს, ბუნებრივია, ესმით, რაც ხდება და საით მიდის მოვლენების ჯაჭვი.

რჩება ყველაზე რეალური გზა, რომლის გამოყენებითაც პანკისის ხეობაში შეყუჟულმა შეიარაღებულმა პირებმა შეიძლება სცადონ ხეობის დატოვება – ეს მთელ საქართველოში გაფანტვაა(!) თუკი რუსულმა შენაერთებმა მართლა სცადეს პანკისში საბრძოლო ოპერაციის ჩატარება, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ტერორისტული აქტები შეიძლება განხორციელდეს რუსულ სამხედრო ბაზებზე და მათ მოსამსახურეებზე მთელი საქართველოს მასშტაბით, როგორც ეს დღეს ჩეჩნეთში ხდება.

**ჩვენს ტერიტორიაზე ყოველგვარი ახალი შეიარაღებული კონფლიქტი შეიძლება საქართველოსთვის დამღუპველი აღმოჩნდეს.**

## ავტორის და შემსრულებლის პირველი შეხვედრა, ანუ „შავტილის ასულოს“ კვალდაკვალ...



ყველაზე უცნაური ჩემთვის „ტექსტის დამახინჯების“ ბრალდება იყო...

არ მესმის, რატომ მიიჩნიეს ზოგიერთებმა, რომ ჩვენ აღნიშნული სიმღერის საშუალებით „მილიონები“ ვიშოვეთ.

***ჯემალ ქკუასელი***

ათიოდე წლის წინ რომ გადაეღოთ ეს კლიპი და მისი შემოქმედების აღიარება მომხდარიყო, ასეთ დღეში ნამდვილად არ ჩავარდებოდა – ჩემი ქმარი ამაზე ნერვიულობამ დააავადმყოფა და დააბრმავა.

გვ.14



## მითი რეზო ლაღიძის შესახებ...

გვ.29

“Он преступник, настоящий преступник! Его надо запереть в комнату, пусть сидит и пишет музыку!“

„თბილისოს“ მხოლოდ ორი საათის განმავლობაში ვწერდი. რა, მთელი დანარჩენი დრო არ ითვლება? არ არის სწორი. ალბათ, უფრო მართალი ის იქნება, რომ ვთქვა – ვქმნიდი მთელი ცხოვრება და ორი საათის განმავლობაში მხოლოდ ვიწერდი...“

ვერსია

## ციმბირში ოქროთი სავსე სატვირთო მანქანა გაიტაცა და... ზესტაფონთან დაიჭირეს?!

გვ.10

ცოტაც და, შამპანური აქაფდა ბოკალში. მორდეხა სასმისს მისწვდა და აეროპორტიდან წამოსვლის შემდეგ პირველად დაარღვია დუმილი – სამოცდაშვიდი წლისა ვარ, ისხაკ, ბევრი ციხეც მინახავს, ბევრი მისვამს, ბევრი მიჭამია, ბევრი ფულიც მიშოვია, მაგრამ ამხელა სარფიანი საქმე, ასე რისკიანი ნაბიჯით ჯერ არ გამომსვლია. შამპანურით სავსე ბოკალი ბიძაშვილს მიუჭახუნა და ის იყო, უნდა გადაეკრა, ერთბაშად რამდენიმე დაუპატიჟებელი სტუმარი დაადგათ თავზე...

– შენ ალბათ აქ ჩაძაღლებას აპირებ, მე კი საქართველოში გადამგდების სახელით დაბრუნება არც მიფიქრია. ამ კაცს კუთვნილი სამი კილო ოქროს ქვიშა მიეცი, თორემ აქვე გამოგჭრი ყელს და ტურების შესაჭმელად დაგაგდებ-მეთქი.


**Computron**
IBM - Compaq - HP - Dell - Unisys-Toshiba



**99 $ -დან**
**კომპლექტი**
**კომპიუტერები**
მის: ქ. თბილისი, ფიროსმანის ქ. №23
☎94-28-33



**სიცილი ჯანმრთელობაა!**
**სატირულ-იუმორისტული ჟურნალი**
**ფილფილი**


## ქვეყნის ეკონომიკა ციფრებში: რაში ხარჯავენ ქართველები ყველაზე მეტ ფულს?

გვ.27

## ნავთობი საქართველოშიც მოიპოვება

ბაზარზე საკმაოდ სოლიდური ადგილი უკავია კანადურ კომპანია „კანარგოს“, რომელიც ასევე აქტიურად ეწევა ბენზინის იმპორტს საქართველოში.

ვის ხელში აღმოჩნდება ხვალინდელი ქართული ნავთობის ბედი?

**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## ურთიერთობა კვლავ გამწვავდა

პრეზიდენტ შევარდნაძესა და ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირს“ შორის კვლავ გამწვავდა ურთიერთობა, რისი მიზეზიც გახდა სახელმწიფო მინისტრის, ავთანდილ ჯორბენაძის განცხადება მინისტრთა კაბინეტის შექმნის შესახებ კანონპროექტის განხილვის ორი წლით გადადებაზე. საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის შემართული „მოქალაქეთა კავშირი“ თავს მოტყუებულად მიიჩნევს და სასტიკად აკრიტიკებს შევარდნაძეს და ჯორბენაძეს. საქმეში თვით პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც ჩაერთო, რომელმაც საკონსტიტუციო ცვლილებების სასწრაფოდ მიღება მოითხოვა. მისი თქმით, მინისტრთა კაბინეტის შექმნა სასიცოცხლოდ აუცილებელია და ხელისუფლებას ეს ნაბიჯი ერთი-ორი წლის წინ რომ გადაედგა, ქვეყანაში დღეს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნებოდა. ბურჯანაძე ამ საკითხზე კონსულტაციების გამართვასაც აპირებს ჯორბენაძესა და პრეზიდენტთან.

რაც შეეხება სესიაზე პრეზიდენტის ტრადიციულ გამოსვლას, შევარდნაძემ თავისი მიმართვა პარლამენტისა და ხალხისადმი მარტის ბოლო რიცხვებისთვის გადადო. პარლამენტარებმა კი ბრძანეს, რომ პრეზიდენტს ხალხისთვის არაფერი აქვს სათქმელი და ამიტომ აარიდა თავი პარლამენტში მისვლას!

## ჩეჩნები სამშობლოში დაბრუნდებიან

რუსეთის საგანგებო სიტუაციების მინისტრის მოადგილე იური ბრაჟნიკოვი 18-კაციანი დელეგაციითურთ თბილისში იმყოფებოდა. ქართულ მხარესთან მოლაპარაკებისას რუსეთის დელეგაციამ განიხილა პანკისის ხეობაში მყოფი ჩეჩენი ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნების საკითხი. პირველი, რაც ბრაჟნიკოვმა ჟურნალისტებს განუცხადა თბილისის აეროპორტშივე გახლდათ ის, რომ იმ ჩეჩენ ლტოლვილებზე, რომლებიც საომარ მოქმედებაში მონაწილეობდნენ, ამნისტია და შეღავათები გავრცელდება(!). ბრაჟნიკოვის თქმით, ჩეჩენი ლტოლვილები სამშობლოში აუცილებლად დაბრუნდებიან და თანაც ნებაყოფლობით, თუმცა კონკრეტულ ვადას რუსები ვერ ასახელებენ. სამაგიეროდ, ლტოლვილებს უსაფრთხოების გარანტიას აძლევენ. 2001 წელს ჩატარებული ლტოლვილთა აღწერის მონაცემების თანახმად, ამჟამად პანკისის ხეობასა და საქართველოს სხვა რაიონებში ცხოვრობს 7.765 ჩეჩენი ლტოლვილი.

## დაპატიმრებულია პირველი ეჭვმიტანილი

საფოსტო ბანკის აფხაზეთის №2 ფილიალში კონტროლის პალატის მიერ აღმოჩენილი დარღვევების მასალების საფუძველზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და პირველი ეჭვმიტანილი, ამავე ფილიალის დირექტორი მაია ჩიტაია დააპატიმრეს. პროკურატურის განცხადებით, დამნაშავეთა ჯგუფს ხელისუფლების მაღალჩინოსანი მოხელეები მფარველობენ. მასალების თანახმად, საფოსტო ბანკის №2 ფილიალში თანამშრომელთა, მათ შორის მოლარეების დანიშვნის საქმეს აფხაზეთის დევნილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე რუდიკ ცატავა განაგებდა. ამჟამად გამოძიება ლტოლვილთათვის განკუთვნილი შემწეობების — 4 მილიონ ლარამდე თანხის გაფლანგვის საქმეს იძიებს. ვარაუდობენ, რომ გაფლანგული თანხა გაცილებით მეტია. საქმე ის არის, რომ ლტოლვილთა სიებში აღმოაჩინეს 11 ათასი ე.წ. „მკვდარი სული“, რომლებიც შემწეობას „იღებდნენ“ 8 წლის მანძილზე(!). აქედან გამომდინარე, წინასწარი გაანგარიშებით გაფლანგულმა თანხამ შეიძლება შეადგინოს... 13 მილიონი ლარი(!).

## „რამდენი გადაგიხადა აბაშიძემ, თქვი, კაკუბავა!“

დევნილთა ყრილობის წინ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ფრაქცია „აფხაზეთის“ ლიდერი გივი ლომინაძე და ყრილობის ორგანიზატორი, პარლამენტარი ბორის კაკუბავა. გივი ლომინაძემ განაცხადა, რომ კაკუბავას ზურგს უკან „აღორძინება“ და ასლან აბაშიძე დგანან, ამიტომ ყრილობაზე არ მივალო. მეტიც, მისივე თქმით, კაკუბავა ლტოლვილთა პრობლემებს საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის იყენებს და ქვეყანაში დესტაბილიზაციის აგორება სურს. სხვათა შორის, ყრილობაზე მივიდა ირაკლი წერეთელიც, რომელიც ცდილობდა ლტოლვილები კანცელარიასთან მიეყვანა საპროტესტო აქციით... მან ეს ვერ შეძლო. ბორის კაკუბავა კი არწმუნებდა ყველას, რომ ასლან აბაშიძე არის ერთადერთი პოლიტიკოსი საქართველოში, ვისაც დღეს შეუძლია აფხაზეთის პრობლემის პოლიტიკური გზით მოგვარება. ერთი სიტყვით, ყრილობა ჩატარდა, სადაც არაერთი სკანდალური განცხადება გაისმა და რამდენჯერმე მუშტი-კრივიც გაიმართა. კაკუბავამ სიტყვით გამოსვლის საშუალება არ მისცა რიგ პოლიტიკოსებს, მათ შორის ირაკლი წერეთელს, რომელმაც აღშფოთებით შეუძახა ყრილობის თავმჯდომარეს — „რამდენი გადაგიხადა ასლან აბაშიძემ, თქვი, კაკუბავა!“ საბოლოოდ ყრილობამ ნდობის მანდატი მისცა ასლან აბაშიძეს აფხაზეთის პრობლემის დარეგულირების მოლაპარაკებებში, ხოლო თამაზ ნადარეიშვილმა განაცხადა: თუ 31 ივლისამდე აფხაზეთს ვერ დაგვიბრუნებენ აბაშიძე, მეგობარი ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები, 1-ელ აგვისტოს მე თვითონ წაგიყვანთ ჩვენი სახლებისკენ ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებით...

## გარიცხულ ბალათურიას რაიონების იმედი აქვს

გრძელდება ირინა სარიშვილი-ჭანტურიასა და ჯონდო ბალათურიას დაპირისპირება. ბალათურია თავისი მხარდამჭერებითურთ ყრილობის ჩატარებას და პარტიიდან ირინა სარიშვილი-ჭანტურიას გარიცხვას აპირებს(!). ეს უკანასკნელი და პარტიის მთავარი კომიტეტი ბალათურიას განცხადებებს არ პასუხობენ და ამბობენ, ედპ-იდან გარიცხულ ბალათურიას ყრილობის ჩატარების უფლება არა აქვსო... ბალათურია კი საქართველოს რეგიონების შემოვლას გეგმავს და ირწმუნება, რომ ედპ-ის რაიონული ორგანიზაციების უმრავლესობა მას ემხრობა!

## ლეგალიზება თუ აკრძალვა?

პარლამენტსა და საზოგადოების გარკვეულ ნაწილში დაიწყო ვნებათაღელვა პროსტიტუციის ლეგალიზების მიღება-არმიღების ირგვლივ. პროსტიტუციის ლეგალიზებას ჰყავს როგორც თავგამოდებული მომხრეები, ასევე სასტიკი მოწინააღმდეგეებიც. არიან ისეთებიც, რომლებიც ამ სარფიანი ბიზნესით... ბიუჯეტის შევსებასაც ვარაუდობენ! მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს კანონპროექტი, რომელიც პროსტიტუციის ან ლეგალიზებას, ან აკრძალვას რომ მოითხოვდეს. გაირკვა, რომ კანონპროექტი პროსტიტუციის პრობლემის მოგვარების შესახებ პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ ჯერ კიდევ 1998 წელს გამოცემული ბრძანებულების შესაბამისად სამ უწყებას — იუსტიციის, შინაგან საქმეთა და ჯანდაცვის სამინისტროებს უნდა დაემუშავებინათ და შესაბამისი ცვლილებებიც შეეტანათ სისხლის სამართლის კოდექსში. ეს არ მოხდა და მსჯელობა პროსტიტუციის ლეგალიზაცია-აკრძალვის შესახებ ახლა იწყება. აპირებენ კომისიის შექმნასაც.

## მიიღეს ახალი კოდექსი

„მრეწველებმა“ დიდი ბრძოლის შემდეგ, როგორც იქნა, გაიტანეს პარლამენტში საგადასახადო კოდექსში ცვლილებების საკითხი და მიაღებინეს კიდეც კოლეგებს. ახალი კოდექსის მიხედვით გადასახადი იზრდება იმ იმპორტირებული პროდუქციის სახეობებზე, რომლებსაც საქართველოშიც აწარმოებენ.

## ვანდალური აქტი

ფუნიკულიორზე მდებარე ყოფილი რესტორნის ერთ-ერთ დარბაზში არსებულ მხატვარ კოკა იგნატოვის ბრწყინვალე ქმნილებას, თბილისის პანოს ცენტრალური ნაწილიდან დაუდგენელმა პირებმა ორი მეტრის სიმაღლის ფრაგმენტი ამოჭრეს და გაიტაცეს. რესტორანი დიდი ხანია აღარ ფუნქციონირებს და შენობისთვის ერთმანეთს სხვადასხვა ფირმა ედავება. ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ დავას შეეწირა კოკა იგნატოვის მიერ 1972 წელს შექმნილი ეს ნაწარმოები. თავად მხატვარი საფრანგეთში იმყოფება სამკურნალოდ.

## მისიამ ვიზიტი დაასრულა

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ საქართველოში ვიზიტი დაასრულა და ეკონომიკურ გუნდს მემორანდუმი წარუდგინა, რომელშიც მთავრობის არაერთი სტრუქტურაა გაკრიტიკებული, მათ შორის, შემოსავლების სამინისტრო. მემორანდუმის თანახმად, საგადასახადო შემოსავლების კუთხით ვითარება არ გაუმჯობესებულა, რადგან საბაჟო და საგადასახადო სტრუქტურების რეფორმამ საბიუჯეტო და ეკონომიკური მდგომარეობა უმნიშვნელოდ შეცვალა; რომ კორუფცია კვლავაც უმძიმეს პრობლემად რჩება და ა.შ. მისიის ხელმძღვანელის, დევიდ ოუენის თქმით, საქართველოს ენერგეტიკაში შექმნილი ვითარება შემაშფოთებელია. სავალუტო ფონდის უმთავრესი მოთხოვნა გახარჯული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებლის გაზრდაა. სავალუტო ფონდი ხელისუფლებისაგან მოითხოვს დაჩქარდეს ენერგოკომპანიების გამსხვილება და დადგინდეს რა ვალები არსებობს ენერგოსექტორში, რის შემდეგაც უნდა ჩამოყალიბდეს ამ ვალების დაფარვის კონკრეტული გეგმა და მომზადდეს სპეციალური კანონპროექტები ამ ვალების მომსახურების თაობაზე და წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად. ეს უნდა მოხდეს უახლოეს ორ თვეში, რის შემდეგაც უკვე მაისში სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭო განიხილავს საქართველოსთვის მორიგი ტრანშის გამოყოფას.

## აპრილიდან წყალიც ძვირდება

1-ლი აპრილიდან თბილისის მოსახლეობას მორიგი „სიურპრიზი“ ელის. თითოეულ ოჯახს წყლის მოხმარებისათვის სულზე 1 ლარისა და 20 თეთრის გადახდა მოუწევს, ნაცვლად 60 თეთრისა. ეს „ისტორიული“ გადაწყვეტილება თბილისის საკრებულომ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა. დედაქალაქელი დეპუტატები ირწმუნებიან, რომ მიუხედავად წყალზე ტარიფის გაორმაგებისა, სოციალურად ყველაზე დაუცველ მოსახლეობას მნიშვნელოვანი შეღავათები გაეწევა და ამ თანხებს თბილისის ბიუჯეტი გაიღებს...

თბილისის მოსახლეობის უმრავლესობა აღშფოთებით შეხვდა ამ გადაწყვეტილებას.

## „ეგზეკუცია“ ფრაქციის წინააღმდეგ?

კონტროლის პალატის თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის მოხსენების საფუძველზე პრეზიდენტმა პოსტებიდან გადააყენა 12 გამგებელი. მათი მოხსნის მიზეზი ბიუჯეტის შეუსრულებლობაა, თუმცა კანცელარიის რეგიონალური მართვის პოლიტიკის სამსახურის ხელმძღვანელის ბადრი ხატიძის თქმით, გამგებლები უსამართლოდ მოხვდნენ დარტყმის ქვეშ და რომ მათ ნაცვლად პასუხისმგებლობა საგადასახადო სამსახურის თანამშრომლებს უნდა დაკისრებოდათ! პრეზიდენტის გარემოცვაში აცხადებენ, რომ ბუჩუკურისა და გამგებლების მოხსნით დაიწყო რეალური ბრძოლა კორუფციასთან და რომ ამ ბრძოლის მორიგი ეტაპი ენერგეტიკის სფეროში არსებული განუკითხაობის წინააღმდეგ განხორციელდება. გამგებლების მოხსნას მიესალმა სულხან მოლაშვილი, თუმცა გაოცება გამოთქვა, თუ რატომ არ მიაყოლეს მათ ხონისა და ჩხოროწყუს გამგებლებიც, რადგან სწორედ ამ რაიონებში აღმოჩნდა ყველაზე სერიოზული დარღვევები... გამგებლების წინააღმდეგ განხორციელებულ ამ „ეგზეკუციას“ „მოქალაქეთა კავშირმა“ მის წინააღმდეგ მიმართული ანგარიშსწორება უწოდა, რადგან მოხსნილი გამგებლების აბსოლუტური უმრავლესობა „მოქალაქეები“ არიან.

## საპატრიარქოს პრესცენტრის განცხადება

10 თებერვალს გადაცემა „60 წუთში“ ნაჩვენები იყო სიუჟეტი, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში რელიგიურ ნიადაგზე არსებულ პრობლემებს ეხებოდა.

სამწუხაროდ, აღნიშნულ გადაცემაში საპატრიარქოს წარმომადგენლის, დეკანოზ დავით შარაშენიძის კომენტარები კონტექსტიდან ამოგლეჯილად, არასრულად იყო გაშუქებული და შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენი ეკლესია სექტანტების წინააღმდეგ კანონსაწინააღმდეგო ძალისმიერი მეთოდების გამოყენების მომხრეა.

საქართველოს საპატრიარქო თავის განცხადებებში მუდამ მკაფიოდ აღნიშნავდა და კვლავაც იმეორებს, რომ ყოველგვარი ფიზიკური ანგარიშსწორება გაუმართლებელია და მიუღებელი ეკლესიისთვის.

რაც შეეხება „60 წუთში“ მეუფე ათანასეს გამოსვლას, ამის თაობაზე პირადად მან ასეთი განცხადება გააკეთა:

„ა.წ. 10 თებერვლის გადაცემაში „60 წუთი“ ჩემი გამოსვლა იყო ემოციებზე აგებული და, აქედან გამომდინარე, შეიცავდა სერიოზულ შეცდომებს, რასაც გულწრფელად ვნანობ.

რა თქმა უნდა, მართლმადიდებელი ეკლესია არ შეიძლება იყოს აგრესიული და იყენებდეს ისეთ მეთოდებს, რასაც საქართველოს წმიდა სინოდის მიერ განკვეთილი ბასილ მკალავიშვილი მიმართავს, თუმცა არც სექტანტთა და სხვა რელიგიის მიმდევართა ქმედებანი არ უნდა იყოს ასე განუკითხავი.“

***

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საზოგადოება „ჯვარის“ ინიციატივით ქ. რუსთავში დაიწყო საპროტესტო აქცია მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა და რელიგიის შესახებ კანონის მოთხოვნით. აღნიშნული აქცია არ არის ეკლესიასთან შეთანხმებული. საპატრიარქო თვლის, რომ ამგვარი მოქმედებები საზოგადოებაში გამოიწვევს დაძაბულობას და ხელს არ შეუწყობს პრობლემის გადაწყვეტას.

შევნიშნავთ იმასაც, რომ კონსტიტუციური ცვლილებების საფუძველზე უკვე განისაზღვრა ეკლესიის იურიდიული სტატუსი, ამიტომაც მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მოთხოვნა გაუგებარია.

***13 თებერვალი, 2002 წ.***
***(იბეჭდება შემოკლებით)***

## მთავრობამ ხალხის გული ვერ მოიგო

პრეზიდენტის მიერ მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის კობა ბუჩუკურის თანამდებობიდან გადაყენებით ვერც შევარდნაძემ და ვერც კორუფციასთან „მებრძოლმა“ მთავრობამ პარლამენტართა და საზოგადოების გული ვერ მოიგო, მით უმეტეს, რომ ბუჩუკურის გადაყენებას იმთავითვე მისცეს პოლიტიკური ანგარიშსწორების კვალიფიკაცია. ითქვა, რომ ბუჩუკური ფარულად თანაუგრძნობდა ჟვანია-სააკაშვილის გუნდს და ამიტომაც გადააყენეს პოსტიდანო. ზოგს კი მიაჩნია, რომ თუ პრეზიდენტმა ნამდვილად დაიწყო ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, მას ბუჩუკურთან ერთად გუბერნატორების ნახევარი მაინც უნდა გადაეყენებინა პოსტებიდან და რამდენიმე მინისტრი და დეპარტამენტის თავმჯდომარეც მიეყოლებინა! მაგრამ პრეზიდენტმა და მთავრობამ პირობა დადეს, რომ წმენდა გაგრძელდება, ოღონდ იმ შემთხვევაში გადააყენებენ მაღალი თანამდებობების პირებს, თუ მათ უკანონო შემოსავლების მოხვეჭაში ბრალი დაუმტკიცდებათ და ქონებრივ დეკლარაციებში არ მიუთითებენ წილობრივ მონაწილეობას ამა თუ იმ საქმეში, რის გამოც მოხსნეს ბუჩუკური... ფრაქცია „აღორძინებამ“ კი უარყოფითად შეაფასა ანტიკორუფციული საბჭოს მუშაობა, ბრალად დასდო მას პრეზიდენტის ნება-სურვილის გატარება და მოითხოვა ამ საბჭოს ნაცვლად ანტიკორუფციული საგანგებო სამსახურის შექმნა!

## კრიმინალური ქრონიკა

ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურთან ხაშურის საკრებულოს დეპუტატი და ბიზნესმენი ენჯიბიძე ჩაცხრილეს. მკვლელები მიიმალნენ. ვარაუდობენ, რომ დანაშაული ბიზნეს-სფეროსთანაა დაკავშირებული.

მესამე მასივში მცხოვრებმა 40 წლის ვიტალი ტამოიანმა კი მოკლა საკუთარი დედა და საცხოვრებელი კორპუსის სარდაფში დამარხა. მეზობლების თქმით, ტამოიანი ლოთი იყო და ხშირად სცემდა დედას, შემდეგ სახლიდანაც გაუგდია. ხუთი დღის წინ ტამოიანი შინ ისევ მთვრალი მივიდა და დედა სასტიკად სცემა. მას შემდეგ მოხუცი ქალი მეზობლებს აღარ უნახავთ. ტამოიანი ამბობდა, დედაჩემი გარდაიცვალა და ნათესავის სახლიდან დავკრძალეთო. ნათესავმა უარყო მისი ნათქვამი და საქმეც გაიხსნა...

## გუნავა ბრალს დებს საგადასახადო დეპარტამენტს...

ზუგდიდში საოლქო საგადასახადო ინსპექციის უფროსის ბეჟან გუნავას საცხოვრებელი სახლი დაცხრილეს და თან ხელყუმბარაც ესროლეს. დანაშაული გამთენიისას მოხდა და არავინ დაშავებულა. ბეჟან გუნავამ მომხდარში ცენტრალური ხელისუფლება და საგადასახადო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა დაადანაშაულა და განაცხადა, რომ სამეგრელოში სპეციალური ჯგუფია შექმნილი, რომელსაც მისი მოკვლა აქვს დავალებული! ამ ფაქტიდან რამდენიმე დღეში ბეჟან გუნავა თანამდებობიდან მოხსნეს საბიუჯეტო გეგმების შეუსრულებლობის მიზეზით. ბეჟან გუნავა კი შემოსავლების მინისტრს და საგადასახადო დეპარტამენტის შეფს კორუმპირებულობაში ადანაშაულებს, მათ გადადგომას მოითხოვს და გენპროკურატურაში ჩივილს აპირებს. გუნავა ირწმუნება, რომ ეს გადაწყვეტილება რამდენიმე თვის წინ ცალკეულ ფირმებში მის მიერ გამოვლენილი უკანონო საქმიანობის მხილებას უკავშირდება. ყველა ეს ფირმა თბილისის საგადასახადო ინსპექციაშია რეგისტრირებული და სამეგრელოში ყალბი ფაქტურებით აწარმოებდნენ უსაქონლო ოპერაციებს...

## ფილმს მაყურებელი ტაშით შეხვდა

ბერლინის პრესტიჟულ საერთაშორისო ფესტივალზე დიდი წარმატება ხვდა წილად ოთარ იოსელიანის ახალ ფილმს „ორშაბათ ღამეს“, რომელიც რეჟისორმა საფრანგეთში გადაიღო. ფილმის ჩვენების შემდეგ დარბაზმა აპლოდისმენტებით გამოხატა აღტაცება, ხოლო კინოკრიტიკამ უაღრესად მაღალი შეფასება მისცა ქართველი რეჟისორის ამ ახალ ნაწარმოებს... ფესტივალზე გამარჯვებულ ფილმებს ჟიური მიმდინარე კვირაში დაასახელებს. ოთარ იოსელიანის ფილმი მთავარი პრიზის რეალური პრეტენდენტია!

## „ბორჯღალოსნებმა“ კვლავ გაგვახარეს

„კიდევ ერთხელ ისახელეს თავი ქართველმა მორაგბეებმა. ერთა თასის გათამაშების მორიგი შეხვედრა ჩვენმა „ბორჯღალოსნებმა“ პორტუგალიაში გამართეს და მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე აკლდათ და არც მსაჯობა იყო მაინცდამაინც ობიექტური, ოსტატობამ თავისი გაიტანა და ჩვენებმა 27:23 მოიგეს, რითაც მორიგი დიდი ნაბიჯი გადადგეს მსოფლიო თასის გათამაშებაში მონაწილეობისაკენ.

მორიგ შეხვედრას „ბორჯღალოსნები“ შინ გამართავენ — 3 მარტს თბილისს რუსეთის ნაკრები ეწვევა.

## მორწმუნეთა ფანატიზმს დიდჩინოსანი შეეწირა



დიდი არეულობაა ავღანეთში. ჯერ იყო და, ქაბულის აეროპორტში თავშეყრილმა ასობით მორწმუნემ, რომლებიც საუდის არაბეთში წმინდა ადგილების მოსალოცად უნდა გამგზავრებულიყვნენ, ცემით მოკლა ავღანეთის ტრანსპორტის მინისტრი აბდულაჰ რაჰმანი. მინისტრი ვიზიტით მიემგზავრებოდა საზღვარგარეთ და იმ თვითმფრინავში ჩაჯდა, რომლითაც მორწმუნენი უნდა გაფრენილიყვნენ. შედეგად გაავებულმა ფანატიკოსებმა ჯავრი მინისტრზე იყარეს. იმავე დღეს ქაბულის სტადიონზე გაიმართა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში ქაბულის ნაკრებსა და იქ დისლოცირებულ საერთაშორისო ძალების ნაკრებს შორის. მატჩის სანახავად სტადიონს ათასობით ავღანელი მიაწყდა, მაგრამ სტადიონზე ყველა ვერ მოხვდა და სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ზედახორა. გულშემატკივრებმა სტადიონის შტურმი დაიწყეს, თან საქმეში ქვებიც ჩართეს... სამშვიდობოებმა ანგარიშით 3:1 მოიგეს. საინტერესოა, რომ მატჩამდე მოედანზე ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი აღმოაჩინეს, რომელიც გააუვნებელყვეს.

# მოუწოდებ ჩვენს სპეცსამსახურებს, ნუ მოგვერიდება ჩვენი ქვეყნის მტრების გამოვლენა...

***„ქართველნო, კახნო და იმერელნო, დაივიწყეთ თქვენ კეთილი მოქმედება წინაპართ თქვენთა, სული ძველის პატრონისი, ძმობა ერთი სულობისა, მორჩილება მეფის და მასთანავე სული მამაცობის განდრეკილ იქმნა თქვენგან. ნაცვლად მის დამკვიდრებულ იქნა უპატივეობაი, განცხრომა და ფუფუნებაი... საქმემან მან კადნიერ ჰყო მტერი, შემოხდა იგი მამულად ჩვენდა, დაჰსთესა მტერობაი ძმათა შორის, ჰსძლივა, დაიმონავა, მიიღო ქონება და განიყვეს ალაფი“...***

***იოანე ბატონიშვილი***

ვინ იცის, როდის დაესმება წერტილი მტრების მიერ საქართველოში აღებული „ალაფის“ გაყოფის საუკუნეობრივ უბედურებას, იმ „ალაფისა“, რასაც ქართველთა შორის გაუთავებელი უთანხმოება და ურთიერთშუღლი ჰქვია და რომელიც დღესაც ხრავს ქართულ სახელმწიფოებრიობას. საქართველო კი, როგორც ამას წინათ ბრძანა დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ავთანდილ იოსელიანმა, ძალიან ჰგავს ომის შემდგომი ორად გაყოფილი გერმანიის დედაქალაქ ბერლინს, რომელიც ყოფილი მოკავშირე სახელმწიფოების სპეცსამსახურების ბრძოლის ასპარეზად იყო გადაქცეული... მაშინ, როცა ორი წლის მანძილზე რუსეთი ტერორისტთა მფარველ ბუდედ აცხადებდა საქართველოს, მეგობარი აშშ კი სიმშვიდეს ინარჩუნებდა და ყველა საერთაშორისო დონეზე იცავდა საქართველოს რუსეთის ამ ბრალდებებისგან, უკანასკნელ დღეებში მანაც ამოიღო ხმა და არათუ პანკისის ხეობაში ავღანეთიდან გამოქცეულ მოჯაჰედთა შესაძლო ყოფნაზე ალაპარაკდა, არამედ საქართველოს ტერორიზმთან ბრძოლაში დახმარებასაც შეჰპირდა. მეტიც, გაირკვა, რომ ამერიკელთა დახმარებით საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ტერორიზმთან მებრძოლ ქვედანაყოფებსაც კი ქმნის... როგორც ჩანს, საქართველოში ტერორისტთა არსებობის მიმართ აშშ-ისა და რუსეთის პოზიციები ამ ეტაპზე უკვე საერთოა, რაც არ არის შემთხვევითი მოვლენა და დიდი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რომელიც, ვფიქრობ, დროთა განმავლობაში გაიშიფრება... თუმცა ამთავითვე საგულისხმოა, რომ საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის განცხადება, პანკისში მოჯაჰედთა შესაძლო ყოფნის შესახებ, უმალ აიტაცეს რუსეთის თავდაცვის და საგარეო საქმეთა მინისტრებმა. ჯერ იყო და, სერგეი ივანოვმა „ტერორისტთა კრაზანების ბუდე“ უწოდა პანკისის ხეობას, შემდეგ კი იგორ ივანოვი ხეობაში თვით... ბინ ლადენის შესაძლო ყოფნაზეც ალაპარაკდა(!). საქართველოს ხელისუფლებაში რუსეთის საგარეო უწყების შეფის ამ განცხადებას ხუმრობა უწოდეს(!), მაგრამ კარგად იცის „ახმეტელმა“ ივანოვმა, სად რა თქვას — საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე გაკეთებული ეს განცხადება თუ ხუმრობაა, მართლაც „სახუმროდ“ გვქონია საქმე. ფაქტია, რომ თუ ასე გაგრძელდა, წინ აღარაფერი დაუდგება საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში საქართველოს ისედაც დაცემული იმიჯის საბოლოო გაცამტვერებას... და როცა ამ ფონზე ქართველი პარლამენტარი საჯაროდ სდებს ბრალს ქვეყნის დაზვერვის სამსახურის შეფს ტერორიზმში, თუ ოდნავ მაინც გვაღელვებს და გვაფიქრებს ხვალინდელი დღე, ვფიქრობ ეს საქმე ბოლომდე უნდა გაირკვეს.

**ავთანდილ იოსელიანი:**

— სანამ რაიმე მტკიცებულება არ მექნება, ბუნებრივია, ვერ ვიტყვი, რომ დევნილთა ყრილობაზე ჩემი მისამართით ჯემალ გოგიტიძემ ეს განცხადება რომელიმე კონკრეტული სპეცსამსახურის დავალებით გააკეთა, მაგრამ ერთი რამ აშკარაა, როგორც ჩანს, ავთანდილ იოსელიანი, როგორც დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელი, ვიღაცას სერიოზულად უშლის ხელს... ის, რაც მე დამაბრალეს, ბუნებაში არ არსებობს. ამიტომ თუ საღად აზროვნებენ და, ბოლოს და ბოლოს, ჯანმრთელობასაც არ უჩივიან, შეგნებული უნდა ჰქონდეთ, თუ რა დევს ამ განცხადებებში. ამიტომ, ყველაფერს გავაკეთებ იმის დასადგენად, თუ საიდან მოდის და საიდან იმართება ჩემს წინააღმდეგ და შესაბამისად, დაზვერვის დეპარტამენტის დისკრედიტაციისთვის წამოწყებული ეს კამპანია. ამჯერად კი, ჩემი და დეპარტამენტის თანამშრომელთა ვარაუდით, ეს ყოველივე გარედანაა შემოსული. დიახ, საქართველო დღეს გადაქცეულია რამდენიმე ქვეყნის, მეტიც, 10-12 უცხო სპეცსამსახურის მოქმედების არეალად, რომლებსაც გარკვეული დავალება აქვთ და უხეშად რომ ვთქვა, ყველა თავისკენ ექაჩება საქართველოს...

— **როგორ აფასებთ ასლან აბაშიძის, როგორც პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის, ჩართვას აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკებებში?**

— უაღრესად დადებითად, რადგან ბატონ ასლანს საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე ჭკვიან და სერიოზულ პოლიტიკოსად მივიჩნევ. იგი არის ქვეყნის დიდი პატრიოტი, რომელთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და ასლან აბაშიძეც ვერასოდეს იტყვის იმას, რომ ავთო იოსელიანს რაიმე აუგი აქვს ნათქვამი მასზე.

— **აბა, რას მივაწეროთ ჯემალ გოგიტიძის განცხადება? ბავშვმაც კი იცის, რომ ასლან აბაშიძის გარეშე ვერც გოგიტიძე და ვერც „აღორძინების“ სხვა რომელიმე წევრი მსგავსი განცხადების გაკეთებას ვერ გაბედავდა...**

— თუ კაცს პატივს ვცემ, მის ოჯახს და წარსულს კარგად ვიცნობ თუნდაც ჩემი მშობლებისა და ბებიისგან, რომელიც აჭარაში მუშაობდა და ახლოს იყო ბატონი ასლანის ოჯახთან, რომელ ტერაქტზე შეიძლება ლაპარაკი? ეს ხომ მარაზმი, აბსურდი და სიგიჟეა! მაგრამ რატომ მოხდა ეს, უკვე ვხვდები. ჩვენი სპეცსამსახურებისთვის ცნობილი გახდა, რომ შეიძლება დევნილთა ყრილობაზე მომხდარიყო ექსცესები, დაპირისპირება, გახლეჩა, რაც წყალს დაასხამდა აფხაზ სეპარატისტთა წისქვილზე. ამან შემაშფოთა და ვუთხარი კიდეც ყრილობის ორგანიზატორებს ამის თაობაზე. ვფიქრობ, ეს არის ჩემი შეცდომა. ამასთან, ბორის კაკუბავას აფხაზები დაუძინებელ მტრად მიიჩნევენ. ამ ფონზე ეს პიროვნება ატარებს ყრილობას და აფხაზებთან მოლაპარაკებაზე ნდობის მანდატს აძლევს ასლან აბაშიძეს. რა თვალით შეხედავენ ამის შემდეგ სეპარატისტები ასლან აბაშიძეს? სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, გამიხარდა, როცა პრეზიდენტმა ასეთი დიდი მისია დააკისრა ასლან აბაშიძეს და რადგან მეც კარგად ვიცნობ აფხაზეთის პრობლემატიკას, ვიფიქრე, შეიძლება ბატონმა ასლანმა ჩამრთოს თავის გუნდში ამ საქმის საკეთებლად-მეთქი. უკულმა მომიბრუნდა ყველაფერი და გამომაცხადეს ტერორისტად(!). არ ვიცი, კაკუბავამ გააკეთა ეს, თუ სხვამ, მაგრამ ფაქტია, რომ ბატონ ასლანს თავს მოახვიეს დეზინფორმაცია — ავთო იოსელიანი შლის ყრილობას, ავთო იოსელიანი შენი მტერიაო და ა.შ. ანუ ასლან აბაშიძისა და ჩემმა მტრებმა ისარგებლეს და აჭარის ლიდერი განაწყვეს ჩემს საწინააღმდეგოდ! ვიმეორებ, საქმე აუცილებლად უნდა აღიძრას,



„გამოიძიონ, ბოლოს და ბოლოს, საქართველოში რაღაც ხომ უნდა გამოიძიონ!..“

მაგრამ იმავდროულად მოვითხოვ, რომ ბატონმა ასლანმა გააკეთოს განცხადება, თუ რატომ და რისთვის დამიპირისპირდნენ. ბატონმა ასლანმა ისიც უნდა ბრძანოს, თუ როგორი ურთიერთობა გვქონდა ჩვენ ერთმანეთთან 2002 წლის 14 თებერვლამდე! უნდა ვთქვა ისიც, თუ როგორი გაფაციცებით ადევნებენ თვალს აფხაზები ქართველთა შორის დაპირისპირებას. არაერთხელ უთქვამთ აფხაზებს ჩემთვის — რაც უფრო დაჭამთ ერთმანეთს, რაც უფრო დაიქსაქსებით, მით უფრო მალე მივაღწევთ დამოუკიდებლობასო! არ დამავიწყდება თბილისის ომის პერიოდი. მაშინ აფხაზეთის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი ვიყავი. არძინბა წამდაუწუმ მეკითხებოდა, — როგორ არის საქმე თბილისშიო. როცა ვეტყოდი, — ყველაფერი კარგად არის-მეთქი, ცუდად ხდებოდა, რადგან კარგად იცოდა არძინბამ და კარგად იციან დღესაც, რომ საქართველოს ძლიერების თავიდათავი არის თბილისი და ქართველთა ერთობა. მეშინოდა, რომ სწორედ გახლეჩა და უბედურება მოჰყვებოდა ამჟამინდელ შეკრებას, თორემ თუ უნდა და სადაც უნდა, ასი და ათასი ყრილობა ჩაატაროს კაკუბავამ. ხომ დაინახა ყველამ, რა კომედია და მუშტი-კრივი გაიმართა სპორტის სასახლეში. სხვა რა ინტერესი უნდა მქონოდა? ბატონი ასლანის თანამდებობა მინდა, მის მაგივრად აფხაზებთან მოლაპარაკებებში ჩართვა, ბათუმის პორტი თუ რა? აგერ, აჭარის უშიშროებასთან, დაზვერვის სამსახურთან, რომელიც მე მექვემდებარება, შესანიშნავი მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა მაქვს. თუ ასე არ არის, მაშინ განაცხადონ, რომ ავთო იოსელიანი მტრობს აჭარას, რომ ავთო იოსელიანი არაკაცია, მოღალატეა და ა.შ. იმასაც ვიტყვი, რომ აჭარის უშიშროების მინისტრი სოსო გოგიტიძე და თავად ასლან აბაშიძე დიდ ყურადღებას უთმობენ დაზვერვის სამსახურის მუშაობას. ბატონმა ასლანმა მას ახალი შენობა გამოუყო. ერთად ვაკეთებთ სახელმწიფო საქმეს და ამ დროს კაცს, რომელიც გვერდში უდგას ქართულ დაზვერვას, მამტერებენ მე!

**ინტერვიუს დროს ავთანდილ იოსელიანის კაბინეტში შემოვიდა მისი მთავარი სახელმწიფო კონსულტანტი გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე, რომელმაც მთხოვა მისი განცხადებაც მომესმინა:**

***ანზორ მაისურაძე:*** *— ის, რაც გუშინ მოხდა, არ არის მხოლოდ ავთანდილ იოსელიანის წინააღმდეგ გალაშქრება. ეს არის დაზვერვის დეპარტამენტის მთელი კოლექტივის მიმართ გაკეთებული განცხადება, რომელიც შეურაცხყოფს მას; ახდენს იმ ორგანიზაციის დისკრედიტაციას, რომელიც თავისი არსით მოწოდებულია ქვეყნის საკეთილდღეო საქმის გასაკეთებლად. აი, ამ სამსახურს უთხრიან ძირს, ქვეყნის თვალწინ ტერორისტებად გვნათლავენ; ცენტრალურ ტერორიზმში ადანაშაულებენ დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს. ავთო იოსელიანს მარტო რისი გაკეთება შეუძლია? ე.ი. ჩვენც მონაწილენი ვყოფილვართ ამ ცენტრალური ტერორიზმისა! დიახ, მთელ ჩვენს სამსახურს ლაფი დაასხეს თავს. პროტესტს ვაცხადებ და ვამბობ: ასეთი სულელური, არაკაცური, უტვინო განცხადებები, რომელთაც იოტისოდენა საფუძველი არ გააჩნიათ, მიმართულია სწორედ ქვეყნის ინტერესების საზიანოდ! ჩვენი უცხოელი კოლეგებისაგან არ წყდება სატელეფონო ზარები. ისინი აღშფოთებულნი არიან მომხდარით, რადგან კარგად იციან, რას აკეთებს ქართული დაზვერვა საქართველოს სახელმწიფოებრივი, ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოებისთვის, განსხვავებით ბევრი ჩვენი ვაითანამემამულისაგან. მე ვიცნობ ბატონ ასლანს და დარწმუნებული ვარ, გაერკვევა — სად არის ძაღლის თავი დამარხული.*

— **ბატონო ავთო, ბორის კაკუბავა და კიდევ რამდენიმე პირი მხილებულნი იყვნენ პრეზიდენტის წინააღმდეგ დაგეგმილი არშემდგარი ტერაქტის ორგანიზებაში. თუ ეს ასეა, რატომ არ დასაჯეს?**

— ეს ძიების ფუნქციაა, მაგრამ ჩვენი დეპარტამენტი, რომელიც ოპერატიული მუშაობის თვალსაზრისით ჩართული იყო ამ საქმეში, დარწმუნებულია, რომ ბორის კაკუბავას კავშირი ჰქონდა იგორ გიორგაძესთან და ემზადებოდნენ პრეზიდენტის წინააღმდეგ მოქმედებისთვის! ამის დამამტკიცებელი უამრავი დოკუმენტი არსებობს. მაგრამ თუ საქმე სასამართლომდე არ მივიდა და სასამართლომ არ გამოუტანა ვერდიქტი, მე არავითარი უფლება არა მაქვს, კაკუბავა გამოვაცხადო სამშობლოს მოღალატედ... აქვე ვიტყვი, რომ მე, როგორც ადამიანმა, ამ ხნის მანძილზე არაფერი არ ვთქვი კაკუბავაზე, შევინახე საიდუმლო. მაგრამ რაც მაგათ გუშინ გამიკეთეს, უკვე ვეღარ მოვითმენ და ვიტყვი სიმართლეს... დიახ, ბორის კაკუბავა თითქმის წელიწად-ნახევრის განმავლობაში გაუთავებლად მირეკავდა რუსეთიდან, თუ სხვა ქვეყნიდან (ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად ვიცი, რომ ის საქართველოში არ ყოფილა) და მთხოვდა, — უდანაშაულო ვარ, ხომ იცი, რომ არა ვარ ცუდი კაცი, გთხოვ, შემიცვალონ აღმკვეთი ღონისძიებაო და ა.შ. ვეუბნებოდი, — ჩემო ბორის, ეს ჩემს ფუნქციაში არ შედის-მეთქი. მაგრამ მაინც გაუთავებლად მეხვეწებოდა. ამის შესახებ რამდენჯერმე მოვახსენე პრეზიდენტს და ვთხოვე, — იქნება დავეხმაროთ, მაინც საქართველოს შვილია, გაგრელი კაცია, ვიცნობ მის ძმებს, შვილებს, ოჯახსმეთქი... პრეზიდენტმა მითხრა, — თუ პარლამენტი უშუამდგომლებს კაკუბავას აღმკვეთი ღონისძიების მოხსნაში, მე ხმის ამომღები არა ვარო! არ არის ეს დახმარება? პრეზიდენტის გარდა, ვესაუბრე ყოფილ გენერალურ პროკურორს გია მეფარიშვილს, პარლამენტარებს და პატარა წვლილი შევიტანე კაკუბავას სამშობლოში დასაბრუნებლად. ახლა კი მეტსაც გეტყვით: იმავე პერიოდში კაკუბავამ საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციები მოგვაწოდა ცენტრალურ ტერორზე (ასე ვუწოდებთ ქვეყნის ხელმძღვანელების წინააღმდეგ დაგეგმილ ტერაქტებს თუ სხვა აქციებს), რომელიც ეხებოდა პრეზიდენტ შევარდნაძის ლიკვიდაციას რუსების მხრიდან. ამის დამადასტურებელი დოკუმენტები, ანუ კაკუბავას მიერ მოწოდებული ინფორმაციები მაქვს.

**ჩემთან საუბარში კაკუბავამ ერთი ისეთი ინფორმაციაც გაამჟღავნა, რომ გაკვირვებული დავრჩი... შეუძლებელია, კაკუბავას ასეთი ინფორმაციები ჰქონდეს! ხოლო, თუ ყოველივე მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია, ეს უკვე მისი პირადი უბედურებაა, მაგრამ თუ ეს სიმართლეა, მაშინ დიდი რუსი ერი დაღუპულა და ეს არის.**

არც იმას დაგიმალავთ, რომ საქართველოს სპეცსამსახურებმა დაგეგმეს კონტრღონისძიებები ამ მასალების საფუძველზე. ამას დაგიდასტურებენ უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროში და სახელმწიფო დაცვის სამსახურში.

— **კონკრეტულად რა ინფორმაცია მოგცათ კაკუბავამ?**

— მომცა რამდენიმე პირის გვარი, მათი სამოქმედო გეგმა. შერეული ჯგუფი იყო, რომელსაც უნდა განეხორციელებინა ცენტრალური ტერორი და ა.შ. ყველა ამ დოკუმენტს გადავცემ პროკურატურას, მით უმეტეს, რომ კაკუბავას საქმე შეწყვეტილი არ არის. მიმაჩნია, რომ კაკუბავა დასაკითხია.

— **და ამ საქმეში ფიგურირებს რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის შეფის პატრუშევის გვარიც?**

— პატრუშევთან დაკავშირებით აგერ მაქვს კაკუბავას ინფორმაცია, რომლის ერთ ფრაგმენტს წაგიკითხავთ: „ქალაქ მოსკოვში მას (კაკუბავას) შეხვედრა ჰქონდა რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელთან, არმიის გენერალ პატრუშევთან. პატრუშევმა განაცხადა, რომ ავთანდილ იოსელიანი ითვლება რუსეთის №1 მტრად, რადგანაც მისი სამსახური (დაზვერვის დეპარტამენტი) მიჩნეულია საქართველოს პრეზიდენტის აქტიურ მხარდამჭერად და რუსეთის ერთ-ერთ ძირითად მოწინააღმდეგედ და რომელსაც გააჩნია მჭიდრო ურთიერთობა დასავლეთის ქვეყნების სპეცსამსახურებთან...“ მართალია თუ არა ეს, თავად ბატონმა პატრუშევმა გვიპასუხოს, თუ სურვილი აქვს. მეორეც, თუ ეს ინფორმაცია მართალია და ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, მინდა ვკითხო გენერალ პატრუშევს, — რა უფლებით ელაპარაკებოდა კაცს, რომელიც ძებნილი და ეჭვმიტანილი იყო სამშობლოს ღალატში და პრეზიდენტის წინააღმდეგ ტერაქტის ორგანიზებაში?! კაკუბავამ ისიც გვაუწყა, რომ ორჯერ შეხვდა პრეზიდენტ პუტინს(!). დავადასტურებ ჩემს დიდ პატივისცემას რუსეთის პრეზიდენტისადმი, როგორც პროფესიონალისა და სახელმწიფო მოღვაწისადმი, რომელიც, ჩვენი ინფორმაციით (და ეს არაერთხელ თავად პრეზიდენტ შევარდნაძესაც უთქვამს ჩვენთვის), ძალიან დაინტერესებულია საქართველოსთან კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობების აღდგენით. მაგრამ ჩემთვის გასაკვირია, როგორ შეხვდა ბატონი პუტინი კაკუბავას ორჯერ. როცა ამ დოკუმენტებს წარვუდგენ საგამოძიებო ორგანოებს, მათ უნდა გადაამოწმონ ეს ინფორმაციაც. ამასთან, კაკუბავას ინფორმაციითვე, იგი ხვდებოდა ბორის პასტუხოვს, რომელიც ამჟამად რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელია რუსეთ-საქართველოს შორის ჩარჩო-ხელშეკრულების მომზადების მოლაპარაკებებში. საკითხავია, ისეთი რა გაუჭირდა პასტუხოვს, რომ ბორის კაკუბავასგან იღებს ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე პროცესებსა და მოსახდენ მოვლენებზე?! მეტიც, ჩემთან საუბარში კაკუბავამ ერთი ისეთი ინფორმაციაც გაამჟღავნა, რომ გაკვირვებული დავრჩი... შეუძლებელია, კაკუბავას ასეთი ინფორმაციები ჰქონდეს! ხოლო, თუ ყოველივე მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია, ეს უკვე მისი პირადი უბედურებაა, მაგრამ თუ ეს სიმართლეა, მაშინ დიდი რუსი ერი დაღუპულა და ეს არის. ამის თქმა შემიძლია მხოლოდ და იმისაც, რომ პრეზიდენტ პუტინს ნამდვილად აქვს სერიოზული პრობლემები ხელისუფლებაში...

— **საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა რემლერმა განაცხადა, რომ პანკისის ხეობაში იმყოფება ავღანეთიდან გამოქცეული რამდენიმე მოჯაჰედი, სერგეი ივანოვმა ამ განცხადებაზე დაყრდნობით „ტერორისტების კრაზანების ბუდე“ უწოდა პანკისის ხეობას... საერთოდ, თქვენი ინფორმაციით, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები პანკისში რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს დელეგაციის ვიზიტის შემდეგ?**

— ის, რომ თითქოს პანკისის ხეობაში ალ-ქაიდას ხალხია, არ არის მართალი. გადავქექეთ იქაურობა, მაგრამ მსგავსი რამ არ დადასტურებულა. ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს პანკისშიც და საქართველოს გარეთ მყოფ ჩეჩნებთან. მათთან გადავამოწმეთ ეს ინფორმაცია და გაირკვა, რომ ალ-ქაიდას არც ერთი წევრი არ გაჭაჭანებულა აქ. სერგეი ივანოვს კი ვთავაზობ, რომ თუ სურვილი აქვს, ჩამობრძანდეს საქართველოში, მე პირადად დავჯდები საჭესთან, მოვისვამ გვერდით, დავათვალიერებინებ მთელ პანკისის ხეობას და მაჩვენოს ბინ ლადენის, თუ ალ-ქაიდას ერთი წარმომადგენელი მაინც. არც იმას დაგიმალავთ, რომ რემლერის განცხადების შემდეგ მეორე დღესვე შეხვედრა მქონდა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლებთან, რომლებმაც უარყვეს ეს ინფორმაცია და განაცხადეს, — რემლერმა სხვანაირად თქვა, კერძოდ, ავღანეთიდან გამოქცეული ხალხიდან შეიძლება რამდენიმე მოჯაჰედი მოხვდეს საქართველოს ტერიტორიაზე, ისევე როგორც დსთ-ის სხვა ქვეყნებშიო. რაც შეეხება რუსეთის დელეგაციის ვიზიტს და ჩეჩნების სამშობლოში დაბრუნების საკითხს, მათი უმრავლესობა უარზეა და სვამენ კითხვას: რატომ არ მიმართავს რუსეთი მსგავს ღონისძიებებს ინგუშეთში მყოფი ჩეჩენი ლტოლვილების მიმართ და რატომ იწყებს ლტოლვილთა ჩეჩნეთში დაბრუნების კამპანიას საქართველოდან. ამ კითხვაში არის ლოგიკა. ე.ი. ინგუშეთში მყოფი ათიათასობით ჩეჩენი ლტოლვილიც ფიქრობს, რომ არა აქვს უსაფრთხო დაბრუნების გარანტია. ამიტომ, აქ ნებაყოფლობაზეა ლაპარაკი. ვისაც სურს, დაბრუნდეს, საერთოდ კი, ჩეჩნები რომ უნდა დაუბრუნდნენ მომავალში სამშობლოს, ეს უეჭველია. თუმცა ძალით ჩეჩნების გაყრა გამორიცხულია. რაც შეეხება ბოევიკებს, ძირითადად დაჭრილ-დასახიჩრებულები შემოვიდა თავის დროზე 140-160 კაცი, მაგრამ მათ შორის შეიძლება ისეთებიც იყვნენ, რომლებიც უბრალოდ გაერიდნენ ომს. დარწმუნებული ვარ, თუკი ჩვენი სამართალდამცავები პანკისის ხეობაში განახორციელებენ ოპერაციას კრიმინალური დამნაშავეების წინააღმდეგ, ჩეჩენი ლტოლვილები ყველანაირად ხელს შეუწყობენ, თავად არიან დაინტერესებულნი სიმშვიდით. ის, რაც შარშან მოხდა აფხაზეთში გელაევის რაზმის რეიდით, ეს იყო აშკარა პროვოკაცია საქართველოს წინააღმდეგ, რამაც ძალიან ავნო ჩეჩნებსაც. ვინც ეს დაგეგმა, არის საქართველოს მტერი. გამოიძიონ, ბოლოს და ბოლოს, საქართველოში რაღაც ხომ უნდა გამოიძიონ?!

— **თქვენი ინფორმაციით, რამდენად მყარი პოზიცია აქვს ხეობაში ვაჰაბიტურ ჯგუფებს?**

— არამყარი, რადგან ჩეჩნებიც და ქისტებიც ტრადიციული ისლამის მიმდევარი და დამცველი ხალხია, რომელსაც ჩვენც, ქართველებიც, ისტორიულად პატივს ვცემთ. დარწმუნებული ვარ, ტრადიციული ისლამის მიმდევრები აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ და რეაქციულ ვაჰაბიტებს არ გაახარებენ. ჩეჩნებიც აცხადებენ, რომ რეაქციული ვაჰაბიზმის წარმომადგენლებს განხეთქილება შეაქვთ თავად ჩეჩნებში. თანაც, ჩეჩნების თქმითვე, ამ ხალხს როცა ფული აქვს, ვაჰაბიტები არიან, როცა ჯიბეგაფხეკილები არიან, უმალ ტრადიციული ისლამის მიმდევრები ხდებიან. ვაჰაბიზმის საფრთხე კი საქართველოს არ ემუქრება იმიტომ, რომ ვაჰაბიზმის წინააღმდეგ ჩვენ გვერდით დადგება ჩვენი თანამოქალაქე ტრადიციული ისლამის აღმსარებელი მოსახლეობა: თუმცა გარეშე ძალები რომ შეეცდებიან ვაჰაბიტური ჯგუფების გააქტიურებას საქართველოში, ესეც მოსალოდნელია...

*(გაგრძელება იხ. გვ. 11)*

## ალექსანდრე საკოვი — ფოტოხელოვანი თუ...

*იგი რობერტ ბარძიმაშვილთან ერთად უკრავდა „ორერაში“, დასარტყამი ინსტრუმენტი მისთვის საკმაოდ ახლობელია. ანსამბლი ბევრს მოგზაურობდა, იყო წარმატებები, მაგრამ... ერთხელ, ავარიაში მოჰყვა და მარჯვენა ხელი დაუზიანდა... მომავალი პროფესია ჟურნალმა „დროშამ“ უკარნახა — გურამ თიკანაძის ფოტოებმა ისე მოხიბლა, რომ ჯერ ფოტოაპარატი შეიძინა, შემდეგ თიკანაძის შედევრების ზუსტი ასლების კეთებამ გაიტაცა და სულ მალე, თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე პროდუქტიულ ფოტოხელოვანად ჩამოყალიბდა...*

*2002 წელი ალექსანდრე საკოვმა თავისი ახალი პერსონალური გამოფენით აღნიშნა.*

*1965 წლიდან, მას შემდეგ, რაც 25 წლის ალექსანდრე საკოვმა პირველად დაიწყო გადაღება, არ გასულა არც ერთი წელი, რომ მის ფოტოებს საერთაშორისო თუ საკავშირო მასშტაბით, უდიდესი წარმატება არ მოეპოვებინათ. მისი ნამუშევრები სამჯერ შევიდა ალმანახ „ევროპის 100 საუკეთესო ფოტო“-ში.*

*ფოტოხელოვანს საკუთარ გამოფენაზე სამების ეკლესიასთან, ფურცელაძის №11-ში გავესაუბრე:*

— **ბატონო ალექსანდრე, ცნობილია, რომ გურამ თიკანაძემ უდიდესი გავლენა იქონია თქვენზე, ნამდვილი პედაგოგი გყოლიათ?**

— გურამის ფოტოები რომ არ მენახა, ალბათ სხვა საქმეს შევეჭიდებოდი. იგი იყო ქართული ფოტოგრაფიის მამამთავარი. მას ერთი ასეთი ფოტო აქვს — „სამხრეთის მზის ქვეშ“ — ესაა სიურრეალისტურ სტილში გაკეთებული ფოტო. როცა გამოსაქვეყნებლად მიიტანა, გაიკვირვეს — ფოტოაპარატი გაგიფუჭდა თუ კარგად ვერ გაამჟღავნეო? გურამმა აუხსნა, რომ ეს ტექნიკური ხერხი იყო და ასე საგანგებოდ დაბეჭდა, მაგრამ არ დაუჯერეს და როცა იტალიიდან პირველი საერთაშორისო მედალი ჩამოიტანა, ირონიულად უთხრეს, ალბათ, იტალიაში ბევრი შერეკილია, მაგ ფოტოში მესამე ადგილი რომ მოგცესო...

— **პირადად იცნობდით?**

— სამწუხაროდ, არა, 62-ში მოხდა უშგულის ტრაგედია, მე კი 65-ში გამიტაცა ფოტოგრაფიამ. იმდენად დიდი იყო ჩემი ინტერესი გურამისადმი, რომ ერთი ახალგაზრდული გაზეთის რედკოლეგიას ვთხოვე, წავსულიყავით სვანეთში და შეგვეგროვებინა მასზე ინფორმაცია. სვანეთში გავიგე, რომ თურმე ყველა ალპინისტი მთაზე ასვლის წინ ერთ ოჯახს სტუმრობდა. ამ ოჯახის დიასახლისმა გვითხრა, რომ იმ საღამოს გურამი საოცრად ცუდ გუნებაზე ყოფილა, ამის გამო დიასახლისს არ უნდოდა მისი გაშვება, მაგრამ ექსპედიცია თავისას მოითხოვდა. და როცა ავის მაუწყებელი მაშხალის ხმა გაისმა, ქალი მიმხვდარა, რომ მსხვერპლი გურამი იქნებოდა...

— **პირველი წარმატება როდის მოვიდა?**

— 1967 წელს საბჭოთა რეჟიმის 50 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო დიდი ფოტოკონკურსი, გავგზავნე ჩემი ფოტოებიც. ერთხელაც, „პრავდაში“ ვკითხულობ: — საკოვი — „ოქროს მედალი“, ვერაფრით დავიჯერე, დავრეკე რედაქციაში და ვკითხე, რაიმე შეცდომა ხომ არაა გაპარული-მეთქი, ყურმილის იქითა მხრიდან ბოხმა ხმამ ძალიან მკაცრად მიპასუხა — იცოდეთ, რომ „პრავდაში“ შეცდომები არ ხდება!!! გაზეთში გამოქვეყნებიდან მესამე დღეს მირეკავენ მოსკოვიდან და მეკითხებიან — თქვენი სპორტული სურათები — მურთაზ ხურცილავა და დანარჩენები გასაგებია, მაგრამ არის ასეთი ფოტო — „პორტრეტი“, ვინ არის მასზე გამოსახული მამაკაცი? ვუპასუხე, რომ ეს იყო თანამედროვე ფრანგული თეატრის დამფუძნებელი ჟან ვილარი, რომელიც თბილისში ყოფნის დროს გადავიღე. — ძალიან სამწუხაროა, — მიპასუხა ხმამ, — რომ გვცოდნოდა, რომ ეს უცხოელის ფოტოა, ოქროს მედალს არაფრით არ მოგცემდით!



„ამპუტირებული სულები“

— **რას იტყვით თანამედროვე ქართულ ფოტოხელოვნებაზე?**

— იცით, უნიჭიერესი ხალხია — მეჩითოვი, წიბახაშვილი, ცაგარელი, ბარნოვა, ეს ძირითადად ერთი თაობაა, ახალგაზრდები ნაკლებად გვყავს. საერთოდ, სენია ასეთი — ძირითადად ყველა მუშაობს მხატვრულ ფოტოზე — ეს, რა თქმა უნდა, რთული ჟანრია, მაგრამ იშვიათია ნამდვილი რეპორტიორის ნამუშევრები. ისეთი ხალხი, ვთქვათ, როგორებიც იყვნენ რიხტერი, ახვლედიანი და სხვები, ესენი ხომ მიდიან!..

— **როგორ შეიქმნა რიხტერის ფოტოები?**

— ეს ელენე ახვლედიანის დამსახურებაა. მასთან და ლადო გუდიაშვილთან ვიყავი ძალიან ახლოს, როცა დიდ მაესტროსთან მივედით, იგი მიუჯდა როიალს და დაიწყო დაკვრა. მე სტილი მაქვს ასეთი, — არ შემიძლია მხატვარი ფუნჯით გადავიღო ან მუსიკოსი როიალთან, ეს მეტისმეტად ტრაფარეტულია. ვცდილობ შევქმნა სახე, გამოვავლინო პიროვნების შინაგანი სამყარო. ცოტა ხნის შემდეგ რიხტერმა შეწყვიტა დაკვრა და მკითხა, რატომ არ მიღებო? ავუხსენი ჩემი პრობლემა. ის ცოტა ხნით დაფიქრდა, თითქოს რაღაცას მიხვდა, გავიდა, გადაიცვა ხალათი და ისე შემოვიდა. დადგა როიალთან, ამ დროს კარიდან მოკრძალებით შემოიხედა მისმა მეუღლემ — „Слава, что это такое?“ — „Закрой дверь!“ — მკაცრად გასძახა რიხტერმა და... შედევრიც შეიქმნა...

— **ვინ გაპოვნინათ ძველი თბილისის ასეთი ტიპაჟები?**

— კვლავ ელენე ახვლედიანმა, საერთოდ მისგან ვისწავლე ჩუქურთმის მნიშვნელობა, ძველი ჩაცმულობებიც, ტიპაჟებიც მან მომინახა.

— **რამდენად შეგეძლოთ გემოგზაურათ ქვეყნებში საბჭოთა რეჟიმის დროს?**

— არც ერთ უცხო ქვეყანაში არ გავსულვარ, არ მიშვებდნენ და იცით, რატომ? ჩემი ფოტოს — „ამპუტირებული სულების“ გამო, ფოტოზე თბილისელთათვის ცნობილი მე-8 პოლკია აღბეჭდილი. რედაქციაში რომ მივიტანე, მითხრეს, წაიღე, ჩვენ არ გვინახავსო. შემდეგ იტალიაში გავგზავნე და იქიდან მივიღე ასეთი მოსაზრება — „ეს არაა ანტისაბჭოური ფოტო, ეს სოციალური პრობლემაა!!!“ „ამპუტირებული სულები“ ფლობს 15 საერთაშორისო პრიზს.

— **ახლა მხიარული კურიოზები გაიხსენეთ...**

— ბიბი კინგის, ცნობილი ამერიკელი ჯაზმენის გადაღება დამამახსოვრდა. მას მცველი ახლდა. როდესაც გადასაღებად მოვემზადე, შევნიშნე, რომ კისერზე ძეწკვი ეკეთა, დამაინტერესა რა ეკიდა ძეწკვზე, მივედი და პერანგის ერთი ღილი შევუხსენი, არ გამოჩნდა, შევხსენი მეორე, მესამე ღილი და... უეცრად სასოწარკვეთილი ბიბი ეძახის მცველს, მიშველე, ეს მგონი ცისფერიაო! დიდხანს მომიხდა მტკიცება, რომ არანაირი გადახრა არ მქონდა, ბოლოს ბევრი ვიცინეთ.

— **თქვენი გამოფენა ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს ეძღვნება...**

— დიდხანს ვფიქრობდი, ჯერ მინდოდა შემექმნა სერია „უსახლკარო ბავშვები“, მაგრამ ვერ შევძელი, მეცოდებიან. დღეს, ბევრი უცხოური თუ ქართული ფირმა ეხმარება მათ საკვებით და ტანსაცმლით, მაგრამ ეს, მაინც, ერთჯერადი დახმარებაა. მინდა, ამ ბავშვებს ხელობა ვასწავლო, რათა ცხოვრებაში შეძლონ თავის გატანა. ვფიქრობ თითო კადრი გადავაღებინო ბავშვებს სურვილისამებრ და მივხვდები, აქვთ თუ არა რაღაც ხედვა, შემდეგ ძირითად პრინციპებს შევასწავლი. საერთოდ, არ მიყვარს „სწავლება“, მინდა, რომ მათი შესაძლებლობები გამოვავლინო და კონსულტაცია გავუწიო და მერე... უკვე თვითონ მიხვდებიან, რა უნდა აკეთონ...

*თამამად შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე საკოვი XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ფოტოხელოვანია, ალბათ ოდნავ მეტიც — მხატვარი, ვინაიდან მისი შედევრები არ ექვემდებარება ფოტოაპარატის შესაძლებლობებს. ხელოვანი წამის მესედში აფიქსირებს განწყობასა და ატმოსფეროს...*

***ალექსანდრე ბერიძე***



ღირსი მამა არსენ იყალთოელი X-X საუკუნეების მიჯნის უდიდესი ქართველი მოღვაწე, მთარგმნელი, ენციკლოპედისტი, ჰიმნოგრაფი და ფილოსოფოსი იყო. დავით რექტორი წერს: „ესე არსენ იყო გვარად ვაჩნაძე, იბადის ძე, კაცი ბრძენი და მეცნიერი“.

მას საფუძვლიანი განათლება კონსტანტინე მონომახის მიერ დაარსებულ მანგანის აკადემიაში მიუღია. ასევე უთარგმნია რამდენიმე მნიშვნელოვანი თხზულება, მათ შორის, დოგმატურ-პოლემიკური ხასიათის კრებული, რომელსაც ქართულ მწერლობაში „დოგმატიკონი“ ეწოდება. ერთხანს, „შავ მთაზეც“ მოღვაწეობდა ეფრემ მცირის ხელმძღვანელობით.

1114 წელს არსენი, მეფე დავით აღმაშენებლის მოწვევით, საქართველოში ჩამოვიდა და მოღვაწეობა დაიწყო გელათის აკადემიაში. აქ ყოფნისას თარგმნა მან „დიდი სჯულის კანონი“. შემდეგ არსენი კახეთში გადავიდა და იყალთოს მონასტერთან დააარსა აკადემია. იგი მონაწილეობდა დავით აღმაშენებლის თაოსნობით მოწყობილ ცნობილ კრებაში.

არსენი შეესწრო დავით აღმაშენებლის გარდაცვალებას. ცნობილია, რომ მას დაუწერია ეპიტაფია წმინდა კეთილმსახური მეფისა:

*როს ნაჭარმაგევს მეფენი*
*შვიდნივე პურად დამესხნეს*
*თურქნი, სპარსნი და არაბნი*
*საზღვართა გარეთ გამესხნეს,*
*თევზნი ამერთა წყალთაგან*
*იმერთა წყალთა შთამესხნეს,*
*აწე ამათსა მოქმედსა,*
*ხელნი გულზედა დამესხნეს“.*

დავით მეფის სიკვდილის (1125) შემდეგ, როგორც ჩანს, არსენ ბერს დიდხანს აღარ უცოცხლია. ცხოვრების უკანასკნელი წლები შიომღვიმის მონასტერში გაატარა.

დიდად წოდებული არსენ იყალთოელი საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. იგი დაკრძალულია იყალთოში, მონასტრის დამაარსებლის, წმინდა ზენონის გვერდით.

ხსენების დღეა — 19 თებერვალი.

## ლამაზოჯან, ქისა არ წაუსვა?

*ძველი თბილისი მომენატრა, მოვიცალე და სოლოლაკიდან ორთაჭალამდე ფეხით დავუყევი — რა აღარ გადაგეყრება დროში გამოკიდებულ ამ ძველ ქუჩებში: ერთმა უცნაურმა გამურულმა ქალმა პირდაპირ ქუჩაში დანთებულ „ფეჩთან“ მიმიწვია და ზედ გახუხული პურიც გამომიწოდა... მერე მოხუცი შემხვდა — ნოტარიუსის მისამართი მკითხა. ერთი საათი ვუხსნიდი — ალმა ვასწავლე და ჩალმა დაუყვა... ამასობაში, აბანოებთანაც ჩავედი და მათი აღმოსავლური იერის შემყურეს, კოჭლი თემური გამახსენდა — აქ ბანაობდა თურმე გამრუდებული ფეხის გასასწორებლად (ჩვენი ცოდვით რა გაუსწორებდა!)... ჭრელ აბანოში შესულს მძაფრი გოგირდის სუნი მეცა და მექისეები მოვძებნე. ბამბაზიის ხალათებში გამოწყობილმა ანიკომ და სამანამ ქალების გასახდელში დამსვეს და მკითხეს:*

— ქისა გინდა, გოგო?

*ანიკო 40 წელიწადია მექისედ მუშაობს, სამანა — 27. ანიკო სომეხია, სამანა აზერბაიჯანელი. სხვათა შორის, დიდი მეგობრები არიან. ამ ამბავს ძალიან რომ ჩავუკირკიტდი, ანიკომ პირდაპირ მომახალა:*

— გოგოჯან, რას გეტყვი, იცი? რა შუაშია ნაცია? — კარგი ადამიანი, კარგი ადამიანია და მორჩა!

*უფრო მოკრძალებულმა სამანამ დაუმატა:* დაჲე, ნათლია ხარ მაგისი შვილისა...

— *ეს როგორ, ეს სომეხია, შენ კიდევ აზერბაიჯანელი — მუსლიმანი...*

— წყლის ნათლია ხარ, წყლისა... აი, ტაშტში ჩადე ბავშვი, მერე ფულები ჩაყარე, ეგრე უთხრეს, ეგრე გააკეთე...

— *წყალში ფულს რა უნდოდა?*

— ეგრე უთხრეს, ბარაქა იქნებაო... ეგ გოგო მართლა კაი ოჯახში გათხოვდა.

— *მერე, თუ ქალიშვილი ფულიან ოჯახში გაგითხოვდათ, აქ რატომღა მუშაობთ, შვილი შეგინახავთ.*

— რად მინდა, მე მკვდარი ვარ, რო? არა, სიკვდილამდე ვიმუშავებ აქა. სად წავიდე, არც დავიღალე, არც არაფერი... ნეტა მუშაობა იყოს, ათჯერ გავიხდი, არ მეზარება...

— *რა, მუშაობა არ გაქვთ?*

— ჰო, ადრე უკეთესად იყო... ადრე აქა 300-400 კაცი იდგა გარეთ ოჩერედში. დღეს 2 კაცი დაბანო, ხვალ — 4... ეგ არი და ეგა... ახლა თითო კლიენტს უყურო — აბა, ქისა უნდა? ადრე ეგრე არ იყო...

— *მაშ კომუნისტები მოგწონდათ?*

— მა რა! შენ გაიხარა, შენა — მუშაობა მქონდა — მადლი მქონდა, ის ხალხი სულ წასულები არიან.

— *მაინც თვეში რამდენს შოულობთ?*

— ასე, 100 ლარსა, ეგეც ფულია, ბაზარში წავიდა, რამერუმე უყიდე შვილიშვილებს, აი, სამანა ქმარი არ ყამს, მოუკვდა, ორი გოგოები გაზარდა, გაათხოვა...

— *მართლა, სამან, შენ რატომღა არ გათხოვდი მეორედ, ლამაზი ქალი ხარ...*

— გაჩუმდი, გოგო! რათ უნდა გათხოვება? კაი გოგოები გაზარდა, ყველა პატივს გაძლევენ.

— *ახალგაზრდა მექისეები თუ გყავთ?*

— ძველები ვართ — ოთხი, ახალი არავინ არი...

— *„კარგი ქისა“ რამდენ ხანს გრძელდება?*

— ასე 10-20 წუთი.

— *მექისეობაში რაიმე წესები არსებობს?*

— არსებობს, მაშა. ჯერ ხელებზე წაუსვა, მერე მუცელზე, მერე ზურგზედა. გულით უნდა წაუსვა.

— *რას იტყვით, ძალზე ჭუჭყიანი ბევრი გხვდებათ?*

— უიმე, ბევრი...

— *მერე არ გეზარებათ მუშაობა?*

— რათა, გოგო, ეგ არი ჩვენი საქმე. რამდენი ბევრი ჭუჭყიანი მოდის, ჩვენ უხარია, იმიტო რო ვქისამთ... სუფთა კიდე, წაუსვი რამდენიც გინდა, სუფთაა...

— *„კლიენტი“ კმაყოფილი მიდის?*

— აბა როგორ? ზოგჯერ ფეშქაშს მპირდებიან — კარგად წაუსვი და ფეშქაში მოგცემო, მე კიდე, არ ავიღებ, ეგრე წაუსვამ კარგათ...

— *ქისის ერთჯერადი წასმა რა ღირს?*

— ორი ლარი, რა, ბევრია?

— *არა, არა, ბევრი რად არის... ისე, ალბათ მუშაობის დროს ბევრს ჭორაობთ?*

— აბა რა. ჩვენ რო რამერუმეს ვიგებთ, ტელევიზორი მეორე დღეს ამბობს.

— *ფულს ყველა „კლიენტი“ გიხდით?*

— იმდენი შენ გაიხარა, რამდენიც უფასოდ ვქისამთ... ზოგი ამოვიდა, ჩაიცვა და გაიპარა, ალალი იყოს... ბევრი უთქვამს და ფული არ ავიღე, შემეცოდა...

— *აქ, ქალების გასახდელში, მამაკაცები არ შემოდიან?*

— ლამაზოჯან, აქ კაცი რა უნდა... მარტო ერთია, გიზო, ბებერი, ის მოვა, სოჩიკი გაარემონტოს და წავიდეს...

— *ამ თქვენს აბანოში ცნობილ ხალხს უბანავია?*

— მა რა. აი, ჩვენი დირექტორი რემონტი გააკეთე და ეს პოლი არ აიღე, ძველია და იმიტომ... აქა, ლამაზო, სტალინი ყოფილა, გრეჩკო ყოფილა...



— *გრეჩკო ვინ იყო?*

— მთავრობის გრეჩკო. იმან საათი მოიხსნა და მექისეს მისცა. აი, არსენა ოძელაშვილიც ყოფილა, პუშკინიც... მეტი რაღა გინდათ, კიდემ გითხრათ? იმათ სულ ჩვენნაირი მექისეები ბანდნენ...

— *უფასოდ?*

— მა რა. თუ გინდა, შენც უფასოდ წაუსვა ქისა...

— *სხვა დროს იყოს, სამან...*

— კაი, გოგოჯან. სულ კაი რამეები დაწერე ჩვენ აბანოზე...

*გოგირდის სუნიდან გამოღწეულს, მტკვრის იქით მეტეხი და ვახტანგ გორგასალი შემეჩეხნენ. ერთი წუთით დავფიქრდი, — რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მეფეს ცხელ წყალში ხოხობი ჩაუვარდა... კიდევ ბევრი დრო გავა — ათჯერ, ასჯერ მეტი, ჩვენ აღარ ვიქნებით, მაგრამ იქნება თბილისი. იქნება მისი გოგირდის განუმეორებელი წყალი და ალბათ მექისეებიც იქნებიან...*

***ეთერ ერაძე***



# კიდევ ერთხელ ჟურნალისტ დათო ბოლქვაძის დახვრეტის ირგვლივ

## „თუ ლოთის დახვრეტენ, არც თქვენ გიწერიათ დიდი დღეო...“



დღეს ბევრს ლაპარაკობენ სამოქალაქო ომის უაზრობაზე, ეროვნულ შერიგებაზე და უკონფლიქტო, ერთიან საქართველოზე. ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ამ „ახალი“ ფასეულობების „აღმოჩენისას“, რატომღაც ბევრს ავიწყდება ის ათასობით ახალგაზრდა სიცოცხლე, რომელიც 90-იანი წლების საომარ მოქმედებებს შეეწირა.

22 თებერვალს, უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ დარბაზში, საკუთარ პროცესზე დასწრების სურვილი კვლავ გამოთქვა ვახტანგ (ლოთი) ქობალიამ. ექსპრეზიდენტის „მთავარსარდალს“ 1996 წელს სასამართლომ სამშობლოს ღალატისა და ბანდიტიზმის ბრალდებით განაჩენი — სასჯელის უმაღლესი ზომა გამოუტანა. რადგან კანონი მსჯავრდადებულის სასარგებლოდ შეიცვალა, ამიტომ დაცვა მოითხოვს გაუქმდეს განაჩენი და საქმე დაბრუნდეს დამატებით გამოძიებაში...

1993 წელს, ხობში, 24 წლის დათო ბოლქვაძე, ტელეკომპანია „მეორე არხის“ რეჟისორი და მსოფლიო ახალი ამბების, WTN-ის ოპერატორი დახვრიტეს.

***ლია ისიანი-ბოლქვაძე*** *(დათოს დედა):* — არ ვმალავ, რომ ჟურნალისტებზე ნაწყენი ვარ. 1993 წლის ხობის მოვლენების შემდეგ, 1996 წელს, სასამართლოზე, რომელიც თერთმეტ თვეს გაგრძელდა, მაშინ, როცა ქობალიას სურათებით, ინტერვიუებით, მონანიებებით პრესა აჭრელებული იყო, არც ერთი ჟურნალისტი ჩემთან და დათოს ოჯახის წევრებთან სასაუბროდ არ მოსულა. ამ ყველაში მე არ ვგულისხმობ დათოს მეგობრებს.

***სევდია უგრეხელიძე*** *(ქობალიას ადვოკატი):* — ჟურნალისტ დათო ბოლქვაძისა და 5 გვარდიელის დახვრეტის საქმის ძიებისას არ ჩატარებულა სავალდებულო ექსპერტიზები კანონის იმპერატიული ნორმების (სიკვდილის მიზეზი, იარაღის ექსპერტიზა) შესაბამისად. იმ ექვსი კაციდან ექსპერტიზა მხოლოდ ბოლქვაძეზეა ჩატარებული. სხეულიდან, ვარაუდით, კალაშნიკოვის ტყვიის ნაწილია ამოღებული, მაგრამ ქობალიას, როგორც ამბობენ, სტეჩკინის ტიპის იარაღი ჰქონდა ხელთ, ბოლქვაძე კი ამ იარაღით არ არის მოკლული.

***ლია ისიანი-ბოლქვაძე:*** — საქმეში არის ჩემი შვილის, დათო ბოლქვაძის ფოტოპორტრეტი, რომელზეც კარგად ჩანს, თუ როგორაა ნაწამები იგი. დათოს 12 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი — ეს ტყვიები ამოღებულია და ნივთმტკიცებად დევს საქმეში, კასეტებთან ერთად. ფოტოები სხვადასხვა რაკურსით არის გადაღებული... ჩემი შვილის საჯაროდ დახვრეტას 50-მდე მოწმე ჰყავს. იქ მყოფები ამბობენ, რომ ლოთის მომხრეებმა დატყვევებული დათო თავიანთ „შეფს“ მიჰგვარეს, სამთავრობო გვარდიის ორ მეომართან ერთად. დათოს WTN-ის და „მეორე არხის“ მოწმობები უჩვენებია და თანაც უთქვამს, ჟურნალისტი ვარო. ჟურნალისტი კი არა, ხუნტის შპიონი ხარო, უთქვამს ქობალიას და ტყვია დაუხლია. პირველი ტყვია დათოს ლოყაში მოხვდა. ამ დროს თურმე ჩემი შვილი ყვიროდა, არ მესროლოთ, ჟურნალისტი ვარო! ამის დამნახავ გვარდიელებსაც ყვირილი აუტეხიათ, ალბათ მიხვდნენ, რაკი ჟურნალისტი არ დაინდეს, არც მათ ელოდათ კარგი დღე. ბიჭების გვამებს ტყვიები სხვებმაც დაახალეს (კალაშნიკოვის ნაკვალევიც აქედან არის). მერე კი ლოთის უთქვამს, აი, ასე ეყარონ ღორების საჩიჩქნადო და წავიდნენ. ბიჭების გვამები ღამით ხობელებმა მალულად დამარხეს ადგილობრივი საავადმყოფოს ეზოში.

***სევდია უგრეხელიძე:*** — ვახტანგ ქობალიას არსად აღიარებითი ჩვენება არა აქვს მიცემული, რომ დათო ბოლქვაძე მან მოკლა. ამტკიცებდა, რომ ხობში დილის 10 საათზე მას მართლაც უნახავს ჟურნალისტები და წასჩხუბებია კიდეც — „ხუნტის ჟურნალისტები ხართო“... „ნატო ონიანი „მეორე არხით“ გვამხობდა თავზე ყველაფერს და გასაგებია, რომ მისი ჟურნალისტის დიდი სიყვარული არ გვექნებოდაო“, მითხრა ლოთიმ. ამის მერე ლოთი წავიდა სენაკში, სადაც 4 საათზე მიტინგზე გამოვიდა და უკან ისე დაბრუნდა, რომ ხობზე აღარ გაუვლია...

იყო თუ არა ქობალია ხობში და ვინ დახვრიტა ბოლქვაძე და გვარდიელები?

***ლია ისიანი-ბოლქვაძე:*** — 8 თებერვალს (2002 წლის) ჩატარებულ პროცესზე ქობალიას ადვოკატებმა ყველა მოწმეს ავადმყოფობის დიაგნოზები ჩამოურიგეს. 1996 წლის პროცესამდე კი სწორედ ეს მოწმეები დააშინეს ქობალიას მომხრეებმა — „თუ ლოთის დახვრეტენ, არც თქვენ გიწერიათ დიდი დღეო“, მაგრამ მოწმეები მაინც ჩამოვიდნენ და ჩვენებები მისცეს.

***სევდია უგრეხელიძე:*** — მოწმეებმა, სანამ ჩვენებებს მისცემდნენ, წინასწარ გაიარეს რეპეტიციები. სასამართლო პროცესზე 70 წლის ეთერ ბიწაძემ ჩვენება გადათქვა — „მე რომ ვამბობდი, ქობალიამ მოკლაო, ქობალიას ხალხს ვგულისხმობდი და არა თავად ქობალიასო“. ნატო შენგელია, ქობალიას თანამოაზრე, ახალ ხელისუფლებას 20 დღე ჰყავდა დატყვევებული და მერე მიუთითა, ბოლქვაძე ქობალიამ მოკლაო. 2002 წლის 8 თებერვალს ქ-ნმა ლიამ ქობალიას უთხრა — „შენ არ იყავი, ქაცარავას (ერთ-ერთი მოწმე — თ. ჯ.) რომ უთხარი, შენც იმასავით ღორივით მოგკლავო“. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ლოთიმ დათო მოკლა. ეს არ არის ჩვენების ტოლფასი...

8 თებერვალს სასამართლო დარბაზში ჯაბა იოსელიანი და დოდო გუგეშაშვილი გამოჩნდნენ. ქალბატონ სევდიას თქმით, „შევნიშნე, როგორ უნდოდა ჯაბას ლოთისთან მისვლა, მაგრამ მან თავის მცველებს სთხოვა, არ მოვიდესო“. ასეა თუ ისე, ერთი რამ ფაქტია — უზენაეს სასამართლოში ჯაბას გამოჩენამ სამი ვერსია წარმოშვა: ერთი, რომ იგი ლია ისიან-ბოლქვაძეს იცნობდა და მის მხარდასაჭერად მივიდა.□მეორეთა აზრით, ის ქობალიას ციხეში შეურიგდა და ახლა გვერდში უდგასო, იყო მესამე მოსაზრებაც — ჯაბა იმიტომ მოვიდა, რომ ლოთის ნამდვილი მკვლელის ვინაობა არ დაესახელებინაო... სხვათა შორის, „მხედრიონელები“ ამ თემაზე უახლოეს მომავალში პრესკონფერენციის გამართვას აპირებენ.

***სევდია უგრეხელიძე:*** — არის კიდევ ერთი მოწმე, ვინმე ნაზი კორტავა, რომელიც ესწრებოდა ამ დახვრეტას და ამბობს: „მე ვიცი, რომ ბოლქვაძე ბატონ ლოთის არ მოუკლავსო.“ მაშინ ერთ-ერთმა ბრალდებულმა ჯამბულ ბოკუჩავამ დათოს დედას უთხრა: „ქალბატონო ლია, ლოთის თქვენი შვილი არ მოუკლავსო.“ არის ვერსია, რომ ბოკუჩავა მკვლელობის დროს იქ იყო და ყველაფერი საკუთარი თვალით ნახა, თუმცა არაფერს ამბობს... ყველამ ყველაფერი იცის, სხვათა შორის, ელენე თევდორაძემაც, მაგრამ...

მას შემდეგ, რაც გამოძიებამ ქობალიაზე შეაჩერა ყურადღება, პრესაში ჩნდება სტატიები, სადაც დათო ბოლქვაძეს მაროდიორობას აბრალებდნენ — აქაოდა, წესრიგის დამცველებმა „მაროდიორი“ დახვრიტესო. მაშინ პრესას ეს ინფორმაცია ქობალიას დაახლოებულმა ქალმა მიაწოდა (მოგვიანებით ქობალიას სახალხო დამცველმა). ქობალიას დაცვა ამ ვერსიას არ იზიარებს.

ისინი უფრო ერთ ვერსიას ემხრობიან. კერძოდ, იმ დროს დასავლეთ საქართველოში გამოჩნდა ვიდეოკასეტა, რომელიც ვითომდა დათომ გადაიღო და რომელზეც ვინმე, ვახტანგ ნოდიას მკვლელობა იყო ასახული.

***სევდია უგრეხელიძე:*** — ვახტანგ ნოდია მხატვარი იყო. იგი მანამდე აწამეს და მოკლეს ხობში, არავინ იცის ვინ — „მხედრიონმა“ თუ გვარდიამ. მაშინ „მხედრიონი“ საშინლად თარეშობდა. თურმე უთქვამთ, ზვიადს შეაგინეო, მას ეს არ უქნია. დახატულიც ჰყავდა თურმე ზვიადი, რომელიც უფლის ხელზე იჯდა. გაბრაზებულან, როგორ გაუთანაბრე უფალს, ზვიადი წმინდანად როგორ შერაცხეო და ხელი მოუჭრიათ ცოცხლად. მერე მოკლეს კიდეც... ჰოდა, ვრცელდებოდა ვერსია, თითქოს ეს დათომ გადაიღო. ეს კასეტა ხალხს ნანახი აქვს. ის ხალხი, ვინც ბოლქვაძე დახვრიტა, დღესაც კარგად არის...

ქალბატონ სევდიას ნათქვამიდან აშკარაა, რომ ნოდია ხობში მანამდე აწამეს და მოკლეს, „მანამდე“, ანუ 28 ოქტომბრამდე. დათო კი ქუთაისიდან ხობში მხოლოდ 28-ში, დილით ჩავიდა; ანუ ბუნებრივია, ეს კასეტა მისი გადაღებული არ არის. სხვათა შორის, 1996 წელს, ქობალიას ერთ-ერთი დაკითხვის დროს, ასეთი მოსაზრებაც გახმიანდა, რომ ლოთი, ნოდიას მკვლელობით „განევრიანებული“ ხობში შევიდა და პირველივე ტყვეზე შური იძიაო...

არსებობს კიდევ ერთი ვარაუდი. არ არის გამორიცხული, რომ ქობალიამ დათოს ტელევიზიის კიბეები არ აპატია. ისიც არ არის გამორიცხული, რომ ქობალია „ხუნტის ტელევიზიის წარმომადგენელს“, ბოლქვაძეს თუნდაც აფხაზეთის ომიდან, სადაც დათო ერთ თვეს „მეორე არხისთვის“ ოპერატორადაც კი მუშაობდა, კარგად იცნობდა. შესაძლოა ხობში დათო „მეორე არხის“ და „ხუნტის პარლამენტის“ საშვებსაც შეეწირა.

ასეა თუ ისე, მოძრაობა ეროვნული შერიგებისათვის საფუძვლად დაედო იმ გარემოებას, რომ 2002 წელს, ხობის ტრაგედიიდან 9 წლის შემდეგ, უზენაეს სასამართლოში დათო ბოლქვაძის (უდანაშაულო ჟურნალისტის, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თავის პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა და შესაძლოა იმის ნახვაც მოასწრო, რაც „არ უნდა ენახა“ — თ. ჯ.) მკვლელობა კვლავ განსჯის საგანი გახდა.

***თამუნა ჯიშკარიანი***

# გიგა მახარაძეს ამერიკის კარცერში მხოლოდ ბიბლიას აკითხებდნენ...



უახლოეს დღეებში მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში ყოფილი დიპლომატის გიგა მახარაძის გათავისუფლების საკითხი განიხილება. არსებული ინფორმაციით, გიგა მახარაძეს ამჯერად მაინც გაათავისუფლებენ. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ საკითხზე აჟიოტაჟი ჯერ კიდევ 2001 წლის ზაფხულში დაიწყო, მაგრამ მალევე ჩაცხრა. მაშინდელმა იუსტიციის მინისტრმა, მიხეილ სააკაშვილმა დიპლომატის პატიმრობის ვადის გახანგრძლივება ამერიკის იუსტიციის სამინისტროს მხრიდან სერიოზული გაფრთხილებით ახსნა. ამერიკული მხარე მახარაძის გათავისუფლების შემთხვევაში ქართულ მხარესთან ექსტრადიციის შეწყვეტით იმუქრებოდა.

შეგახსენებთ — თავის დროზე ამერიკის თემიდამ მომხდარი ავარიის გამო, რომელსაც 16 წლის გოგონას სიცოცხლე შეეწირა, გიგა მახარაძეს 21 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ორი წლის წინ ყოფილი დიპლომატი ქართულ მხარეს ექსტრადიციის წესით გადმოსცეს. ქართული კანონმდებლობის თანახმად მას შვიდ წლამდე პატიმრობა მიუსაჯეს. არადა, არავისთვის არის უცხო, რომ დიპლომატს იმუნიტეტი იცავს და წესით, იგი არც უნდა დაეპატიმრებინათ. თავის დროზე, საქართველოს პრეზიდენტმა ახალგაზრდა დიპლომატი გაწირა — იმუნიტეტი მოუხსნა. მაშინ, როცა დიპლომატის იმუნიტეტით აღჭურვილმა უცხოელმა დიპლომატებმა ანალოგიური შემთხვევების შემდეგ დაუსჯელად დატოვეს საქართველო, მახარაძე სამაგალითოდ დაისაჯა. თავად გიგა მახარაძე ამ საკითხზე არათუ არ საუბრობს, საერთოდ ინტერვიუზეც დღემდე უარს აცხადებს. „კვირის პალიტრა“ მის ადვოკატს **შალვა შავგულიძეს** ესაუბრა.

— მინდა გითხრათ, რომ გიგა მახარაძე პირობით ვადამდე გათავისუფლებას ექვემდებარება 2001 წლის 8 აპრილიდან, ანუ — დაკისრებული სასჯელის ნახევრის მოხდიდან. როგორც იცით, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ნახევარი უკვე მოხდილი აქვს. 2001 წლის 1 აგვისტოს მან შუამდგომლობა შეიტანა მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, მაგრამ დამატებითი განცხადებით საკითხის განხილვა ითხოვა ადვოკატთან კონსულტაციებისა და დამატებითი დოკუმენტაციის მოპოვების შემდეგ. გიგა მახარაძე იანვარში დამიკავშირდა და მე გავხდი მისი ადვოკატი. ჩვენ მოვიპოვეთ მისი გათავისუფლების მხარდამჭერი 163 პარლამენტარის ხელმოწერა, ომბუდსმენის შუამდგომლობა და ამის შემდეგ, 13 თებერვალს გიგა მახარაძემ მიმართა სასამართლოს.

**— მაგრამ ჯერ კიდევ ზაფხულში, მაშინდელმა იუსტიციის მინისტრმა მიხეილ სააკაშვილმა „კვირის პალიტრასთან“ საუბარში განაცხადა, რომ გიგა მახარაძის გათავისუფლების წინააღმდეგი ამერიკული მხარე იყო. ასეთმა ულტიმატუმმაც კი გაიჟღერა, რომ თუ მახარაძეს გაათავისუფლებდნენ, მაშინ ამერიკელები საქართველოში პატიმრების ექსტრადიციას შეწყვეტდნენ. როგორ გადაწყდა ეს საკითხი?**

— აქ მცირე გაუგებრობას აქვს ადგილი. არსებობდა არაოფიციალური ჯენტლმენური შეთანხმება ამერიკისა და საქართველოს მთავრობებს შორის, რომ მახარაძის ექსტრადიციის შემთხვევაში არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული შეწყალება. გიგა მახარაძე შეწყალებას ექვემდებარებოდა ფაქტობრივად ექსტრადირებისთანავე. ანუ, მისი გათავისუფლება 2000 წლის ზაფხულშივე თვითმფრინავის ტრაპიდან შეიძლებოდა. მაგრამ ქართულმა მხარემ შეთანხმება არ დაარღვია. აქ დამატებით ისიც მინდა გითხრათ, რომ ქართული კანონმდებლობით გიგა მახარაძეს სასჯელი მაქსიმუმ 10 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა, მაგრამ თუ ამერიკელები განაცხადებენ პრეტენზიას, რატომ განისაზღვრა მისი სასჯელი შვიდი წლით, ჩვენ ვიტყვით, რომ ქართულმა კანონმდებლობამ ცვლილება განიცადა და ასეთი დანაშაულისთვის მაქსიმალური სასჯელი არის ცხრა წელი. ამ ცხრა წლის ნახევარი კი გიგას 2002 წლის აპრილში უსრულდება.

**— ამერიკაში რამდენი მიუსაჯეს?**

— შვიდიდან ოცდაერთ წლამდე... თუმცა ეს იმას არ ნიშნავდა, რომ მას 21 წელი უნდა მოეხადა. განაჩენში ამერიკულ მხარეს მითითებული აქვს, რომ მისი გათავისუფლება შესაძლებელია შვიდ წელიწადში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ის ჩაიდენდა დამატებით დანაშაულს, ან თუ ცუდი ყოფაქცევით დახასიათდებოდა და ა.შ. ეს შვიდწლიანი სასჯელი გაეზრდებოდა მაქსიმუმ 21 წლამდე.

**— ამერიკულმა მხარემ მოითხოვა, რომ ქართველ დიპლომატზე არ გავრცელებულიყო რაიმე შეღავათი მისი ექსტრადიციის შემდეგ. როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ასეთი სიმკაცრე მათი მხრიდან?**

— ვფიქრობ, ამერიკის მთავრობას არ სურდა საკუთარი ამომრჩევლებისა და ხალხის წინაშე ისე გამოჩენილიყო, თითქოს საქართველოს მთავრობას გაურიგდა გიგა მახარაძის გათავისუფლების შესახებ.

**— ბუნებრივია, თქვენ მის საქმეს საფუძვლიანად გაეცნობოდით... არსებობს ინფორმაცია, რომ უბედური შემთხვევის დროს მახარაძე საჭესთან ნასვამი იჯდა. მართალია თუ არა ეს?**

— დიახ. გასინჯვის შემდეგ მის ორგანიზმში დასაშვებ ზღვრულ ნორმაზე მეტი ალკოჰოლი აღმოჩნდა. ეს არც გიგას დაუმალავს. მან მითხრა, რომ მიწვეული იყო შეხვედრაზე, სადაც რამდენიმე ჭიქა ღვინო დალია. სხვათა შორის, ქართული კანონმდებლობითაც ის ამ ფაქტის გათვალისწინებით იქნა გასამართლებული.

**— ჩემი ინფორმაციით, ამერიკაში სასამართლო პროცესის დროს, ტელევიზიით გაჟღერდა, რომ გიგა მახარაძეს უბედურ შემთხვევამდეც არაერთხელ დაურღვევია მოძრაობის წესები.**

— ეს საქმის მასალებშიც დევს. ამ ავარიამდე ორი წლით ადრე, მახარაძე სიჩქარის გადაჭარბებისთვის დააჯარიმეს. მაგრამ ორი წლის განმავლობაში სიჩქარის გადაჭარბებისთვის ერთხელ დაჯარიმება კრიმინალურ მიდრეკილებაზე არ მიუთითებს.

**— თქვენ, როგორც ადვოკატს, რა შთაბეჭდილება გრჩებათ — რამდენად ობიექტური იყო ამერიკის სასამართლო?**

— ზედმეტად მკაცრი იყო. მისი ამერიკელი ადვოკატების ცნობით, მახარაძის გასამართლება შეიძლებოდა არა კოლუმბიის შტატის კანონმდებლობით, არამედ ფედერალური კანონმდებლობით. ამ შემთხვევაში, მაქსიმალური სასჯელი შემოიფარგლებოდა ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით. მოგეხსენებათ, ამერიკაში ცალკეულ შტატს თავისი კანონმდებლობა აქვს. გარდა ამისა, არსებობს მთლიანად ამერიკის ფედერალური კანონმდებლობა, რომელიც ვრცელდება ყველა შტატზე, რატომღაც მახარაძის შემთხვევაში არჩევანი გაკეთდა კოლუმბიის შტატის კანონმდებლობის სასარგებლოდ, რომელიც 10-დან 30 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**— რატომ არის ამხელა განსხვავება შტატისა და ფედერალურ სასჯელებს შორის?**

— ამას ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ რიგ შემთხვევაში სამართლდებიან ფედერალური კანონმდებლობით, რიგ შემთხვევაში — ოლქის. ადვოკატების განცხადებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩვეულებრივ, ამგვარი დანაშაულისთვის ოთხ წელზე მეტს არ უსჯიან. მეტსაც გეტყვით — იგი რამდენიმე თვე ხელშეუხებელი იყო, მაგრამ არ დატოვა აშშ და თანხმობა განაცხადა, რომ პასუხი ეგო ამერიკული მართლმსაჯულების წინაშე. გარდა ამისა, მან უარი თქვა ავტომანქანის „კომპიუტერული ჩიპის“ ექსპერტიზაზე, თუმცა, ადვოკატების ცნობით, არ იყო გამორიცხული მანქანის სამუხრუჭო სისტემაში ექსპერტიზას გაუმართაობა აღმოეჩინა, რაც თუ არ მოუხსნიდა პასუხისმგებლობას, შეუმსუბუქებდა მაინც.

**— მანქანა გაუმართავი იყო?**

— არსებობს გარკვეული მონაცემები, რომ იმ სერიის ავტომანქანებს, რომელსაც მახარაძე მართავდა, ქარხნული დეფექტი აქვთ სამუხრუჭო სისტემაში. მაგრამ მახარაძემ ბოლომდე დამნაშავედ ცნო თავი.

**— თვითონ რა გითხრათ პირად საუბარში — მუხრუჭებმა უღალატა?**

— ასე დეტალური საუბარი არ გვქონია. უბრალოდ მითხრა, რომ ცოტა ნასვამი იყო. აქვე გეტყვით, რომ განაჩენის შემდეგ პირველ შვიდ თვეს ნიუ-იორკის ერთ-ერთი საპყრობილის კარცერში იხდიდა უმძიმეს პირობებში, სადაც ზამთრობით ტემპერატურა 5 $(C^0)$ არ სცილდება და სადაც მოთავსებული არიან მხოლოდ ფსიქიკურად გაუწონასწორებელი და წესრიგის უხეშად დამრღვევი პატიმრები. ის საკანში იჯდა მარტო და ჰქონდა მხოლოდ ბიბლიის წაკითხვის უფლება. ტელევიზორზე ლაპარაკი ზედმეტია.

**— მე მაინტერესებს, რატომ დასაჯა ასე მკაცრად ამერიკის მართლმსაჯულებამ, რომელიც დემოკრატიაზე და ჰუმანურობაზე გვესაუბრება?**

— ამ შემთხვევამდე, ყოფილი საბჭოთა კავშირში შემავალი ორი სხვა ქვეყნის საელჩოს წარმომადგენლებს შეემთხვათ ანალოგიური ავტოკატასტროფა, რომლის შედეგად დაიღუპნენ ამერიკის მოქალაქეები. ორივე შემთხვევაში ის დიპლომატები გაყვანილი იქნენ აშშ-დან და პასუხი არ უგიათ. ამგვარი მოვლენების გამო ამერიკელებს ჩამოუყალიბდათ საკმაოდ უარყოფითი შეხედულება — რომ ყოფილი საბჭოთა ქვეყნების დიპლომატები, ასე ვთქვათ, „ცუდად იქცევიან“. გარდა ამისა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ამ შემთხვევას ზედმეტი ანგაჟირება გაუკეთეს და შედეგად გიგა მახარაძე „სამაგალითოდ“ იქნა დასჯილი.

**— ჩვენს პრეზიდენტს შეეძლო იმუნიტეტი არ მოეხსნა და გადაერჩინა ქართველი დიპლომატი. რატომ არ გააკეთა ეს?**

— ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება. ეტყობა, ქვეყნის პრეზიდენტმა ჩათვალა, რომ ასე უფრო სწორი იქნებოდა, მაგრამ გიგას ჩემთან არანაირი პროტესტი არ გამოუთქვამს ამასთან დაკავშირებით.

**— როგორ ფიქრობთ, ამჯერად მაინც გაათავისუფლებენ მახარაძეს თუ ისევ გაჭიანურდება ეს პროცესი?**

— თუ სასამართლო ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს, ის უნდა გაათავისუფლონ, მაგრამ თუ ეს არ მოხდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ პოლიტიკურ ზეწოლას აქვს ადგილი. ასეთ შემთხვევაში, განაჩენს საკასაციო წესით უზენაეს სასამართლოში გავასაჩივრებთ. თუმცა, მაინც მგონია, რომ საკასაციო სარჩელის შეტანა აღარ დაგვჭირდება.

***მარინა მამისაშვილი***

# „ვინც კი ქართველის სახლში შედიოდა საცხოვრებლად, ყველა იღუპებოდა“

## ინგლისის ყოფილი ელჩის ცოლი დღესაც სოხუმში ცხოვრობს...


თამაზ ნადარეიშვილი და გერმანიის ყოფილი ელჩი საქართველოში ბ-ნი ბაასი

რამდენიმე დღის წინ საქართველოს დაზვერვას ხელში ჩაუვარდა დოკუმენტი, რომლის გახმაურებაც აფხაზი სეპარატისტებისთვის მაინცდამაინც სასიამოვნო არ უნდა ყოფილიყო. აღმოჩენილ წერილს ხელს აწერს კრასნოდარის მხარის ატომმაშის (ატომური ენერგიის) ინსტიტუტის დირექტორი, რომელიც აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის თავმჯდომარეს სოკრატ ჯინჯოლიას ბიჭვინთის უნიკალური დასასვენებელი კომპლექსის იჯარით გადაცემას სთხოვს.

აფხაზეთის დევნილი ლეგიტიმური ხელისუფლება ატომმაშის ინსტიტუტის ხელმძღვანელობას საპროტესტო და გამაფრთხილებელ წერილს უგზავნის...

**თამაზ ნადარეიშვილი,** აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე:

— ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა. წლების მანძილზე უამრავი ასეთი საბუთი გვაქვს აღმოჩენილი. ყველაფერს ყიდიან, გაგრიდან და სოხუმიდან პალმის უიშვიათესი ჯიშებიც კი გაიტანეს... თითო 500 დოლარად... იმ სახლებში, სადაც ადრე ქართველები ცხოვრობდნენ, რუსებს, კაზაკებს, თურქებს ან ჩრდილოკავკასიელებს ასახლებენ. ისე, ამ ბოლო დროს იქ ერთგვარმა შიშის სინდრომმა დაისადგურა. ვინც კი საცხოვრებლად ქართველის სახლში შედიოდა, ყველა ან ავტოკატასტროფაში იღუპებოდა ან იკარგებოდა. ამან პანიკა წარმოშვა და დღეს ქართველთა სახლებში იშვიათად სახლდებიან. დანარჩენზე რა გითხრათ?! ყველა მნიშვნელოვანი ობიექტი აფხაზეთში თითქმის უკვე გაყიდულია. ეს არის პრაქტიკულად ერთადერთი წყარო, რითაც აფხაზური ბიუჯეტის შევსების საშუალება ეძლევათ.

**— ქართულ მხარეს კი ასეთ დროს პროტესტის გამოთქმა ძალიან უჭირს, არა?**

— ასეთ შემთხვევაში ჩვენ საკმაოდ მძაფრ პროტესტს გამოვთქვამთ და ბევრი პროექტი ჩავშალეთ კიდეც. რუსებს ვაფრთხილებთ, სეპარატისტულ რეჟიმთან საქმეს ნუ დაიჭერთ, თორემ ერთ მშვენიერ დღეს აფხაზეთში დავბრუნდებით, ყველაფერი კანონის ძალით ჩამოგერთმევათ და მშრალზე დარჩებითო. ვცდილობთ, დავარწმუნოთ, რომ აფხაზეთში მათ მიერ ნებისმიერ ობიექტში გადახდილი ფული ამთავითვე დაკარგული და წყალში გადაყრილია.

> პალმის უიშვიათესი ჯიშებიც კი გაიტანეს... თითო 500 დოლარად... იმ სახლებში, სადაც ადრე ქართველები ცხოვრობდნენ, რუსებს, კაზაკებს, თურქებს ან ჩრდილოკავკასიელებს ასახლებენ. ისე, ამ ბოლო დროს იქ ერთგვარმა შიშის სინდრომმა დაისადგურა. ვინც კი საცხოვრებლად ქართველის სახლში შედიოდა, ყველა ან ავტოკატასტროფაში იღუპებოდა ან იკარგებოდა. ამან პანიკა წარმოშვა და დღეს ქართველთა სახლებში იშვიათად სახლდებიან.

**— გიჯერებენ?**

— უმეტესწილად — კი. სხვა გზა არ აქვთ. დსთ-ის სამიტის გადაწყვეტილების თანახმად, სეპარატისტულ რეჟიმთან ყოველგვარი კონტაქტი, მათ შორის, სავაჭრო-ეკონომიკური და გაცვლითი ოპერაციები, მკაცრად იკრძალება. იძულებული არიან, დსთ-ის გადაწყვეტილებები მაინც გაითვალისწინონ.

**— აფხაზთა კანონმდებლობის ჩარჩოებში რამდენად ჯდება ამ ობიექტების გაყიდვა-გასხვისება?**

— სეპარატისტებს კანონში უწერიათ, რომ შესყიდვის უფლება აქვთ მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთის მოქალაქეებს, მაგრამ ოფიციალურ დოკუმენტებში ხშირად აფხაზები ფიგურირებენ, რეალურად კი მათ უკან რუსები ან სხვები დგანან. არის ობიექტები, რომლებიც კონფლიქტის პირველსავე წლებში თვითონ აფხაზებმავე შეისყიდეს, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ ამუშავებენ. ამიტომ ისევ რუსებს ეძებენ, რომ ფული დააბანდონ და როგორმე აამოქმედონ. აქ კიდევ ერთი პრობლემაა — შენობების გაყიდვა-გასხვისება იწვევს სხვა ეროვნების მოქალაქეთა მასობრივ ჩასახლებას აფხაზეთის ტერიტორიაზე. ეს თვითონ აფხაზებსაც არ მოსწონთ. იციან, ეს ხალხი არსად წამსვლელი აღარ არის და ერთ მშვენიერ დღეს ისევ უმცირესობაში აღმოჩნდებიან.

**— აფხაზი მოსახლეობა ამის გამო არ გამოთქვამს პროტესტს?**

— მოსახლეობას ვინ რას ეკითხება? ცნება „დემოკრატია“ იქ საერთოდ არ არსებობს. თუ ვინმე ხმას ამოიღებს, ან მოკლავენ, ან უბრალოდ, სახლ-კარს გადაუწვავენ. ასეთი ფაქტები არაერთი ყოფილა.

**— რეალურ ფასად მაინც თუ ხორციელდება პრივატიზაცია?**

— ფასები საკმაოდ სოლიდურია. მაგალითად, რიწის ხეობასთან დაკავშირებით მილიონობით დოლარზე იყო ლაპარაკი. რაც შეეხება ბიჭვინთის დასასვენებელ კომპლექსს, აქ არის 8 თოთხმეტსართულიანი ნაგებობა, უზარმაზარი მიწის ნაკვეთი და უიშვიათესი ჯიშის მცენარეები. აქაც დიდ თანხაზეა ლაპარაკი. ვისაც ფული აქვს, რისკზეც მიდის.

**— რა მდგომარეობაშია ახლა ბიჭვინთის დასასვენებელი კომპლექსი?**

— ყველაფერი გაძარცულია. აფხაზებმა სცადეს ნაწილობრივ მაინც აემუშავებინათ, მაგრამ ზაფხულში ამ თოთხმეტსართულიან შენობებში თოთხმეტი კაცი თუ ისვენებდა. საგზურიც კაპიკები ღირს — სადღაც 50 დოლარამდე. არის შენობები, რომელთა ექსპლუატაცია 1990 წელს დაიწყო. საუცხოო ნაგებობებია. იქ ყოფილი საბჭოთა კავშირის „კაგებეს“ აგარაკები იყო.

**— რომლის ჩაგდება უნდათ ხელთ რუსებს — გაძარცული სანატორიუმის თუ „კაგებეს“ აგარაკების?**

— მე მგონი ორივესი. ამას გარდა, შევიტყვეთ, რომ რუსებს თვალი სოხუმის სამხედრო სანატორიუმსა და ყოფილი ცკ-ის უზარმაზარ შენობებზეც უჭირავთ. აფხაზები ცდილობენ, ეს ობიექტები როგორმე აამოქმედონ. სხვათა შორის, „კაგებეს“ აგარაკებზე ძალიან ხშირად ისვენებენ გაეროს, საელჩოების და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები... ხშირად ვსაყვედურობთ, ნუ დადიხართ და ნუ ისვენებთ სეპარატისტებთან-თქო, მაგრამ...

**— არ ესმით?**

— ასე გამოდის... გვპასუხობენ — ჩვენ ხომ საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში ჩავდივართო. ასეც არის, მაგრამ რჩებიან იქ ერთი კვირით, ათი დღით, ხან უფრო მეტი ხნითაც და ეს გარკვეულ უხერხულობას ქმნის. ძალზე სერიოზული პრეტენზიები გვქონდა ინგლისის საელჩოსთან და ყოფილ ელჩთან, ბატონ ჯენკინსთან, რომელიც მეუღლის თანხლებით განსაკუთრებით ხშირად ჩადიოდა აფხაზეთში, ხანგრძლივად რჩებოდა და აფხაზებისგან სხვადასხვა საჩუქარსაც ღებულობდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ცოლი გაეროს მისიაში დარჩა და დღესაც იქ ცხოვრობს. შეიძლება სახლიც აჩუქეს.

**— ის ობიექტები, რომლებიც რუსებმა, თურქებმა თუ სხვებმა შეისყიდეს, ამოქმედდა?**

— ზოგიერთი ამოქმედდა. მაგალითად, ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროები თურქებმა შეისყიდეს და ძალიან სერიოზული ბიზნესი წამოიწყეს. ერთხელ იქ სპეციალური ოპერაცია ჩავატარეთ და დავაპატიმრეთ გემი, რომელსაც თურქეთში 800 ათასი დოლარის ღირებულების ქვანახშირი გადაჰქონდა. გემში 100 ათასი დოლარიც აღმოვაჩინეთ, რომელიც, როგორც მერე გავიგეთ, კონტრაბანდული სიგარეტის ფული ყოფილა. სხვათა შორის, ამის გამო დიდი წინააღმდეგობა შეგვხვდა. თურმე ეს ანრი ჯერგენიას პირადი ბიზნესი ყოფილა, ჩვენ კი „მისი აღმატებულება“ შევაწუხეთ და პრობლემები შევუქმენით... თურქებმავე შეისყიდეს და აამუშავეს რამდენიმე რესტორანი, მაგრამ მერე აქაურებთან შეტაკება მოუხდათ. აფხაზებმა ექვსი თურქი ადგილზე ჩაცხრილეს.

**— ამბობენ, ობიექტების გასხვისების ოპერაციებს არძინბას სიძე და ქალიშვილი განაგებენო.**

— არძინბას ქალიშვილი აფხაზეთში ოფიციალურად ტურიზმის საქმეს კურირებს. უნდა ითქვას, რომ იქ არძინბას კლანი საკმაოდ ძლიერია. არის მეორე კლანიც. ესენიც არძინბები არიან, ძმები „მთავარი“ არძინბას ნათესავები. ისინი შავი სამყაროს წარმომადგენლები არიან და ყველაფერი პრაქტიკულად მათ ხელშია მოქცეული...

**— ბიჭვინთის ფაქტის შესახებ როდის გახდა თქვენთვის ცნობილი?**

— ახლახან. ინფორმაცია სანდო წყაროებმა მოგვაწოდეს. აფხაზეთში კვლავაც გვაქვს კონტაქტები, ხან ტელეფონით ვიღებთ ინფორმაციებს. ეს დოკუმენტი ამჟამად დაზვერვის დეპარტამენტშია.

***გვერდი მოამზადა ხათუნა ყვირალაშვილმა***

# „აფხაზეთს დააბრუნებს ბორის კაკუბავა ასლან აბაშიძესთან ერთად...“



დევნილთა ყრილობამ, რომელსაც სეირის მოყვარულნიც და აფხაზეთის ბედზე მოწუხარნიც გულისფანცქალით ელოდნენ, გასულ კვირას საკმაოდ „მაჟორული“ აკომპანიმენტის თანხლებით ჩაიარა.

რა იყო ეს — კიდევ ერთი სპექტაკლი თუ რეალური ნაბიჯი აფხაზეთის დასაბრუნებლად?

ვისი პროვოცირებული იყო იქ გამართული მუშტი-კრივი?

გაამართლებს თუ არა ყრილობა ორგანიზატორთა და, რაც მთავარია, თავად დევნილთა იმედებს?

„კვირის პალიტრა“ ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად დაუკავშირდა დევნილთა ყრილობის ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს **ბორის კაკუბავას.**

**— ბატონო ბორის, „ლეგენდარული“ დევნილთა ყრილობა როგორც იქნა ჩატარდა. გაამართლა თუ არა მან თქვენი იმედები?**

— გაამართლა. ეს იყო უნიკალური ყრილობა. ხუმრობა ხომ არ არის? 12.500 დელეგატი მოვიდა და ხელისუფლების წინააღმდეგობის მიუხედავად, საკუთარი ნება დააფიქსირა.

**— ხელისუფლების წინააღმდეგობა რაში გამოიხატებოდა?**

— ყველანაირად ხელს გვიშლიდნენ. აგიტაცია-პროპაგანდას ეწეოდნენ — ნუ წახვალთ, თორემ ამას დესტაბილიზაცია მოჰყვებაო. ათასნაირი ხრიკით ცდილობდნენ, რომ ყრილობა ჩაშლილიყო, მაგრამ, მადლობა ღმერთს, იმდენი ხალხი მოვიდა, სპორტის სასახლეში ტევა არ იყო.

**— ამბობენ, ბორის კაკუბავამ ხალხს ათ-ათი ლარი დაურიგა, რომ ყრილობაზე მოსულიყვნენო.**

— რა სისულელეა?! ჩვენ, უბრალოდ, დევნილთა ტრანსპორტირება უზრუნველვყავით. ყველას არ ჰქონდა საშუალება, რომ საკუთარი ხარჯებით ჩამოსულიყო. ან კიდევ, დავუშვათ და მივეცი 10 ლარი, მერე, რა დაშავდა? ხომ არ წამირთმევია? სხვებმა წაართვეს, შინ წაიღეს და სასახლეები აიშენეს! მე თუ რაღაცა ვიშოვე და ხალხს მივეცი, რატომ უნდა იქილიკონ ამაზე ვიღაცვიღაცებმა? ნეტა მქონდეს, კიდევაც მივცემ!

**— სულ რა დაჯდა ამ ყრილობის ჩატარება? როგორც ამბობენ, საკმაოდ დიდი თანხა დაიხარჯა.**

— ზუსტად არ ვიცი, რამდენი დაიხარჯა, მაგრამ... თქვენ რატომ გაინტერესებთ ეს საკითხი? აქ ფული მეათეხარისხოვანია. მთავარია, ყრილობა ჩატარდა და აფხაზეთის დასაბრუნებლად ნაბიჯები გადაიდგა.

**— ეი. ფულზე ლაპარაკი არ გსურთ.**

— გენაცვალე, როგორ არ მსურს, მაგრამ... ეს არის დევნილთა მიერ შეკრებილი ფული. იმ საცოდავმა ხალხმა შეაკოწიწა და ვისაც რამდენი ჰქონდა, გაიღო — ეგებ რამე გვეშველოსო.

**— ანუ, ყრილობა შემოწირულობებით ჩაატარეთ?**

— დიახ, ყველა დევნილმა თავისი წვლილი შეიტანა. ჩვენ კიდევ გვაქვს ფული, თანაც — ბლომად. იცით, რისთვის გვინდა? იმისთვის, რომ ეს მთავრობა დავასაფლავოთ, მამათში ჩვენი პრეზიდენტი ჩავასვენოთ და ღირსეული ქელეხიც გადავუხადოთ.

**— ბატონო ბორის, როგორც ამბობენ, ყრილობის მოწყობა სპეცდავალება იყო, რასაც ერის გახლეჩა უნდა გამოეწვია.**

— ეს სულელების და პროვოკატორების ნათქვამია. ჯერ ერთი, მე არავის ე.წ. სპეცდავალებებს არ ვასრულებ და მეორეც, რა შეატყვეთ, რომ იქ ვინმეს ერის გახლეჩა უნდოდა?

**— ყრილობაზე არაერთი ინციდენტი მოხდა. თავისუფლად შეიძლებოდა, ამას სერიოზული არეულობა მოჰყოლოდა.**

— ის ინციდენტები სპეცსამსახურების მიერ დაქირავებულმა ხალხმა მოაწყო. მათ უნდოდათ, რომ დევნილთა ყრილობა ხელისუფლების საწინაალმდეგო მიტინგად გადაექციათ. ყველა პროვოკაციას ავთო იოსელიანი ხელმძღვანელობდა. მისი ხალხი მოუწოდებდა დელეგატებს — ქუჩაში გავიდეთ და შევარდნაძე დავამხოთო, ეს კი არც ჩვენს გეგმაში შედიოდა და არც ყრილობის პროგრამაში. ავთო იოსელიანს არ გამოუვიდა თავისი მზაკვრული გეგმის განხორციელება.

**— თქვენ არ იყავით, დევნილობაში ყოფნისას ავთო იოსელიანს რომ ეხვეწებოდით თურმე — რამე მიშველე, ჩემზე ძებნა შეაწყვეტინეო?**

— რაო? ვინ გითხრათ ეგ სისულელე? არასოდეს მსგავსი არაფერი მითხოვია. იოსელიანისთვის კი არა, აბსოლუტურად არავისთვის მიმიმართავს, იოსელიანის შესახვეწი არასოდეს არაფერი მქონია. უბრალოდ, ვიცოდი, რაც კი ჩემზე ბრალდებები ვრცელდებოდა, ყველაფერი ავთო იოსელიანის მიერ იყო შეთხზული. ეს ცრუ ინფორმაციები მას პრეზიდენტთან მიჰქონდა. ჯერ იყო და, იგორ გიორგაძეს მოუგონა რაღაცები, ტერორისტობა დააბრალა, იმიტომ, რომ მისი ადგილი უნდოდა. იოსელიანს ეს სიცრუე რომ განემტკიცებინა პრეზიდენტთან, მეც მიმაყოლა — რაღაც სატელეფონო საუბრები შეაკოწიწა და მომიგონა, თითქოს გიორგაძესთან ალიანსში ვიყავი. ამაში შევარდნაძეც დაარწმუნა და ჩემი დაპატიმრების ბრძანება გააცემინა. ამიტომაც რამდენჯერმე დავურეკე და ვუთხარი — შევარდნაძე შეცდომაში ნუ შეგყავს, აღიარე, რომ არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია-მეთქი. ეს იყო ჩემი მოთხოვნა და არა — თხოვნა. ახლა დგას და ლაპარაკობს — მეხვეწებოდაო. მეტი საქმე არ მქონდა!

**— ამბობენ, რომ დევნილობაში ყოფნის დროს პუტინს და პატრუშევს შეხვდით. როგორ მოახერხეთ ძებნილმა რუსეთის ოფიციალურ პირებთან შეხვედრა?**

— საიდან გაქვთ ასეთი ცრუ ინფორმაციები? ალბათ ავთო იოსელიანმა მოგაწოდათ... თვითონ იოსელიანის პრეზიდენტი ძლივს შეხვდა პუტინს, მე როგორ უნდა შევხვედროდი? თუ არა და, რატომ უნდა გიკვირდეთ, თუ მე რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეებს ვხვდები? თუმცა იოსელიანს გაუკვირდება — ის ხომ შევარდნაძის და საჯაიას მეტს არავის შეხვედრია! გარწმუნებთ, რომ მას მალე მოუწევს არა მხოლოდ სამსახურის, არამედ უკანონოდ დაკერებული „პაგონების“ დატოვებაც. ამას წინათ მეხვეწებოდა, შენი ჭირიმე, ასლან აბაშიძეს უთხარი, მიმიღოსო. წარმოგიდგენიათ? საქართველოს დაზვერვის შეფი ბორის კაკუბავას ეხვეწებოდა!

**— არ შეუსრულეთ თხოვნა?**

— რატომ შევუსრულებდი? მისი გულისთვის ასლან აბაშიძე რატომ უნდა შემეწუხებინა, მეტი საქმე არ მქონდა? რაც შეეხება ყრილობას, აფხაზეთის დაბრუნების პროცესი უკვე დაიწყო. თუ საჭირო გახდება, მტრის ჯინაზე 12 ათასს კი არა, 100 ათას კაცსაც შევკრიბავთ. მთელმა დევნილმა მოსახლეობამ ბორის კაკუბავა თავის ლიდერად აღიარა. ჩვენ დავბრუნდებით აფხაზეთში და თანაც ძალიან მალე.

**— ეი. აფხაზეთს ბორის კაკუბავა დაგვიბრუნებს?**

— დიახ, აუცილებლად!

**— და არა, ვთქვათ, ასლან აბაშიძე?**

— აფხაზეთს დააბრუნებს ბორის კაკუბავა ასლან აბაშიძესთან ერთად.



# „მზად ვარ დავისაჯო, ოღონდ ეს მუხლი შევიდეს კონსტიტუციაში...“

კულუარებში ხმა გავრცელდა, — პრეზიდენტი ნათელაშვილს ზედმეტად დაუტკბაო. ამ ჭორის გავრცელება, გარკვეულწილად, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის მოხსნამაც განაპირობა. ითქვა, — შევარდნაძემ ნათელაშვილს საგანგებო დავალება მისცა და კეთილგანწყობის ნიშნად კობა ბუჩუკურის თავი უფეშქაშაო. რაც შეეხება „საგანგებო დავალებას“ — თურმე ლეიბორისტები სააკაშვილის მოძრაობის „დასამუხრუჭებლად“ ნდომია ქვეყნის თავკაცს. შეერკინებიან თუ არა ნათელაშვილი და სააკაშვილი ერთმანეთს და რა აკავშირებს ქვეყნის პირველ ლეიბორისტს სახელმწიფოს პირველ პირთან, ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ. „კვირის პალიტრის“ კითხვებს **შალვა ნათელაშვილი** უპასუხებს.

**— ბ-ნო შალვა, ალბათ კმაყოფილი ბრძანდებით — მთავარი ოპონენტი მოიცილეთ.**

— არ ვიცი, რომელ ოპონენტს გულისხმობთ... ჩვენი მთავარი ოპონენტები შევარდნაძე და მისი გამოჩეკილი რეფორმატორ-დამანგრევლები არიან.

**— მეგონა, გამოიცნობდით. მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი — კობა ბუჩუკური ვიგულისხმე.**



— ჩვენი ოპონენტი კობა ბუჩუკური ნამდვილად არ ყოფილა. ისიც ამ სისტემის ერთ-ერთი პირმშო ბრძანდებოდა. წაქცეულ კაცზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ რაც მოუვიდა, თავის თავს უნდა დააბრალოს. თუმცა თავის დროზე გავუწიე სერიოზული რეკომენდაცია კობა ბუჩუკურს პრეზიდენტთან. ზომა უნდა იცოდეს ადამიანმა ბევრ რამეში (მათ შორის ჭამაშიც). ერს არ უნდა წაართვა საკუთრება — ინტურისტი, ჰესები, ტყეები. ამას ხალხი არავის აპატიებს. კობა ბუჩუკურისნაირად არ ეპატიება არც ერთ კორუმპირებულს თავისი ცოდვები. ყველას მიადგებიან სახლებში — ბუჩუკური არც პირველია და არც უკანასკნელი.

ხელისუფლება იძულებული გახდა, ეს ნაბიჯი გადაედგა. სახალხო მღელვარებამ შედეგი გამოიღო. სანამ მოსახლეობამ არ გადაკეტა გუდაურის სასტუმროს მკვებავი ელექტროხაზი და ჩვენი მაფიოზები შვილებითურთ 20 მეტრის სიმაღლეზე არ დატოვა საბაგირო გზაზე, ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი არ გადადგა, თუმც მანამდეც კარგად იცოდა ყველაფერი. ამიტომ მკითხაობა — ბუჩუკური რომელი პოლიტიკური ინტრიგის მსხვერპლი გახდაო, ზღაპარია. კაცი თურქებზე ყიდდა ბაზალეთის ტბას, იქ მეჩეთსა და თურქულ უნივერსიტეტს აშენებდა და ეს აღარ ახსოვთ ჩვენს მოკლე მეხსიერების მქონე პოლიტიკოსებს.

**— ისიც იცით, რომელი მაფიოზები დარჩნენ 20 მეტრის სიმაღლეზე ჰაერში გამოკიდებულები?**

— ვინც ორი კვირის წინ ისვენებდა გუდაურში. იქ 100-150-დოლარიან ნომრებში ჩვეულებრივი მოკვდავი და გაღატაკებული ქართველი ვერ დაისვენებს, არადა სასტუმრო სავსეა. ისევე როგორც სავსეა საღამოობით თბილისში ყველა კაზინო და პრივილეგირებული რესტორანი. ქვეყნის ბიუჯეტი, ჩვენი და ჩვენი შვილების ლუკმა იქ იხარჯება. რომ ჩაუსაფრდეთ, უცბად დაადგენთ, ვინ დაიარება იქ ცოლებითა და საყვარლებით და რამდენ ფულს აგებენ დღის განმავლობაში. ისე, ჩვენი მაფიოზები არც გუდაურში ამბობენ უარს საყვარლების ჩაყვანაზე — სექსს ჰაერის გამოცვლა უხდება და...

იკითხეთ „ცნობილ ადამიანებზე“ და ვისაც გრიპი აქვს მწვავე რესპირატორული სახით, მათი ნახევარი მაინც დაზარალდებოდა დუშელების აქციის გამო. 2-3 საათი ისხდნენ 20 მეტრის სიმაღლეზე, ფეხზე თხილამურებით, საიდანაც ვერ გადმოფრინდებოდნენ. სასტუმროს ხელმძღვანელობამ ამის გამო ატეხა რეკვები და ვაი-უშველებელი, ხალხი გაგვეყინაო... ამას გადაჰყვა ბუჩუკური.

**— გეცოდინებათ დუშელები როგორ შეხვდნენ გუბერნატორის მოხსნას.**

— მითხრეს, ზეიმობენ, მოედნებზე სახალხო სუფრები იშლება და ქეიფობენო.

**— თქვენ როგორ აღნიშნეთ ბუჩუკურზე გამარჯვება?**

— არ აღმინიშნავს. ჩვენი მიზანი ერთი გუბერნატორის შეცვლა არ არის. როცა მოხდება საკონსტიტუციო ცვლილება, როცა ქვეყანას ეყოლება არჩეული ხელისუფლება, რომელიც ხალხთან იქნება პასუხისმგებელი და არა საკუთარ კლანთან, მაშინ ვიზეიმებთ.

**— კულუარებში ამბობენ, თითქოს ამის შემდეგ აუდიენცია გქონიათ პრეზიდენტთან.**

— ესეც ჟვანია-სააკაშვილის შტაბიდან და კარის ჟურნალისტებიდან აგორებული ჭორია. ეს იმიტომ დაიწერა, რომ მოაზროვნე ხალხს წაეკითხა და კითხვები გასჩენოდა... 7 წელია შევარდნაძეს არ შევხვედრივარ. მიუხედავად არაერთი მოწვევისა, კანცელარიაში ფეხი არ დამიდგამს და არც ვაპირებ პრეზიდენტთან შეხვედრას. ამბობენ, თითქოს პრეზიდენტი შემპირდა, — არჩევნებს არ გაგიყალბებთო... თუ ასეთი რამ მოხდება (ანუ ისევე გაყალბდება არჩევნები), თბილისში იუგოსლავიურ-ბელგრადული სცენარი განვითარდება, რომელსაც მილოშევიჩის ხელისუფლების დამხობა მოჰყვა. ამისთვის ჩვენ სერიოზულად ვემზადებით და არ ვმალავთ.

**— იქნებ არც ხატიძე-მამალაძე-ნათელაშვილის ალიანსი არსებობს?**

— მამალაძე პირველი პარლამენტიდან მახსოვს — პატარა ბიჭი იყო, გაჯგიმული დადიოდა პორტფელით. წლების მანძილზე ის ნორმალურ ხელმძღვანელად ჩამოყალიბდა. რეგიონში, სადაც ისლამური ფუნდამენტალიზმის დინებები ტრიალებს, სიმშვიდეს ინარჩუნებს და ამ ასპექტში მან ნამდვილად გაართვა საქმეს თავი. მაგრამ მიუხედავად ჩემი შეხედულებისა, მამალაძის, როგორც გუბერნატორის და არაკონსტიტუციური წარმონაქმნის კრიტიკის მეტი, არაფერი გამიკეთებია. ხატიძეს კი მხოლოდ ტელევიზიით ვიცნობ და რა უნდა გიპასუხოთ... არაფერი ვიცი ალიანსზე, რომლის წევრადაც ზოგიერთი მომიაზრებს.

**— არც ის გაგიგიათ, — მამალაძე ლეიბორისტების ლობიაო?**

— რა ლობი, რის ლობი... სად გვყავს ჩვენ ლობი? თხა და მგელივით ვართ მე და მამალაძე და რა ვქნა, გავვარდე და ქვები დავუშინო მის კარს?

სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკა ძალიან დაემსგავსა ქართულ სუფრას, — მაგრამ სახელმწიფოს შენება არ არის პერსონალური სადღეგრძელო. მინისტრების დამტკიცებისას ჩვენი დეპუტატები ისეთ სიტყვებს აფრქვევენ, პროფესიონალ თამადას შეშურდება. ერთი დღის შემდეგ კი იმავე ბაგეებიდან გვესმის ამ „ნაქები“ მინისტრის იმპიჩმენტის მოთხოვნა. შე დალოცვილო, თუ გუშინ ვარსკვლავებს წყვეტდა, ის კაცი ერთ დღეში როგორ გახდა ალიბაბა? ეს არის აფერისტების თეატრი...

სააკაშვილსა და ჟვანიას უნდათ აღმასრულებელ ხელისუფლებას გადააბრალონ ყველაფერი, თვითონ კი ანგელოზებად გამოჩნდნენ, არადა სწორედ ისინი ამტკიცებდნენ კორუფციის კანონებს და

> სანამ მოსახლეობამ არ გადაკეტა გუდაურის სასტუმროს მკვებავი ელექტროხაზი და ჩვენი მაფიოზები შვილებითურთ 20 მეტრის სიმაღლეზე არ დატოვა საბაგირო გზაზე, ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი არ გადადგა, თუმც მანამდეც კარგად იცოდა ყველაფერი.

გუნდრუკს უკმევდნენ კორუმპირებულ მინისტრებს 8 წლის მანძილზე. შევარდნაძე კი მათ ნამოქმედარს აწერდა ხელს. მათ პოლიტიკური პასუხისმგებლობა აკისრიათ ქვეყნის ნგრევაში, ამიტომ გამიჯვნა ამ პასუხისმგებლობისაგან და სხვადასხვა მხარეს გაქცევა შემდგომი გაერთიანების მიზნით, უკბილო პოლიტიკური პერსპექტივაა, რომელსაც არავინ დაიჯერებს.

**— იმდენად ხშირად ლაპარაკობთ „ნაციონალურ მოძრაობაზე“, რომ ითქვა — პრეზიდენტს მათ წინააღმდეგ უნდა ლეიბორისტების გამოყენებაო.**

— ეს არის ჟვანია-სააკაშვილის შტაბში აგორებული შავი პიარი. მეტსაც გეტყვით, ნაციონალური მოძრაობა სწორედ ლეიბორისტული პარტიის საწინააღმდეგოდ შეიქმნა ხელისუფლების მიერ (შევარდნაძის ხელდასხმით) ჩვენთვის ხმების წასართმევად. ექიმების, მასწავლებლების, ღარიბი მასის ყურადღების მისაპყრობად. დარბიან და იმეორებენ 5-7 წლის წინ ჩვენ მიერ ნათქვამ ტექსტებს, იმეორებენ ჩვენს ნაბიჯებს. ეს უკვე განვლილი ეტაპია ჩვენთვის, ეს პოლიტიკური ტექნოლოგიაა. დაინახეს ხელისუფლებას კარგავდნენ. მოილაპარაკეს, რა ვქნათ, რომ ერთ-ერთი სეგმენტი მაინც გადავარჩეთ, რომ დანარჩენებს ვუპატრონოთო და გაუშვეს სააკაშვილი ქუჩაში ნაციონალისტური მოძრაობითა და ლეიბორისტული ლოზუნგებით. ფიქრობენ, ამ ხმებს რომ წამოვკრებთ, ისევ გავერთიანდებით, ვიტყვით — მართალია, ვიჩხუბეთ, პოზიციებზე ვერ შევთანხმდით, მაგრამ ქვეყნის გადასარჩენად ისევ გავერთიანდით, აი, ახლა მიგიყვანთ სამოთხის კარამდეო და სინამდვილეში მიგვიყვანენ ჯოჯოხეთში. აგერ სააკაშვილი და ჟვანია ერთად არიან გამოძახებულები ამერიკაში და როგორღა არიან ცალ-ცალკე? ერთი გუნდი აქვთ, ერთად მუშაობენ, ერთი პატრონი ჰყავთ ოკეანის გაღმა, ლამის ერთად სძინავთ და ერთმანეთს ტელევიზიით აკრიტიკებენ. შევარდნაძე ეყრდნობა ბუშის ტეხასელი მილიარდერების კლანს, სააკაშვილი-ჟვანია კი ამერიკაში მცხოვრები სომხურ-ებრაული დიასპორის კლანს. ეს კლანები იქ მორიგდებიან, მოვა საერთო რეკომენდაცია და ესენიც იძულებულნი იქნებიან დაემორჩილონ. არ დაემორჩილებიან და აქ ისეთი ამბავი დაუტრიალდებათ, ავლანეთი მოენატრებათ. ეს მსოფლიო პოლიტიკის ელემენტარული ლოგიკაა — არ უნდა მიეყიდო უცხოეთს.

ამერიკაში ვიზიტი გარკვეულწილად ანგარიშის მოთხოვნაა, — ამდენი ფული რომ დაგახარჯეთ გრანტების და კრედიტების სახით, რა დაგემართათ, რა კინკლაობა და ჩხუბი აგიტყდათო და ეცდებიან, ეს სამი სუბიექტი შეარიგონ.

ჟვანია-სააკაშვილის ვიზიტი ამერიკაში არაოფიციალური იყო (რადგან ისინი ოპოზიციური პარტიიდან მიიწვიეს იქ). ვისაც ისინი შეხვდნენ, ყოფილი თანამდებობის პირები არიან, ამიტომ მათი აშშ-ში ჩასვლა-არჩასვლა არც ქვეყნისთვის იქნება რაიმე სიკეთის მომტანი და არც თავად ჟვანია-სააკაშვილისთვის.

საიდუმლოს გაგიმხელთ, წინასწარ ვიცოდით, რომ ეს ჯგუფი აშშ-ში აპირებდა გამგზავრებას და ერთი კვირით ადრე ვაცნობეთ ბატონ ბუშს, კოლინ პაუელს და კონგრესის ხელმძღვანელობას, — ამერიკაში მოემგზავრება თქვენი ღირსებების შემლახველი, კორუმპირებული ჯგუფი, რომელმაც თავიანთი პოლიტიკით საქართველოში ანტიამერიკული და ანტიდასავლური განწყობა გააძლიერა. გთხოვთ, აუწყოთ მაღალ ეშელონებს, თავი შეიკავონ მათთან ურთიერთობისაგან, რადგან ეს ჯგუფი ამ ფაქტს თვითრეკლამისთვის გამოიყენებს, რაც მოსახლეობაში ანტიამერიკულ განწყობას გააძლიერებსო. სწორედ ამის შემდეგ ჩაიშალა ჟვანია-სააკაშვილის შეხვედრები აშშ-ის კონგრესისა და სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალ ეშელონებთან... ჩვენ ვაკვირდებით ამ ჯგუფის მოძრაობებს ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც...

**— „ნაციონალურ მოძრაობაში“ აგენტურაც ხომ არ გყავთ შეგზავნილი?**

— იქ მართლაც გვყავს პარტიული სპეცსამსახური შეშვებული, ისინი ძალიან აქტიური წევრები არ არიან, მაგრამ...

**— ალბათ, მათაც ეყოლებათ თქვენთან შემოგზავნილი ხალხი?**

— ჩვენ პარტიის მაღალი ეშელონები გავწმინდეთ შემოგზავნილი ხალხისგან. ლეიბორისტები 6 თვეა აქტიურად ვთანამშრომლობთ ამერიკის რესპუბლიკური პარტიის ინსტიტუტთან, ანუ მას შემდეგ, რაც მოქალაქეთა კავშირს უკურნებელი ჭირის პირველი სიმპტომები გამოაჩნდა. ეს თანამშრომლობა პოლიტიკური ინფორმაციების ურთიერთგაცვლასაც გულისხმობს. აშშ-ის ყოფილი ელჩი მთლიანად მოქკავშირთან იყო აკრედიტებული. იმაში, რომ მას საქართველოში მოღვაწეობის ვადა აღარ გაუგრძელეს, ჩვენი წვლილიც არის, — ლეიბორისტებმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს ობიექტური ინფორმაცია მივაწოდეთ. არ შეიძლება ყოველღამე აშშ-ის ელჩი ჟვანიას ოჯახში იჯდეს და მასთან ერთად სვამდეს ყავას ან შემაგრებულ ჩაის. ახალი ელჩის ჩამოსვლა ბევრ რამეს ახლებურად გადაანაწილებს.

**— ამერიკაში გქონიათ საჭირო კავშირები... ისინი რომ ეცადონ ჟვანია-სააკაშვილის მოძრაობისა და ლეიბორისტების დაახლოებას?**

— საქართველოში ამერიკის საელჩომ ჩვენი და ჟვანია-სააკაშვილის დაახლოება 2 წლის წინ სცადა. პარტიაში გვეწვია აშშ-ის საელჩოს პოლიტიკური მდივანი ჩილერსი (რომელიც ფაქტობრივად აშშ-ის სპეცსამსახურებს წარმოადგენდა) და გვკითხა, — ხომ არ იფიქრებდით ჟვანია-სააკაშვილთან ალიანსზეო. ძალზე ცივი და ზრდილობიანი უარი ვუთხარით და ამის სანაცვლოდ აშშ-ის საელჩო არანაირი წინადადებით აღარ გაგვკარებია. აქედან ჩანდა, რომ კლინტონის ადმინისტრაცია შევარდნაძის ალტერნატივად ჟვანია-სააკაშვილს მოიაზრებდა ჩვენთან ალიანსში. არანაირი სურვილი არ მაქვს შევარდნაძის შემდეგ ჟვანია ან სააკაშვილი გავაპრეზიდენტო.

ლეიბორისტები ყველა ძალასთან ვითანამშრომლებთ, ოღონდ გამორიცხულია ალიანსი შევარდნაძე-ჟვანია-სააკაშვილთან. ესენი უნდა დაისაჯონ, რომ მომავალში ვერც ერთმა პოლიტიკოსმა ვერ გაუკეთოს თავის ქვეყანას ის, რაც ამათ დამართეს.

**— ვინ და როგორ უნდა დაისაჯოს?**

— ხალხი, რომელიც მოქალაქეთა კავშირის პოლიტიკას განსაზღვრავს. ისინი უნდა დაისაჯონ და არა პაიკები (ანუ რიგითი წევრები). ისინი პოლიტიკის გარეთ უნდა დარჩნენ, ხალხი ველარ უნდა მოატყუონ. პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილება შეგვაქვს, რომლის შესახებაც თქვენი გაზეთის გამოსვლის შემდეგ გახდება ცნობილი. ამ ცვლილების თანახმად პოლიტიკურ პარტიას ან პოლიტიკოსს დროებით (ან სამუდამოდ) ეკრძალება მოღვაწეობა, თუ სასამართლო დაამტკიცებს, რომ მისმა საქმიანობამ ვნება მიაყენა საზოგადოებას. ეს იქნება დემოკრატიული რეპრესია. მაგრამ თუ ასეთი პასუხისმგებლობა არ დამყარდა ქვეყანაში, შესაძლოა შევარდნაძე გაგვიხდეს სანატრელი. ვფიქრობ, სასამართლოც უფრო ობიექტური იქნება დღეს. ჩვენს მოსამართლეებს კარგი ინსტინქტი აქვთ, იციან, ვის ეომონ და ვის ემსახურონ. ხედავენ, რომ მოქკავშირი ისე შეკრული არ არის და ობიექტურობას არჩევენ.

**— შალვა ნათელაშვილს, როგორც პოლიტიკურ ლიდერს საქართველოსთვის ზიანი არ მოუტანია?**

— არა. შესაძლოა მეტი რადიკალიზმი უნდა



> „ნათელაშვილმა უნდა დააპატენტოს ლოზუნგები და ჩვენც აღარ შევეხებით“

გამომეჩინა ამათ მოსაცილებლად, მაგრამ სისხლის ღვრას ვერიდებოდი.

**— როგორც თქვით, გუბერნატორად ბუჩუკურის დანიშვნაში აქტიური მონაწილეობა მიიღეთ...**

— ... დიახ, ეს საკადრო შეცდომა იყო.

**— შეცდომა, რომელმაც თქვენივე თქმით, დააქცია და გააპარტახა მცხეთა-მთიანეთი, დააპირისპირა მოსახლეობა, გაიჩეხა ხეტყე... ეს არ იყო ზიანი?**

— გეთანხმებით, იყო. მზად ვარ ამიკრძალონ პოლიტიკური მოღვაწეობა, ოღონდაც ეს მუხლი შევიდეს კონსტიტუციაში. მართლაც შეცდომაში შევიყვანე პრეზიდენტი, როცა ბუჩუკურს გავუწიე რეკომენდაცია, მაგრამ არ ვიცოდი, რომ ეს კაცი ასეთ საქმეებს ჩაიდენდა.

**— ყველას შეუძლია თავის მართლება... არ ვიცოდიო.**

— ...ვაღიარებ, მართლაც ვიმსახურებ ამ შეცდომისათვის სასჯელს.

ფრაქცია „მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისათვის“ ანუ ე.წ. სააკაშვილის ფრაქციის თავმჯდომარე **კოტე კემულარია** ლეიბორისტთა ლიდერის ბრალდებას არასერიოზულად აღიქვამს:

— ნაციონალური მოძრაობის შექმნის მიზეზი ლეიბორისტთა წინააღმდეგ ბრძოლა ნამდვილად არ ყოფილა. ნათელაშვილს გაზვიადებული წარმოდგენა აქვს საკუთარ პარტიაზე. ჩვენი მოძრაობა შეიქმნა აღმასრულებელი ხელისუფლების და მისი მეთაურის — პრეზიდენტის პოლიტიკის წინააღმდეგ და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან შეზრდილ კლანურ სისტემასთან ბრძოლის მიზნით.

**— მაგრამ ხომ ფაქტია, რომ თქვენი და ლეიბორისტების ლოზუნგები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ელექტორატს გვართმევენო, — აცხადებენ ლეიბორისტები.**

— პოლიტიკაში ელექტორატის პრივატიზებას არავინ ცნობს, ისინი არავის უჩუქებია ლეიბორისტებისთვის.

**— მაგრამ თემები, რაზეც თქვენ აპელირებთ, ერთი და იგივეა.**

— მაშინ ლეიბორისტებმა პატენტი უნდა წარმოადგინონ ამ თემაზე და ჩვენც აღარ შევეხებით. იგივე თემები აქვს ფრაქცია „ალიანსსაც“, მაგრამ რატომღაც მარტო ჩვენზე ბრაზობენ. ნიშანდობლივი ის არის, რომ ყველას ჩვენთან ბრძოლის სურვილი გაუჩნდა — აღმასრულებელ ხელისუფლებასაც და პარტიებსაც. ხომ ხედავთ, მთავრობის სხდომები ეძღვნება ჩვენს პარტიას.

> არ შეიძლება ყოველღამე აშშ-ის ელჩი ჟვანიას ოჯახში იჯდეს და მასთან ერთად სვამდეს ყავას ან შემაგრებულ ჩაის. ახალი ელჩის ჩამოსვლა ბევრ რამეს ახლებურად გადაანაწილებს.

**— მაგრამ ხომ ითქვა, რომ პრეზიდენტი შეგნებულად „გაძაგებთ“... სინამდვილეში კრიტიკით რეკლამას გიკეთებთ.**

— მაგრამ როცა მთავრობას უთხრეს, — რეკლამას უკეთებთ ნაციონალურ მოძრაობასო, ხომ ნახეთ, ხმა აღარ ამოიღო არავინ. ჩვენი უნებლიე რეკლამა, ვფიქრობ, გაუნათლებლობით მოსდით, ვიდრე სურვილით, რომ გვაქონ.

**— პრეზიდენტს უწუნებთ განათლებას?**

— მთლიანად აღმასრულებელ ხელისუფლებას.

***იზო რიკაძე***

# პანკისის სახელი საერთაშორისო ასპარეზზე გადის

## რუსეთი პანკისს ტერორისტების ისეთსავე ბუდედ მიიჩნევს, როგორც აშშ ერაყსა თუ ირანს

ყველაფერი იმას მოასწავებს, რომ პანკისის ხეობის პრობლემა მალე ძალზე მწარე გაკვეთილად იქცევა საქართველოსთვის. საქართველოში აკრედიტებული ერთ-ერთი ამერიკელი დიპლომატის განცხადება, „ალ-ქაიდას" რამდენიმე საერთაშორისო ტერორისტის ავღანეთიდან პანკისის ხეობაში მოხვედრის შესაძლებლობის შესახებ, მოსკოვმა ხელზე დაიხვია — რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა (სხვათა შორის, ასევე საქართველოში დაბადებულმა) ვარაუდიც გამოთქვა, — იქნებ უსამა ბინ ლადენიც პანკისში იმალებაო...



კრემლს ერთი სული აქვს, პანკისში „ჩეჩნური წმენდა" დაიწყოს. რა პოზიციას დაიკავებს თბილისი და ვაშინგტონი?

პანკისში ტერორისტების ყოფნას აღარ გამორიცხავენ აშშ-ის წარმომადგენლები. ამას ცალყბად ადასტურებენ ოფიციალური თბილისის მესვეურები და, ბუნებრივია, აზვიადებს კრემლი. აქედან გამომდინარე, ეტყობა, პანკისის ხეობის მიმართ რაღაც მოქმედებების დაწყებას უნდა ველოდოთ. თანაც ეს ალბათ უფრო სამხედრო სახისა იქნება, თორემ საკმაო დრო ჰქონდათ ხეობაში საიდუმლო სპეცოპერაციების ჩასატარებლად.

სამხედრო ოპერაციის დაწყების შემთხვევაში, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ის — ქართველების, რუსების თუ თავად ამერიკელების მხრიდან, ხეობაში მყოფი შეიარაღებული ჩეჩნები და შეიძლება მათ მიტმასნილი სხვადასხვა ეროვნების დამნაშავეები უბრძოლველად არ ჩაბარდებიან.

ჩვენს ტერიტორიაზე ყოველგვარი ახალი შეიარაღებული კონფლიქტი შეიძლება საქართველოსთვის დამღუპველი აღმოჩნდეს.

ამიტომაც ერთ-ერთ გამოსავლად რჩება შეიარაღებული პირების გადაყვანა პანკისის ხეობიდან საუდის არაბეთში თუ იორდანიაში; სწორედ იმ ქვეყნებში, რომელთა სპეცსამსახურებიც დღემდე ასე გულუხვად უმართავდნენ ხელს მათ; მაგრამ დათანხმდება კი ჩეჩნების და, მით უმეტეს, „ალ-ქაიდას" (თუკი ისინი მართლაც არიან პანკისის ხეობაში) წევრების ყველას დასანახად მიღებას მათი ხელისუფლება? ალბათ არა, რადგან იგივე ირანი თუ ერაყი იტყვის, — ამერიკელები რაღა ჩვენ გვდებენ ბრალს საერთაშორისო ტერორისტების ხელშეწყობაში, თუკი ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის მთავარი პარტნიორი საუდის არაბეთი თავად იფარებს „ალ-ქაიდას" წარმომადგენლებსო?

დღეს საუბარი მხოლოდ ერთ რამეზეა — რა ვუყოთ პანკისის ხეობას თავშეფარებულ შეიარაღებულ ხალხს, რომლებიც 7,5-7,8-ათასიან ჩეჩენ ლტოლვილთა მასაში არიან შერეული? მათი (შეიარაღებულების) საკუთარი ნებით რუსეთის ტერიტორიაზე დაბრუნების შანსი თითქმის არ არსებობს, არადა მრისხანე ჩრდილოელი მეზობელი „გვაწვება" — ან გადმოგვცემ ჩეჩენ ბოევიკებს, ანდა გავაკეთებთ იმასვე, რაც ამერიკამ ავღანეთში ქნაო!

სიმართლე რომ ითქვას, პანკისს შეფარებულმა ათასიოდე შეიარაღებულმა პირმა შეიძლება ამ წუთში რუსეთის სასიცოცხლო ინტერესებს ბევრი ვერაფერი ავნოს, მაგრამ კრემლს სურს შესუსტებული კუნთები შეათამაშოს — თუკი მსოფლიოს ბატონად თვითგამოცხადებულ ამერიკას აქვს უფლება, ცხრა მთას იქით მყოფ ავღანეთში წესრიგი დაამყაროს, ჩვენ რა, აქვე, ყურისძირში, პანკისის ხეობაში ჭკუას ვერავის ვასწავლითო?!

ყოველივე იმას, რაც დღეს ხდება, დიპლომატიურ ენაზე მოქმედებების დასაწყებად შემზადება ჰქვია. ერთადერთი ფაქტორი, რაც კრემლს აკავებს პანკისის ხეობაში საბრძოლო ოპერაციის ჩასატარებლად, აშშ-ისა და შემდეგ ევროსაბჭოს მოსალოდნელი უარყოფითი რეაქციაა, თორემ მოსკოვში ნაკლებად ადარდებთ, სუვერენული საქართველო პროტესტს გამოთქვამს თუ არა.

ვთქვათ, მაინც მოხდა ის, რასაც ყველა ასე ვუფრთხით — რუსეთმა პანკისის ხეობაში დაიწყო საბრძოლო ოპერაცია. რას უნდა ველოდოთ საპასუხოდ?

ვინც ამჟამად ხეობაში იმყოფება, ანუ იმ შეიარაღებულ რაზმებს, ვისაც გელაევი მეთაურობს თუ სხვა ვინმე, ბუნებრივია, ესმის, რაც ხდება და საით მიდის მოვლენების ჯაჭვი. ამიტომაც, სავარაუდოა, მათ უკვე მომზადებული აქვთ საპასუხო მოქმედების გეგმა.

აპრილის მიწურულამდე — მაისის დაწყებამდე დათოვლილი მთიანი ბილიკებით ჩეჩნეთში ან დაღესტანში გადასვლა თითქმის გამორიცხულია. მათ წასასვლელად რჩებათ ძირითადად აზერბაიჯანის მიმართულება. თუმცა, პუტინთან უკვე შეხმატკბილებული ალიევი ეტყობა, საიმედოდ ჩაკეტავს თავისი ქვეყნის საზღვრებს.

რჩება ყველაზე რეალური გზა, რომლის გამოყენებითაც პანკისის ხეობაში შეყუჟულმა შეიარაღებულმა პირებმა შეიძლება სცადონ ხეობის დატოვება — ეს მთელ საქართველოში გაფანტვაა!

ერთია, როდესაც საგანგებო და სამხედრო ოპერაციას მეტ-ნაკლებად ლოკალურ რაიონში და ერთად თავმოყრილი დაჯგუფების წინააღმდეგ ატარებ და მეორე — თუკი 10-20-კაციან ჯგუფებად დაყოფილი ათასი კაცი დიდ ტერიტორიას მოედება.

საქართველოს შინაგანი ჯარების დანაყოფებმა მართალია, შეავიწროვეს წრე პანკისის ხეობის გარშემო, მაგრამ ისინი მაინც ხეობის ძირითადი ოთხი გზის გაკონტროლებასღა ახერხებენ. მათ შორის კი ვენახებია გაჭიმული, ისიც სამხრეთით, ახმეტის მხარეს, თორემ აღმოსავლეთითა და დასავლეთით საკმაოდ ბევრი მთის ბილიკია თავის დასაღწევად.

თუკი რუსულმა შენაერთებმა მართლა სცადეს პანკისში საბრძოლო ოპერაციის ჩატარება, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ტერორისტული აქტები შეიძლება განხორციელდეს რუსულ სამხედრო ბაზებზე და მათ მოსამსახურეებზე მთელი საქართველოს მასშტაბით, როგორც ეს დღეს ჩეჩნეთში ხდება.

ოღონდ აუცილებლად უნდა დავაზუსტოთ — ბათუმის მე-12 რუსულ სამხედრო ბაზაზე ჩეჩნების შურისმაძიებელი თავდასხმები ცოტა ძნელად წარმოსადგენი იქნება, რადგან მუდმივად ტერორისტული აქტების მომლოდინე აჭარის ხელმძღვანელმა ისეთი სპეცსამსახური შექმნა, რომ ამ რეგიონში დაუკითხავად ბუზიც ვერ შეფრინდება.

ჩეჩნებს ალბათ გაუჭირდებათ შურისმაძიებელი თავდასხმა ახალქალაქის 62-ე რუსულ სამხედრო ბაზაზე, რადგან ძირითადად სომხური მოსახლეობით დასახლებულ რაიონში უცხოტომელები ადვილად დაფიქსირდება.

რჩება ერთადერთი — თბილისში, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის შტაბი და რამდენიმე ცალკეული სამხედრო ობიექტი. დედაქალაქში აფეთქება, ვის წინააღმდეგაც არ უნდა იყოს ის მიმართული, არა მგონია, საქართველოს ნამდვილ მოქალაქეს გაუხარდეს.

შეიძლება ამის გამოცაა, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, არმიის გენერალმა ა. კვაშნინმა გამოსცა საიდუმლო ბრძანება რუსული შტაბის თბილისიდან „საბრძოლო განგაშით" გაყვანის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ასეთმა ინფორმაციამ რუსულ მასმედიაში გაჟონა. თუკი ეს სიმართლეს შეესაბამება, ბევრი რამე ნათელი ხდება — შეიძლება კრემლი მართლაც ემზადება საბრძოლო ოპერაციისთვის პანკისის ხეობაში და შედარებით დაუცველ შტაბს თბილისის ცენტრიდან სომხეთში სასწრაფოდ გზავნის. „კვირის პალიტრა" ამ ცოტა ხნის წინ წერდა, რომ ГРВЗ-ს შტაბი მაინც უნდა გადასულიყო სომხეთში, ოღონდ ეს პროცესი თანდათანობით განხორციელდებოდა. თუკი კვაშნინმა მართლაც გამოსცა ბრძანება შტაბის ადგილსამყოფლის „საბრძოლო განგაშით" შეცვლის შესახებ, ეს ოფიციალური თბილისისთვის ძალზე ყურადსაღები უნდა იყოს.

არის კიდევ ერთი მიმართულება, საითაც შეიძლება შეიარაღებული პირები პანკისის ხეობიდან გადაადგილდნენ. ეს სვანეთი და კოდორის ხეობაა. შარშან, ზაფხულ-შემოდგომაზე ბევრი მათგანი უკვე ნამყოფია ამ ტერიტორიებზე და ადგილობრივ მცხოვრებთა საკმაო გავლენიან ნაწილთან არც ისე ცუდი ურთიერთობა დაამყარა. თუკი მოვლენები ამ სახით განვითარდა, მაშინ არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ გახშირდეს თავდასხმები ამ რეგიონში მყოფ რუს „ცისფერჩაფხუტიანებზე". ჩეჩნების საველე მეთაურებს არაერთხელ უთქვამთ — ჩვენთვის სულერთია, სად დავხოცავთ რუსებს, ჩეჩნეთში თუ ანტარქტიდაშიო.

შეიარაღებული თანამემამულეების გამო შეიძლება დიდი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ ასევე პანკისის ხეობას შეფარებული მშვიდობიანი ლტოლვილები. გასაგებია, რომ მათ არ სურთ სამშობლოში დაბრუნება — პანკისის ხეობაში მათ არავინ ესვრის და არც დამამცირებელ პროცედურებს უწყობს საბუთების შესამოწმებლად, რასაც ისინი ჩეჩნეთში ნამდვილად ვერ გადაურჩებოდნენ.

თბილისში მყოფმა რუსეთის ფედერაციის საგანგებო სიტუაციათა და სამოქალაქო თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ გაბედეს პანკისის ხეობაში შესვლა (ამის გარანტიები მათ ვერც ქართველმა სამართალდამცავებმა მისცეს) და ესღა განაცხადეს — ყველა ჩეჩენ ლტოლვილს, ვისაც სურვილი ექნება, დავაბრუნებთ სამშობლოშიო.

ისე, სხვათა შორის, რუსეთის „საგანგებო" მინისტრის შოიგუს დიდი იმედი ნამდვილად არ უნდა გვქონდეს. 1992 წლის ზაფხულში ცხინვალში ამ სტატიის ავტორს სიტყვიერი შელაპარაკება მოუვიდა სერგეი შოიგუსთან, რადგან ეს უკანასკნელი იქ მყოფ სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტებს უმტკიცებდა, რომ იქ შეყვანილი ოთხმხრივი სამშვიდობო ძალები ყველა ლტოლვილს თავის საცხოვრებელ ადგილს დაუბრუნებდა. მას შემდეგ ათმა წელმა განვლო, მაგრამ რაღაც არ გამიგონია, ქართველი ლტოლვილები ცხინვალში დაბრუნებულიყვნენ.

ჩვენ მხოლოდ ერთი რამ შეგვიძლია ვუთხრათ მკითხველს — საქართველო სუვერენული ქვეყანა რეალურად უნდა იყოს, რომლის ტერიტორიაზე არათუ შეიარაღებული სეპარატისტები, არამედ არც სხვა ტომის იარაღიანი კაცი არ უნდა ჭაჭანებდეს, სულერთია, ვინ იქნება ის — რუსი, ჩეჩენი თუ დასავლეთიდან ჩამოსული!

# მოლაპარაკებების მაგიდასთან ნაგებულს, ომით ძნელად დაიბრუნებ... და პირიქით

„კვირის პალიტრის" წინა ნომერში დაბეჭდილ წერილში, „საარმიო დანაყოფების გამოყვანა სულაც არ ნიშნავს მთლიანად აფხაზეთის სვანეთის დაკარგვას", ავტორმა, სამწუხაროდ, ერთი უზუსტობა დაუშვა — კოდორის ხეობაში უსაფრთხოებისა და შეიარაღების შეზღუდვის ზონების პრინციპი არ მოქმედებს.

არანაკლებ სამწუხაროა, რომ შესწორება ამის თაობაზე არ მიგვიღია არც ჩვენი და არც ისე მცირერიცხოვანი მკითხველისგან, მაშინ როდესაც ხანდახან ერთ კორექტურულ შეცდომას რამდენიმე მკითხველი აუცილებლად ეხმაურება ხოლმე.

ყოველივე ეს კი ალბათ იმაზე მიანიშნებს, რომ ქართული საზოგადოება ნაკლებადაა ინფორმირებული იმ საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ, რომელსაც საქართველოს ხელისუფალნი ხშირად წაუკითხავადაც კი აწერენ ხელს.

სხვა კომენტარს ნამდვილად ვერ გავუკეთებთ 1994 წლის 14 მაისის „Соглашение о прекращении огня и разъединении сил", რომელსაც მოსკოვში მოეწერა ხელი. ფაქტობრივად, მასში ცალსახადაა დაფიქსირებული, რომ ქართული მხარე თმობს არა მარტო კოდორის ხეობას, არამედ მთლიანად აფხაზეთს.

12 კმ-იანი უსაფრთხოებისა და 24 კმ-იანი შეიარაღების შეზღუდვის ზონები მდ. ენგურის მარცხენა (სამეგრელოს რაიონები) და მარჯვენა (გალის რაიონი) სანაპიროებზე მოქმედებს. ეს თავიდანვე ყველა ნორმალური ქართველის პროტესტს იწვევდა, რადგან იმავე ყულევის პოლიგონზე (ფოთის ახლოს) ისე ვერ ვატარებდით სამხედრო სწავლებას, რომ აფხაზ სეპარატისტებს და მით უმეტეს, გაეროს სამხედრო დამკვირვებლებს პროტესტი არ გამოეცხადებინათ. ჩვენდა სამწუხაროდ, გაეროს პოზიცია სამართლიანი იყო, რადგან ყულევის პოლიგონზე შეყვანილი მძიმე საბრძოლო ტექნიკა კვეთდა შეიარაღების შეზღუდვის 24 კმ-იან ზონის საზღვარს.



გაეროს სამხედრო დამკვირვებლები კოდორის ხეობის პატრულირებისას აუცილებლად მოითხოვენ ხელშეკრულების თანახმად, იქიდან ქართული საჯარისო დანაყოფების გამოყვანას.

მაგრამ თურმე ჯერ სად ვყოფილვართ, ნეტავ ეს 12 და 24 კმ-იანი ზონები აფხაზეთის სვანეთშიც გვქონოდა! მაშინ ხომ ამ ყბადაღებული 24 კმ-ით დავაშორებდით ზემო ლათას (სადაც რუსი „ცისფერჩაფხუტიანების" ბოლო პოსტია) ჩვენს საარმიო დანაყოფებს და გენწვიშსა ან ომარიშარაში განვათავსებდით. ამით არც მწვადი დაიწვებოდა და არც შამფური — შეთანხმების მიხედვით ქართული საბრძოლო დანაყოფები კოდორის ხეობიდანაც გამოყვანილი იქნებოდა, თუმცა იქვე, დალის ხეობაში იდგებოდა და აფხაზების შემოტევის დაწყების შემთხვევაში აღარ მოუხდებოდა ხიდას ძნელად სავალი (განსაკუთრებით უამინდობაში, თორემ ზამთარში ის საერთოდ ჩაკეტილია) უღელტეხილის გადალახვა ჭუბერიდან საკენამდე.

ჩვენდა სამწუხაროდ, ვინც ზემოხსენებულ ხელშეკრულებას ადგენდა, საკმაოდ ჭკვიანი იყო და კარგად ერკვეოდა ოპერატიულ-ტაქტიკურ ვითარებაში. ამ ხელშეკრულების მეორე პუნქტის მეოთხე ქვეპუნქტში შავით თეთრზე წერია:

„Под контролем представителей миротворческих сил СНГ и наблюдателей ООН, при участии представителей сторон из Кодорского ущеля будет осуществлён отвод войск Республики Грузия в места их дислокации за пределами Абхазии".

სწორედ ეს ბოლო ორიოდე სიტყვა „за пределами Абхазии" წყვეტს ყველაფერს. ხელშეკრულებაში ლაპარაკი ქართული ჯარების მხოლოდ კოდორიდან გამოყვანაზე რომ ყოფილიყო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათი დისლოცირება მეზობელ დალის ხეობაშიც შეიძლებოდა, მაგრამ მთლიანად აფხაზეთიდან გაყვანა ნიშნავს მათ ხიდას უღელტეხილზე გადმოყვანას!

ამ ხელშეკრულებას ორი პიროვნება აწერს ხელს. სეპარატისტულმა სოხუმმა ჯინჯოლიას ალბათ „გმირობა უნდა მიანიჭოს" დიპლომატიურ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვებისთვის. ქართული მხრიდან ხელმომწერ ჯაბა იოსელიანს კალმის ხელში აღების წინ ეტყობა, დაკვირვებით არ წაუკითხავს ეს დოკუმენტი, რაც ძალიან ცუდია; ან წაიკითხა და ვერ ჩასწვდა ყველა ნიუანსს — ეს უარესია, ან კიდევ ყველაფერს მიხვდა და მაინც მოაწერა ხელი — ამას კომენტარი თავად მკითხველმა გაუკეთოს!

მარტო ჯაბა იოსელიანის დადანაშაულება სამართლიანი არ იქნებოდა — ამ ხელშეკრულების პროექტს ხომ თბილისშიც ამზადებდნენ ქართველი დიპლომატები, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ, ყველაფერი გაეთვალისწინებინათ და ბოლოს და ბოლოს, დღევანდელი საქართველოს პრეზიდენტი, მაშინდელი სახელმწიფო მეთაური არ იყო? უიმისოდ კი, ცოტა ძნელი დასაჯერებელია, ხელი რაიმეს მოსწეროდა.

დღეს, გვინდა თუ არა, თავდაცვის სამინისტროს დანაყოფები მთლიანად აფხაზეთის სვანეთიდან უნდა გამოვიყვანოთ, რაც მკვეთრად შეასუსტებს კოდორისა და დალის ხეობების ქართული სოფლების თავდაცვისუნარიანობას. მთავარ იმედად კვლავ ადგილობრივი მცხოვრებლებით დაკომპლექტებული შეიარაღებული რაზმები, მათ შორის ბატალიონი „მონადირე" რჩება.

ქართულ მხარეს ძირითადად ერთი „შემოსავლელი" გზაღა აქვს. აფხაზეთის სვანეთი ადმინისტრაციულად აფხაზეთის გულრიფშის რაიონის შემადგენლობაში შედის. თუკი ოფიციალური თბილისი რაიონს (რომელსაც ჯერჯერობით ვაკონტროლებთ) ზემო ლათადან — საკენამდე ადმინისტრაციულად გადასცემდა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეს ან სულაც დამოუკიდებელ ერთეულად გამოაცხადებდა, მოლაპარაკების მაგიდასთან შეიძლებოდა იმაზე „ვაჭრობა", რომ საჯარისო შენაერთები დალის ხეობაში დაგვეტოვებინა. თუმცა ამის რეალურ განხორციელებას დღევანდელი ქართული ხელისუფლებისგან თითქმის არ უნდა ველოდეთ.

P.S. წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, — სწორედ ჩვენზეა ნათქვამი. რუსეთის სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის მოადგილედ გენერალ-ლეიტენანტ ვალერი ევნევიჩის დანიშვნამ ოფიციალურ თბილისს ერთგვარი იმედი მისცა. დანიშვნიდან მეორე დღესვე გენერალი საქართველოს ეწვია. მისი ახალი თანამდებობა რუსეთის სამშვიდობო ძალების საერთო ხელმძღვანელობას ითვალისწინებს და ამიტომაც მან აფხაზეთში მდგარი თანამემამულე „ცისფერჩაფხუტიანების" მონახულება გადაწყვიტა, თუმცა თავიდან საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა. მან რუსეთის ტელევიზიას განუცხადა, რომ მართალია, საქართველოს თავდაცვის მინისტრი თავიდან ეწინააღმდეგებოდა „სამშვიდობოების" მანდატის გაგრძელებას, მაგრამ ბოლოს აზრი შეიცვალაო. ამასთანავე, ევნევიჩის თქმით, 1 მარტიდან აფხაზეთში მდგომი მედესანტე „ცისფერჩაფხუტიანები" ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის СКВО-ს მოტომსროლელი ბატალიონით შეიცვლება. ამასთანავე, რუსი გენერალი ფიქრობს, რომ მანდატის ვადა ექვსი თვით კი არა, მთელი წლით უნდა განისაზღვროს.

ზემოთქმულიდან ჩვენს წისქვილზე ბევრი არაფერი ასხამს წყალს (СКВО-ს ბატალიონის ჩამოსვლა, რომელსაც ჩეჩნეთის ომი აქვს გამოვლილი, გასათვალისწინებელი ფაქტორია ქართველი პარტიზანებისთვის). ერთ-ერთ იმედად ისღა რჩება, რომ გენერალ ევნევიჩს სეპარატისტული მოძრაობები გულზე ძალიან არ უნდა ეხატებოდეს. ერთი თვის წინ იგი მოლდოვის დნესტრისპირეთში მდგარი რუსული სამხედრო კონტინგენტის სარდალი იყო და თვითგამოცხადებული სეპარატისტული დნესტრისპირეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სმირნოვის ბრძანებით, თავისსავე სამხედრო ნაწილში არ შეუშვეს. ევნევიჩის მდგომარეობა დნესტრისპირეთში ძალზე დაიძაბა და სავარაუდოა, სიტუაციის გამწვავების თავიდან ასაცილებლად კრემლმა იგი ახალ თანამდებობაზე გადაიყვანა.

# თეთრი სახლი შუა აზიაში პოზიციებს იმაგრებს, კრემლი კი საპასუხო სვლას სამხრეთ კავკასიაში აკეთებს

ბოლოდროინდელმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტებმა მკვეთრად დააჩქარა მსოფლიოს ახალი გადანაწილებისთვის მანამდე დიპლომატიურ საბურველქვეშ მიმდინარე პროცესები.

თეთრი სახლი აღარ მალავს თავისი სტრატეგიული ინტერესების მკვეთრ ზრდას შუა აზიის რეგიონისადმი. ამერიკელები ჩვეული ტაქტიკით მოქმედებენ — „შეტევას" ყველაზე ეფექტური „იარაღით" — მწვანე დოლარებით იწყებენ. უზბეკეთის, ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის ხელისუფალნი ვაშინგტონმა, შეიძლება ითქვას, „ყურებით დაიჭირა". შუა აზიის ხუთ აეროდრომზე უკვე დაფუსფუსებენ ამერიკელი რეინჯერები.

ჰანაბადი და კოკაიდი — უზბეკეთში, დუშანბე და კულიაბი — ტაჯიკეთში და მანასი — ყირგიზეთში, ის აეროდრომებია, სადაც დღეისათვის ამერიკელებისა და NATO-ელი მოკავშირეების სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები, საძიებო-სამაშველო შვეულმფრენები, რადიოელექტრონული ბრძოლისა და უპილოტო საფრენი აპარატებია განთავსებული.

ამ აეროდრომებს უდიდესი ოპერატიულ-ტაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა პენტაგონისთვის მაზარი-შარიფში, ყუნდუზსა თუ ყანდაარში თალიბების პოზიციებზე ამერიკული ბომბდამშენების საჰაერო „ნადირობისას".

მაგრამ დამთავრდა შედარებით მსხვილმასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები ავღანეთში (როგორც ხმელეთზე, ისე საჰაერო სივრცეში). წესით, დროა, ვაშინგტონმა თავისი სამხედრო დანაყოფები სამშობლოში დააბრუნოს, მაგრამ ასე არ ხდება. პირიქით, ამერიკელმა პოლიტიკოსებმა და მაღალჩინოსანმა სამხედროებმა მოუხშირეს შუა აზიის პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ოფიციალურ ვიზიტებს. ორმხრივი შეხვედრები ძალზე მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობს, შეხვედრის ყველა მონაწილე კმაყოფილი რჩება — ამერიკელები იმით, რომ შუა აზიაში ექნებათ სტრატეგიული მნიშვნელობის სამხედრო ბაზები, ადგილობრივ „ხანებს" კი ამერიკული დოლარი არ მოაკლდებათ.

მოსკოვს არ ეჭაშნიკება ეს ამბავი — ამერიკამ შეაღწია შუა აზიის იმ რეგიონში, რომელსაც კრემლი ტრადიციულად საკუთარი გავლენის სფეროდ მიიჩნევდა.

რუსი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, ორმაგად უკმაყოფილონი დარჩნენ მათი თანამემამულე სამხედროები. პრეზიდენტ პუტინის მიერ გატარებულ პოლიტიკას აშშ-ის მიმართ, ალბათ მალე აშკარად დაუპირისპირდება რუსეთის მთელი სამხედრო ისტებლიშმენტი — პოზიციების დათმობა შუა აზიაში, სამხედრო ბაზების ლიკვიდირება ვიეტნამსა და კუბაში, სამხედრო-პოლიტიკური დათმობები აზერბაიჯანისთვის, თავდაცვის მინისტრად სპეცსამსახურის წარმომადგენლის სერგეი ივანოვის დანიშვნა — აი, ის არასრული სია, რაც აღიზიანებს რუსეთის გენერალიტეტს. ყოველივე ამას დაემატა წყნარ ოკეანეში აშშ-ის შეიარაღებული ძალების დაჯგუფების სარდლის ორიოდე დღის წინანდელი გამონათქვამი — ამერიკული ფლოტი მალე ვიეტნამის სამხედრო ბაზაში, კამრანში დაბრუნდებაო. კამრანი, რომელიც ვიეტნამის დროს ამერიკელებმა ააგეს, ბოლო ათწლეულებში ძირითადად საბჭოთა სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზას წარმოადგენდა წყნარ ოკეანეში. მისი დატოვების შესახებ ბრძანება პრეზიდენტმა პუტინმა ორიოდე თვის წინ გამოსცა, რამაც უფრო აღაშფოთა რუსი გენერლები.

თუმცა საქმე არც მთლად ისეა, როგორც რუს „მტაცებელ" გენერლებს ჰგონიათ. თუკი პრეზიდენტი პუტინი ასე თუ ისე თმობს შუა აზიაში გავლენის სფეროებს, სამაგიეროდ, მას მკვეთრად აძლიერებს სამხრეთ კავკასიაში.

სომხეთი, ისედაც ისტორიულად რუსეთის ძირითად სამხედრო-პოლიტიკურ პარტნიორს წარმოადგენდა ჩვენს რეგიონში, რასაც ამ წლის დასაწყისში მეტ-ნაკლებად აზერბაიჯანიც დაემატა. გაბალის სტრატეგიული მნიშვნელობის რადიოლოკაციურ სადგურთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევამ (ამის შესახებ ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვწერდით) რუსეთის პოზიციები სამხრეთ კავკასიაში მკვეთრად გააძლიერა. სხვათა შორის, რუსმა გენერლებმა პრეზიდენტ პუტინის სისუსტედ ჩათვალეს ის ფაქტი, რომ რუსეთმა აზერბაიჯანისგან გაბალის რადიოლოკაციური სადგური იჯარით ოცის ნაცვლად მხოლოდ ათი წლით აიღო და თანაც წელიწადში 2 მლნ დოლარის მაგიერ 7 მლნ-ის გადახდას დათანხმდა.

მაგრამ რეალობა სულ სხვა რამეზე მეტყველებს — პოლიტიკური თვალსაზრისით არც ისე შორსმჭვრეტელი რუსეთის გენერალიტეტისგან განსხვავებით, პრეზიდენტმა პუტინმა საკმაოდ მომგებიანი პოლიტიკური სვლა გააკეთა და განამტკიცა გავლენის სფერო ბაქოზე.

ეს გავლენა იმაშიც გამოიხატება, თუ რა პოზიცია დაიკავა ოფიციალურმა ბაქომ ჩეჩნეთის ომთან მიმართებაში. პრეზიდენტმა ალიევმა ბოლო ხანს ჩეჩნებთან დაკავშირებით წმინდა პრორუსული პოზიცია დაიკავა. არადა ვისაც ახსოვს, ჩეჩნეთის როგორც პირველ ომში, ისე მეორის დასაწყისში აზერბაიჯანში ბლომად იყო ის საერთაშორისო ისლამისტური ცენტრები, საიდანაც იმავე ხატაბსა თუ ბასაევს მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ, როგორც დაქირავებულების შეგროვებაში, ისე იარაღითა და მსხვილი თანხებით.

ყოველივე ამის ფონზე ბოლო პერიოდში ძალზე აქტუალური ხდება, თუ რა გადამწყვეტ პოზიციას აირჩევს ოფიციალური თბილისი ჩეჩნებთან და მათ შორის პანკისის ხეობაში მყოფ შეიარაღებულ პირებთან მიმართებაში.

# უპილოტო «კამიკაძეები» რუსულად (ქართველის კარნახით)


ჩამოწერილი რუსული МиГ-ები გივი ჯანჯღავას დახმარებით „კამიკაძეების" როლის შესრულებას ჯერ კიდევ შეძლებენ

აშშ პრეზიდენტმა ბუშმა ქვეყნის 2003 წლის სამხედრო ბიუჯეტის ფანტასტიკურ თანხამდე — 380 მლრდ დოლარამდე გაზრდა იმიტომ მოითხოვა, რომ მისი გარკვეული ნაწილი უპილოტო დამრტყმელ თვითმფრინავებზე უნდა დახარჯულიყო. პროფესიონალი მფრინავის მომზადება რამდენიმე მლნ დოლარი ჯდება (რომ აღარაფერი ვთქვათ ბრძოლაში დაღუპული პილოტების ოჯახებისთვის გაცემულ კომპენსაციებზე, რაც აშშ-ში საკმაოდ დიდია), ამიტომაც სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა წინააღმდეგი სულაც არ იქნება, თუკი ბომბდამშენებს პილოტების ნაცვლად ავტომატიკა მართავს.

ამ მიმართულებით ამერიკელი ავიაკონსტრუქტორები მუხლჩაუხრელად შრომობენ და ალბათ ორ ათეულ წელიწადში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში ლომის წილი უპილოტო დამრტყმელ თვითმფრინავებს ექნებათ. ოკეანის გაღმა, კრემლში, სადაც სიზმარ-ცხადში მუდამ ზესახელმწიფოს სტატუსი ელანდებათ, სერიოზულად დაფიქრდნენ ამერიკელების გადაწყვეტილებაზე — უპილოტო თვითმფრინავს ხომ მფრინავი არ სჭირდება, ე.ი. მას არც მომზადება და, მით უმეტეს, ხელფასი არ უნდა (არადა ქართული სამხედრო ავიაციისა არ იყოს, რუსი პილოტების ანაზღაურებაც საკმაოდ მწირია)!

მაგრამ რა ქნას იმ რუსეთმა, რომელსაც ჯერ მეხუთე თაობის გამანადგურებლის შექმნაც არ დაუწყია (ამერიკაში უკვე დაფრინავენ მეხუთე თაობის JSF-ები)?!

ჰოდა, მოულოდნელად რუსეთში გამოსავალს მიაგნეს და ისიც... ქართველის დახმარებით! გივი ჯანჯღავა რუსეთის სამხედრო-სამრეწველო წრეებში უცნობილესი პიროვნებაა, იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქ. რამენსკის რადიოელექტრონული მოწყობილობის სამეცნიერო-საწარმოო დაწესებულებას. რამდენიმე დღის წინ კი გივი ჯანჯღავა გახდა უზარმაზარი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის გენერალური დირექტორი, სადაც შექმნიან და გამოუშვებენ რუსეთის ყველა თვითმფრინავისა და შვეულმფრენის მართვის ტელერადიოელექტრონულ ხელსაწყოებს.

ალბათ სწორედ ამანაც შეუწყო ხელი ჯანჯღავას, რომ რუსეთის უშიშროების საბჭოს, გენერალური შტაბისა და თავდაცვის სამინისტროსთვის შეეთავაზებინა წინადადება, უპილოტო დამრტყმელი საფრენი აპარატების შექმნის თაობაზე.

ფაქტობრივად, ჩვენი თანამემამულე კრემლს სთავაზობს, რამდენიმე წელიწადში რუსეთის საბრძოლო ავიაციის აღჭურვას იმ იარაღის სახეობით, რომელიც ამერიკელების შეიარაღებაში მასობრივად მხოლოდ 15-20 წლის შემდეგ გამოჩნდება.

ალბათ იკითხავთ — რუსეთი, რომელიც თავის სამხედრო მფრინავებს წელიწადში მხოლოდ 20-30 სთ ავარჯიშებს ფრენაში (დასავლეთში ეს მაჩვენებელი ათჯერ მეტია), როგორ მოახერხებს გაუსწროს მდიდარ ამერიკას XX საუკუნის იარაღის შექმნაშიო. ამერიკელები უპილოტო დამრტყმელი საფრენი აპარატების გამოყენებას შემდეგი სახით გეგმავენ — ჩრდილო ამერიკის კონტინენტიდან აფრენილი სტრატეგიული უპილოტო თვითმფრინავი (პენტაგონს უკვე ჰყავს ამ ტიპის უპილოტო „გლობალ ჰოუკი", მაგრამ იგი მხოლოდ სადაზვერვო საქმიანობისთვის გამოიყენება და საბრძოლო შეიარაღებას არ გააჩნია) რამდენიმესაათიანი ფრენის შემდეგ მართვად ბომბებს სადღაც, აზიაში 5-10 მ-ის სიზუსტით ჩამოყრის, რაშიც კოსმოსური სანავიგაციო სისტემა GPS დაეხმარება. დავალების შესრულების შემდეგ უპილოტო თვითმფრინავი დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდება და მზად იქნება მორიგი საბრძოლო გაფრენისთვის.

გივი ჯანჯღავამ კი, ამერიკელებისგან განსხვავებით, ბევრად იოლ გამოსავალს მიაგნო — რუსული, ასევე უპილოტო თვითმფრინავები ზუსტად გავლენ სამიზნეზე და... პიკირებას განახორციელებენ მასზე! დარტყმის ეფექტიანობის გასაძლიერებლად რუსული „კამიკაძე" ასაფეთქებელი ნივთიერებებით იქნება სავსე.

ამასთან, ქართველი კონსტრუქტორი კრემლს ახალი თვითმფრინავების შექმნას კი არ სთავაზობს, არამედ რუსეთის სამხედრო-საჰაერო ბაზების სათადარიგო აეროდრომებზე მდგარი იმ უამრავი მოძველებული საბრძოლო თვითმფრინავების გადაკეთებას, რომლებსაც საბჭოთა პერიოდში დღედაღამ უშვებდნენ. ისინი ძირითადად МиГ-21, МиГ-23, Су-17 და МиГ-27 ტიპის გამანადგურებლები და გამანადგურებელ-ბომბდამშენებია. ამ აპარატებს ფრენის რესურსი ამოწურული აქვთ და ეკონომიკური თვალსაზრისით, მათი კაპიტალური გარემონტება წამგებიანია, თუმცა ბოლო, „კამიკაძისეულ" გაფრენას ნამდვილად შეძლებენ.

## არსენალი

# ეგზოტიკური იარაღის მოდა

იარაღის კონსტრუქტორებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და მათთვისაც უცხო ხილი როდი გახლავთ ეგზოტიკა. მაღალი მოდის ნიმუშებისა არ იყოს, რომლებსაც ლამაზმანები პოდიუმზე ხშირად აჩვენებენ და რომელთა ჩამცმელიც შეიძლება მილიონ ადამიანში ერთიც არ აღმოჩნდეს, იარაღის კონსტრუქტორებიც ხშირად ქმნიან იარაღის ეგზოტიკურ სახეობებს, რომლების შეიარაღებაში მიღებაზე შეიძლება არც ერთი ქვეყნის თავდაცვის მინისტრი არ დათანხმდეს.


კორობოვის სამლულიანი ავტომატი

ამჯერად, ცეცხლსასროლი იარაღის მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს გაგაცნობთ, რომლებიც მნახველების გაოცებას იწვევენ.

მიხეილ კალაშნიკოვის მოღუნულლულიან ტყვიამფრქვევზე „არსენალმა" თავის დროზე უკვე მოუთხრო მკითხველს. ბევრს არც სჯეროდა, რომ მოღუნული ლულიდან ტყვიის გასროლა შეიძლებოდა და მისი სურათი კომპიუტერული გრაფიკით შექმნილი ეგონა. მაგრამ სინამდვილეში ამგვარი ავტომატი და ტყვიამფრქვევი არსებობდა, რის დასტურადაც ჩვენი რამდენიმე მკითხველის წერილიც მივიღეთ, რომლებშიც ისინი გვწერდნენ, რომ საკუთარი თვალით ენახათ ისინი.

ისე, მოღუნული ლულის „პიონერებიც", თუ არ ვცდებით, გერმანელები იყვნენ — როდესაც ბერლინის ქუჩებში კედლის კუთხეებს მოფარებულები იგერიებდნენ საბჭოთა მებრძოლების შეტევებს, მათ ცეცხლსასროლ იარაღს სპეციალური მოღუნული ლულა უმაგრდებოდა კუთხიდან სასროლად. თავად კალაშნიკოვის მოღუნულლულიანი ტყვიამფრქვევები თურქეთის მოსაზღვრე სომხეთისა და საქართველოს გამაგრებულ რაიონებში სპეციალურ ДЗОТ-ებში (რკინაბეტონის დიდხნიანი საცეცხლე წერტილი) იყო დაყენებული. მათი საშუალებით ბუნკერში მთლიანად ჩამალულ მსროლელს მოწინააღმდეგის ქვეითთა შეტევა უნდა მოეგერიებინა — ზემოთ, ბუნკერის სათოფურში მხოლოდ მოღუნული ლულა და სამიზნე ჩანდა. ანალოგიური სახის ბუნკერები ჩინეთის საზღვართანაც იყო განთავსებული. სხვათა შორის, ერთი ასეთი მოღუნულლულიანი ავტომატი რუსეთის სამხედრო-ისტორიულ მუზეუმში ინახება, რომლის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი ჩვენი თანამემამულე იური ნაცვალაძეა.

არანაკლებ ეგზოტიკურად გამოიყურება სამლულიანი ავტომატი, რომლის კონსტრუქტორია გერმან კორობოვი. ამ ცეცხლსასროლ იარაღს პრინციპში ავტომატი ნაკლებად დაერქმევა, იგი ზალპური ცეცხლის საწარმოებლად შეიქმნა. სიბუსჯლლე (რუსულად ამას „Кучность" ეწოდება) არ აკმაყოფილებდათ სამხედროებს — ავტომატური ჯერით სროლისას AKM-ით მიზანში სროლა ძალზე გაძნელებული იყო (ეს პრობლემა კალაშნიკოვის ყველა სახეობის ავტომატს დღემდე სჭირს). კორობოვმა სამი ლულა გააერთიანა და საუკეთესო სიბუსჯლლე აჩვენა. ბევრს გაუჩნდება კითხვა — ჩვეულებრივი AKM-ით სროლისას საკმაოდ მგრძნობიარეა უკუცემის ძალა, სამი ლულიდან ერთდროული სროლა ხომ მხარს მოტეხდა მსროლელსო. ეს რა თქმა უნდა, ასეც იქნებოდა, რომ არა ერთი ნიუანსი — სამივე ლულა სპეციალური ლაფეტის შიგნითაა მოთავსებული და გასროლისას წარმოქმნილი უკუცემის ძალა ჯერ ლაფეტს აწვება და მის უკან გადასაადგილებლად იხარჯება. მსროლელი მხარზე მხოლოდ უმნიშვნელო დარტყმას გრძნობს. ეს საინტერესო იარაღი შეიარაღებაზე მიღებული არ ყოფილა, შეიძლება სიმძიმის გამოც.


„მილიონი ტყვიის" მსროლელი ელექტროპისტოლეტი


კალაშნიკოვის მოღუნულლულიანი ტყვიამფრქვევი

ამ უნიკალურ და ეგზოტიკურ იარაღს „თანამოძმეები" ნამდვილად არა ჰყავს. იგი ამერიკულმა კორპორაციამ შეიმუშავა და „ქვეითის დამრტყმელ იარაღად" მონათლა. დღემდე ყუმბარას ქვეითი ჯარისკაცი ან ხელით ისროდა ან კიდევ ავტომატის თუ შაშხანის ლულაზე წამოაცვამდა და ფუჭი ვაზნის გამოყენებით ისროდა. ამერიკელების შემუშავებული სფერო კი M16 ტიპის ავტომატური შაშხანის ლულის ქვეშ მაგრდება. მებრძოლს შეუძლია ჩვეულებრივი ვაზნა გამოიყენოს მის ასამოქმედებლად. გასროლისას გამოყოფილი აირის ნაწილი სპეციალური მილით (მისი ერთი ნაწილი ლულის ბოლოზეა მიერთებული) სფეროს რეაქტიულ საქშენში აღწევს, სადაც აამოქმედებს მინიატურულ რაკეტულ ძრავას. ძრავის ამოქმედებისთანავე 14 სმ დიამეტრის სფერო 173 მ/წმ საწყისი სიჩქარით იწყებს ფრენას, თანაც სფერო გამუდმებით ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო, რათა ფრენის ტრაექტორია სტაბილიზებული იყოს. სროლის მაქსიმალურმა სიშორემ შეიძლება 2 კმ-საც მიაღწიოს, თუმცა მას მაინც ახლო მანძილზე — 200 მ-ში სასროლად უფრო იყენებენ. სფეროში კილოგრამზე მეტი პლასტიტია მოთავსებული, რომელსაც 20 სმ-ის სისქის რკინაბეტონის კედელში 35 სმ დიამეტრის ხვრელის „გაკეთება" შეუძლია. თუკი სფეროში კუმულიატური ქობინია, მაშინ 45 სმ სისქის ჰომოგენური ჯავშნის გახვრეტა ძალუძს. ქვეითთა საწინააღმდეგოდ საბრძოლველად სფეროს ვოლფრამის ბურთულაკებით ავსებენ — ვოლფრამის „წვიმას" ვერც ერთი ჯავშანჟილეტი თუ ჩაფხუტი ვერ გაუძლებს. იარაღის ეს ეგზოტიკური საშუალება ჩვეულებრივი შაშხანიდან სასროლი საბრძოლო საჭურვლის ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.


შაშხანიდან სასროლი რეაქტიული სფერო

ეგზოტიკური იარაღის სახეობების ჩამოთვლას „წუთში მილიონის გამსროლელით" დავამთავრებთ, თუმცა მათი რაოდენობა ბევრად უფრო მეტია.

წუთში მილიონი ტყვიის გასროლის თეორიული შესაძლებლობა ავსტრალიელმა კონსტრუქტორმა მაიკ ო'დუაიერმა დაამტკიცა. მან შექმნა იარაღი, რომელსაც გადატენვა და ე.ი. დროის დაკარგვა არ სჭირდება. მით უმეტეს, რომ სასროლად უჰილზო ვაზნები გამოიყენება. ლულაში ავსტრალიელებმა ერთმანეთის მიყოლებით ჩაალაგეს ტყვიები. დენთი თითოეულ ტყვიასთან ლულის ზემოთა ნახვრეტიდან იყრებოდა და აალებაც ელექტროიმპულსით ხდებოდა. თუკი თითოეულ ლულაში ასობით ტყვია ჩაეწყობა, ხოლო თავის მხრივ რამდენი ათეული ამ სახით დატენილი ლულა ერთ კომპლექტში მოექცევა, თეორიულად შესაძლებელია წუთში მილიონი გასროლის მოხდენა. სიმართლე რომ ითქვას, ავსტრალიელის გამოგონება ჩვეულებრივი მებრძოლისთვის არაპრაქტიკულია, რადგან ლულების ხელახლა დატენვა მხოლოდ ქარხნულ პირობებშია შესაძლებელი. ერთადერთი სფერო, სადაც ამ სახის დანადგარები შეიძლება იყოს გამოყენებული, მსხვილტონაჟიანი სამხედრო ხომალდების ახლომოქმედების საჰაერო თავდაცვის სისტემაა. თუკი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა ვერ ჩამოაგდო ავიამზიდის საჰაერო თავდაცვის შორეული მოქმედების ანტირაკეტებმა, მაშინ ამ ფრთოსანი რაკეტის მიმართულებით ახლო მანძილზე ათიოდ წამში გასროლილი იქნება 200-300 ათასი ტყვია, რომლებიდან რამდენიმე აუცილებლად მოხვდება და ააფეთქებს მოწინააღმდეგის ფრთოსან რაკეტას. დაახლოებით ანალოგიური ტიპის, ოღონდ უფრო მინიატურული დანადგარის დამონტაჟება ტანკების კოშკურაშიც შეიძლება, რათა მოგერიებულ იქნას ტანკის მიმართულებით გამოსროლილი კუმულიატური მართვადი რაკეტა.

საგულისხმოა, რომ უცხოელ კოლეგებს არც ქართველი კონსტრუქტორები ჩამორჩებიან — მათ მიერ შექმნილი თუ დახატული იარაღის სახეობები არათუ ჩამოუვარდება, არამედ ეგზოტიკურობით ხშირად აჭარბებს უცხოურს. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ზოგიერთი მათგანი ამასთანავე უდიდესი აბსურდულობითაც გამოირჩევა, რაც მათ ავტორებს სახელს ნამდვილად არ მატებს.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

**ამ დღეებში ჭიათურიდან დამირეკა ერთმა ჩემმა ძველმა მეგობარმა და მითხრა – ბელუა მოკვდა და ორმოციც გადავუხადეთ, კი მოგისაკლისეთ, მაგრამ აქ ისე ხვავიანად ბარდნიდა, მაინცდამაინც არ გაგვკვირვებია. მით უმეტეს, რომ უგზოობის გამო სხვებიც ვერ ჩამოვიდნენო.**
**ბელუა ჩაჩანიძე, ჭიათურელი კოლორიტი, უაღრესად ჭკვიანი და იუმორით სავსე კაცი იყო.**
**ბელუას, იმავე პეტრე ჩაჩანიძეს, საინტერესო ბიოგრაფია ჰქონდა, ჩემი თაობის ბიჭებში ლეგენდად დადიოდა მისი სახელი – ბელუას ციმბირში ოქროთი სავსე სატვირთო მანქანა გაუტაცია და ზესტაფონს რომ გამოსცდა, დილიკოურის სერზე დაუჭერიათ თურმე.**

— ამჯერად დაიჭირეს, თორემ წინა რეისები რომ ჩამოიტანა, ის ხომ შერჩა. შუქრუთში ყანა არაა, მაგისაგან დაფლული განძი რომ არ ინახებოდეს.

— კი, მარა, რვა წლის შემდეგ, ციხიდან რომ გამოვა, მიაგნებს მაინც?

— შე კაცო, ერთ სამალავსაც რომ მიაგნოს, ის ეყოფა მაგის გვარსა და ჯილაგს. ერთი ცალუღელა ბიჭი ჰყავს და რა გოუჭირდება ნეტავ.

— რა გითხრა იცი, ძამია, მაინც არ უნდა წასულიყო ამ საქმეზე. არ ეკადრებოდა მაგ კაცს ამისთანა რამე.

— ვაი ნეტა, ახლა ერთი მანქანა კი არა ერთი მუჭა ოქრო მომცა და ჯოჯოხეთში წავალ, გამხეთქა ამ შავმა პურმა და ლობიომ...

აი, დაახლოებით ამგვარი დიალოგები გვესმოდა ყოველდღე ათითხუთმეტი წლის ბიჭებს. იმ დროს ჯეკ ლონდონის ჩრდილოური ციკლის რომანების კითხვით ვიყავით გატაცებულები. გახსოვთ, ალბათ, იქ ადამიანები ისე ჰყავს შეპყრობილი ოქროს ციებცხელებას, რომ რამდენიმე გრამი ოქროს ქვიშის გულისთვის, მზად არიან ერთმანეთს ყელი გამოსჭრან. ჩვენ კი აგერ გვყოლია კაცი, რომელიც პირდაპირ ავტომატიანი დაცვის ცხვირწინ იტაცებს კეთილშობილი ლითონით დატვირთულ ავტომანქანას და შორეული მაგადანიდან ჭიათურის საზღვრამდე უპრობლემოდ ჩამოდის.

მერე და მერე, ასაკის მატებასთან ერთად, ლეგენდა ნელ-ნელა გაუფერულდა და მხოლოდ ღიმილს თუ გვგვრიდა ხოლმე მე და ჩემს თანატოლებს. გასულ შემოდგომაზე, როცა გავიგე, შეუძლოდააო, ვინახულე და თავი რომ გაგვერთო, შეფარვით ვკითხე — მაინც როგორ აღმოჩნდი შენი ფეხით მაგადანში-მეთქი. ჩაიღიმა და დაიწყო:

— თოთხმეტი წლისაც არ ვიყავი, სტალინის სახელობის მაღაროზე წყლის მზიდავად რომ დავიწყე მუშაობა. ხომ იცი ეს მაღარო, აგერ, აქ შუქრუთში, ჩემი საწოლის ქვეშ გადის, მე კი მიწისქვეშ ათი-თორმეტი კილომეტრი უნდა გამევლო, აქამდე რომ მოვსულიყავი. ცოტა რომ წამოვიზარდე, კირკა და ლაფატკა მომაჩეჩეს ხელში, მერე შოფრობა ვისწავლე და ვითომ ხალხში გავერიე (შენ არ გეხსომება, მაშინ ჭიათურაში სამი რაიკომის მდივანი იყო და ორი შოფერი, ამიტომ ხალხი ამათ უფრო მეტ პატივს სცემდა), მაგრამ არაფერი გამოვიდა.

...ერთის მეტი შვილი არ მოგვცა ღმერთმა, მაგრამ მე და ჩემი აწ განსვენებული მეუღლე ვგრძნობდით, რომ ბიჭის გაზრდა გაგვიჭირდებოდა. მანქანაზე მუშაობით არაფერი გამოდიოდა, ისევ მაღაროში უნდა შევსულიყავი, მაგრამ არც იქ იყო დიდი ხეირი. ვიფიქრე, რაკი მიწაში უნდა ვიძრომიალო, სულერთი არაა, ჩემი სახლის ქვეშ ვიქნები თუ შორეულ ციმბირში, ერთხელ გავრისკავ, ხმები დადის, ადამიანები ოქროს ზოდებზე დააბიჯებენ, მარტო ჩექმებში რომ ჩაიყარო და ისე ზიდო, ერთ-ორ თვეში რამდენიმე ფუთს დავაგროვებ-მეთქი და წავედი. ერთი სამტრედიელი ექიმის მისამართი მქონდა, რომელიც იქ, მაგადანში, საავადმყოფოში მუშაობდა. როგორც ექიმს აქებდნენ, მაგრამ გვიან გავიგე, ნახევარი ცხოვრება ციხეებში ჰქონია გატარებული (მეც მაგარი ვარ, ხომ ატყობ, თვითონ საქურდლად

# ციმბირში ოქროთი სავსე სატვირთო მანქანა გაიტაცა და... ზესტაფონთან დაიჭირეს?!

წავედი და წმინდანებში როგორ ამოვჩნდებოდი), ექვსჯერ იყო ნასამართლევი. ერთი წალენჯიხელი ადამია გამაცნო, ოქროს საბადოზე მუშაობსო, ბურხალაში. თუ მაგ კაცთან დაიჭერ საქმეს, გეშველება, სხვაფრივ აქ არაფრის იმედი არ გქონდესო, მითხრა და პალატაში შებრუნდა.

წავედი ბურხალაში, ვნახე ადამია. მისგან გავიგე პირველად, რომ ყოფილა წამალი, რომელსაც ნარკოტიკი ეწოდება და რომელიც თურმე დიდი ფული ღირს. ექიმს საავადმყოფოდან გამოჰქონდა ნარკოტიკები, შემდეგ მას ადამია ასაღებდა. აღებული ფულით ოქროს ყიდულობდნენ. რა თქმა უნდა, იაფად. მერე ამ ოქროს საქართველოში აგზავნიდნენ და ძვირად ყიდდნენ. მე ამ სიბინძურეში არ გავრეულვარ, მაგრამ ჩემი ილუზია, რომ საბადოდან ყოველ საღამოს შინ ოქროთი სავსე ჩექმებით დავბრუნდებოდი, უმალ დაიმსხვრა, ვინ რას გამოგატანდა. საბადოს გამოსასვლელებში ისეთი აპარატურა იდგა, ოქროს ნაწილაკიც რომ უნებლიეთ მისწებებოდა ფეხსაცმელს, ისეთ კივილს ატეხდა, იფიქრებდი, ქვეყანა



**მანქანა კეცხოველის ქუჩაზე გაჩერდა, „ინტურისტის“ ბაღში სამოთხესავით გრილოდა და მორდეხაც ნეტარებას ეძლეოდა. ცოტაც და, შამპანური აქაფდა ბოკალში. მორდეხა სასმისს მისწვდა და აეროპორტიდან წამოსვლის შემდეგ პირველად დაარღვია დუმილი — სამოცდაშვიდი წლისა ვარ, ისხაკ, ბევრი ციხეც მინახავს, ბევრი მისვამს, ბევრი მიჭამია, ბევრი ფულიც მიშოვია, მაგრამ ამხელა სარფიანი საქმე, ასე რისკიანი ნაბიჯით ჯერ არ გამომსვლია. შამპანურით სავსე ბოკალი ბიძაშვილს მიუჭახუნა და ის იყო, უნდა გადაეკრა, ერთბაშად რამდენიმე დაუპატიჟებელი სტუმარი დაადგათ თავზე...**

ინგრევაო. ერთ ჩემნაირ არიფს რამდენიმეგრამიანი ნაჭერი გადაუყლაპავს. უბედურს საფაღარათო ზეთი დაალევინეს, მთელი დღე-ღამე ქოთანზე დასვეს, ვიდრე ნაქურდალი ოქრო არ „დაბადა“, მერე კი თავი გადაპარსეს და ციხეში გაუშვეს. ამის შემხედვარემ გადავწყვიტე, ისევ მანქანაზე ვიმუშავებ-მეთქი და ეს საქმე ადვილად მოგვარდა. მძღოლები უჭირდათ და უარს რატომ მეტყოდნენ. ექიმმა რაკი შინაურად მიმიღო, ნელ-ნელა გახსნა კარტები. თუ მყიდველს იშოვი საქართველოში, რამდენიც საჭირო იქნება, იმდენ ოქროს მოგცემო. აშკარა იყო, ვიღაც-ვიღაცები მაინც ახერხებდნენ ქვიშის გამოტანას, ალბათ დაცვასთან იყვნენ კავშირში, თორემ სხვა გზით ამის გაკეთება, ხომ გითხარი, წარმოუდგენელი იყო. მე იქ მუშაობა სულ არ მაინტერესებდა. რაკი შევტოპე, არ მინდოდა სახლში ხელცარიელი დავბრუნებულიყავი და ექიმის რჩევით, ვანელ ებრაელებს დავუკავშირდი, სამჯერ მომიწია მაგადანიდან ჩამოსვლა. არ მენდობოდნენ, თავს ისე იჭერდნენ, თითქოს არც აინტერესებდათ შეთავაზებული საქონელი. მერე რომ დავითვალე, საერთო ჯამში თვე-ნახევარი გავატარე ვანში და ერთხელ ვერ ავედი ჭიათურაში, სადაც ჩემი არყოფნის დროს მამისეულ სახლში ცხოვრობდა ჩემი მეუღლე ჩვენს ბიჭთან ერთად. ან კი როგორ ავსულიყავი, ჩემს მგზავრობას ექიმი აფინანსებდა და თანაც ისე გამოზომილად, რომ გზის ფულის გარდა, არაფერი მრჩებოდა.

ბოლოს და ბოლოს, ებრაელებთან ასე მოვრიგდით — რაკი ჩვენი ჩატანილი ოქრო, გზის რისკის გათვალისწინებით ძვირი ეჩვენებოდათ, შემომთავაზეს, თვითონ წამოვიღებთ, თუ იაფად მოგვცემთო და ასეც შევთანხმდით. მე და მორდეხა პაპიაშვილმა სხვადასხვა ვაგონით ვიმგზავრეთ სამტრედიიდან მოსკოვამდე. იქიდანაც სხვადასხვა რეისით გავფრინდით მაგადანში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მორდეხამ ნაგომარში იქირავა ბავშვიანი რუსის ქალი და თან წამოიყვანა. ვიფიქრე — საღოლ, მორდეხ! უქალოდ მოგზაურობაც არ შეუძლია-მეთქი, მაგრამ მერე გაირკა, მორდეხას ქალი კი არა, თურმე ბავშვი აინტერესებდა. მოლაპარაკების თანახმად, ჩვენმა კლიენტმა ჩემი თავდებობით მთელი ფული ექიმს გადასცა. საქონელი კი ბურხალაში ავტობუსის გაჩერებაზე ადამიასაგან უნდა მიეღო. ბავშვიანი ქალი მორდეხას მაგადანში არ ჩამოუყვანია. დედა-შვილი ვინმეს რომ თვალში არ მოხვედროდა, დაბა სუსამანში ჰყავდა დატოვებული. იმ დღესვე გადაფრინდა, ქალი და ბავშვი ავტობუსში ჩასვა და ბურხალაში გაამგზავრა ადამიას შესახვედრად. ადამიას კი მორდეხას გადაგდება გადაეწყვიტა და გაჩერებაზე არ დახვდა. მორდეხამ ჯერ ქალი დააბრუნა სუსამანში, შემდეგ ისევ მაგადანში დაბრუნდა ჩემთან. ამას რატომ გიყვები იცი? სუსამანიდან ბურხალამდე ექვსას კილომეტრზე მეტია, იქიდან მაგადანამდე კი ერთი იმდენი. ახლა წარმოიდგინე (აგვისტოში იქაც სიცხეები იცის), ქალი ჩვილი

**— შენ ალბათ აქ ჩაძაღლებას აპირებ, მე კი საქართველოში გადამგდების სახელით დაბრუნება არც მიფიქრია. ამ კაცს კუთვნილი სამი კილო ოქროს ქვიშა მიეცი, თორემ აქვე გამოგჭრი ყელს და ტურების შესაჭმელად დაგაგდებ-მეთქი.**

ბავშვით ავტობუსში. წინ და უკან ათას ორას კილომეტრს გადის ტყუილუბრალოდ, სხვა საქმეა, რა აქვთ ჩაფიქრებული. ბავშვმა რაღა დააშავა?! ნაშუაღამევს დავადექი მძინარე ადამიას თავზე, — შენ ალბათ აქ ჩაძაღლებას აპირებ, მე კი საქართველოში გადამგდების სახელით დაბრუნება არც მიფიქრია. ამ კაცს კუთვნილი სამი კილო ოქროს ქვიშა მიეცი, თორემ აქვე გამოგჭრი ყელს და ტურების შესაჭმელად დაგაგდებ-მეთქი. მართლაც, ორი დღის შემდეგ ადამიამ სამი კილო ოქრო გადასცა მორდეხას ბურხალაში, საბადოსთან ახლოს იმავე გაჩერებაზე, სადაც წინა დღეებში უნდა დახვედროდა. მომდევნო გაჩერებაზე ავტობუსი გაჩხრიკეს (ეს იქ ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩხრეკა მიდიოდა), მაგრამ ოქრო საიმედო ადგილზე, ბავშვის ჩვრებში იყო გადამალული, უფრო სწორად, ბავშვი იყო გახვეული ოქროში და ამ მდუღარე სიცხეში გარედან კიდევ სქელი საბანი ჰქონდა შემოხვეული — ფილტვების ანთება აქვს და ექიმთან მიმყავსო, — განაცხადა დედამისმა. ერთი სიტყვით, მოსკოვამდე ამის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე გაჩხრიკეს მორდეხას ქალბატონი, მაგრამ უშედეგოდ. „ჩვილბავშვიანი წყვილი“ მშვიდობიანად დაბრუნდა საქართველოში.

მაგრამ ვანში ჩასულმა მორდეხამ უზუსტესი აფთიაქის სასწორზე მაგადანიდან ასე შიშის კანკალით ჩამოტანილი ოქრო რომ აწონა და 170 გრამი ოქრო მოისაკლისა, არც აცია, არც აცხელა, დაკრა ფეხი და იმავე კვირაში მომადგა. თვალებს არ დავუჯერე, ვიფიქრე, ჯერ არ წასულა-მეთქი, მაგრამ მის გაფითრებულ სახეს რომ შევხედე, მივხვდი, კარგად არ იყო საქმე. ადამიამ მითხრა — რა მექნა, ცეცხლზე მადებდით, მე კი მეტი ოქრო არ მქონდა და რა უნდა მეღონა. ახლა მოვიდეს, დანაკლისსაც შევუვსებ და თუ გადაიხდის კიდეც, ხუთ კილოგრამ ოქროსაც მივყიდი — შენ კი შენს წილს მიიღებო. გამიხარდა და ამის შესახებ კლიენტს ვაცნობე. მორდეხამ ნიფხავს შიგნით ჩაკერებული სამალავიდან ამოთვალა ფული და მითხრა — მიუხედავად ყველაფრისა, შენ მაინც გენდობი, ოღონდ იმ პირობით, რომ ოქროს მე და შენ ერთად ავწონითო. წავიდა მორდეხა აფთიაქში, ავადმყოფი კაცი ვარ, თქვენი ესა და ეს წამალი ცოტა ბლომად მომეცითო და ერთი სასწორიც მოაყოლეთ, რომ ჯანმრთელობის ავ-კარგის მიხედვით ჩემი დადგენილი დოზები მივიღოო. გულუბრყვილო პროვიზორმა მოხუც კაცს უარი ვერ უთხრა. მორდეხამ კი იქვე მოისროლა წამლიანი ქილები და გახარებული დაბრუნდა სასწორით ხელში. ადამიას ამის შემდეგ აღარც უცდია მორდეხას გაცურება. ოქროს ერთი გრამიც არ აკლდა და ებრაელიც ავტობუსში ავიდა. იქ კი, სალონში ხალვათობა იყო და ჩვენი კლიენტი ერთ ქალბატონს მიუჯდა. მალე გაირკვა, რომ ქალიც მოსკოვს მიფრინავდა. მორდეხამ დრო იხელთა და ხუთ კილოზე მეტი ოქროს ქვიშით სავსე პარკი ამ სიმპათიური ქალბატონის მოზრდილ ჩანთაში ჩააცურა. ჩანთა უამისოდაც საკმაოდ მძიმე იყო და, ბუნებრივია, უფრო დამძიმდა, მაგრამ რაკი მეორე, უფრო დიდი ჩანთა, მორდეხამ დაითრია — კავკასიელი კაცი ვარ, ქალბატონო, ღმერთო კი მომკალი, ამხელა ტვირთს თქვენ როგორ აგკიდებთო, ჩანთის სიმძიმისათვის ყურადღება აღარ მიუქცევია და აეროპორტის მოსაცდელში შეაბიჯა.

გაბედული კაცი იყო მორდეხა პაპიაშვილი. იშვიათად თუ წავიდოდა სხვა ამხელა რისკზე. პირველი მგზავრობის დროს ჩავარდნის ალბათობა თუ, ვთქვათ, ერთი ცხრაზე იყო მორდეხის სასარგებლოდ, ამჯერად ცხრა იყო მის საწინააღმდეგოდ, მაგრამ იმ ერთმა მოიგო და ახლა მორდეხა მოსკოვი-თბილისის თვითმფრინავში ბაჰრეინის სულთანივით ნებივრობდა. ლიდია პეტროვნა კი ვნუკოვოზე, ავტობუსის გაჩერებაზე დაემშვიდობა მორდეხას. ჯენტლმენობისათვის მადლობა გადაუხადა და დიდად არც იმის გამო აღშფოთებულა, როცა მორდეხამ ზრდილობიანად აუხსნა, თქვენი ჩანთის სატარებლად ხელი რომ გამეთავისუფლებინა, იმ ჩანთაში, რომელიც თქვენ გქონდათ, მცირე რამ ბარგი ჩავდე და თუ დამიბრუნებთ, მადლობელი ვიქნებიო. ქალმა იქით გადაუხადა მადლობა დახმარებისთვის. ახლა ეს ქალი მოსკოვი-ტამბოვის მატარებელში იჯდა და როგორც მისი სქესის უმრავლესობას სჩვევია, ასე ვთქვათ, თავს იწესრიგებდა, მაგრამ ვერაფრით მიაგნო წარბების გასამუქებელ ფანქარს, ბოლოს იფიქრა, ალბათ ხელჩანთიდან საბარგო ჩანთაში ჩამივარდაო და ბევრი ქექვის შემდეგ ჩანთის ფსკერზე ჩაცურებული ფანქარი კი იპოვა, მაგრამ ხელსაც და ფანქარსაც რაღაც ყვითელი ფხვნილი ამოჰყვა. ასეთ შემთხვევაში სხვა შეიძლებოდა დაბნეულიყო, მაგრამ ლიდია პეტროვნა, მაგადანელი ქალბატონი, ოქროს დიდი საბადოს ლაბორატორიის გამგე, კგბ-ს მაიორი, არ დაბნეულა. მან მატარებლის უფროსს (იყო მაშინ ასეთი თანამდებობა) მიაკითხა და ამ უკანასკნელმაც იმწამსვე აცნობა მილიციის უახლოეს განყოფილებას.

თბილისში კი მშვიდობიანად დაჯდა მორდეხას თვითმფრინავი. დინჯი მორდეხა ბავშვივით ცქმუტავდა. მის შესახვედრად ჩამოსულ ბიძაშვილს, ისხაკი პაპიაშვილს, ახალ-ახალი გაპრიალებული ვოლგით რომ ელოდებოდა, ერთადერთი სიტყვა გადაუგდო — რესტორანშიო, პატარა ხელჩანთა, ისე, რომ ხელი არ გაუშვია, მუხლებზე დაიდო და უკანა დასაჯდომზე ნებიერად გადაწვა.

ისხაკიმ უთქმელადაც იცოდა, რასაც ნიშნავდა მორდეხის ამგვარი საქციელი. მასში ჩაბუდებული ბიბლიური გენი უფლებას არ აძლევდა ბიძაშვილისთვის ეკითხა — მაინც რა დოზით იხეირეო. იცოდა, ამის უფლება არ ჰქონდა. ამას მაშინ გააკეთებდა მორდეხა როცა თვითონ ჩათვლიდა საჭიროდ, მანამდე კი დუმილს არც ერთი არღვევდა, არც მეორე.

მანქანა კეცხოველის ქუჩაზე გაჩერდა, „ინტურისტის“ ბაღში სამოთხესავით გრილოდა და მორდეხაც ნეტარებას ეძლეოდა. ცოტაც და, შამპანური აქაფდა ბოკალში. მორდეხა სასმისს მისწვდა და აეროპორტიდან წამოსვლის შემდეგ პირველად დაარღვია დუმილი — სამოცდაშვიდი წლისა ვარ, ისხაკ, ბევრი ციხეც მინახავს, ბევრი მისვამს, ბევრი მიჭამია, ბევრი ფულიც მიშოვია, მაგრამ ამხელა სარფიანი საქმე, ასე რისკიანი ნაბიჯით ჯერ არ გამომსვლია. შამპანურით სავსე ბოკალი ბიძაშვილს მიუჭახუნა და ის იყო, უნდა გადაეკრა, ერთბაშად რამდენიმე დაუპატიჟებელი სტუმარი დაადგათ თავზე...

მეორე დღეს პირველმა ექიმმა შეიტყო მომხდარის შესახებ. ბელუამ პირველსავე რეისზე მოახერხა ბილეთის აღება ნასესხები ფულით, მაგრამ სახლში, კიბეზე რომ ადიოდა, მაშინ დააპატიმრა ჭიათურის მილიციამ.

— ჯოჯოხეთად მექცა ის რამდენიმე დღე, ვიდრე მაგადანში გადამიყვანდნენ, ეზოდან ბურთს გამოდევნებული ჩემი ბიჭისა და მისი ამხანაგების ყიჟინა რომ მესმოდა. ხომ გახსოვს, ჭიათურაში, ჩვენი სახლი და მილიცია, ერთ ეზოში რომ იყო, ვაჟა.

ეს იყო ჩემთან ნათქვამი მისი ბოლო სიტყვები... მოგვიანებით, მაგადანის საოლქო სასამართლოს განაჩენი ბელუას შვილიშვილმა ნათიამ გამაცნო. ბელუასათვის რვა წელი მიუსჯიათ შუაკაცობისათვის, დანარჩენებისათვის — თხუთმეტთხუთმეტი.

P.S. სასჯელის მოხდის შემდეგ გზაში, სადღაც წყაროსთან, მუშტრის მომლოდინე ერთ მოხუცს, თხილის გამყიდველ ქალს ბელუასათვის მიუძახებია, მოდი, ოქროს კაცო, ისეთი თხილი მოგყიდო, შენ რომ მოგეწონება — შენ საიდანღა გაიგე, ადამიანო, მე რომ ოქროს გულისთვის ციხეში ვიჯექიო, — თავისთვის ჩაუცინია ბელუას და მალე გასცლია იქაურობას.

***ვაჟა გავაშელი***




შ.პ.ს.
„ფავორიტი“
გთავაზობთ უმაღლესი ხარისხის პოლიგრაფიულ მომსახურებას დაბალ ფასებში

- წიგნების
- ჟურნალების
- ბროშურების
- ბუკლეტების

რედაქტირებას, დაკაბადონებას, ბეჭდვას და აწყობას ნებისმიერ ყდაში

- მუყაოს ყუთების დამზადებას
- ნებისმიერი კონფიგურაციის მყარ ზედაპირზე ტრაფარეტულ და ტამპონურ ბეჭდვას
- საკანცელარიო საქონლის ფართო ასორტიმენტს

ქ. თბილისი, რკინიგზის ჩიხი 20.
ტელ: 98 75 68; 899 58 96 91; 893 31 22 22

# ვინაობას ვერ გაგიმხელთ, მეშინია, უარესი არ გამიკეთონ

*მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ამდენს ლაპარაკობენ ტრეფიკინგისა და მისი მსხვერპლის — უდანაშაულო, უმწეო ადამიანების შესახებ, სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ჩვენთვის კიდევ არაერთი შემთხვევა გახდა ცნობილი. ყველა დაგვეთანხმება, რომ მსოფლიოში რვაფეხასავით მოდებულ ამ არალეგალურ ბიზნესს თუნდაც ის განაპირობებს, რომ აქ ორივე მხარე დუმილს ირჩევს. ჩუმად არის ის, ვინც „თეთრი" მონების ხარჯზე შოულობს ფულს და ჩუმად არის ისიც, ვინც შემთხვევით დააღწია თავი სამუდამო მახეს. ისინი ამის მოტივად შიშს ასახელებენ და არც ცრუობენ, რადგან, ამ დანაშაულებრივი ბიზნესის მთავარი პრინციპი დაშინების მეთოდია. „კვირის პალიტრამ" ამ თემაზე არაერთი მოკვლევა გამოაქვეყნა. ალბათ ამითაც იყო განპირობებული, რომ რამდენიმე დღის წინ რედაქციაში დარეკა ერთმა ქალბატონმა, რომელმაც საკუთარი ტრაგედიის მოყოლა გადაწყვიტა, თუმცა ვინაობის გამხელაზე მანაც უარი გვითხრა, — ფოტოსურათის გამოქვეყნებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.*

**ნ.ლ:** „იცით, ამ ისტორიის მოყოლა მხოლოდ იმიტომ გადავწყვიტე, რომ ჯერ კიდევ ბევრს სჯერა, რომ საზღვარგარეთ ალალბედზე წასული მილიონებს იშოვის. რამდენიმე კვირის წინ ისეთი საშინელება გადავიტანე ჩემს ოჯახთან ერთად, რომ არც კი ვიცი, რა მეშველება. ჩემი თოთხმეტი წლის გოგონა დღემდე შოკშია. მგონი საღ ჭკუაზე აღარც კი არის. საერთოდ აღარ ლაპარაკობს (ქალბატონი ტირის)...

... ოჯახში ძალიან გაგვიჭირდა. ამ ხელისუფლების შემყურეთ, რისი იმედი უნდა გვქონოდა? ჩემმა მეუღლემ მითხრა, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, წავალ საბერძნეთში, შავ მუშად ვიმუშავებ და იქნებ რამე გამოვიდესო.

— **საბერძნეთში ვინმე გყავთ?**

— არა, არა. იმდენი ფულიც კი არ გვქონდა, რომ ლეგალურად წასულიყო. უთხრეს, თურქეთამდე არალეგალურად 300$-ად გადაგიყვანთ, იქიდან საბერძნეთში ჩასვლა კი 200$ დაგიჯდებაო. ეს 500$-იც სასესხებელი იყო. ძმაკაცმა შესთავაზა, ერთად წავიდეთ და ფულს მე გასესხებო. არალეგალურად გადავიდნენ საბერძნეთში. ჩემმა მეუღლემ ქარხანაში დაიწყო მუშაობა, ზ.-მ. კი მაღაზიაში — მუშად. ბევრს არ უხდიდნენ, მაგრამ იმდენს კი იღებდნენ, რომ იქ ყოფნა ეღირდათ. საახალწლოდ რომ დარეკა, მითხრა, თუ ასე გაგრძელდა, ცოტა ხანში დაგირეკავ და ზ-ს ოჯახთან ერთად ჩამოგიყვანთო. მართლაც დარეკა. ჩემი მეუღლის ძმაკაცის ცოლთან, ისთან მანამდეც კარგი ურთიერთობა მქონდა. ერთ საღამოს სახლში მივიპატიჟე და ვუთხარი, რაც არის, არის, გავყიდოთ, რაც კი გაგვაჩნია და წავიდეთ-მეთქი. ი. თავიდან ორჭოფობდა — მოხუცი მშობლები მყავს, ვინ მიხედავსო, მერე ისევ მეუღლესთან წასვლა არჩია, — თქვა, ჩემს მულს ვთხოვ, რომ უპატრონოსო. დავიწყეთ იმ კაცის ძებნა, ვინც ჩემი ქმარი და მისი მეგობარი 500-500$-ად გადაიყვანა, მაგრამ ვერ ვიპოვეთ. მერე კითხვა-კითხვით მივაგენით სხვას, ვისაც ასევე გადაჰყავდა ხალხი საბერძნეთში. ტელეფონით დავუკავშირდით და შეხვედრაც დავთქვით.

— **ვინ იყო ეს პიროვნება?**

— ასე, 40 წლის იქნებოდა, ლევანად გაგვეცნო. ვუთხარით, რომ მე ორ გოგონასთან ერთად მივდიოდი, ი. კი, თავის ქალიშვილთან ერთად. მან გვითხრა, ხუთნი ხართ და 500-500$-ად ვერ გადაგიყვანთ, კაცზე 600$ მოგვეცითო. მეტი გზა არ იყო, დავთანხმდით. თან ვჩქარობდით, რადგან პარალელურად ბინას ვყიდდი და კლიენტიც უკვე მყავდა. ერთი სიტყვით, 3.000$ უნდა მიგვეცა. ი. განერვიულდა, მას ბინის დაგირავება უნდოდა და იმ პერიოდში ვერავის შოულობდა, თანხა ხელზე არც იმას ჰქონდა, რა ვქნაო, წუხდა. მაგრამ ბედი იყო თუ რა იყო, ერთ კვირაში, რა დღესაც მე გავყიდე ბინა, ზუსტად იმ დღეს დააგირავა ი-მ თავისი.

— **რამდენად გაყიდეთ?**

— მე რვა ათასად, ი-მ 3.000-ად დააგირავა... დავურეკეთ მაშინვე ლევანს. ისევ ქუჩაში დაგვიბარა. გვითხრა, რომ გორში უნდა შევხვედროდით. წავედით ავტობუსით. გორიდან უკვე აჭარაში წაგვიყვანა მანქანით. სოფ. სარფში უცხო ოჯახში მივედით და იქ 3.000$ გამოგვართვა. გვითხრა, რომ სარფიდან გაგვაცილებდა კაცი, რომელმაც სასაზღვრო ბილიკები კარგად იცოდა. ერთი დღე-ღამე იქ ვიყავით. მეორე დღეს მოვიდა ვიღაც — ერთი შავი, შეუხედავი, ასე 45 წლამდე ასაკის კაცი. ქართულად ძლივს ლაპარაკობდა. ქართველი იყო თუ თურქი, ვერ გავარჩიეთ.

— **სახელი არ უთქვამს?**

— რა ვიცი, ალი მქვიაო და... ერთი სიტყვით, მოლაპარაკება იყო ასეთი: მას უნდა გადავეყვანეთ ტრაპიზონში და იმ ჯგუფისთვის უნდა ჩავებარებინეთ, ვინც საბერძნეთში გადაგვიყვანდა. საღამოს გავედით. სადღაც ტყეღრეში გვატარა.

— **ფეხით?**

— ჰო, აბა, არალეგალურად გადავდიოდით და მანქანით ხომ არ წაგვიყვანდა. ასე ბილიკ-ბილიკ, შიშითა და კანკალით გადავედით საზღვარზე. ტრაპიზონში გვითხრა, სასტუმროში მიგვიყვანთო. მიგვიყვანა, მაგრამ სასტუმრო კი არა რაღაც სახლი იყო... რაღა გავაგრძელო, ღამე რომ 5$ ეღირება, ის რა სასტუმრო უნდა იყოს?! თვითონ გვითხრა, გავალ რამე „სოკს" მოგიტანთ, სანამ ისინი მოვლენო. როგორც თქვენ არ მოსულხართ იქ, ისე ის აღარ მოსულა. წარმოიდგინეთ, როგორი დაღლილები ვიქნებოდით ორი ჩანთით, ფეხით ტყეღრეში ნასიარულები. რომ დაღამდა და არ გამოჩნდა, ეჭვი შეგვეპარა, ხომ არ მოგვატყუაო, მაგრამ რას ვიზამდით. ასე განერვიულებულებმა დავიძინეთ იმ ღამეს, მაგრამ რა ვიცოდი, რომ უარესი გველოდა. დილით, გაღვიძებულებს აღარც ჩვენი ჩანთები დაგვხვდა და აღარც არაფერი. ისტერიკა დამემართა: მე ჩანთაში გაყიდული ბინის ფული მედო, ი.-ს — გირაოს დარჩენილი თანხა.



— **პოლიცია არ გამოიძახეთ?**

— გამოვიძახეთ კი არა, მივედით. პოლიციაში საბუთები მოგვთხოვეს — რაც არ გვქონდა, რას მივცემდით?! დაგვიწყეს ყვირილი, სახეში სილა გამაწნეს — როგორ გაბედეთ არალეგალურად გადმოსვლაო და დახმარების მაგივრად ციხეში შეგვყარეს. ერთი კვირა იცით, რა გადავიტანეთ? ყველანაირი შეურაცხყოფა. ძალიან გთხოვთ, არ მკითხოთ — რა (ისევ ატირდა)... ერთი კვირის შემდეგ დეპორტაცია გაგვიკეთეს. მას შემდეგ ჩემს გოგონას სახეში ვერ ვუყურებ. საერთოდ აღარ ლაპარაკობს.

— **აქ, თბილისში არ განაცხადეთ პოლიციაში?**

— არა. მაგათ რა უნდა მიშველონ. ამდენ ხალხს ხოცავენ დღისით, მზისით და მკვლელებს ვერ იჭერენ. ეგენი მე, უპატრონოს დამეხმარებოდნენ?

— **აბა, ასე როგორ მოითმინეთ?**

— არა... ჩემს მამიდაშვილს ვუთხარი რაც გადამხდა. მას ერთი ამხანაგი ჰყავს — „ძველი ბიჭია". ჰოდა, ღმერთმა გაახაროს, ის ჩავრიეთ. ასე ძებნა-ძებნით მიაგნეს იმ ლევანს, მაგრად სცემეს და ფულიც ორმაგად მოატანინეს. რა თქმა უნდა, ნახევარი „შავებმა" წაიღეს, ღმერთმა შეარგოთ.

— **კი, მაგრამ როგორ მიაგნეს?**

— როგორც ჩემმა მამიდაშვილმა მიამბო, „ხაფანგი" დაუგეს. ვითომ იმასაც წასვლა უნდოდა და ასე.

— **ჩანთები და ფული დაკარგეთ?**

— თურმე იქ, სასტუმროში ისევ მაგათი გაძარცულები ვიყავით. ჩანთები კი დავკარგეთ, მაგრამ ფული დავიბრუნეთ, რაც მთავარია. ახლა კი ჩემი ბინა ვისაც მივყიდე, იმას ვეხვეწები — ბინა დამიბრუნე, შენი ფული არ მინდა-მეთქი.

— **ხომ არ ფიქრობთ, რომ პოლიციაში თქვენი მისვლა მაინც აუცილებელია? ასე ხომ სხვასაც მოატყუებენ?**

— მაგათი გადაკიდება არ მინდა. რა ვიცი, უარესი არ გამიკეთონ... ამიტომ არ გიმხელთ ჩემს ვინაობას.

— **თქვენმა მეუღლეებმა თუ გაიგეს ეს ამბავი?**

— გაიგეს და გაგიჟებულები არიან, მაგრამ იქიდან რას იზამენ? მეუღლემ ტელეფონზე მითხრა: ისევ ფულს გამოგიგზავნით ხოლმე, მეტი რა გავაკეთოო.

*ამ ინკოგნიტო ქალბატონის ნაამბობის გამოქვეყნება გაზეთმა საჭიროდ მიიჩნია თუნდაც იმიტომ, რომ გაფრთხილდნენ სხვები, ვისაც გადაწყვეტილი აქვს, გაეცალოს აქაურ უბედურებას. — ნუ მიენდობიან შემთხვევით ადამიანებს და თავს საფრთხეში ნუ ჩაიგდებენ.*

*დაზარალებულ ქალბატონებს კი ვურჩევთ, განსაკუთრებით იზრუნონ ქალიშვილების მდგომარეობაზე, — მიიყვანონ ისინი კარგ ფსიქოთერაპევტთან და, თუ საჭიროა, მოძღვართანაც, რათა გარდატეხის ასაკში მიღებული ტრავმა მოზარდების ფსიქიკას წარუშლელ დაღად არ დააჩნდეს.*

**ნანა ბერაია**

# მოვუწოდებ ჩვენს სპეცსამსახურებს, ნუ მოგვერიდება ჩვენი ქვეყნის მტრების გამოვლენა

*(დასაწყისი იხ. გვ. 3)*

— **ბოლო დროს უკიდურესად გააქტიურდა რელიგიურ უმცირესობათა თემაც, რომლის დამფინანსებლადაც უცხოეთის ქვეყნების სპეცსამსახურებსაც ასახელებენ...**

— დიახ, საქართველოში ათასგვარი რელიგიური სექტა და მიმდინარეობა გამოიკვეთა, მაგრამ ვფიქრობ, რეაქციულ და არატრადიციულ რელიგიურ მიმდინარეობებს ძალადობითა და ბარბაროსული მეთოდებით არ უნდა ვებრძოლოთ. მათ უნდა დავუპირისპიროთ კანონი, რომელიც სასწრაფოდ არის მისაღები. ამის შემდეგ ჩარჩოებში მოექცევა ყველა კონფესია. საქმე ის არის, რომ იეღოველებს და მათ მსგავსთ, რომლებსაც თავი დაჩაგრულად მოაქვთ საქართველოში, შესთავაზეს, მონაწილეობა მიეღოთ რელიგიის შესახებ კანონის შემუშავებაში. მათ ცივი უარი განაცხადეს. არადა, ევროპის სახელმწიფოებში ასეთ სექტებს რელიგიურ მიმდინარეობებად არ მიიჩნევენ. თუნდაც გერმანიაში ასეთი სექტები საზოგადოებრივ ორგანიზაციებად არის გატარებული. კანონის თანახმად, მათ ეკრძალებათ კომერციული საქმიანობა, პროპაგანდა, მატერიალური დახმარება მიმდევრებისადმი ან ხალხის გადასაბირებლად. ყოველივე ეს ითვლება დანაშაულად. ვფიქრობ, კანონი ჩვენთანაც მოაწესრიგებს ამ პრობლემებს. კანონის შემუშავებაში ჩართულნი არიან დასავლელი ექსპერტებიც. რაც შეეხება უშუალოდ იეღოველებს, დაზვერვის დეპარტამენტს საუბარი ჰქონდა დასავლეთის თითქმის ყველა ქვეყნის სპეცსამსახურთან. მათ ნათლად განგვიმარტეს: იეღოვას სექტა არსებობს ამ ქვეყანაში, მაგრამ კატეგორიულად აკრძალული აქვთ ადამიანების მოსყიდვა ფულით, სურსათით, ტანსაცმლით ანუ ის, რასაც საქართველოში აკეთებენ იეღოველები. მინდა ვუთხრა მკითხველს, რომ შეიძლება ჩვენ რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირებებამდეც მივედით, რადგან ზოგი ქართველი იეღოველი ხდება, ზოგი სხვა სექტაში შევიდა, აქეთ მართლმადიდებლობაა და იხლიჩება და ქუცმაცდება, ოჯახები, საზოგადოება. ეს უნდა გავაცნობიეროთ და შევიგნოთ, რათა კატასტროფამდე არ მივიდეს ეს პატარა ქვეყანა. აგერ, იეღოვას სექტაში გაწევრების მსურველთა ანკეტაში ორჯერ მეტი კითხვარია, ვიდრე სპეცსამსახურებში მუშაობის მსურველისთვის. ავსებენ ანკეტას დაწყებული სისხლის ჯგუფიდან — ნათესავების ვინაობით დამთავრებული. ეს სჭირდებათ მათთვის სასურველი კანდიდატურების ასარჩევად; ეხმარებიან მატერიალურად, ზრუნავენ მათ სწავლა-განათლებაზე, რათა ბოლოს ხელისუფლების იერარქიისკენ გაუკვალონ გზა, მომავალში კი, როცა თავისი ხალხი ეყოლებათ ხელისუფლებაში, გააკეთონ ქვეყანაში ის, რაც სურთ და რა გეგმებიც აქვთ. მეტიც, ამ ანკეტების გამოყენება თავისუფლად შეუძლიათ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს, ანუ ჩასვამენ თავიანთ ხალხს აქ მოქმედ იეღოველთა სექტაში და ისინიც შეუდგებიან „მოღვაწეობას", ანუ ოპერატიულ მუშაობას...

— **და აქ, ალბათ, თავის სიტყვა უნდა თქვას უშიშროების სამინისტრომ.**

— ვერ შევეხები უშიშროების სამსახურს, რადგან იქ გავიზარდე. მივედი ლეიტენანტი და გავხდი გენერალ-ლეიტენანტი, მაგრამ ერთი რამ მინდა იცოდნენ ახალგაზრდა კოლეგებმა: თუ სამშობლო გვიყვარს, უნდა გავარჩიოთ მტერი და მოყვარე. უნდა გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყანა და თუ ამ პასუხისმგებლობას ვერ შეიგნებენ ჩვენი სპეცსამსახურების თანამშრომლები, ძალიან მძიმე პერსპექტივა გველის. თუ ქვეყანა აირია, დაზვერვის სამსახური აღარ გახდება საჭირო. მოვუწოდებ ჩვენს სპეცსამსახურებს, ნუ მოგვერიდება ჩვენი ქვეყნის მტრების გამოვლენა. რომელი სახელმწიფოს ინტერესებსაც არ უნდა ემსახურებოდნენ ისინი. ამიტომ უშიშროების სამინისტრომ უნდა გააააქტიუროს კონტრდაზვერვითი სამუშაოები. ყველა ელოდება შევარდნაძის ეპოქის დასრულებას და დაინტერესებული ქვეყნების სპეცსამსახურები შეეცდებიან, ისეთი პირი მოიყვანონ საქართველოს ხელისუფლების სათავეში, რომელიც მათ აძლევთ ხელს. მე კი, როგორც ერთ რიგით ქართველს, მიმაჩნია, რომ როცა ბატონი ედუარდი დაასრულებს მოღვაწეობას, საქართველოს მომავალი პრეზიდენტი უნდა იყოს სულით და გულით ქართველი, რომელსაც აირჩევს საქართველოს მოსახლეობა. დაბოლოს: უნდა იცოდეს ყველამ, რომ ვერც ერთი ქვეყნის სპეცსამსახური საქართველოში ვერაფერს გააკეთებს, თუ მათ დასაყრდენი ანუ შემსრულებელი ქართველები აქვე არ ეყოლებათ. ამიტომ, ამ ვაიქართველებს თუ მათ ოდნავ მაინც უყვართ სამშობლო, შევახსენებ, თუ გავიმეორებთ ათი წლის წინ მომხდარ ტრაგედიას, საქართველო აღარ იქნება. მიმაჩნია, რომ ამ ხალხის მიმართ უნდა ვიყოთ დაუნდობელნი. შეიძლება არ გიყვარდეს პრეზიდენტი, მაგრამ ქვეყანა უნდა გიყვარდეს, როგორ უნდა იმეტებდე სამშობლოს დასანგრევად...

***ზურაბ მჭედლიშვილი***



ჟურნალი თქვენთვის!

აფხაზეთის ომი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი იმ დაღმავალი გზისა, რომელსაც საქართველო დაადგა 1992 წლის საბედისწერო მოვლენებიდან მოყოლებული; ხოლო მისი მოუგვარებლობა ამდენ ხანს ცალსახა ნიშანია კრიზისისა, საიდანაც ქვეყანა დღემდე ვერ გამოსულა. ეს ომი თავის ისტორიულ განზომილებაში იმდენად მრავალშრიანია, რომ მას ერთსა და იმავე დროს შესაძლოა ეწოდოს როგორც უმაგალითო პროვოკაცია, ისე სამშობლოსთვის თავდადებული ბრძოლა; როგორც უპასუხისმგებლო ავანტიურა, ისე გაუგონარი ტრაგედია.

იგი დაიწყო როგორც პროვოკაცია თბილისის ხუნტისა: მისი ერთადერთი მიზანი იყო სამეგრელოში აგორებული წინააღმდეგობის მოძრაობისთვის მოეშალა ზურგი, შემდეგ ჩაეტარებინა უკანონო, გაყალბებული არჩევნები აფხაზეთის ტერიტორიაზე და ბოლოს, რა თქმა უნდა, დაენგრია სამეგრელოს მოძრაობაც კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის — აფხაზეთი ხომ ფაქტობრივად სამეგრელოს გაგრძელებას წარმოადგენდა როგორც დემოგრაფიული და ეთნო-კულტურული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. ცხადია, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და კონსტიტუციური წესრიგის დამყარება სამოქმედო დევიზად არ გამოადგებოდა სრულიად არალეგიტიმურ ორგანოს, რომელიც ლეგიტიმური არც 1992 წლის 14 აგვისტოს შემდეგ გამხდარა. იგი სამეგრელოში პარალელურად დამსჯელ ლაშქრობებს აწყობდა, საიდანაც ჩანს, რომ აფხაზეთში ომის მოგებით არც ყოფილა დაინტერესებული.

იგი გაგრძელდა, როგორც ამ ომში ძალაუნებურად ჩათრეული ქართველი მოსახლეობის და იქ ჩასული არაერთი მებრძოლის თავგანწირული ბრძოლა იმპერიის მიერ შეიარაღებულ სეპარატისტებსა და გადამთიელებთან. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ყველა მებრძოლი საძარცვავად როდი წასულა აფხაზეთში, მრავალი ვაჟკაცი უთანასწორო ბრძოლებში ჩაწვა, მრავალი დასახიჩრდა.

იგი დასრულდა, როგორც ტრაგედია საკუთარი მიწა-წყლიდან აყრილი და გამოძევებული ხალხისა, რომელმაც გოლგოთის გზა განვლო კოდორის ღრანტეებსა და მთის ბილიკებზე, ავაზაკ-მაროდიორებისგან ნაგვემმა, შიმშილისა და სიცივის მარწუხებში მოქცეულმა. დასრულდა ისევე ღალატით, როგორც დაიწყო — ქართული მიწების გასხვისებით, თავსმოხვეულ ხელშეკრულებებზე ხელის მოწერით, რაც სხვა არაფერი იყო, თუ არა კაპიტულაცია დამარცხებული მხარისა. თუმცა ფაქტობრივი ხელისუფლება ამას დღემდე უმალავს ხალხს, ვისი მართვა-განმგებლობაც დაუჩემებია.

მოლაპარაკებები და ხელშეკრულებები, მეტადრე 1994 წლიდან, სხვა არაფერია, თუ არა შექმნილი სტატუს კვოს დაკანონება. მოსკოვისთვის იგი საკუთარი ინტერესების ჩადუღაბებაა კავკასიაში, გუდაუთისთვის მოპოვებული გამარჯვების დაკანონება-განმტკიცებაა, თბილისისთვის ასევე გამარჯვების განმტკიცებაა, მხოლოდ საკუთარ ხალხზე მოპოვებულის — რაც მას მიეკუთვნა აფხაზეთის ჩაბარების შემდგომ, მოიპოვა რა ენგურს გამოღმა დანარჩენ საქართველოში საბოლოოდ გაბატონების უფლება, ხოლო ეს უფლება კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა 1992 წლის 6 იანვრიდან 1993 წლის 31 დეკემბრამდე.

# რეპლიკა შვეიცარიიდან აფხაზეთის საკითხის ირგვლივ

ამ მდგომარეობას ვერ ცვლის ვერც კონტრაბანდაში გაწაფული „ასფალტის პარტიზანების" ფაქტორი. მოცემულ შემთხვევაში, მოქმედება იმ ხელისუფლებისა, რომელიც მათ იყენებს, სავსებით გასაგებია: ომის თეორეტიკოსი ფონ კლაუზევიცი წერს, რომ ომი არის პოლიტიკის გაგრძელება, ოღონდ სხვა საშუალებებით. დღევანდელი ხელისუფლება ამ სიბრძნეს ქვეშეცნეულად გრძნობს, მაგრამ ქვეყნისთვის სასიკეთო მიზნებს ვერ (ან არ) აღწევს ვერც დიპლომატიურ პარკეტზე, ვერც პარტიზანული ბაზებიდან მოქმედებით, ვერც ასფალტზე აქციების მოწყობით.

როგორც დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, უკანასკნელი 8 წლის მანძილზე ძალზე ზედაპირულად მოხდა აფხაზეთის ომის და მისი ისტორიული, სამართლებრივი, ფსიქოლოგიური და პოლიტიკური ასპექტების გადამუშავება. არადა მსგავსი გადამუშავების გარეშე წარმოუდგენელია ამ ომის დამანგრეველი შედეგების დაძლევა. ნაცვლად ამისა, ხშირია თვალებში ნაცრის შეყრა, უსუსური თავის მართლება, თვითმოტყუება მიამიტური მითებით და სიმართლის დამახინჯება ოფიციოზის რეზონიდან გამომდინარე.

ამის გათვალსაჩინოებისათვის შეიძლება მოვიყვანოთ აკად. ლ. ალექსიძის ინტერვიუ, რომელიც გამოქვეყნდა „კვირის პალიტრაში" (2002, 21-27 იანვ). განმარტავს რა სამშვიდობო პროცესს, ბ-ნი ალექსიძე ახსენებს გაეროს წესდების მე-7 თავს, რაც, მისი თქმით, ითვალისწინებს მშვიდობის იძულებით დამყარებას და რისი ამოქმედებისგანაც გაერო თურმე, ჯერ-ჯერობით, თავს იკავებს. ბოლოს კი პირდაპირ აკეთებს განცხადებას, საიდანაც ჩანს, თუ რაში დასჭირდა ინტერვიუს დასაწყისში წესდების მე-7 თავის ხსენება: „თუ აფხაზები გონს არ მოვიდნენ, დაუყოვნებლივ უნდა ავტეხოთ ხმაური, რათა მოიწვიონ უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა და მოვითხოვოთ გაეროს წესდების მე-7 მუხლის ამოქმედება იძულებითი მშვიდობის დასამყარებლად სოხუმის რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც ცინიკურად არღვევს გაეროსა და ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის დადგენილებას. მე-7 თავის ამოქმედებისთანავე კი სეპარატისტებს აღარაფერს შეეკითხებიან". მსგავსი განცხადება, პრეზიდენტის მრჩევლის პირით, გვაფიქრებინებს, რომ იმავე მიზანს (ე.ი. ჯადოსნური მე-7 თავის შესაძლო ამოქმედებას) ემსახურება ხელისუფლების მიერვე ინსპირირებული ლტოლვილთა აქციები.

გაცემული პასუხებიდან შეიძლება გამოვიტანოთ აზრი, რომ საქართველოში ან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ გაეროზე, ანდა შეგნებულად არ განმარტავენ საქმის ვითარებას როგორც სამართლებრივი, ისე რეალპოლიტიკური თვალსაზრისით: ჯერ ერთი, გაეროს, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის, ამოცანა საქართველოში არის არა ამ ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვა და ცხოვრებაში გატარება, არამედ მშვიდობის და უშიშროების განმტკიცება რეგიონში; ხოლო გაეროს გენერალური მდივანი დაპირისპირებულ მხარეთა დავაში ერევა, როგორც მიუკერძოებელი შუამავალი. ეს რაც შეეხება საკითხის ფორმალურ მხარეს.

ბ-ნი ალექსიძის ქარაგმული ნათქვამიდან გამოდის, რომ აფხაზებს ისევე „უტირებენ დედას", როგორც ბოსნიელ სერბებს, რომლებმაც მსგავსი დოკუმენტი (ე.ი. პოლიტიკური სტატუსის შესახებ) უგულებელყვეს. ეს პარალელი სრულიად მიუღებელია, რადგან ჯერ ერთი, „ეს-ფორი", ანუ ბოსნიის სამშვიდობო კონტინგენტი შეიქმნა ნატოს და არა გაეროს ზეწოლის შედეგად. ნატოში კი სიტყვა ეთქმის ჯერ აშშ-ს, შემდეგ დიდ ბრიტანეთს, შემდეგ კი, გერმანიას და სხვა ქვეყნებს. მეორეც, გაეროს დოკუმენტებში ცალსახად წერია, რომ „ცისფერჩაფხუტიანებმა" კრიზისულ რეგიონებში ხელი უნდა შეუშალონ კონფლიქტის გამძაფრებას ან ახლიდან გაჩაღებას. აქ ლაპარაკი არ არის არანაირ ჟანდარმულ ღონისძიებებზე, რაც მოცემულ შემთხვევაში სეპარატისტულ ხელისუფლებას „დედას უტირებდა". მანდატს ასეთი „ცისფერჩაფხუტიანებისთვის" ამტკიცებს და აგრძელებს გაეროს უშიშროების საბჭო. მასვე შეუძლია მიანიჭოს უფლებამოსილება წევრ ქვეყნებს, კონფლიქტის შემთხვევაში იმოქმედონ სამხედრო ან მშვიდობიანი მეთოდებით. ასეთი „ცისფერჩაფხუტიანები" დღეს, მაგალითად, დგანან ისრაელსა და ლიბანის საზღვარზე, სიერა-ლეონეში და ა.შ; ხოლო რუს „სამშვიდობოებს" რა ფერის ჩაფხუტიც არ უნდა დაახურონ, ის ანტიქართული და მიკერძოებული ძალა დარჩება მაინც.

ბუნებაში რომ არსებულიყო მხოლოდ გაერო, არც ბოსნიის და არც კოსოვოს კონფლიქტის მოსაგვარებლად გადაიდგმებოდა რაიმე კონკრეტული ნაბიჯი. რატომ? საქმე ის არის, რომ გაეროს ქარტიის 25-ე პარაგრაფის მიხედვით, ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან განახორციელონ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებანი. ეს უკანასკნელი შედგება ხუთი მუდმივი წევრისგან, რომელთაგანაც თითოეულს აქვს ვეტოს უფლება (აშშ, რუსეთი, ჩინეთი, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი), ასევე ორი წლის ვადით არჩეული 10 წევრი-სახელმწიფოსაგან, რომელთაც ვეტოს უფლება არ გააჩნიათ. რუსეთი (და მასთან ერთად ჩინეთიც) ბალკანეთის კონფლიქტის გადაჭრის ნებისმიერ ვარიანტს, რაც შესაძლოა საზიანო ყოფილიყო მილოშევიჩის რეჟიმისთვის,



კონსტანტინე ზ. გამსახურდია ამჟამად შვეიცარიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ბოლო პერიოდში საქართველოში გამოიცა მისი წიგნი „დინების საწინააღმდეგოდ" და „პოლიტიკური სცენის მიღმა". შვეიცარიაში გერმანულ ენაზე დაისტამბა „ზვიად გამსახურდია — დისიდენტი, პრეზიდენტი, მოწამე". აქტიურად ეწევა აგრეთვე მთარგმნელობით საქმიანობას. გთავაზობთ ბ-ნი კონსტანტინე ზ. გამსახურდიას რეპლიკას აფხაზეთის საკითხის ირგვლივ, რომლითაც იგი ეხმაურება აკადემიკოს ლევან ალექსიძეს.

ვეტოს ადებდა, რადგან ეს მიაჩნდა ბალკანეთზე თავისი ინტერესების შელახვად. როგორც ბოსნიის, ისე კოსოვოს შემთხვევაში, იგი აიძულეს დაეთმო: პირველად ნატოს მოსალოდნელი სამხედრო ჩარევის გამო, მეორედ — იუგოსლავიის თითქმის ორთვიანი დაბომბვის შემდეგ, რასაც ვერც ბელგრადმა და ვერც მოსკოვმა ვერაფერი დაუპირისპირეს. ასე რომ, ვეტოს დადებას უშიშროების საბჭოში აღარ ჰქონდა აზრი. ამდენად, გაერო ახალ პოლიტიკურ სინამდვილეს კი არ ქმნის, არამედ მანდ ხდება უკვე შექმნილი რეალობების მარტოოდენ გაფორმება.

რუსეთი იყენებდა და კვლავაც გამოიყენებს ვეტოს უფლებას საქართველოს წინააღმდეგ. ხსენებულ ინტერვიუში როგორც შეკითხვის დამსმელი, ისე კითხული აღნიშნავენ, რომ იანვრის ბოლოს რუსეთი აღარ დაადებს ვეტოს დოკუმენტს აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ. მაგრამ სად არის აქ ლოგიკა? რუსეთი მოიწონებს მხოლოდ ისეთ დოკუმენტს, სადაც მისი ინტერესები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული. როგორც გაირკვა, მის ინტერესებში არანაირად არ შედის ქართული საჯარისო ნაწილების განლაგება კოდორზე. ასევე დღემდე არაფერი მეტყველებს იმ მტკიცების სასარგებლოდ, რომ კრემლს აწყობს საქართველოს იურისდიქციის საფეხურებრივი აღდგენა აფხაზეთში: ჯერ ღალიძგამდე, მერე კელასურამდე, გუმისთამდე და ბოლოს, ფსოუმდე. ვფიქრობ, ასეთი რამ მხოლოდ ზღაპრებში ხდება, მაგრამ ბედნიერი დასასრულით, ოღონდ არა პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამასთან დაკავშირებით ბ-ნი ალექსიძე ახსენებს 1994 წლის ხელშეკრულებას, რომლებიც რუსეთ-აფხაზეთს დაუდეს მან და მისმა პრეზიდენტმა. თითქოს არც კი წაეგოთ ომი და გამარჯვებულ მხარეს წარმოადგენდნენ. იქვე აღნიშნულია, რომ ხელშეკრულება არ განხორციელებულა ვიღაც გენერლებისა და სულაც ელცინის მიზეზით, ისმის კითხვა: რატომ უნდა შეესრულებინათ მათ მსგავსი ხელშეკრულება, რომელიც დამარცხებულ მხარესთან დადეს? ან თუნდაც ბ-ნმა ალექსიძემ არ იცოდა 1994 წელსვე, რომ მას განხორციელება არ ეწერა? ხოლო 1999 წლის 23 ივნისს ქართული მხარის მიერ გაეროში წარმოდგენილ პროექტში, რომლის რედაქტორ-შემდგენელიც დანამდვილებით ბ-ნი ალექსიძეა, არის ასეთი წინადადება: „აფხაზეთის ექსკლუზიურ კომპეტენციაში არის აფხაზეთის მოქალაქეობის გადაწყვეტა". ეს არის უსარგებლო, არაფრისმომტანი კომპრომისი და შეუთავსებელია ერთიანი სახელმწიფოს ცნებასთან. თვით ისეთი ფედერაციული ქვეყნები, როგორიც არის აშშ და შვეიცარია, არ ცნობენ ფედერაციის სუბიექტის ასეთ ექსკლუზიურ უფლებას, ფედერალური ორგანოების გვერდის ავლით გადაწყვიტონ მოქალაქეობის საკითხები. საქართველოს მოქალაქის ძირითადი უფლება კი არის იცხოვროს ქვეყნის ტერიტორიაზე ყველგან, სადაც კი მოისურვებს და ამაზე მას არსად არ უნდა უთხრან „ექსკლუზიური" უარი. აგრეთვე ამა თუ იმ ავტონომიურმა წარმონაქმნმა ცენტრისთვის გვერდის ავლით არ უნდა მიანიჭოს მოქალაქეობა ათასი ჯურის უცხოელს, რაც შესაძლოა მიზნად ისახავდეს დემოგრაფიული ვითარების შეცვლას. იმავე ინტერვიუდან ირკვევა, რომ „ნეზავისიმაია გაზეტაში" კითხულს გამოუქვეყნებია სტატია, სადაც წერია: „პუტინს კარგად ესმის, მხარდაჭერა აფხაზი სეპარატისტებისადმი ხელს უშლის ერთმორწმუნე და ურთიერთდაკავშირებული რუსი და ქართველი ხალხების ურთიერთობათა გაუმჯობესებას". ნეტავ თუ შეუძლია ბ-ნ ალექსიძეს დაასახელოს პუტინის რომელიმე პოლიტიკური ნაბიჯი ან განცხადება საქართველოსთან მიმართებაში, განპირობებული „ერთმორწმუნეობით"?

კეთილმეზობლური ურთიერთობა ქართველ და რუს ხალხებს შორის დიახაც სასურველია და აუცილებელი, თუმცა ამის მიღწევისთვის საჭირო არ არის ამ ქვეყნების მთავრობებმა მაინცდამაინც მართლმადიდებლობით იხელმძღვანელონ. მართლმადიდებლობა ყველაფერია პოლიტიკური მოძღვრების გარდა. ასე, მაგალითად, შეუძლებელია „მართლმადიდებლური პოლიტიკა" უწოდო არაერთმორწმუნე ჩეჩნეთში ომის გაჩაღებას ან თუნდაც სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმოებას. ასეთი „ერთმორწმუნეობის" პოლიტიკა არ არსებობს ბუნებაში, ეს არის ნონსენსი, მეტადრე დღევანდელ მსოფლიოში. რუსეთთან დამოკიდებულებაში ერთმორწმუნეობის ფაქტორზე იმედის დამყარება კი ის ხავსია, მხოლოდ წყალწაღებულები რომ ეჭიდებიან. და თუ მაინც არ შეეშვებიან რუსეთთან ამ თემაზე ლაპარაკს, უნდა ელოდონ დაახლოებით ასეთ პასუხს: „თუ ერთმორწმუნე ქვეყანა ხართ, მაშინ იყავით ჩვენი მუდმივი ინტერესების უპირობო პლაცდარმი კავკასიაშიც და მთელ მახლობელ აღმოსავლეთშიც".

აფხაზეთის განთავისუფლებას როგორც რუსეთისგან, ისე სეპარატისტების სამხედრო-მაფიოზური დაჯგუფებებისგან, ესაჭიროება საქართველოში ისეთი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც წელში გაიმართება სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაკარგულია არა მარტო აფხაზეთი, არამედ თბილისიც და თითოეული გოჯიც ქართული მიწისა. ამავე დროს, ქვეყანას უნდა შესწევდეს ძალა, აწარმოოს ლობისტური მუშაობა საერთაშორისო დონეზე, რაც დღეს ფაქტობრივად არ მიმდინარეობს. სასურველია კონფლიქტის მოგვარების პროცესში ჩაერთოს საერთაშორისო ფორმატის მქონე, პანევროპულად ორიენტირებული ძალა, რომელიც ერთი მხრივ დიპლომატიურ და პოლიტიკურ ზეწოლას მოახდენდა რუსეთზე, მეორე მხრივ კი, თანდათან გამოისყიდიდა მისგან აფხაზეთს.

***კონსტანტინე ზ. გამსახურდია***
***9. 2. 2002***
***შვეიცარია***



## რას გვეტყვი, მამაო?

**— რამდენად გამართლებულია ეკლესიებში (და არა მათ მიმდებარე ტერიტორიაზე) სანთლების გარდა — საეკლესიო წიგნებით, ბროშურებით, კალენდრებით, ხატებით, ჯვრებითა და ა.შ. ვაჭრობა. მე რამდენადაც ვიცი, იესო ქრისტემ ტაძრიდან ვაჭრები გამოდევნა.**

— როდესაც წმინდა წერილში ტაძრიდან ვაჭრების გამოდევნაზეა ლაპარაკი, იქ არ არის ნაგულისხმევი საღმრთო საგნებით ვაჭრობა. იმ ტაძარში ფულის გადამხურდავებელ-გადამცვლელნი, მეკერმენი ისხდნენ. ადრეულ ეპოქებში საერო ხელისუფლება ზრუნავდა ეკლესიის ყოფასა და კეთილდღეობაზე, დღევანდელ პირობებში კი ეკლესიის არსებობის ერთადერთი პირობა და საშუალება საეკლესიო ნივთების ვაჭრობით მიღებული შემოსავალია.

**— შემიძლია თუ არა მე, 16 წლის გოგონამ, მოვნათლო მამაჩემი (მე მონათლული ვარ)?**

— თქვენ რომ მამათქვენი მონათლოთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ნათლობა იქნება რიტუალური. ნათლიის მთავარი დანიშნულებაა, იზრუნოს ნათლულის სულიერ აღზრდაზე. შვილის რჩევებს კი, უმეტესწილად, ძნელად იზიარებენ მშობლები. ამიტომ, უმჯობესია, ისეთმა ადამიანმა მონათლოს მამათქვენი, ვინც ნაყოფიერად იზრუნებს მისი სულიერებისათვის.

**— ვცხოვრობ სოფელში, ჩემი მეგობრები კი თბილისში არიან. გვერდით არავინ მყავს ისეთი, ვისაც ჩემს სულიერ განცდებს გავუზიარებ და გულს გავუხსნი. ხშირად მარტოობით ვიტანჯები და მომავლის რწმენასაც ვკარგავ. გთხოვთ, მირჩიოთ, როგორ დავიხსნა თავი სულიერი დეპრესიისგან?**

— თქვენი მარტოობის მტანჯველი შეგრძნების მიზეზი უცილობლად არის არაეკლესიურობა. საკმარისია, დაიწყოთ რელიგიური ცხოვრება — იკითხოთ ლოცვები, ეზიაროთ, გაეცნოთ მამათა ცხოვრებას — რომ მარტოობის მძაფრი შეგრძნება განგიქარდებათ. წმინდა მამები მოშორებულნი იყვნენ ახლობლების წრეს, მაგრამ სავსენი იყვნენ საღმრთო მადლით!

**— ჩემს ახლობელს უნებურად გავუწყვიტე ფსალმუნნი. მეთვლება თუ არა ეს ცოდვად?**

— თუ თქვენ გულსაკიდი გაუწყვიტეთ და ეს საქციელი უნებურად მოხდა, არ გეთვლებათ ცოდვად, ასევე არ ჩაგეთვლებათ ცოდვად, თუ „გაწყვეტაში" ფსალმუნის კითხვაში მოყვასის უნებურ შეფერხებას გულისხმობთ.

**— განწმენდის ლოცვა მხოლოდ მე-40 დღეს ეკითხება დედას, თუ ნებისმიერ პირველ შესვლაზე ტაძარში, თუნდაც თვეებისა და წლების შემდეგ?**

— განწმენდის ლოცვა ეკითხება დედას მე-40 დღეს, თუმცა, შეიძლება რამდენიმე დღის დაგვიანებითაც. რაც შეეხება თვეებსა და წლებს — ამ დროისათვის ეს ლოცვა თავის აზრს კარგავს.

**— ვიცი, რომ მართლმადიდებლური უფლის ხატი-ჯვარცმა ოთხი სამსჭვალით გამოისახება, ხოლო კათოლიკური — სამით, თანაც ტერფებგადაჯვარედინებით. გთხოვთ, გაგვარკვიოთ, ითვლება თუ არა ასევე განსხვავებულად ფერწერული ხატები იმის მიხედვით, ყრმა იესო მარცხენა მხარეს ჰყავს მიხუტებული ღვთისმშობელს, თუ მარჯვენა მხარეს?**

— მართლმადიდებლობა ცნობს ორივე ასეთი სახეობის ხატს — ყრმა იესო შეიძლება გამოსახული იყოს როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხრიდან.

**— გავიგე, რომ მართლმორწმუნე ქრისტიანს, რომელიც მკითხავებთან დადის, ეკლესიაში შვიდი წლის მანძილზე ეკრძალება შესვლა. გთხოვთ მიპასუხოთ, მეგობარმა რომ ჩაგიხედოს ყავაში, ან კარტით გიმკითხაოს — ჩამეთვლება თუ არა ეს ცოდვაში და როგორია მისაგებელი?**

— მსგავსი საქციელისთვის სასჯელი მართლაც მკაცრი ეკისრება ქრისტიანს, მაგრამ დღეისათვის ეკლესია ითვალისწინებს მასების რელიგიურ გაუთვითცნობიერებლობას და სასჯელი მთელი სისრულით არ აღესრულება ხოლმე მათზე. მაგრამ თვით სასჯელის ხანგრძლივობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რაოდენ მძიმეა დანაშაული. წმინდა მამები მკითხავებთან სიარულს „სულიერ მრუშობას" უწოდებენ, რაც ხორციელ მრუშობაზე მძიმე ცოდვაა, რადგან ღალატობთ თვით უფალს!

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36***

***მკითხველთა შეკითხვებზე პასუხებს სცემენ მართლმადიდებლური წიგნები და საკითხავები***

GUARDIAN

# ბინ-ლადენის თანამებრძოლები პანკისისკენ ილტვიან

ალ-ქაიდასა და თალიბანის რამდენიმე მებრძოლმა გადალახა არასტაბილური საქართველოს საზღვარი, — იტყობინებიან აშშ-ისა და რუსეთის მთავრობების წარმომადგენლები და ედუარდ შევარდნაძის მთავრობისაგან მოითხოვენ, დაარტყას ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში გამაგრებულებს. რუსეთის სადაზვერვო წყაროს ცნობით, არაბული და პაკისტანური წარმოშობის მებრძოლები და პუშტუნი თალიბები თავს აფარებენ საქართველოში პანკისის ხეობას. თბილისში მყოფმა მაღალჩინოსანმა ამერიკელმა დიპლომატმა განაცხადა, რომ ვაშინგტონს სურს, ეს პრობლემა ქართულმა ანტიტერორისტულმა ძალებმა მოაგვარონ. ამ კვირაში თბილისის საქმეთა რწმუნებულმა ფილიპ რემლერმა ინტერვიუ მისცა ქართულ გაზეთს, სადაც განაცხადა, რომ კავკასიონის მთებში ალ-ქაიდას და თალიბანის ათეულობით ბოევიკი იმალება. ამაზე რუსებიც დიდი ხანია ლაპარაკობენ.

რემლერის ნათქვამი ამერიკის პირველი განცხადებაა, რომელიც რუსეთის ინფორმაციას ადასტურებს.

„რაც შეეხება ალ-ქაიდას, ჩვენი ინფორმაციით, რამდენიმე ათეული მოჯაჰედი ავღანეთიდან გაიქცა და კავკასიაში იმალება, — თქვა მან, — ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ რამდენიმე პანკისის ხეობაშია და კონტაქტი აქვს არაბ ტერორისტ ხატაბთან, ეს უკანასკნელი კი დაკავშირებულია უსამა ბინ ლადენთან. პანკისის ხეობა ძალიან საშიში ადგილია საქართველოსთვის“.

როგორც ჩანს, ვაშინგტონმა და მოსკოვმა, რომლებიც ამ ბოლო დროს საქართველოზე ზეგავლენაში ეცილებოდნენ ერთმანეთს, ახლა ხელი ხელს მისცეს ტერორიზმთან საბრძოლველად. ამან კი თბილისი აიძულა, შეეცვალა პოზიციები. იგი მანამდე მასხრად იგდებდა რუსეთის განცხადებებს იმის შესახებ, რომ საქართველოდან ჩეჩნეთში მებრძოლები, ფული და იარაღი გადადისო. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ განაცხადა, რომ საუდის არაბეთის ერთი მოქალაქე და ერთიც იორდანიელი დააკავეს პანკისის ხეობაში ტერორისტული ბაზის შექმნის მცდელობის გამო. მანვე აღნიშნა, რომ ხეობაში არიან ჩეჩნეთიდან და ახლო აღმოსავლეთიდან ჩამოსული მებრძოლებიც, რომლებიც რუსეთის ტერიტორიაზე ტერაქტების ჩატარებას აპირებდნენ. რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი კმაყოფილია იმით, რომ ქართულმა მხარემ ეს აღიარა. „საქართველო ძალიან რთულ მდგომარეობაშია. იგი ამ საქმეს ვერ ერევა. ინფილტრაციის ეს მარშრუტი კი აუცილებლად უნდა გადაიკეტოს“, — განაცხადა რუსეთის დაზვერვის სარწმუნო წყარომ. რუსები ირწმუნებიან, რომ ხეობაში 2000-მდე მებრძოლი იმალება, უმრავლესობა ჩეჩენია. მათ განკარგულებაშია ორი შვეულმფრენი.

შუა აზიისა და კავკასიის ამერიკულმა ინსტიტუტმა ანალიტიკური ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ თალიბანის დაშლამ შეიძლება თბილისზე არახელსაყრელი გავლენა მოახდინოს: „თუ საერთაშორისო ტერორიზმთან, ნარკოტიკებთან და სხვა ბოროტებასთან დაკავშირებული უკანონო დაჯგუფებები იძულებული იქნებიან ავღანეთი დატოვონ, ისინი სუსტი მთავრობის მქონე ქვეყნების ძებნას დაიწყებენ, ერთ-ერთი ვარიანტი კი შეიძლება საქართველო გახდეს. საქართველო ყველაზე შესაფერისი სახელმწიფოა კანონსაწინააღმდეგო ბიზნესის საწარმოებლად, პანკისის ხეობა კი ერთ-ერთი ზონაა, სადაც შეიარაღებულ ფორმირებებს თბილისი ვერ აკონტროლებს“.

დეკემბერში თბილისს ეწვია აშშ-ის თავდაცვის მინისტრი რონალდ რამსფელდი. ახლახან რემლერი რეგიონში ამერიკელთა სამხედრო დახმარებასაც შეჰპირდა საქართველოს. „ჩვენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მხარდაჭერის გეგმა შევიმუშავეთ, — განაცხადა რემლერმა, — სამინისტროსთან ერთად ვაპირებთ ანტიტერორისტული ძალების შექმნას, თუმცა ლაპარაკია მხოლოდ სახმელეთო ჯარებზე“.

***იენ თრეინორი***

# „ნორმალური ხალხი ჩეჩნეთში არ ცხოვრობს“



**საქართველოში იჩქერიის პრეზიდენტის წარმომადგენელმა ხიზრი ალდამოვმა ჟურნალ „ვლასტის“ კორესპონდენტს განუმარტა, თუ რატომ არ დაბრუნდებიან ლტოლვილები ჩეჩნეთში.**

**— თქვენ საქართველოში მასხადოვის წარმომადგენელს გიწოდებენ. ეს ოფიციალური თანამდებობაა?**

— შეიძლება ითქვას, რომ მე აქ სახალხო დიპლომატიის მისიით ვარ.

**— თქვენ გამო საქართველოს უკვე რაღაც პრობლემები შეექმნა.**

— საქართველოში რუსეთის ელჩმა ტერორისტთა წარმომადგენელიც მიწოდა. ძალიან მეცოდება საქართველო, რომელიც გაუთავებელ პრეტენზიებს ისმენს, ითმენს და თავს იმართლებს. საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკაა. თუ ჩვენს სახელმწიფოებს შორის სავიზო რეჟიმი მოქმედებს, რა პრეტენზიები აქვთ? გიორგაძეც მოსკოვშია, მაგრამ ტერაქტი ხომ საქართველოში მოახდინა?

**— და მაინც, რამდენი ლტოლვილია დღეს საქართველოში?**

— დაახლოებით ექვსი ათასი. ასი ოჯახი თბილისში ცხოვრობს, დანარჩენები — პანკისში. თავიდან აქ 15 ათასი ადამიანი იყო. საერთოდ კი, ტრანზიტით საქართველო 50-მა ათასმა გაიარა.

**— როგორ აღიქვით რუსეთის წინადადება ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნების შესახებ?**

— ოთხი წელია, ჩვენ რუსეთისგან ერთი კილოგრამი ფქვილიც არ გვახსოვს. ხალხი, რომელსაც რუსეთი თავის მოქალაქეს უწოდებს, შიმშილით იხოცება. აქ ჩამოსული ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია დააფრთხეს. ყველას, ვინც პანკისის ლტოლვილებს ეხმარება, რუსეთი მტრად თვლის. საქართველო ნორმალური დემოკრატიული სახელმწიფოა და საერთაშორისო საზოგადოებრიობისთვის მიცემულ პირობას ასრულებს. მაგრამ რუსეთი საქართველოსაც წნეხს.

ლტოლვილები უკან არ დაბრუნდებიან, ეშინიათ. პუტინს მაშველების მაგივრად 10-20 ტონა ფქვილი რომ გამოეგზავნა, აჯობებდა. მოუნდება ამ ხალხს იმ სახელმწიფოში ცხოვრება, სადაც მათზე არ ზრუნავენ? აი, იგივე ავღანეთი ავიღოთ: ამერიკელებმა თუ იქ დაანგრიეს რაღაც, ათი იმდენი ააშენეს, ხალხიც გააძღეს და გაათბეს.

**— რას ელით საქართველოს მხრიდან?**

— შევარდნაძემ უკვე განაცხადა, რომ იგი მომხრეა ჩეჩნების სამშობლოში დაბრუნებისა, მხოლოდ საერთაშორისო დამკვირვებელთა მონაწილეობით. რუსეთს კი ეს ხელს არ აძლევს. ლტოლვილებს დაბრუნება არ სურთ, ხოლო ძალით გაყვანას ვინ შეძლებს მეთვალყურეთა თვალწინ?

მე ვიცი, რაც ელით იქ. საქონელივით საფილტრაციო ბანაკებში შეყრიან, მამაკაცები საერთოდ ვერ მიაღწევენ ჩეჩნეთამდე.

იქ დარჩენილები უბედურები არიან — ან სხვის მიერ მოწვდილი ლუკმაპურის შემყურენი ან მოღალატე ნათესაობის პატრონები. ნორმალური ხალხი ჩეჩნეთში არ ცხოვრობს.

***ვლასტი №5***

# აჭარის ლიდერის დებიუტი

## სანამ აბაშიძე „თავის ბუნაგში იჯდა“, მის მოქმედებებს ცალი თვალით უყურებდნენ

აჭარის მეთაური, საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობის დარეგულირების საქმეში, ასლან აბაშიძე მოსკოვში ჩავიდა.

აბაშიძის დამოკიდებულება თბილისთან გაურკვეველია. მას შემდეგ, რაც იქ ედუარდ შევარდნაძე გამეფდა, იგი ერთხელაც არ ჩასულა საქართველოს დედაქალაქში. ყველა საკითხი ცენტრსა და ავტონომიას შორის თბილისში კი არ წყდებოდა, არამედ ბათუმში, სადაც შევარდნაძე ყოველთვის თავად ჩადიოდა. ასე გრძელდება დღესაც.





შემოსავლის ნაწილს აჭარა თავისთვის იტოვებს — თბილისი კი ამას ეგუება. ამიტომაც იყო გასაკვირი შევარდნაძის მიერ ასლან აბაშიძის დანიშვნა თავის პირად წარმომადგენლად საქართველო-აფხაზეთის პრობლემის დარეგულირების პროცესში. საქართველოში ეს სვლა სათანადოდ შეაფასეს.

ასლან აბაშიძისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის იგორ ივანოვის შეხვედრაზე დიდ იმედებს ამყარებდა ქართული და რუსული მხარე, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ეს მოლაპარაკება უშედეგო აღმოჩნდა. ერთადერთი დასკვნა, რაც ამ შეხვედრიდან გამოიტანა იგორ ივანოვმა, იყო ის, რომ ურიგო არ იქნებოდა, თუ ვლადიმირ პუტინიც გაიჩენდა თავის წარმომადგენელს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საქმეშიო.

რუსეთი ფრთხილობს. ცნობილია ის ფაქტი, რომ აჭარის მეთაურის მთავარ „მომლაპარაკებლად“ დანიშვნას არაერთმნიშვნელოვნად შეხვდნენ საქართველოს მეგობარი ქვეყნები, რომელთა შორის რუსეთიც არის. მათ მიაჩნიათ, რომ უახლეს ისტორიაში ასეთი გრძელვადიანი და სისხლისმღვრელი კონფლიქტის მოსაგვარებლად ასლან აბაშიძის დანიშვნა მიზანშეწონილი არ არის. და მაინც, რატომ ვერ მოიგო ევროპელების გული ასლან აბაშიძემ? მიზეზი ამისა კი არის აჭარიდან გამოქცეული პოლიტიკური დევნილის ლევან ქიძინიძის ღია წერილი „გადაარჩინეთ აჭარა ტირანიისა და ფაშიზმისგან!“

ლევან ქიძინიძე ხუთი წელი იყო ასლან აბაშიძის მრჩეველი. ფაქტობრივად იგი ერთდროულად რამდენიმე თანამდებობას ითავსებდა და იცნობდა ყველა საიდუმლო საქმესა და დოკუმენტს. მისი წერილი სავსეა აჭარის ხელისუფლების ფინანსური ბოროტმოქმედების, საარჩევნო კანონის დარღვევის და მათთვის არასასურველ პირთა ფიზიკური განადგურების ფაქტებით. ქიძინიძე ირწმუნება, რომ აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს კი არ ირჩევდნენ, არამედ მათ პირადად ასლან აბაშიძე ნიშნავდა. 1993 წელს დეპუტატებს მისი გადაყენებაც უნდოდათ, მაგრამ დაასწრო და პარლამენტი დაშალა. მას შემდეგ კი აჭარაში არჩევნები ფაქტობრივად არ ჩატარებულა. წინასწარ შედგენილი სიებით ინიშნებიან რაიონის გამგებლებიც, ადმინისტრაციის მეთაურებიცა და აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებიც. თურმე არც მისი აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის ოქმი მოიპოვება. ავტონომიის კონსტიტუციის ფალსიფიცირების შემდეგ აჭარაში შეიქმნა მონარქიულ-მონათმფლობელური წყობა. ახლა კი, — დაბეჯითებით ამბობს ლევან ქიძინიძე, — აჭარის გეოპოლიტიკური მდგომარეობა აბაშიძის კლანს გამოყენებული აქვს სამომხმარებლო საქონლისა და ნარკოტიკების ფართომასშტაბიანი კონტრაბანდის პლაცდარმად. სწორედ აჭარიდან მიეწოდებოდა იარაღი აფხაზეთს, სომხეთს და ჩეჩნეთს. სწორედ აქედან გადმოდიოდნენ ჩეჩნეთში ვაჰაბიტები და ბოევიკები. ასლან აბაშიძის ხელისუფლებაში მისვლისთანავე, 1991 წლიდან, აჭარა თავისებურ კრიმინალურ ბაზად იქცა. ის კიდევ არაფერი, რომ მთავრობაში და ყველა საპასუხისმგებლო პოსტზე აბაშიძის ნათესაობა ზის, საშინელება ის არის, რომ პოლიტიკური ლტოლვილები აჭარის ხელმძღვანელს პოლიტიკურ მკვლელობებშიც ადანაშაულებენ. ქიძინიძე ადასტურებს, რომ ასლან აბაშიძემ თავის კაბინეტში საკუთარი ხელით გამოასალმა სიცოცხლეს თავისი პირველი მოადგილე ნოდარ იმნაძე — რვა ტყვია დაახალა.

აბაშიძის ოპონენტების მიერ წარდგენილ დანაშაულთაგან 1%-ც თუ მართალია, რუსეთს და საქართველოს მეგობარ ქვეყნებს ნამდვილად მართებთ დაფიქრება თბილისთან შემდგომ თანამშრომლობაზე. სანამ აბაშიძე „თავის ბუნაგში იჯდა“, მის მოქმედებებს ცალი თვალით უყურებდნენ. ახლა კი რას იღონებს მსოფლიო საზოგადოებრიობა?

***რუსული პრესის მიხედვით***

# აფხაზური დღიური

**„ექსპრეს-გაზეტას“ კორესპონდენტმა სერგეი მინაევმა აღარ დაუცადა აფხაზეთის რუსეთთან შეერთებას და 100 დოლარად სახლი შეიძინა.**

## დილაა, აფხაზეთი ყავას სვამს...



— ახლა ძალიან კარგად ვართ, წელს შიმშილით არავინ მომკვდარა, — ამბობს მოხუცი ქალი და თან ფიჩხს აგროვებს. ეს ორი ჩანთა საკმარისია ღუმლის დასანთებად, გასათბობად და ყავის მოსადუღებლად.

ყავა აფხაზეთში დარჩენილთა მთავარი „საკვებია“. იგი ცვლის საუზმეს, სადილს და ხანდახან ვახშამსაც. აქ ბევრი მიეჩვია დღეში ერთხელ ჭამას, უფრო საღამოს, რადგან იციან მშიერ კაცს უჭირს დაძინება. აქაური ქალები არ ზრუნავენ დიეტის დაცვაზე და გახდომის სხვადასხვა საშუალებებზე — ეს სრულიად ბუნებრივად ხდება...

სამი რუბლი თუ გაქვს, სილაზე მოდუღებულ ყავასაც დალევ და ქვეყნის ამბებსაც გაიგებ პატარა ყავახანაში, რომელიც პალმებისა და ოდესღაც ცნობილ სასტუმროებს — „რიწას“, „აფხაზეთსა“ და „ტყვარჩელს“ შორის საცოდავად აბუზულა. ეს ადგილი ახლა სოხუმის კულტურის ცენტრია. სწორედ აქ შესთავაზეს სერგეის სახლის ყიდვა — რა გინდა, გაგრაში აგარაკი გექნება, ეს ხომ საერთაშორისო კლასის კურორტია, არ ინანებო.

## აფხაზური ბიზნესი

საერთოდ, ყოველი მეორე აფხაზი ყიდის ბედის ანაბარად მიტოვებულ უძრავ ქონებას. დანგრეული სახლები ადრე მათ მეზობლებს, ნათესავებს ან მეგობრებს ეკუთვნოდათ, რომლებიც ომის დროს რუსეთში ან საქართველოში გაქცეულან. ასეთი გაძარცული სამფლობელოები ბევრია, მაგრამ ამბობენ, აქაურები არ ეკარებიან ქართველების ნასახლარს — დაწყევლილიაო. ჩამოსულები კი ნელ-ნელა ყიდულობენ — ყოველი შემთხვევისათვის. სერგეისაც არ უნდოდა „ტრაფეინი“ სახლის ყიდვა, მაგრამ გამყიდველმა დაიფიცა, — დეიდაჩემის არისო და 500 დოლარიდან 100 დოლარზე შეთანხმდნენ...

გაგრის გზაზე მაკლერ-კლიენტი ისე გაიტაცა ახალი ათონის წყალსაცავში მოცურავე გედების ყურებამ, რომ კინაღამ გაეროს ჯავშანმანქანას შეასკდა. ზანგმა, რომელიც საჭეს მართავდა, იმარჯვა და განზე გადაუხვია. აფხაზის დარდს საზღვარი არ ჰქონდა — გაეროს მანქანის დაჯახება ყოველი აფხაზის ოცნებაა: თურმე „ცეერუშნიკებს“, ასე ეძახიან აქ მეთვალყურეებს, — ისე ეშინიათ ადგილობრივ ჯიგიტებთან საქმის გარჩევისა, რომ ურჩევნიათ ახალი მანქანის საფასური გადაუხადონ...

როგორც იქნა, გაგრაში ჩააღწიეს და სერგეიმ თავისი თვალით იხილა „მამული“ — სამი კედელი ორი ნაფანჯრალით, ღობე და ბოქლომჩამოკიდებული ჭიშკარი.



ბაღში კი მანდარინებით დახუნძლული ხუთი ხე იწონებდა თავს...

## „ბომჟები“

აფხაზეთი სავსეა რუსეთიდან ჩასული „ბომჟებით“, რომლებიც სამხრეთისაკენ გარბიან, — მირბიან იქით, სადაც „სითბო და ფორთოხალია“. უპასპორტო და უკაპიკოები სოფლებში აფხაზებს „მონებად“ უდგებიან. ათასობით აფხაზი ქალი მანდარინის ტომრებით დატვირთული ურმებით კვირაობით დგას რიგში, რომ რუსეთ-აფხაზეთის საზღვარი გადალახოს. „ყვითელი ციება-1“, ასე შეარქვეს მესაზღვრეებმა ციტრუსების სეზონს, მარტში კი „ყვითელი ციება-2“ — მიმოზის გატანა დაიწყება.

რუსული პასპორტის მქონეთათვის საზღვრის გადალახვა ძალიან ადვილია. აფხაზეთის ყოველ მესამე მცხოვრებს რუსეთის მოქალაქეობა აქვს მიღებული და მოსახლეობის ნახევარზე მეტი ისედაც „როსიანები“ არიან...

## მათი იმედი

ამბობენ, ომის შემდგომი რვა წლის მანძილზე აფხაზეთში დიდი ფულის ჩადება დაიწყესო: მოსკოველებმა სოხუმის ცენტრში, სასტუმრო „ტყვარჩელი“ აიღეს იჯარით, ბერეზოვსკის ბიჭვინთის შესყიდვა უნდა, თურქებმა და ბერძნებმა ხანგრძლივი დროით თითქმის მთელი სანაპიროს დაქირავება დაიწყეს, მილიონობით სხვისი დოლარი ჩაიდო მშენებლობებში. ამ ფულის პატრონები არაფერს დაიშურებენ დანახარჯის ტურისტებისგან ამოსაღებად. აფხაზისთვის კი, ეს იმას ნიშნავს, რომ ომი აღარ იქნება.

***ექსპრეს-გაზეტა №6***


English with computer

გთავაზობთ
ყველას, ვინც სერიოზულად ფიქრობს კარიერაზე
ინგლისური ენის საფუძვლიანი შესწავლის უმოკლეს გზასა და სრულიად ახალ ფორმას უნიკალური კომპიუტერული ინტერაქტიული პროგრამების მეშვეობით

- ყველა მსურველისათვის 14 წლის ასაკიდან;
- ინგლისური ენის პროფესიულ დონეზე შესწავლა;
- Elementary, pre-intermediate, intermediate, upper-intermediate;
- ინგლისური ბიზნესისათვის BUSINESS ENGLISH;
- აუდიო და ვიდეო გაკვეთილები, კომპიუტერული ენობრივი თამაშები off/on line რეჟიმებში;
- ყოველდღიური ტესტირება;
- უმაღლესი კვალიფიკაციის მასწავლებლები;
- დამატებითი მეცადინეობა;
- სწავლების კომფორტული გარემო;
- სწავლის დაწყება ნებისმიერ დღეს და საათს;
- ინტერნეტით სარგებლობა;
- დიაგნოსტიკა-ტესტირება უფასო
- გაცდენილი გაკვეთილების აღდგენა უფასო
- მინიმალური კომპიუტერული მომზადება უფასო
- თითოეული კურსის ხანგრძლივობა 1-დან 5 თვემდე

გახსოვდეთ, თქვენ ჩვენთან იხდით მხოლოდ ცოდნისთვის
თბილისი, გიორგი წერეთლის 3, VIII სართული
ტელ/ფაქსი: 23 38 75 e-mail: megasoft@gol.ge


CMYK

# „ალვანური ოდისეა“

## ავტორის და შემსრულებლის პირველი შეხვედრა, ანუ „შატილის ასულოს“ კვალდაკვალ...

წერილის ავტორი და „კვირის პალიტრა“, უნებლიეთ, ამ ცოტა ხნის წინ ანსამბლ „ერისიონისა“ და კლიპ „შატილის ასულოს“ გარშემო ამტყდარი აჟიოტაჟის მიზეზი გახდა — როგორც ცნობილია, ჩვენ მიერ აღმოჩენილი „შატილის ასულოს“ ტექსტის ავტორი იოსებ ლონგიშვილი შუამავლის მეშვეობით ანსამბლ „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელს ჯემალ ჭკუასელს თავისი უფლებების დარღვევაში შეედავა. რა თქმა უნდა, სეირის ყურებასა და მხარეთა წაქეზებას, შუამავლის გარეშე სიტუაციაში გარკვევა ვარჩიეთ და ბატონ ჯემალთან ერთად სოფელ ზემო ალვანში ჩასვლა გადავწყვიტეთ, რათა პირადად ავტორისგან მოგვესმინა პრეტენზიები. ალვანში ჩასულები, რბილად რომ ვთქვა, ძალიან უცნაური სიტუაციის მოწმენი გავხდით... თუმცა, ამაზე ოდნავ ქვემოთ. მანამდე კი ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება მოგითხროთ, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები კლიპის აღიარებიდან ავტორის აღმოჩენამდე... და მის შემდეგ.

**ჯემალ ჭკუასელი:** „შატილის ასულოს“ ტექსტის ავტორის არსებობის შესახებ პარიზიდან დაბრუნებისას, თვითმფრინავში შევიტყვე „კვირის პალიტრიდან“ — დარწმუნებული ვარ, ასე შეიტყო ძალიან ბევრმაც, რადგან ეს სიმღერა 60-იანი წლებიდან მოყოლებული სრულდება და დღემდე, ყოველ შემთხვევაში, მომღერალთა წრეში ხალხურ სიმღერად იყო ცნობილი. გამიკვირდა და რა თქმა უნდა, გამიხარდა კიდეც... მას შემდეგ ყველა ჩემს გამოსვლაში და საგაზეთო ინტერვიუში ვაფიქსირებდი, რომ „შატილის ასულოს“ ტექსტის ავტორი ცოცხალი, ჩვენი თანამედროვე პოეტი იყო. ამის მიუხედავად, სამწუხაროდ, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა...

*ბატონი ჯემალი პარიზიდან ჩამოსვლისთანავე დამიკავშირდა და მთხოვა, იოსებ ლონგიშვილის ნახვაში დავხმარებოდი — მოსაფერებელი კაცია და ცოდვაა, არ დავკარგოთო... შევთანხმდით, გაზაფხულისთვის ალვანში გავმგზავრებულიყავით. მაგრამ...*

**ჯემალ ჭკუასელი:** იმ დღეს მე და ჩემი ბიჭი ჩემს სამუშაო ოთახში ვართ. მდივანი შემოვიდა და ფურცლები შემოიტანა — ერთი ახალგაზრდა კაცი იყო, თქვენ გკითხათ, მაგრამ შემოსვლაზე უარი თქვა, ესენი დამიტოვა და წავიდაო. წავიკითხე და გაოგნებული დავრჩი — ერთი ფურცელი რწმუნების სიგელის ასლი აღმოჩნდა, მეორეს არც კი ვიცი რა დავარქვა, ისეთი რამეები ეწერა: რომ აღარაფერი ვთქვათ საავტორო ჰონორარზე, ფეხქვეშ გათელეთ მისი ღირსებაო, სრული იგნორირება გამიწიეთო და სხვა მრავალი. არადა, ღმერთია მოწმე და კიდევ, ქართველი ტელემაყურებელი თუ მკითხველი — იმ დღიდან, რაც ამ კაცზე შევიტყვე, სადაც კი „შატილის ასულოზე“ მქონდა ლაპარაკი, ყველგან მის სახელს ვახსენებდი. ყველაზე ძალიან რაც არ მომეწონა, მუქარის ტონი იყო — წერილის ავტორი მაფრთხილებდა, რომ თუ მასთან მოლაპარაკებებს უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში არ გავმართავდი, სასამართლოში მექნებოდა საქმე... ყველაზე უცნაური ჩემთვის „ტექსტის დამახინჯების“ ბრალდება იყო — შე დალოცვილო, თვითონვე ამბობ, ლექსი 50-იანი წლების ბოლოს დაიწერაო. მას შემდეგ, ამ სიმღერას ყველა რესტორანსა და ფოლკლორულ ანსამბლში მღერიან (პირადად მე პირველად „შატილის ასულო“ 1962 წელს ვიმღერე) — იმ ტექსტით, რაც დღეს არსებობს... ახლა გაახსენდა პოეტი და მისი ინტერესების დაცვა?! აგერ, კარადაში მიდევს გრამფირფიტა, რომელიც 1982 წელს, გორშია ჩაწერილი და 30 ათას ეგზემპლარად არის გაყიდული. მასში 15 სიმღერაა ჩაწერილი. აქედან 3-ს ავტორი არ ჰყავს, ე.ი. ხალხურად არის მიჩნეული. მათ რიცხვშია „შატილის ასულოც“. როგორც პოეტის რწმუნებული ამბობდა, დიდი ხანია, მისი ავტორის შესახებ იცის — მაშინ რატომ არ გაახსენდა მისი უფლებების დაცვა?! ...და თუ მაშინ ამის შესახებ არ იცოდა, ჩემგან რაღა უნდა?!

> ჯემალ ჭკუასელისთვის მადლობის მეტი რა მეთქმის, ჩემთვის მოძღვნილ ლექსს, სიმღერად ქცეულს, მთელი მსოფლიო უსმენს... ნეტავ, ეს კაცი ცოტა ადრე დაბადებულიყო და საქვეყნო საქმისთვის უფრო ადრე მოეკიდებინა ხელი... ათიოდე წლის წინ რომ გადაეღოთ ეს კლიპი და მისი შემოქმედების აღიარება მომხდარიყო, ასეთ დღეში ნამდვილად არ ჩავარდებოდა — ჩემი ქმარი ამაზე ნერვიულობამ დააავადმყოფა და დააბრმავა.

*თუ ვის რა უნდა, ამის გამოძიებით მკითხველს თავს აღარ შევაწყენთ — წერილის ავტორისა და ჯემალ ჭკუასელის „ალვანური ოდისეის“ შესახებ მოგითხრობთ...*

*თელავში ჩასულებმა, თელავის თეატრის დირექტორი და ცნობილი მსახიობი, ვანო იანტბელიძეც დავიმგზავრეთ — კახეთში სახელიც აქვს და ენდობიან კიდეც-მეთქი. დელეგაციაში კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსი, ზურაბ ტუშურიც შედიოდა — მოგეხსენებათ, პანკისი იქვეა, მთელი პრესა ფრანგების ინვესტიციებზე ლაპარაკობს, ეშმაკს კი არ სძინავს... მოკლედ, ადგილობრივი ტელევიზიისა და კულტურის განყოფილების მუშაკებთან ერთად, დაახლოებით 7-8 კაცი, ზემო ალვანში, იოსებ ლონგიშვილის სახლს მივადექით. უცნაური ამბებიც აქედან დაიწყო — ჩვენი დელეგაცია ჭიშკართან შედგა. უხერხულობის გასაფანტად, თან იმის გამოც, რომ ჩემი ამასწინანდელი სტუმრობით და მას მოყოლილი წერილით „კვირის პალიტრაში“ ძია იოსები „სულ კმაყოფილი“ დარჩა, (იხ. ფოტო). ეზოში შესვლა მე ვითავე. ორიოდე წუთში ჩემდა გასაოცრად ერთ-ერთი ოთახიდან მოხუცი პოეტის ყვირილი და ლანძღვა-გინება გაისმა: დაჩი არ შემოუშვათ... (გინებას აღარ დავწერთ). დავიბენი. გაოცებული თუ შეშფოთებული ჯემალ ჭკუასელი და მისი თანმხლები პირები უკან გაბრუნდნენ და მანქანაში ჩასხდომას აპირებდნენ — ქვეყანას გააგებინა მისი არსებობა და ამას რას ეუბნება, ჩვენ რაღას გვეტყვისო... მადლობა ღმერთს, მაინც იმარჯვა საღმა აზრმა. ბატონი ჯემალი და ვანო იანტბელიძე იოსებ ლონგიშვილთან შევიდნენ „მოლაპარაკებაზე“. — თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მოსალაპარაკებელი არაფერი იყო და არც მოთხოვნებს აყენებდა ვინმე.*

**ჯემალ ჭკუასელი:** არანაირ მოთხოვნებზე აქ ლაპარაკი არ ყოფილა — მე ძალიან კარგად მესმის იოსებ ლონგიშვილის, ისე მოხუცდა, რომ ფართო საზოგადოებისგან თავისი შემოქმედების აღიარებას არ ღირსებია. რა თქმა უნდა, მისი ავტორობის უარყოფა არც მიფიქრია... მის შემოქმედებას გავეცანი და უამრავი შესანიშნავი ლექსი ჰქონია დაწერილი. ვილაპარაკეთ, გავუგეთ ერთმანეთს... როგორც ჩანს, ვიღაცებმა მისი წაქეზება და ხელის მოთბობა განიზრახეს, თორემ ამ კაცს არაფერი ჰქონია ჩემთან სადავო.


ი. ლონგიშვილი
21.01.2002წ.

**პოეტისგან ლანძღვა გამიკვირდა, რადგან პირველი პუბლიკაციის შემდეგ მან ლექსიც კი მომიძღვნა...**

ჩემს გადაწყვეტილებას არ შევიცვლი — უახლოეს ხანში ძია იოსებს კიდევ მოვინახულებთ, დავეხმარებით — ანსამბლის სახელით პრემიასაც გადავცემთ და პოეზიის საღამოსაც მოვუწყობთ...

საერთოდ, არ მესმის, რატომ მიიჩნიეს ზოგიერთებმა, რომ ჩვენ აღნიშნული სიმღერის საშუალებით „მილიონები“ ვიშოვეთ. ეს სიმღერა ჩვენი ანსამბლის რეპერტუარში არ შედის. იყო მხოლოდ სარეკლამო კლიპში, რომლის საზღვარგარეთ ტელევიზიებში გაშვებისთვის ჩვენმა პარტნიორებმა დიდძალი თანხა გადაიხადეს — არათუ მოიგეს რამე... რაც შეეხება საქართველოს — კლიპის ავტორებმა იგი უფასოდ გვაჩუქეს. თუ ვინმე ამის წინააღმდეგია, სხვა საქმეა...

**იოსებ ლონგიშვილის მეუღლე:** ჯემალ ჭკუასელისთვის მადლობის მეტი რა მეთქმის, ჩემთვის მოძღვნილ ლექსს, სიმღერად ქცეულს მთელი მსოფლიო უსმენს... ნეტავ, ეს კაცი ცოტა ადრე დაბადებულიყო... ათიოდე წლის წინ რომ გადაეღოთ ეს კლიპი და მისი შემოქმედების აღიარება მომხდარიყო, ასეთ დღეში ნამდვილად არ ჩავარდებოდა — ჩემი ქმარი ამაზე ნერვიულობამ დააავადმყოფა და დააბრმავა. რატომღაც, ისე გახმაურდა ყველაფერი, თითქოს ჩვენ რამეზე ფულის გაკეთება გვინდოდეს... ასეთი რამ გულშიც არ გაგვივლია. როგორც ჩანს, ჩვენთან სხვანაირი ენები მოჰქონდათ და თქვენთან კიდევ, სხვანაირი...

*ასე იყო თუ ისე, „ალვანური ოდისეა“ წარმატებით დასრულდა — „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო“... ეგ არის, წერილის ავტორი აღმოჩნდა მეგრული ანეკდოტის პერსონაჟივით — აგენმა რომ იგენს აგინეს, ბოლოს მე დავრჩი ნაგინებიო... აქაც იმავეს ვიტყვი, რაც ძია იოსების ქალიშვილს, ქრისტინას ვუთხარი, მამის ნაცვლად რომ სცადა მობოდიშება — ალბათ ესეც საჭირო იყო — ძია იოსებმა ორიოდე წუთში მაგრძნობინა ის, რაც მას 40 წლის მანძილზე სტანჯავდა — აუღიარებლობა და დაუფასებლობა... თუმცა, კაცი რომ მის შემოქმედებას გაეცნობა, ავტორისგან ლანძღვაც კი პატივად შეიძლება ჩათვალოს...*

*თბილისში ჩამოსულმა,* **ვახუშტი კოტეტიშვილსაც** *მივაკითხე — ვინ ვინ და, მან კი იცის ხალხური შემოქმედების ავანჩავანი...*

— ეს ის შემთხვევაა, როდესაც ორივე მხარე მართალია. იოსებ ლონგიშვილს კარგად ვიცნობ — შესანიშნავი ლექსების ავტორია. რაც შეეხება „შატილის ასულოს“, როგორც ჩანს, ეს ლექსი ისე გაითავისა ხალხმა, რომ რაღაც მომენტში მისი ავტორიც მიივიწყა და ხალხურად აქცია. ასეთი რამ ხშირად ხდება ხოლმე — მით უმეტეს, რომ თავად იოსებ ლონგიშვილს 40 წლის მანძილზე სახალხოდ არასოდეს გაუპროტესტებია. ჯემალ ჭკუასელი კი ხალხური შემოქმედების ანსამბლის თავკაცია — ხომ არ გამოიძიებს, ყველა ხალხურ სიმღერას ავტორი ჰყავს თუ არა? ამ სიმღერის რამდენიმე ვარიაცია არსებობს, როგორც ეს ფოლკლორშია მიღებული. კლიპში კი ჭკუასელმა თავისებური ვარიაცია შემოგვთავაზა. მანამდეც, ბევრი ცნობილი და აღიარებული კომპოზიტორი იყენებდა ხალხურ მოტივს თავის შემოქმედებაში — დაშავდა ამით რამე? მე მგონი, რომ პირიქით. მით უმეტეს, რომ „ერისიონმა“ ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც ხალხურ შემოქმედებასთან და ტრადიციებთან მიმართებაში ახალი იდეოლოგია დაამკვიდრა — თითქოს, ახალგაზრდობამ შემობრუნება დაიწყო, უცხოეთში რაც ხდება, კარგად მოგეხსენებათ... რაც შეეხება „შატილის ასულოს“ — როგორც ჩანს, მავანთ უცხო კაპიტალზე საუბარს მოჰკრეს ყური და გამდიდრების მიზნით ლონგიშვილის წაქეზებაც მოინდომეს, თორემ ეს ლექსი ისე გახალხურდა, კაციშვილს ხმა არ ამოუღია. საერთოდ, ნაწარმოებს რომ ხალხი ასე მიიღებს და გაითავისებს, ავტორს ეს კი არ აკნინებს — პირიქით, ავტორის ნიჭიერებაზე მეტყველებს...

> უცხოურ ფილმებს და კლიპებს რომ თავი გავანებოთ, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ქართული „შოუბიზნესი“ დღესდღეობით უცხოური სიმღერების გარემიქსებით სულდგმულობს, ნამდვილად დიდი აურზაური ატყდება.



**წარმომადგენლობითი დელეგაცია ალვანში. (ცენტრში — შემსრულებელი და ავტორი)**

**საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების ხელმძღვანელი ელგუჯა ზაფათავა:** ჩვენ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი საზოგადოება ვართ და ორმოცამდე ქვეყანასთან გვაქვს ხელშეკრულებები გაფორმებული. როდესაც ავტორი ჩვენს საზოგადოებაში წევრდება, ავტომატურად ვიცავთ მის უფლებებს საქართველოში და ჩვენთან მოთანამშრომლე ქვეყნებში ანუ მათთან, ვინც ამ პროდუქციით სარგებლობს. მეორე მხრივ, ჩვენც იგივე ვალდებულებები გვაქვს. თუმცა, ამ მხრივ საქართველოში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა — სამაუწყებლო კომპანიების უმრავლესობა პროდუქციით (ფილმები, კლიპები, სიმღერები...) მისი უცხოელი ავტორის ნებართვის გარეშე სარგებლობს. ამით სახელმწიფოს ბიუჯეტიც ზარალდება და არც ქვეყნის პრესტიჟია კარგ დღეში...

**— როგორც ცნობილია, „ერისიონის“ შოუბიზნესს ამერიკული ფირმა განკარგავს. თუ საქმეს მსვლელობა მიეცემა, ფინანსური სანქციაც მათ უნდა დაეკისროთ — ხომ შეიძლება, თავის მხრივ, საქართველოში უნებართვოდ გაშვებული ფილმები, კლიპები და სიმღერებიც მოიკითხონ?**

— რა თქმა უნდა, მოიკითხავენ. სხვათა შორის, ამას უკვე ისედაც ითხოვენ ჩვენგან უცხოელები...

(უცხოურ ფილმებს და კლიპებს რომ თავი გავანებოთ, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ქართული „შოუბიზნესი“ დღესდღეობით უცხოური სიმღერების გარემიქსებით სულდგმულობს, ნამდვილად დიდი აურზაური ატყდება)

ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით, კონკრეტულ ნაწარმოებზე საავტორო უფლებისთვის ოფიციალური რეგისტრაცია საჭირო არ არის. თუმცა, სასურველი იყო, პირველად გამოქვეყნების დროს — წიგნი იქნებოდა ეს თუ ფირფიტა, ავტორის სახელი ყოფილიყო მოხსენიებული. როგორც „შატილის ასულოს“ შემთხვევიდან ჩანს, ეს ნაწარმოები ისე ახლოს აღმოჩნდა ხალხთან, რომ ფოლკლორში ძალიან მალე გაითქვიფა და გახალხურდა. მიუხედავად ამისა, იოსებ ლონგიშვილს საავტორო უფლება „შატილის ასულოზე“ მაინც გააჩნია, მაგრამ როგორც გითხარით, „ერისიონის“ ხელმძღვანელობისთვის ამის ცოდნა ძნელი და შეუძლებელიც კი იყო. კარგია, რომ გაუგებრობა აღმოიფხვრა და მხარეები მაინც შეთანხმდნენ.

***დაჩი გრძელიშვილი***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები გენიოსობენ

**4 წლის ვაჩე მაკარიძე** მამას ეკითხება:
— დედიკო ფეხბურთის სათამაშოდ წავიდა?
— არა, რას ამბობ?!
— აბა, წელან რომ გითხრა, საბურთალოზე მივდივარო?!

***

**4 წლის ანი გაჩეჩილაძეს** ვუთხარით, ბებომ ფეხი მოიტეხაო.
— თუ მოიტეხა, რატომ აბია? — გაიკვირვა ანიმ.

***

ეზოში წვიმამ მოგვისწრო. **პატარა ანიმ** ბაბუას უთხრა:
— ბაბუ, ახლა შევიდეთ შინ და წვიმა რომ მოშორიალდება, მერე გამოვიდეთო.

***

**5 წლის დათო გირდა** ჭამის დროს თავშეუკავებლად იცინოდა, დედამ შენიშვნა მისცა:
— ნუ იცინი, ჭამე.
— მოიცა, დედა, გადავიცინო და შევჭამ, — მიუგო ბიჭმა.

***

**3 წლის იკა გაზინაშვილს** დედამ კანფეტი მიუტანა და უთხრა:
— რამდენსაც დათვლი, იმდენს მოგცემ.
იკამ დაიწყო თვლა:
— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, რვა...
დედამ შეაჩერა და ჰკითხა:
— შვიდი? შვიდი რატომ გამოტოვე?
იკამ ისევ დაიწყო:
— ხუთი, ექვსი, რვა...
— შვიდი? ჰკითხა დედამ.
იკამ თავიდან დაიწყო...
— ხუთი, ექვსი, რვა...
— შვიდი? გაახსენა ისევ დედამ.
— მიდი, რა დედა, 6 კანფეტი მომეცი, მეტი არ მინდა, — თქვა დაღლილმა იკამ.

შეიტანეთ კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ, ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ ფრინველთა მეფის სახელს.

II



## იპოვე 15 განსხვავება





რა ესიზმრება დათვს, კატას, მელიას და კურდღელს?





მოძებნე ფრაგმენტები ნახატში



კომპიუტერის მონიტორზე არსებულ ცარიელ უჯრებში ჩახატე შესატყვისი ფიგურები



გამოიყვანე გოგონა ლაბირინთიდან



ფისოს სახლი არც ყველაზე მაღალია, არც ყველაზე — დაბალი. სად ცხოვრობს ფისო?

## I რებუსი





## ჭიავორდი

| ხის თოჯინა | მანათობელი მწერი ციცი... | დათუნია ... პუჰი | ლოტოს ... | ლექსის ბოლო ბგერები |
|---|---|---|---|---|

| ღამის ფრინველი | მამაკაცის სახელი | ... გაფრინდაშვილი | ქალაქი კახეთში | ... ფიროსმანი | ... იქა, ლხინი აქა | თავზე გვაქვს... |
|---|---|---|---|---|---|---|

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალლო-სალალო“

**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

CMYK

# ცხოვრებისეული კურიოზები

## „ბედის ირონია, ანუ გაამოთ" — ჩვენებურად



ცეცხლზე შემოდგმული „ოჯახის ბურჯის" — ლობიოს საქმე შეკაზმამდე რომ მივიდა, ცოლს მაშინ გაახსენდა, სახლში მწვანილი რომ არ იყო და ბაზარში მაფრინა...

კისრისტეხით მიმავალი გზად სტუდენტობისდროინდელ საგარეჯოელ მეგობარს, სანდროს გადავეყარე, რომელმაც მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ „კატეგორიული" წინააღმდეგობის მიუხედავად, მანქანაში ძალით ჩამტენა და სახლისკენ გამაქანა...

ბედის ირონია იყო თუ რა, თექვსმეტსართულიან კორპუსში, სადაც იგი ბოლო სართულზე ცხოვრობდა, ლიფტი იმ მომენტისთვის არ მუშაობდა. მეგობარი ამას დიდად არ დაუმწუხრებია, ბინის შესასვლელიდან ცოტა უკან დაიხია, ვეება თითები პირში ჩაიტენა და ერთი ისეთი დაუსტვინა, მთელი კორპუსი ფანჯრებს მოაწყდა...

— შენ მშვიდად იყავ, თხუთმეტ წუთში ჩამორიხინდებიან!..

— ვინა, კაცო, ლიფტის შემკეთებლები?! — ცოტა არ იყოს დავიბენი მე...

— არა, ჯოო, ოჯახობა! „ტრადიცია" გვაქვს ასეთი, ლიფტმა თუ მიმტყუნა, ფეხით არ ავდივარ, მაგაი მოვაკვლევინებ თავსა, ისინი ჩამოდიან დაბლა და სოფელში მივდივართ ღამის სათევადა...

...თბილისში, მწვანილის მომლოდინე, გაზის ქურასთან ჩაძინებულ მეორე ნახევარს საგარეჯოდან რომ შევეხმიანე, ღმერთს მადლობა შევწირე, ასე შორს რომ ვიყავი და ლობიოს ქვაბის თავზე დამხობას გადავრჩი. მერე კი ჩემმა მასპინძლებმა იმდენი ელაპარაკნენ ლიფტთან დაკავშირებულ ოჯახურ ტრადიციასა და ჩემს უდანაშაულობაზე, მომლბალმა ქალმა სულ გაამოთ, გაამოთ, იძახა მავთულის მეორე მხრიდან...

## სიურპრიზი



მირიანმა და ამალიამ ერთადერთი ქალიშვილი მეზობელ რაიონში გაათხოვეს და დღენიადაგ მოუთმენლად ელოდნენ სიძე-ქალიშვილის გამოჩენას. სიძეს ხომ განსაკუთრებით ევლებოდნენ თავს და სულ მის მოფერება-პატივისცემაში იყვნენ.

ერთხელაც, ჩვენი სიძე-ბატონი ახალთახალი, უნომრო „ჟიგულით" მიადგა. გაიშალა სუფრა, დალოცეს შენაძენი...

დილით კი, ვიდრე ნაქეიფარ, ბედნიერ სიძეს ტკბილად ეძინა, სიურპრიზი მოვუწყოთო და სიდედრ-სიმამრმა მანქანის რეცხვას მიჰყო ხელი...

ახალგაღვიძებულმა, ეზოში ჩამოსულმა სიძემ ერთი-ორჯერ თვალები გაკვირვებით მოიფშვნიტა და რომ დარწმუნდა, ეს სიზმარი არ იყო, გელშეღონებული მოლზე ჩაიკეცა... ერთიანად ზედაპირგაუბედურებული საოცნებო ავტომანქანის წინ.

თურმე, ჩვენს ენთუზიასტ „მრეცხავებს", აქაოდა, ჭუჭყი კარგად გავაცალოთო, მანქანა სულ ქვიშით უხეხიათ...

***შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი***

## მარათონი ბანაობის შემდეგ



კაი მეგობარი მყავდა, ლევან მოქერაშვილი, დიდი იუმორის ნიჭი ჰქონდა...

ლევანი სიმამრის ოჯახში ცხოვრობდა, ბატონი გერონტიც არანაკლებ მხიარული კაცი იყო ქეიფიც უყვარდა. სუფრასთან სიძე-სიმამრის ოხუნჯობისა და „პაექრობის" მოსმენას არაფერი სჯობდა. ისე, ცხოვრებაშიც სულ იმას ცდილობდნენ, ერთმანეთისთვის რაიმე ოინი მოეგონებინათ.

ერთ წელიწადს გერონტიმ სოფლიდან ჩამოსული, თავისი ახლო ნათესავი ახალგაზრდა ბიჭი ერთ-ერთ პრესტიჟულ ტექნიკუმში მოაწყო და პატარა ფულიც დახარჯა. დამთავრდა გამოცდები, გამოქვეყნდა ჩარიცხულთა სიები. გერონტი კირვალიძის ოჯახში ახლობელი ბიჭის ჩარიცხვის აღსანიშნავი სუფრა იყო გაშლილი, რომელზეც მოწვეულნი იყვნენ ნათესავები და საგამოცდო კომისიის რამდენიმე წევრიც...

ქეიფი რომ გაუტკბათ სუფრის წევრებს, ვიღაცამ რადიო ჩართო (იმ პერიოდში ყველა ოჯახში იყო ე.წ. ხაზის რადიოები). მოქეიფეთა ყურადღება დიქტორის პათეტიკურმა ხმამ მიიქცია: „ყურადღება! მოისმინეთ უკანასკნელი ცნობები. დამთავრდა გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში და ტექნიკუმებში. შარშანდელთან შედარებით წელს აბიტურიენტები უკეთ მომზადებულნი მოვიდნენ და ღირსეულები ჩაირიცხნენ კიდეც სასწავლებლებში. მაგრამ იყო გამონაკლისი შემთხვევებიც. ასე, მაგალითად, მოქალაქე გერონტი კირვალიძემ თავისი ნათესავის მოწყობაში ქრთამი გადაიხადა..."

უნდა გენახათ სუფრის წევრების გაოცება. ახალგასტუდენტებულმა და ბიძამისმა გერონტიმ ფერი დაკარგეს...

ამ დროს გერონტის სიძე ლევანი, ვითომც აქ არაფერიო, მაგნიტოფონთან მივიდა და ფირი გადაახვია... — თურმე ლევანს ტექსტი მაგნიტოფონზე ჩაუწერია, მაგნიტოფონი კი რადიოს ქსელში ჩაურთავს...

***რევაზ გენგაშვილი, თბილისი***

## რევიზორის გულმავიწყობა



სიღნაღის რაიკავშირის ერთ-ერთმა რევიზორმა, ნიკო გ.-მ, მორიგი შემოწმების შემდეგ მცირედი „პატივისცემა" — წითელი ათმანეთიანების დასტა იმ ჯიბეში მოაყუჩა, რომელშიც კომპარტიის წევრთა უმრავლესობას წითელი მანდატები ედოთ და აღარც ახსოვდათ. იმ დღეს რაიკავშირში პარტორგანიზაციის კრება ტარდებოდა, რომელზედაც უშრომელი შემოსავლისა და პირადი დისციპლინის საკითხი განიხილებოდა და რომელზედაც იმდღევანდელი „ნადავლით" კმაყოფილი ნიკო მოგვიანებით გამოცხადდა, რის გამოც რაიკავშირის თავმჯდომარეს ირაკლი ალავერდაშვილის (მეტსახელად „მაწკალა") გულისწყრომაც დაიმსახურა.

— რატომ აგვიანებ კრებაზე, ამხანაგო ნიკო? რას გეუბნება შენი პარტიული სინდისი? გულზე ხელი დაიდე, რა გიდევს მაგ ჯიბეში?

ნიკოს აღარც ახსოვდა, რომ იქ, სადაც დილას ათმანეთიანები ჩაიცურა, მანდატიც ედო, ამიტომ იფიქრა, სწორედ ფულზე მეუბნებაო და ხელები გაასავსავა:

— რა უნდა მედოს, რაჟდენიჩ?!

— ჰო, აბა კარგად გაიხსენე, სწორედ მაგ ჯიბეში გიდევს ის, რასაც ყველა ასე ძალიან ვაფასებთ!..

„ნუთუ გაიგო ამ ოხერმა"? — გაიფიქრა ნიკომ და ამოილუღლუღა:

— არაფერიც არ მიდევს, რაჟდენიჩ!

— რაო? მაგ ჯიბეში ის არ გიდევს, ლენინი რომ ახატია? — გაწყრა „მანკალა". ნიკო კიდევ უფრო დაფრთხა (ათმანეთიანებსაც ხომ ლენინის პორტრეტი ამშვენებდა!).

— არა, არა, რაჟდენიჩ, არაფერიც არ მიდევს! — და შეშინებულმა გულის ჯიბეზე აკანკალებული ხელი მოისვა.

— კაცო, წითელი, წითელი რა გიდევს-მეთქი! — მთლად გადარია თავმჯდომარე თანამშრომლის „პარტიულმა უდისციპლინობამ". ნიკო სულ წახდა (სწორედ რომ წითელი იყო ათმანეთიანები!).

— არა, არა! ამ ჯიბეში არაფერი არ მიდევს! — წამოიძახა შეშინებულმა. როგორი საქმეა — ათას მანეთზე მინიმუმ ათი წლით მაინც ჩასვამდნენ.

რაიკავშირის თავმჯდომარე სულ გამოვიდა მდგომარეობიდან:

— მაშ სად გიდევს მანდატი, ამხანაგო ნიკო! — განრისხებით წამოიძახა მან, რევიზორმა როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქა და თავი ჩაღუნა.

— აღარ მახსოვდა, რაჟდენიჩ!

— სასტიკი საყვედური პირად საქმეში შეტანით! — გამოაცხადა რაიკავშირის თავმჯდომარემ, მაგრამ გადაწყვეტილება აღარ შეუსრულებია, რადგანაც კრების დამთავრების შემდეგ ნიკომ სანაქებო სუფრა გაშალა რესტორანში და თავისი „გულმავიწყობის" შესახებ მეგობრებიც აცინა და რაიკავშირის თავმჯდომარეც.

***ანზორ სიფრაშვილი, წნორი***

## მკითხველის — — საყვარელი ანეკდოტი



რაჭველი ბაზრობაზეა და გამყიდველს ეკითხება:

— რა ღირს ეს ორმოცდაათთეთრიანი წებო?

***სპიკერა, ოზურგეთი, შემოქმედი***



გათბილისელებული სვანი გაბრაზებული ეუბნება იმერელ მეზობელს, — შენს შვილს ზრდილობას ვერ ასწავლი?

— შენს მეტს ეს არავის უთქვამს! — შეწუხდა იმერელი.

— რა ვიცი, იმ დღეს ტელევიზორში გამოდიოდა, სამჯერ მივესალმე, მაგრამ ზედაც არ შემომხედა, გადიდკაცდა, არა?!

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***



მიხო ატამს ყიდის ბაზარში. მოვიდა ერთი მოხდენილი ქალბატონი. აიღო ერთი ატამი, ხელში შეათამაშა და ისევ დადო. ახლა მეორე აიღო, ისიც შეამოწმა თითებით, ახლა მესამე აიღო...

უყურა, უყურა მიხომ, ველარ მოითმინა და შესძახა:

— ქალო, შენ რო ეგრე მიგზილ-მოგზილონ, მაგეწონება?!

***ვახტანგ ჯანეზაშვილი, თბილისი***

## რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული ლექსიკონი ასევე ზოგიერთი სიტყვის განმარტებანი



იზოტოპი — იზოს თოფი
იორდანია — დანიის იორი
იზაბელი — თეთრი იზო
იდუმალი — დავდივარ ჩქარა
იაშინ — მე შინა ვარ
იდილია — ლია, მოდი!..
ინოსტრანნი — ცხვირიც რა უცნაური აქვს
იკარუსი — ირაკლის რუსი
ისლანდია — ჰამლეტ, ის მამაშენის აჩრდილია
ია ია — მე ვარ მე... ჩემი დუელში გამომწვევთა გასაგონად.

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

DURA LEX SED LEX

# სასამართლო ქრონიკა

ყოველთვიური ჩანართი №8 18.02.2002

როცა კანონი ამოქმედდება

# ვინ უნდა ამტკიცოს არაკორუმპირებულობა?

**„სიტყვის და პრესის თავისუფლების შესახებ“ კანონპროექტის თაობაზე კომენტარი ვთხოვეთ პრაქტიკოს იურისტს, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ადვოკატს დიმიტრი ქიტოშვილს:**

— ამ კანონპროექტს გაცილებით სხვა დატვირთვა აქვს, ვიდრე კონსტიტუციას. დღეს ხშირია ისეთი პრეცენდენტები, როცა სახელმწიფო მოხელეები, მინისტრები, დაწესებულებათა ხელმძღვანელები, ზოგადად საჯარო პირები, მედიაში, მათი შეფასებით, შეურაცხმყოფელი განცხადებების გამო, სასამართლოს მიმართავენ და არც თუ იშვიათად, უარყოფის გარდა, მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვენ.

საქმე ის არის, რომ თუ ვინმე პრეზიდენტს, მინისტრს ან ნებისმიერ ჩინოვნიკს, დისკრედიტაციის მიზნით ლანძღავს, ის უნდა დაისაჯოს. თუ საუბარია ხალხის უკმაყოფილებაზე ამა თუ იმ თანამდებობის პირის მიმართ, ამ შემთხვევაში პრობლემა თავად ამ მოხელის საქმიანობაა.

ამ კანონპროექტის ნოვაცია სწორედ ის არის, რომ შემოვა საჯარო პირის ინსტიტუტი და მტკიცების ტვირთი მასზე გადავა. ანუ, როდესაც ხალხი, საზოგადოება კრიტიკულად არის განწყობილი ამა თუ იმ მოხელის მიმართ და მის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამს, სწორედ ამ უკანასკნელმა უნდა დაამტკიცოს, რომ კორუმპირებული არ არის და ვიღაც, სრულიად უსაფუძვლოდ, მის დისკრედიტაციას ან შეურაცყოფას ისახავს მიზნად.

რჩეი შენი ქონება

ლანა უგრეხელიძე

# „ომი წესების გარეშე...“

ფილმის — „ომი წესების გარეშე-მხოლოდ ფაქტები“ ავტორმა ლუბოვ ჩხენკელმა საავტორო უფლებები „მოიმარჯვა“ და ტელეკომპანია „კავკასიის“ წინაამლდეგ, ფილმის უნებართვო ჩვენებისათვის, არაერთი სასამართლო ინსტანცია მოიარა. თუმცა, საავტორო უფლებების განსჯა-არგანსჯის ნაცვლად, სასამართლოში თავად ფილმის დემონსტრირების ფაქტი გახდა დასადგენი. მართლაც გავიდა თუ არა 1998 წლის 15 დეკემბერს, „კავკასიის“ არხზე ფილმი, რომლის უნებართვოდ დემონსტრირებისათვის, ლუბოვ ჩხენკელი ტელეკომპანიას 78 ათასი ლარის გადახდას აკისრებდა.

(დასასრული მე-19 გვერდზე)

მაია ოქრუაშვილი

**რატომ გახდა აუცილებელი „პრესისა და სიტყვის თავისუფლების შესახებ“ საგანგებო კანონპროექტის მომზადება მაშინ, როცა სიტყვის თავისუფლება კონსტიტუციითაა დეკლარირებული. IRIS-საქართველოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილე დავით უსუფაშვილი თვლის, რომ მართალია, ამ კანონის ცალკე, იურიდიულ დოკუმენტად არსებობის იურიდიული აუცილებლობა არ არის, თუმცა ჩვენს შემთხვევაში, მას უფრო პოლიტიკური დატვირთვა აქვს:**

— ჯერ კიდევ კანონპროექტის სახით, ეს დოკუმენტი გაცილებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს, — აცხადებს დავით უსუფაშვილი, — ვიდრე სხვა, უკვე კანონის რანგში მოქმედი დოკუმენტები. ამის მიზეზი კი ის არის, რომ პროექტი ქმნის სერიოზულ ბარიერს ხელისუფლების იმ წარმომადგენელთათვის, რომლებიც შეწუხებულნი არიან სიტყვის თავისუფლების უკვე არსებული სტანდარტებით. ამ კანონპროექტმა დიდი როლი შეასრულა თავის დროზე, როდესაც ის პირველი მოსმენით მიიღეს, რადგან ამით პრაქტიკულად დაიბლოკა აღმასრულებელი ხელისუფლებიდან მომდინარე გეგმები და იდეები. დაინტერესებული მკითხველი მიხვდებოდა, რომ სიტყვის თავისუფლების და დემოკრატიული პროცესების მომხრენი, ამ თემაზე საუბრისას ხმარობენ ტერმინს — „სიტყვის თავისუფლება“, ხოლო მოწინააღმდეგენი ტერმინს — „კანონი პრესის შესახებ“. ეს ორი განსხვავებული ცნებაა, რადგან კანონი პრესის შესახებ, როგორც სამართლებრივად, ასევე პოლიტიკურად, საჭირო არ არის: მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და ჟურნალისტების სტატუსის დარეგულირება ჩვეულებრივი კანონით არ უნდა ხდებოდეს, სიტყვის თავისუფლება კომპლექსურია და ჩვეულებრივი მოქალაქეების უფლებებსაც უზრუნველყოფს. ამ ფონზე მე არსებულ Status quo-ს შენარჩუნებას ვამჯობინებდი: ანუ ერთის მხრივ, პრესის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ არსებული კანონი, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს წყაროს კონფიდენციალურობას და მეორეს მხრივ, პოლიტიკური განაცხადი, აღნიშნული კანონპროექტის სახით. თუმცა, ნაკლებად მჯერა, რომ პარლამენტი ამ კანონპროექტს მიიღებს. რაც შეეხება სიტყვის თავისუფლებას, ეს სასამართლო პრეცენდენტებით უნდა დარეგულირდეს, მით უმეტეს, რომ ასეთები დღეისათვის უკვე არსებობს.

**— რა მინუსები და პლუსები აქვს ამ კანონპროექტს?**

— იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით საკმაოდ სადაო დოკუმენტია. სხვადასხვა კონცეფციების კომპილაციით სახეზეა მცდელობა იმისა, რომ ეს კანონპროექტი ზოგადი სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოებს მიღმა აღმოჩნდეს. მეორე მინუსად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ამ დოკუმენტში ხშირია კონსტიტუციური ნორმების განმეორება, რაც რეალურად არ არის საჭირო. ასევე ამ კანონპროექტის ისეთი ნოვაციები, როგორიცაა მტკიცების ტვირთი, სარჩელის დაუშვებლობის საკითხები, საკმაოდ სადაოა.

პროექტში არის ძალიან მნიშვნელოვანი დოქტრინა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ არ შეიძლება სასამართლო წესით ვაიძულოთ ადამიანი უარყოს საკუთარი აზრი. დაუშვებელია, ადამიანს ათქმევინო ის, რისიც მას არ სჯერა და არ სწამს. შეიძლება ვაიძულოთ პირი უარყოს ფაქტები, რომლებიც შემდგომი გადამოწმებისას არასწორი აღმოჩნდება, მაგრამ იძულების წესით შეხედულებების უარყოფა დაუშვებელია. ნაცვლად იმისა, რომ ჩვენ ვაიძულოთ მოქალაქე თავად უარყოს კონკრეტული ცნობა, შეგვიძლია დავაკისროთ მას ფინანსური ვალდებულება, რათა უზრუნველყოს მეორე პირის მიერ ამ ფაქტების უარყოფა და ეს ვალდებულება, აუცილებლად თანაზომადი უნდა იყოს. მაგალითად, თუ პირმა ტელევიზიის საშუალებით გაავრცელა ინფორმაცია, რომელიც წინასწარი განზრახვით მონაჭორი იყო, მას უნდა დაეკისროს იმ საეთერო დროის შესყიდვა, რომელშიც სწორი ინფორმაცია გავრცელდება.

**— არის თუ არა რაიმე დასახვეწი საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე?**

— რაც შეეხება საერთაშორისო პრაქტიკას, აქ ყველაზე საგულისხმო ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს პრაქტიკაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ რა ხარისხით ვრცელდება სიტყვის თავისუფლება ჩვეულებრივ მოქალაქეებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებზე. ამ შემთხვევაში განსხვავებული სტანდარტებია, როდესაც ინფორმაციის გამავრცელებელი მოქალაქეა და მაშინ, როდესაც ინფორმაციას საჯარო მოხელე ავრცელებს. თუ გავიხსენებთ პრეზიდენტის ფრთიან გამონათქვამს „მინისტრსაც ხომ აქვს სიტყვის თავისუფლება?“ — ცხადია, ეს ასე არ არის. სიტყვის თავისუფლება ვრცელდება ინდივიდზე, ადამიანზე და აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს ინდივიდის, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლის და ჩვეულებრივი ადამიანის უფლებები. მაგალითად, როდესაც რომელიმე მინისტრი ან მისი მოადგილე თავის კომპეტენციას დაქვემდებარებულ თემაზე საუბრობს, იგი ინდივიდის როლში არ გამოდის. იგი ასეთად აღიქმება, როდესაც ისაუბრებს თემაზე, რომელიც მისი სამსახურებრივი კომპეტენციის მიღმაა. მაგალითად, შეუძლია თავისუფლად ისაუბროს, თუ რომელი ფეხბურთელი მოსწონს. როდესაც სიტყვის თავისუფლებაზეა საუბარი, აქ ხელისუფლების წარმომადგენლები თავიანთი სახელისუფლებო მანტიით არიან შეზღუდულნი. გასათვალისწინებელია მოსახლეობის მხრიდან ინფორმაციის აღქმის და გაგების ფაქტორიც, რადგან ჟურნალისტის მიერ ნათქვამი სხვაგვარად აღიქმება, ვიდრე მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადება.

(დასასრული მე-18 გვერდზე)

# სიტყვის თავისუფლება თუ პრესის კანონი?



საქმე №

ალექსანდრე სულავა

# „ქათამაძე საქართველოს წინაამლდეგ“

**როგორც ჩანს, ახლო მომავალში, ჩვენი საზოგადოება საინტერესო, პრეცენდენტული მნიშვნელობის მოვლენის მომსწრე გახდება. ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლო სტრასბურგში პირველად იმსჯელებს საქართველოში წამოჭრილ სასამართლო დავაზე, რომელიც იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ საქმე პრესას და აზრის გამოთქმის თავისუფლებას შეეხება.**

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს, სასარჩელო განცხადებით, გაზეთ „ქობულეთის“ რედაქტორმა ნატო ქათამაძემ მიმართა.

საქმე ის გახლდათ, რომ 1998 წლის 14 აგვისტოს გაზეთის რედაქტორმა გამოაქვეყნა პუბლიკაცია, რომელშიც გადმოცემული იყო რედაქტორის აზრი გაზეთ „აჭარა P.S“-სა და ამ გაზეთის თანამშრომლებზე. „აჭარა P.S“-ის რედაქტორმა ტარეილ ქათამაძემ, აგრეთვე გაზეთში მომუშავე სხვა პირებმა, ქობულეთის რაიონულ სასამართლოს, მათი პატივის და ღირსების შელახვისათვის, სარჩელით მიმართეს. საქმე, სირთულის გამო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიას გადაეგზავნა. სასამართლომ, საქმეში თანამოპასუხეებად გაზეთ „ქობულეთის“ რედაქცია და მისი დამფუძნებელი ქობულეთის რაიონის გამგეობაც ჩართო.

სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა: კერძოდ, ნატო ქათამაძეს პუბლიკაციაში გამოყენებული ისეთი ფრაზების უარყოფა დააკისრა, როგორიცაა: „სულით მონა, მონა ანგარების, შანტაჟისტი“, „ერთუჯრედიანი მხარდამჭერი“, „დაარსდა უზნეოთა გაზეთი“, „წახვალთ გარიგებაზე ამ ბინძურ ხალხთან“, „საეჭვო რეპუტაციის“...

ამის გარდა, სასამართლომ ნატო ქათამაძეს და დანარჩენ მოპასუხეებს სოლიდარულად, 4000 ლარის ანაზღაურება დააკისრა მორალური ზიანისთვის. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ნატო ქათამაძის საკასაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და ძალაში აჭარის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება დატოვა.

მას შემდეგ, რაც „შიდა სახელმწიფოებრივი პროცედურები“ ამოწურა, ნატო ქათამაძემ ევროპის სასამართლოს განცხადებით მიმართა. იგი ამტკიცებს, რომ დაირღვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმები, დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელი უფლებები და თავისუფლებები. მისი შეფასებით, ხელყოფილია აზრის გამოთქმის თავისუფლების პრინციპი, სასამართლომ არ გამიჯნა კერძო და საჯარო პირი. ამ უკანასკნელს კრიტიკული გამონათქვამებისადმი, მეტი მოთმინება ევალება. მოსარჩელეთა შეფასებით, კურიოზია, რომ სასამართლომ „ცნობების გამავრცელებლად“ არამარტო საინფორმაციო საშუალება და ჟურნალისტი, არამედ გაზეთის დამფუძნებელი — ქობულეთის რაიონის გამგეობაც მიიჩნია.

სარჩელი, სტრასბურგში: „ქათამაძე საქართველოს წინააღმდეგ“ სახელით დარეგისტრირდა. ევროპის სასამართლო ახლა მის მისაღებობაზე იმსჯელებს.

# იმუშავებს თუ არა „ორხუსის კონვენცია" საქართველოში

ანდრო ბიგაური

მიმდინარე კვირას კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოში, შეიძლება ითქვას, პრეცედენტული მნიშვნელობის სასამართლო პროცესი გაიმართება.

საქმე ის არის, რომ 2001 წლის ოქტომბერში, საქართველოს პარლამენტმა ორხუსის კონვენციას რატიფიცირება გაუკეთა და გარემოს დაცვის პრაქტიკას საქართველოში თვისებრივად ახალი შესაძლებლობები შესძინა.

კერძოდ, კონვენცია უზრუნველყოფს ქვეყნის ყოველი მოქალაქის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, კანონიერ საფუძველს აძლევს მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც გარემოს დაცვას უკავშირდება და იჩივლოს სასამართლოში.

სწორედ კონვენციით მინიჭებული უფლების გამოყენებას შეეცდება მოქალაქეთა ჯგუფი სასამართლოში და თბილისის მერიისაგან ლილოს ნაგავსაყრელის გაუქმებას, ხოლო საკრებულოსაგან, ადგილობრივ ბიუჯეტში ახალი ნაგავსაყრელისათვის აუცილებელი თანხების გათვალისწინებას მოითხოვს.

ამ საქმეში დახმარებას ლილოს მცხოვრებთ სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი უწევს.

# მუდმივი რძალმულიანი

სოფო ბუკია

მულმა რძალს ოქროს ბეჭედი სთხოვა ლომბარდში შესატანად. რძალმაც ათხოვა, აბა, მულს უარს ხომ ვერ ეტყოდა. ერთი წლის შემდეგ ისევ მივიდა მული რძალთან და ამჯერად მამაკაცის ოქროს რგოლი და ქალის ოქროს საათი ითხოვა ერთი წლით და ყველაფრის ერთად დაბრუნებასაც დაჰპირდა. არც ამაზე დასწყვიტა რძალმა გული...

შემდგომ რძალ-მულის ეს თბილი ურთიერთობა ასე განვითარდა: რძალს არათუ დაუბრუნდა ოქროები, თვიური სალომბარდო გადასახადი 27-27 ლარიც მის საფულეს დააწვა ტვირთად, საკუთარი ნივთები რომ არ დაკარგვოდა. ერთ დღესაც მობეზრდა მულის რჩენა და კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს მიადგა. სარჩელში ბევრი სხვა „ცოდვებიც" გაუხსენა ერთ დროს სულზე უტკბეს მულს — ვალად მიცემული და არდაბრუნებული 60 ლარი და სხვა... საბოლოოდ უპასუხისმგებლო მულზე დახარჯულმა და სარჩელში მითითებულმა თანხამ 598 ლარი შეადგინა.

მოსამართლე ნოზაძემ რძალ-მულის „საუკუნეობრივი" დავა ასე გადაწყვიტა: მულმა რძალს უნდა დაუბრუნოს მხოლოდ ოქროულობა და 100 დოლარი. რძლის სხვა ფულადი პრეტენზიები არ დაკმაყოფილდა... ასე რომ, ფრთხილად იყავით ხელგაშლილ რძლებთან...

სასამართლო დარბაზეში

სოფო ბუკია



მამუკა ტყეშელაშვილის ნახატი

# დაკარგული ანტიკვარიატი და ნაპოვნი სამართალი

ქალბატონმა ლუიზა ფ-მ ათასობით დოლარად შეფასებული ოქროულობა სარეალიზაციოდ ანტიკვარულ მაღაზია „ხელოვნების სალონში" ჩააბარა. ორი წლის განმავლობაში ნივთების გარკვეული რაოდენობა გაიყიდა.

1998 წლის სექტემბერში ქალბატონ ლუიზას დაურეკეს მაღაზიიდან და ნივთების სასწრაფოდ გატანა იმ მიზეზით სთხოვეს, რომ მაღაზიის მეპატრონეთა ინფორმაციით, „ხელოვნების სალონს" დაყაჩაღების საფრთხე ემუქრებოდა. ნივთები პატრონმა წესების სრული დაცვით გამოიტანა. ორიოდე თვეში „ხელოვნების სალონმა" ისევ მიიპატიჟა ძველი კლიენტი. მაღაზიის მეპატრონეებმა დაარწმუნეს ქალბატონი ლუიზა, რომ მის ნივთებს საფრთხე, ამჯერად, აღარ ემუქრებოდა. ლუიზა ფ.-მაც „ხელოვნების სალონს" 39 ათას 150 დოლარად შეფასებული ოქროულობა მიანდო. მაღაზია რამდენიმე თვეში დააყაჩაღეს. ამის შესახებ ქალბატონმა ლუიზამ "კურიერიდან" შეიტყო. მეორე დღეს კი მაღაზიის მეპატრონეებისგან ისიც გაიგო, რომ მისი ნივთები ყაჩაღებმა ხელს გააყოლეს. ნერვიულობის ნიადაგზე ქალბატონი სერიოზულად გახდა ავად, დიაგნოზით: "თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა". ის და მისი ოჯახის წევრები არაერთხელ ეცადნენ მაღაზიის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებას, თუმცა პასუხად ან ატყუებდნენ — ყაჩაღები დაჭერილები არიანო, ან ზარალს ჩვენ აგინაზღაურებთო — ჰპირდებოდნენ. ლუიზა ფ. „ხელოვნების სალონს" სასამართლოში სარჩელის შეტანითაც ემუქრებოდა, თუმცა მის მუქარას მაღაზიის მეპატრონეები ცინიკურად ხვდებოდნენ: „მაინც ვერაფერს გახდებაო", — თავს იმშვიდებდნენ ისინი.

დაზარალებულმა „დანაპირები" შეასრულა და კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს სარჩელით მიმართა. მოსამართლე მებონიამ საჩივარი ყურად იღო და "ხელოვნების სალონს" მატერიალური ზარალის მთლიანად ანაზღაურება დააკისრა.

# ოცდახუთი გრანტი თუ ერთი ბოდიში

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების უარყოფის მოთხოვნით კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოში სარჩელი აღძრა. ასოციაცია, სადაც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ქართველ იურისტთა დიდი ნაწილი დაფრთიანდა, ამჯერად სახელმწიფო მოხელისაგან საკუთარი ღირსების დაცვის აუცილებლობის წინაშე დადგა. „ახალგაზრდა იურისტთა" გამნაწყენებელი, ამ შემთხვევაში კი მოპასუხე, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეპატრიაციის სამსახურის ხელმძღვანელი — გურამ მამულია აღმოჩნდა. სარჩელით, იურისტები გურამ მამულიასგან იმ ცნობების უარყოფას მოითხოვდნენ, რომლებიც მან გაზეთებში: „ალიასა" და „დილის გაზეთში" ასოციაციის შესახებ გაავრცელა და რომელიც ასოციაციის იურისტთა შეფასებით, ცილისწამება იყო.

სარჩელში მითითებულია, რომ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" თანამშრომლობს გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან და სამ წელიწადზე მეტია, რაც ერთობლივ პროექტს ახორციელებს. ამ პროექტის ფარგლებში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა მოამზადა დეპორტირებულთა რეპატრიაციის კონცეფცია და კანონპროექტი.

სწორედ ამ კანონპროექტს გაჰკრა კბილი ბატონმა გურამ მამულიამ ჟურნალისტებთან საუბრისას. მისი თქმით, ეს კანონპროექტი დაიწერა საგარეო საქმეთა სამინისტროში რომელიღაც „სტალინის ღრიანკელი" თანამდებობის პირის დაკვეთით, შემდეგ „შემოუგდეს" ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და უთხრეს ამის მიხედვით გააკეთეთ კანონი და ერთის ნაცვლად 25 გრანტს მიიღებთო. სახელმწიფო მოხელე ჩივილითაც დაემუქრა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას. ეს ამბავი სასამართლომდე მართლაც მივიდა, თუმცა სარჩელის ავტორები ახალგაზრდა იურისტები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მოხელეს, მისი ინტერვიულან გამომდინარე, ჩივილის არ ეშინოდა და თამამად აცხადებდა „მიჩივლონ, კაცო, მერე რაო", მას გარკვეული დისკომფორტი მაინც შეექმნა, რადგან მოსამართლე ც. კვატაშიძემ „ახალგაზრდა იურისტების" სარჩელი დააკმაყოფილა: გურამ მამულიას გაზეთებში ტყუილი ცნობების უარყოფა და შესაბამისი ფინანსური ხარჯის გაღება დააკისრა.



დავით უსუფაშვილი

# სიტყვის თავისუფლება თუ პრესის კანონი?

(დასასრული.
დასაწყისი მე-17 გვერდზე)

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპულ პრაქტიკაში გამოიკვეთა ტენდენცია იმისა, რომ პრაქტიკულად აღარ არსებობს მოქალაქის მიერ სახელმწიფოს წინააღმდეგ გაკეთებული განცხადების აკრძალვის ან შეზღუდვის ფორმა. ეს შეიძლება გამოიხატოს დროშის დაწვაში, უცენზურო ლანძღვაში და სხვა. ეს მისასალმებელი არ არის, მაგრამ იმას ნიშნავს, რომ თუ მოქალაქე ამგვარად გამოხატავს თავის აზრს, ეს თავსდება არსებულ სტანდარტებში. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ყველაფერი კანონებით ვერ დარეგულირდება. საზოგადოებაში მოქმედი ეთიკური და მორალური სტანდარტები დიდ როლს უნდა თამაშობდეს და უმთავრესი შემზღუდველი ფაქტორი უნდა იყოს, რათა ვინმემ უშვერი სიტყვებით არ გამოხატოს თავისი აზრი.

**— მკითხველის უფლებების დასაცავად, ხომ არ არის საჭირო საქართველოში პრესომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღება?**

— მინდა აღვნიშნო, რომ ეს საკითხი არა მარტო სახელმწიფოს მიერ, არამედ სამოქალაქო საზოგადოების მიერაც იგნორირებულია. მე არასოდეს დამავიწყდება ცნობილ პოლონელ სამოქალაქო მოღვაწესთან მარეკ ნოვიცკისთან შეხვედრა, როდესაც მან ამიხსნა მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საქმიანობა: იგი ყოველდღე კითხულობს გაზეთებს თავიდან ბოლომდე, საიდანაც იწერს იმ ფრაზებს, გამონათქვამებს, წინადადებებს, რომლებიც, მისი აზრით, არღვევს კანონს. მაგალითად, რომელიმე პირის პირად ცხოვრებაში ჩარევის ფაქტები, ან რაიმე სხვა დარღვევა. იგი ამონაწერს ამზადებს ერთ ეგზემპლარად და უგზავნის პუბლიკაციის ავტორ ჟურნალისტს ისე, რომ ეს ფაქტი არ ხმაურდება. თუ იმავე ჟურნალისტმა მეორედ გაიმეორა ქმედება, რომელიც ნოვიცკის აზრით, არღვევს კანონს, ეთიკის კოდექსს, იგი ამზადებს ამონაწერს ორ ეგზემპლარად და არა მარტო ამ ჟურნალისტს, არამედ გაზეთის რედაქტორსაც უგზავნის. მესამედ მარეკ ნოვიცკი პუბლიკაციიდან ამონაწერ ფრაზებს სამ ეგზემპლარად ამზადებს და უკვე ჟურნალისტს, რედაქტორს და ჟურნალისტთა პროფესიულ გაერთიანებას აწვდის. მეოთხედ მარეკ ნოვიცკი სტატიას წერს და იმავე გაზეთს სთხოვს მის გამოქვეყნებას.

ეს ჩემთვის იყო გაკვეთილი იმისა, თუ როგორ უნდა მოქმედებდეს ამ საკითხებზე ქეშმარიტად მზრუნველი ადამიანი. მსგავს შემთხვევებში მაინცდამაინც ღია ეთერიდან არ უნდა დავიწყოთ ყვირილი, რომ რაღაც არასწორი იყო. როგორც წესი, ასეთ სიტუაციებში მეორე მხარე საპირისპიროს მტკიცებას იწყებს. მაგრამ თუ იგი ხედავს, რომ კრიტიკა არის კეთილგანწყობილი, უფრო მეტად ფიქრდება მის მოქმედებაზე. თუმცა ასეთი კეთილგანწყობილი საპასუხო მოქმედება ძალიან ძნელია. მე მქონია მსგავსი შემთხვევა, როდესაც კონკრეტულ ჟურნალისტს იმავე გაზეთის ფურცლებიდან ვუპასუხე, ახლა კი ვნანობ არა იმიტომ, რომ მართალი არ ვიყავი, არამედ იმიტომ, რომ აჯობებდა პირადად დაველაპარაკებოდი მას. გაბრაზებულ გულზე ეს ძალიან ძნელია, თუმცა ამას ყველა უნდა ვეცადოთ, რათა სწორ გზაზე, სწორი მიმართულებით ვიმოძრაოთ...

სისხლის სამართლის ქრონიკა

მეგი ცანავა

# დანაშაულის აღიარება — დანაშაული არ არის

2000 წელს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც პოლიციელებთან პირთა ჯგუფის შეტაკებას ეხებოდა.

ფაქტი 1999 წლის 21 იანვარს კახეთში, საგარეჯოში მოხდა. შს სამმართველოს თანამშრომლები მივიდნენ ქუჩაში მდგომ „ნივასთან“, რომელშიც ოთხი ადამიანი იჯდა და სწორედ ამ დროს მოვლენებიც ელვის სისწრაფით განვითარდა. პოლიციელებისაგან თავის დაღწევის მიზნით, მანქანაში მსხდომებმა ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გახსნეს და ერთ-ერთი პოლიციელი, ზაზა ქურხული დაჭრეს. დაიჭრა მანქანაში მჯდომი პიროვნებაც, გვარად დობაძიშვილი. მან შემთხვევის ადგილიდან გაქცევა ვერ შეძლო, დანარჩენები კი მიიმალნენ.

როგორც სასამართლო მასალებიდან ირკვევა, მომხდარი ფაქტიდან სამი დღის გასვლის შემდეგ, „ნივაში“ მსხდომთაგან ერთ-ერთი, შოთა ჭიჭიაშვილი, რომელიც ამჟამადაც მიმალვაშია, მობილური ტელეფონით დაუკავშირდა თავის ნაცნობს გიორგი ა.-ს და მას სოფელ თოხლიაურში სასწრაფოდ ჩასვლა სთხოვა. იქ ჩასულ გიორგის კი ჭიჭიაშვილი იარაღით დაემუქრა და აღნიშნული „ნივით“ სოფელ დუისში წაყვანა მოსთხოვა. ტრასაზე მიმავალი „ნივა“ პოლიციელებმა შენიშნეს, თუმცა გიორგი ა. პიკეტებზე მანქანას არ აჩერებდა, რადგან, მისი თქმით, ჭიჭიაშვილმა პოლიციელების დანახვაზე ავტომატი მოიმარჯვა. „მე ვთხოვე მას არ ესროლა და პოლიციისაგან თავის დაღწევას დავპირდი... ვცდილობდი როგორმე განმემუხტა სიტუაცია და ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ შოთას ავტომატი არ ეხმარა... ადვილი შესაძლებელი იყო, რომ მას იარაღი გამოეყენებინა, რასაც მსხვერპლი მოჰყვებოდა“, — წერს თავის ჩვენებაში გიორგი.

ჭიჭიაშვილმა მიმალვა შეძლო, ხოლო გიორგი 1999 წლის 24 იანვარს, დილით ახმეტის პოლიციაში გამოცხადდა და აღიარა, რომ წინა დღით რამდენჯერმე არ დაემორჩილა საგზაო პოლიციას და ამის მიზეზიც ახსნა. პოლიციელებმა მას განმარტება ჩამოართვეს, პროკურატურამ კი გიორგი იმავე დღეს ექვმიტანილად გამოაცხადა და ბრალი წაუყენა. გიორგი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალების უკანონო, საკუთარი ნებით გადატანასა და შენახვაში დაადანაშაულეს.

იარაღის გადაზიდვასთან დაკავშირებული მუხლები სასამართლომ უსაფუძვლობისა და მტკიცებულებათა არარსებობის გამო გააუქმა. განსასჯელის ადვოკატი სასამართლო პროცესზე გიორგის ბინის ჩხრეკისას ე.წ. „ლიმონკის“ ამოღების ფაქტსაც ეჭვისქვეშ აყენებდა, თუმცა ფაქტი ფაქტად დარჩა და სასამართლომ გიორგის „ლიმონკისათვის“ ორი წლით (აქედან ერთი წელი პირობით) თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. პატიმრობაში ყოფნის ვადა გიორგის მოხდილად ჩაეთვალა და იგი ციხიდან გაათავისუფლეს.

# სასტიკი მკვლელობა

სანდრო უსტიაშვილი

თბილისის საოლქო სასამართლო განსასჯელის პ.ბ.-ს საჩივარს განიხილავს. განსასჯელი მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის შემსუბუქებას ითხოვს.

განაჩენში ნათქვამია, რომ ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა პ.ბ-მ. ლოგინში მწოლიარე დედამთილს, 80 წლის მოხუცს ჩხუბი დაუწყო, ჯერ ცემა მას, შემდეგ კი ჩანგლით და დანით 19 დაზიანება მიაყენა. ამასაც არ დასჯერდა და მოხუცს ჩაქუჩი ორჯერ ჩაარტყა. მოხუცი იმავე დღეს ტვინის შეშუპებით გარდაიცვალა.

დედამთილის გარდაცვალება პ.ბ-მ მეზობლებს ორი დღის შემდეგ შეატყობინა. თუმცა არც მათთან და არც სასამართლოში დანაშაული არ აღიარა.

სასამართლომ მოგვიანებით გამოარკვია, რომ პ.ბ. მცირეწლოვან ვაჟთან ერთად, დედამთილთან საცხოვრებლად, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გადავიდა და 3-4 წლის მანძილზე მუდმივი უსიამოვნება ჰქონდა. მეზობლების ჩვენებებიდან ირკვევა, რომ პ.ბ დედამთილს სასტიკად ცემდა, ხოლო მცირეწლოვანი შვილი სახლიდან ხშირად გარბოდა.

მოხუცმა ერთხელ საჩივრით პოლიციასაც მიმართა, თუმცა განცხადებამ ადრესატამდე დაგვიანებით მიაღწია.

მეზობელთა ჩვენებებმა, ნივთმტკიცებებმა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებმა აჩვენა, რომ 45 წლის პ.ბ.-მ სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა და მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ამავე დროს, სასამართლომ გაითვალისწინა ის, რომ განსასჯელის მცირეწლოვან ვაჟს თბილისში ახლო ნათესავი არ ჰყავდა და მასზე მზრუნველობა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრ „ბედურებს“ დააკისრა.

# გაჭირვებულ კაცს რუბლი აღმართში დაეწიაო

პატარა გიორგი ჭანტურია ცერებლარული დამბლით არის დაავადებული. იგი მეორე ჯგუფის ინვალიდია. ბავშვი დედით ობოლია და მას მამა ზრდის. გიორგის გერმანიაში გადაუდებელი ოპერაცია ესაჭიროებოდა, რისთვისაც 1991 წელს საქართველოს ღვთისშვილთა კავშირმა შემოწირულობებისათვის „ივერთბანკში“ მას ანგარიში გაუხსნა. ანგარიშზე შემოწირულობების სახით და საბანკო ოპერაციებიდან შემოსულმა თანხამ 777 ათას 580 რუსული რუბლი შეადგინა. როცა გიორგის მამამ იური ჭანტურიამ მისი ვაჟის კუთვნილი თანხის გამოტანა გადაწყვიტა, იგი ბანკიდან უარით გამოისტუმრეს. ფული ბანკში წლების განმავლობაში ინახებოდა და ძველი კურსით მის გასტუმრებაზე არავინ ფიქრობდა.

იური ჭანტურიამ ბანკის წინამღდეგ სარჩელი სასამართლოში შეიტანა. „ივერთბანკმა“ სარჩელი ნაწილობრივ სცნო, კერძოდ დაადასტურა, რომ ანგარიში მართლაც არსებობდა, თუმცა მისი ძველი კურსით გადახდაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ბანკის ხელმძღვანელობამ თავისი არგუმენტი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: 1997 წლის დეკემბერში რუსეთის მთავრობამ რუსული რუბლის დენომინაცია გამოაცხადა, ანუ ნომინალურ თანხას ერთი ნული „ჩამოშორდა“ და ჭანტურიებს 777,58 რუბლი ანუ 54 ლარი და 60 თეთრი მიაკუთვნა.

ბანკის არგუმენტი მთაწმინდა-კრწანისის რაიონის მოსამართლე ხათუნა ხვადაგიძემ არ გაიზიარა და ბანკს მოსარჩლის სასარგებლოდ 3 ათას 543 ლარის დაუყოვნებლივ გადახდა დააკისრა.

სისტემა

ნატო მოდებაძე

# რა დანიშნულება ექნებათ მმართველ მოსამართლეებს?



**მმართველი მოსამართლეების ინსტიტუტი ნახევარ წელიწადში ამოქმედდება. შვიდი მოსამართლის კანდიდატურა უკვე შეირჩა.**

სასამართლო რეფორმა ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად კვლავაც გრძელდება. არც თუ ისე დიდი ხნის წინ მსოფლიო ბანკის კიდევ ერთმა პროექტმა დაიწყო განხორციელება. „სასამართლო ადმინისტრირებისა და საქმეთა მართვის შესახებ“ პროექტი ჯერ კიდევ სასამართლო რეფორმის ამოქმედებამდე დაიწერა, თუმცა, მისი რეალურად ამოქმედებისთვის სასამართლო ხელისუფლება აქამდე მზად არ იყო. ამ რამდენიმე წლის განმავლობაში კი უკვე გამოჩნდნენ ის მოსამართლეები, რომლებსაც მმართველ მოსამართლედ მუშაობის არა მხოლოდ სურვილი აქვთ, არამედ უნარიც შესწევთ.

პროექტი თავისთავად საკმაოდ საინტერესოა. საქართველოს თითოეულ რეგიონში თითო მმართველი მოსამართლე დაინიშნება. ისინი რეგიონის მასშტაბით მოსამართლეებს ორგანიზაციული პრობლემების გადაწყვეტაში დაეხმარებიან. საქმეთა განხილვის ვადების გაჭიანურების, საჩივრებზე პასუხის გაუცემლობისა თუ სხვა პრობლემები სწორედ მმართველმა მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს. მეტიც, მმართველი მოსამართლე რეგიონში შემავალი სასამართლოების ბიუჯეტის პროექტს თავად შეადგენს. მმართველი მოსამართლეების კომპეტენციაში იქნება ერთიანი კომპიუტერული ქსელის ჩამოყალიბება და საინფორმაციო უზრუნველყოფა. მავანი იტყვის, რომ მსგავს ორგანიზაციულ პრობლემებს თავად სასამართლოების თავმჯდომარეები უნდა აგვარებდნენ. ეს ასეც არის, მაგრამ მეორეს მხრივ, სასამართლოს თავმჯდომარეს არა აქვს ინფორმაცია, რა მდგომარეობაა რეგიონში ზოგადად, მმართველი მოსამართლის ინსტიტუტის შემოღება კი სწორედ რეგიონში არსებულ სასამართლოებში სიტუაციის დასაბალანსებლად გახდა საჭირო — ისინი რეგიონში ერთიან სასამართლო პოლიტიკას გაატარებენ.

მმართველი მოსამართლის შვიდი კანდიდატურა რეგიონების მიხედვით უკვე შეირჩა და მათ ფუნქციებში მხოლოდ ორგანიზაციული საკითხების მოგვარება არ შედის, ისინი შედარებით ახალგაზრდა კოლეგებს სპეციალური ლიტერატურის მოძებნაში, კანონის კომენტირებასა თუ სხვა მსგავსი პროფესიული პრობლემების გადაჭრაშიც დაეხმარებიან. მათ მოქალაქეთა საჩივრების დროულ განხილვას, ვადების გაჭიანურებასაც უნდა მიაქციონ ყურადღება. მოკლედ, მმართველი მოსამართლე თავის რეგიონში სასამართლოების მუშაობის შესახებ სრულ ინფორმაციას უნდა ფლობდეს და დანარჩენ სასამართლოებს ზემოთქმული პრობლემების მოგვარებაში უნდა ეხმარებოდეს. მათ ამ საქმიანობისთვის დამატებით ანაზღაურებას არ მისცემენ, მხოლოდ ტრანსპორტირებისა და საოფისე ხარჯებს გადაუხდიან. ცხადია, ისინი სპეციალურ სწავლებასაც გადიან.

ეს ინსტიტუტი ამერიკის რამდენიმე შტატში დიდი ხანია არსებობს. ქართველი მოსამართლეები სამი კვირის განმავლობაში სწორედ იქაურ პრაქტიკას ეცნობოდნენ. იმერეთის რეგიონში მომავალი მმართველი მოსამართლე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ვაჟა ხაჭაპურიძე ამ ახალ ინსტიტუტს საკმაოდ ოპტიმისტურად უყურებს: „მმართველი მოსამართლის ინსტიტუტი არის საშუალება, ეს უნიკალური მექანიზმია და ქართულ მართლმსაჯულებას ხუთი-ათი წლით წინ წასწევს.“

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურიას აზრით, ამ რგოლის ამოქმედებით მოქალაქეებს სასამართლოებთან ურთიერთობა უფრო გაუიოლდებათ: „მხედველობაში მაქვს ვადების კონტროლი, საქმეთა გაჭიანურებების თავიდან აცილება, მოსახლეობის მიერ ინფორმაციის მიღება, ანუ ყველაფერი ის, რაც სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებასთან არის დაკავშირებული.“

მმართველი მოსამართლის ინსტიტუტი დაახლოებით ნახევარ წელიწადში უნდა ამოქმედდეს. ამით კი სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებული მსოფლიო ბანკის კიდევ ერთი პროექტი რეალურად განხორციელდება. რამდენად შეუწყობს ეს ხელს მართლმსაჯულების უკეთ განხორციელებას, ამას მომავალში ვნახავთ, მანამდე კი მმართველი მოსამართლეები სპეციალურ კურსს გადიან.

# „ომი წესების გარეშე...“

(დასასრული. დასაწყისი მე-17 გვერდზე)

ავტორის მიერ პროცესზე მოყვანილმა მოწმეებმა, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, „კავკასიის“ ეთერით, იმ წელსა და იმ დღეს, ფილმის ჩვენების ფაქტი ვერ დაადასტურეს. თუმცა, იმ დღეს გადაცემა „სტუდია-სპექტრით“ გადაიცა სპეციალური პროგრამა აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით, რომელშიც აფხაზეთში ომის დროს, სხვადასხვა ოპერატორების მიერ გადაღებული, ტელეკომპანიის არქივში დაცული, დოკუმენტური მასალა იყო გამოყენებული.

როგორც სასამართლოზე გაირკვა, თავად ფილმის ავტორსაც სხვადასხვა ოპერატორთა მიერ გადაღებული იმ დოკუმენტური კადრებით უსარგებლია, რომლებიც მისთვის „გენოციდის კომისიის“ თავმჯდომარეს ანზორ ბალუაშვილს გადაუცია.

მათ შორის, „ჭუბერის კადრები“ — ქალბატონ დიანა ციბაძეს, ხოლო „არძინბას კადრები“ კი უშიშროებას ეკუთვნოდა.

ინსტანციებში თითქმის ორწლიანი მოგზაურობის შედეგად, მოსამართლემ ტელეკომპანიის ეთერით ფილმის დემონსტრირების ფაქტი ვერ დაადგინა და შესაბამისად, ვერც 78 ათასი ლარი გადაარიცხვინა ტელეკომპანიას საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს ანგარიშზე.

# კურიოზები

## ცოლი — კვირაში ერთხელ

კახეთის ერთ-ერთ რაიონულ სასამართლოში განიხილეს მიხეილ და მარიამ ქ-ების საოჯახო დავა, რომელზეც მარიამი მიხეილთან გაყრას ითხოვდა. მიხეილს მარიამი არ ემეტობოდა და პროცესზე მოსამართლეებს თავგამოდებით არწმუნებდა, რომ ცოლი უყვარდა და მასთან განქორწინება არ სურდა. ბოლოს და ბოლოს, მიხეილის თქმით, სხვა თუ არაფერი, კვირაში ერთხელ მაინც სჭირდებოდა



მარიამი, რადგან თავად კაცი იყო და სხვაგვარად არ შეეძლო. სასამართლომ მიხეილის ეს არგუმენტი გადამწყვეტ მტკიცებულებად ვერ მიიღო და მთავარ სხდომაზე მარიამის სარჩელის დაკმაყოფილებისკენ წავიდა საქმე. მიხეილმა, რომ დაინახა საქმე წაგებულიაო, ბრაზმორეულმა განაცხადა: „ბატონო მოსამართლევ, კი მიყვარს მაროი, მაგრამ ხომ არ გგონიათ სულ უქალოდ ვრჩები, ენდეო" — თქვა და ნათქვამის საილუსტრაციოდ ჯიბიდან უცნობი ქალის ფოტოსურათი ამოიღო.

მიხეილი ამით არ დაშოშმინებულა. სასამართლოს განუცხადა, რომ მარიამი ახლო მომავალში საბერძნეთში, სამრუშოდ წასვლას აპირებდა, რამაც თავის მხრივ, მარიამ ქ-ს შემხედავი მოსამართლის გაკვირვება გამოიწვია: „მიხო, აბა ახლა ესა შენს გარდა ვინმეს სჭირდება, თანაც საბერძნეთშიო?" — გულწრფელად იკითხა მოსამართლემ.

## რატომ არ გესმით ჩემი?

ეკონომიკის ექსმინისტრის ვანო ჩხარტიშვილის სასამართლო პროცესი ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის ლევან ბერძენიშვილის წინააღმდეგ, როგორც ცნობილია, ჩხარტიშვილისთვის სასიამოვნო შედეგით ვერ დამთავრდა. არც მოსამართლის მხრიდან მოდავეთა შერიგების მცდელობას მოჰყოლია შედეგი. ორსაათიანი ცხარე კამათით გადაღლილმა მოსამართლემ გაბრაზებულმა მიმართა მხარეებს: „მაინც და მაინც კათალიკოს-პატრიარქი უნდა შეაწუხოთ შესარგებლად, ჩემი რატომ არ გესმითო?".

მოსამართლის ამ რეპლიკას დარბაზის გამხიარულება და დაძაბულობის განმუხტვა მოჰყვა, თუმცა მოდავეთა პრინციპული დამოკიდებულებები ერთმანეთის მიმართ, არ შეცვლილა.

## მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლიაო



სასამართლო იმ ცოლ-ქმრის განქორწინების საკითხს იხილავდა, რომელთაც განგებამ სიმაღლე არ არგუნათ და თანაბრად ტანდაბალნი შეაუღლა.

ცოლი ყოფილი ქმრისგან ბავშვის სასარგებლოდ ალიმენტს ითხოვდა და ისე გაეხსნა მადა, რომ ბავშვის სამომავლო მკურნალობის ხარჯების აქედანვე დაფარვა მოითხოვა.

გულისხმიერი მოსამართლე ბავშვის ჯანმრთელობით დაინტერესდა და როდესაც დედამ განმარტა, რომ ბავშს სიმაღლეში ზრდის პრობლემა ჰქონდა, გაკვირვებულმა იკითხა: „კი მაგრამ, რომელს გინდათ ეს ბავშვი სიმაღლეში დაგემსგავსოთო?".

## დედა სად არის?

სასამართლო განიხილავს დავას ალიმენტის დაკისრების შესახებ. პროცესის დაწყებისთანავე მოსამართლე სხდომას გახსნილად აცხადებს და დაღლილი სახით იწყებს: „მამა გამოცხადდა, შვილები ადგილზე არიან", შემდეგ კი გაკვირვებული დარბაზისკენ იხედება და კითხულობს „მეგობრებო, თქვენი დედა?!"

## რა შეჯიბრი, რი შეჯიბრი?

ერთ-ერთ რაიონში მოსამართლემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მიწის ნაკვეთზე მოდავე მხარეებს თავიანთი უფლება-მოვალეობები შეახსენა და იქვე განმარტა, რომ პროცესი, დემოკრატიული, ცივილიზებული სამყაროს აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარე „მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპით" წარიმართებოდა, რომ მოდავე გლეხმა პატივცემულ მოსამართლეს სიტყვა შეაწყვეტინა „რა შეჯიბრი, რი შეჯიბრი, ვენახი კონკურსზე უნდა გაყიდულიყოო".

მაია ოქრუაშვილი,
ანდრო გიგაური



მამუკა ტყეშელაშვილის ნახატები

მატიანე



# ჯვრისწერა მოსყიდულ კაცთა მოწმობით





მილიონების პატრონი და მთელს ინგლისში ცნობილი ედუარდ მარტინ ლანგვერძი 1881 წელს პარიზში ახალგაზრდა მასწავლებელ-ქალს, პატიოსანის ყოფაქცევისას, სახელად ლონგს გასცნობია, მოსწონებია, დაუწყვია უკან დევნა, რაგინდარას არ დაჰპირებია და მოუნადირებია ამ ქალის გული. ქალ-ვაჟი დანიშნულან. სასიძოს თავის დანიშნული ინგლისში წაუყვანია და იქ ისე დაახლოვებიან ერთმანეთს, როგორც ცოლი და ქმარი. ერთის წლის შემდეგ ქალს დაუწყვია თხოვნა, უეჭველად უნდა შევუღლდეთ კანონიერადო და დაუწერიათ ჯვარი კათოლიკეთა წესზედ. თუმცა, ყმაწვილ-კაცი მაინც ყველას უმალავდა და განსაკუთრებით არ აგებინებდა ამ ამბავს თავის დედას, ამპარტავანსა და კრიჟანგს დედა-კაცს. ქალს ეჭვი შეჰპარვია: ვაი თუ კათოლიკეთა წესზედ დაქორწინება კანონიერი არ იყოსო. ამიტომ ასტეხია ყმაწვილ-კაცს, მე შენს კანონიერ მეუღლედ არ ვითვლებიო. ლანგვერძის დასამშვიდებლად წაუყვანია ქალი ანტვერპენში და მოსყიდულ კაცთა თანდასწრებითა და მოწმობით ხელ-მეორედ დაუწერია ჯვარი ქალზედ. ამ ქორწინების შემდეგ ახალგაზრდათ დაუწყიათ მოგზაურობა. ლისაბონში, გემში ჩაჯდომის დროს, ქალს უთქვამს ყმაწვილ-კაცისთვის, ფეხ-მძიმედა ვარო. ყმაწვილ-კაცს ბრაზები გაუყრია და ამ დღიდგან მისი ერთად-ერთი ზრუნვა და ფიქრი ისა ყოფილა, როგორმე აღვხოცო დედა-მიწის პირიდგან ყმაწვილიცა და ყმაწვილის დედაც, რომელნიც ჩეიმის არა-პატიოსნურის საქციელის მოწმენი არიანო. მოგზაურობის დროს ყმაწვილ-კაცს უცდია ქალისათვის სიმშილით სული ამოერთმევინა. მისულან თუ არა ბუენოს-აირესში, დაჰპირებია ქალს წელიწადში 3 000 მანეთს და მარტოდ-მარტო, უფულოდ, ძველისა და დანჟღრეულის გემით გამოუსტუმრებია ქალი სახლში.

ქალი ბევრის ტანჯვითა და წვალებით მოსულა ინგლისში. ულოდნია, მაგრამ წყალს ჩაუტარებია ყმაწვილ-კაცის დაპირებული ფული. ბოლოს სასამართლოს შეუწყნარებია ქალის საჩივარი და ლანგვერძისათვის გადაუწყვეტიათ, რომ 200 000 მან. უნდა გადაუხადო ქალსა, რადგან შერთვას დაჰპირებიხარ, შეგიცდენია და დანაპირები კი აღარ აგისრულებიაო.

მაგრამ უპატიოსნო ლანგვერძის დედისათვის მიუცია ყალბი ვექსილები, თავის მამულები სულ საჯაროდ გაუყიდვინებია და ამ გვარად ხელი მოუცრია მართლ-მსაჯულებისათვის — გავკოტრდი და ვერ გადავუხდი სასამართლოს მიერ დანიშნულს ფულს ქალსაო. ამ დროს სრულიად იმედ-მიხდილს ქალს მიუმართავს „all-Mall Gazette"-ს რედაქციისთვის. ერთი კვირის შემდეგ მთელმა ინგლისმა გაიგო თურმე ეს ამბავი დიდით-პატარამდე. ყველა აღშფოთებულა ლანგვერძის უსამართლობით.

გაუმართავთ ხელის-მოწერა, მოუგროვებიათ 12 000 მანათი ქალისთვის, რათა დევნა დაუწყოს ლანგვერძის კანონიერის გზით და სასამართლოში საჩივარი არ მოსპოს. მაგრამ უეჭველია ქალი სასამართლოებში სიარულს თავს დაანებებს, რადგან გაზეთში ამ ამბის გამოცხადებას ისე შეუშინებია ყმაწვილ-კაცი, რომ იმის ვექილები ქალსა სთხოვენ თურმე: რამდენი ფულიც გინდა გვთხოვე, ოღონდ თავი დაანებე ყმაწვილ-კაცის დევნასაო.

„ივერია" №123, 1886 წ.

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

ALPE
ჩანართი მომზადებულია სამართლებრივი განათლების ასოციაციის მიერ.
მისამართი: თბილისი, ინგოროყვას ქ. 14
ტელ.: 935841, 922914 ფაქსი: 920596
E-mail: alpeonline@gol.ge

R

# წარსული მზარავს, მომავალი კი მაშინებს...

თავად მისი სურვილი იყო, რომ მის მონათხრობს ინტერვიუს სახე არ ჰქონოდა. ახლა ისეთ მდგომარეობაში ვარ, ყველაფრის დაწვრილებით მოყოლა არ მინდა, მაგრამ მთავარ სათქმელს მაინც გეტყვით, რათა სხვამ ჩემი ქმრის შეცდომა არ გაიმეოროსო...

თამუნა დ-მ და გია ბ-მ საერთო მეგობრის დაბადების დღეზე გაიცნეს ერთმანეთი. 80-იანი წლები იყო. ახალგაზრდებს საამური სტუდენტობა ჰქონდათ. სიყვარულის დაბადებას ბევრი არაფერი უნდოდა — ლამაზი გოგო და ლამაზი ბიჭი. თუმცა გია იმდენად ლამაზი არ იყო, რამდენადაც „სხვანაირი ტიპი" — თავდაჭერილი, სპორტული გარეგნობისა, უმალ ყურადღების ცენტრში ხვდებოდა. ბიჭმა გოგოს იმ საღამოსვე, ცეკვის დროს აუხსნა სიყვარული: არ იფიქრო, რომელი გოგოც მომეწონება, ყველას სიყვარულს ვეფიცებოდე, ეს ჩემთვის მართლაც პირველიაო. გაირინდა გოგო, გაყუჩდა. ვერც „ჰო" უთხრა და ვერც — „არა". ბიჭმა სიჩუმე თანხმობად მიიჩნია. ამიტომაც ყველგან, სადაც კი შეიკრიბებოდნენ, იმდენს აკეთებდა, რომ თამუნას სიახლოვეს აღმოჩენილიყო. გავიდა კარგა ხანი. გია აღარაფერს ეუბნებოდა გოგოს, მაგრამ ურთიერთსიახლოვემ, ბიჭის ქცევამ შედეგს მიაღწია. თამუნას გულწრფელად შეუყვარდა გია.

გოგონა ფსიქოლოგიურზე სწავლობდა, მას ეგონა — გიაც სტუდენტი იყო (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტად გააცნეს), მაგრამ როცა ცოლად გაჰყვა, მერე ელა გაიგო, რომ გია არსად სწავლობდა, არც მუშაობდა — კანონიერი ქურდი გახლდათ. თითზე კბენა გვიანი იყო, თუმცა რას ერჩოდა გიას? რასაც დაჰპირდა, ყველაფერს ასრულებდა. უსაზღვროდ უყვარდა ცოლი, დედოფალივით აცხოვრებდა, არც ეჭვიანი იყო, არც ლოთი და ჩხუბისთავი. მოკლედ, თამუნამ იმ ერთადერთ „რაღაცაზე" თვალი დახუჭა და მიხვდა, რომ ბედნიერი იყო. ჯერ გოგონა შეეძინათ, მერე ბიჭი.

ექვსი წელი ისე უზრუნველად გავიდა, თამუნას ეგონა, თაფლობის თვეები უსასრულოდ გრძელდებაო.

ყველაფერს აქვს თავისი საწყისი და ბოლო, მით უფრო მაშინ, როცა დროებითი სიხარული და ბედნიერება სხვისი დარდის და უბედურების ხარჯზე მოდის. თამუნამ შეამჩნია, რომ ქმარმა მარანში ყოფნას მოუხშირა. ერთხელაც, როცა გია „საქმეზე" წავიდა ქალაქგარეთ, ძირფესვიანად გაჩხრიკა მარანი. დიდხანს ეძება „საეჭვო" საგანი, ბოლოს, ძველებურ თიხის ქილაში პოლიეთილენის პარკში გახვეულ თეთრ ფხვნილს მიაგნო. თავზარი დაეცა. მიხვდა, რომ ეს საეჭვო ფხვნილი ნარკოტიკი იყო. შინ მობრუნებულმა ქმარმა უგუნებობა შეამჩნია და მიზეზი ჰკითხა. ჩიტს რა უნდა და — ხელის აქნევაო, ნათქვამია. თამუნამაც დაიწყო: არ მჭირდება ასეთი უზრუნველი ცხოვრება, იცოდე, ღმერთი არ გვაპატიებს, ისე დავისჯებით, რომ საკუთარ ხორცს დავიგლეჯთო... ბევრი ილაპარაკა, ხან იტირა, ხან ხმას აუმაღლა, მერე თხოვნაზე გადავიდა. გიამ მოთმინებით უსმინა, მერე კი წყნარად უთხრა: მე საიდან ვშოულობ ფულს, ეგ შენი საქმე არ არის. არავინ გაწუხებს, ყველაფერი, რასაც მოისურვებ — გაქვს, ამიტომაც დაკმაყოფილდი არსებულით და გაჩუმდიო.

იმ დღიდან მოსვენება დაკარგა თამუნამ. ერთი კია, რომ ხმის ამოღებას მართლაც ვერ ბედავდა. მერე ყველაფერი აირ-დაირია ქვეყანაში. სამოქალაქო ომს სამაჩაბლოს დაკარგვა და აფხაზეთის ომიც მოჰყვა. გია ერთ-ერთ სამხედრო შენაერთში შევიდა და აფხაზეთიდან ფეხში დაჭრილი დაბრუნდა. ჭრილობა მალე მოირჩინა. გიას ოჯახში ახალმა მეგობრებმა მოუხშირეს სტუმრობას. ცხოვრება არც ამჯერად უჭირდათ. მათი თავყრილობის ადგილი კვლავ მარანი იყო. ერთხელ, მარნის დალაგებისას ნახმარ ერთჯერად შპრიცებს მოჰკრა თვალი. აღარ შეეძლო გაჩუმება — დღესვე წავალ ამ ცოდვის ბუნაგიდან, აქ ბავშვების გაჩერება არ შეიძლებაო, — მიახალა ქმარს. გიამაც იფეთქა და პირველად შეეხო ხელით საყვარელ მეუღლეს. თამუნა მიხვდა, რომ ეს იყო მათი ურთიერთობის დასასრულის დასაწყისი. გიამ აუკრძალა მარანში შეხედვაც კი და თან დაემუქრა,— ფეხი არსად გაადგა, თორემ ყველგან მოგაგნებ და შუბლს გაგიხვრეტ ოჯახის დანგრევისთვისო.



„ოჯახი სადღა იყო? აღარ არსებობდა! მხოლოდ შიშით და შვილებისადმი მოვალეობით ვცხოვრობდი", — მეუბნება თამუნა და უნებურად წამოსულ ცრემლებს სწრაფად იწმენდს, თითქოს ეშინია, გიამ არ შემოგვისწროს. თუმცა როგორ შემოგვისწრებს — დღეს იგი სასჯელს იხდის ერთ-ერთ კოლონიაში.

ერთხელ, როცა სტუმრად მოსულ ბიჭებს წასვლა დაუგვიანდათ, თამუნამ აღარ დაუცადა ქმარს (ასეც იყო გაფრთხილებული), ბავშვებს გვერდით მიუწვა და დაიძინა. გათენებისას რაღაც ხმაური მოესმა. ფარდა ჩუმად გადასწია და ცალი თვალით საკუთარ ეზოს გადახედა. გია და კიდევ ორი ბიჭი ხმადაბლა, მაგრამ გაცხარებით რაღაცას კამათობდნენ. მიაყურადა და გაიგონა ცალკეული სიტყვები: „ძაღლობა არ დაგვადგეს", „მერე პატრონს რა ვუთხრათ?", „როგორ წავიყვანოთ?"

ცოტა ხანში გია ზემოთ ამოვიდა. თვალი თვალში გაუყარა ცოლს და ჩუმად დაიწყო: „თამუნა, მე შენთან ბოლომდე გულახდილი არასოდეს ვყოფილვარ, რისთვისაც პატიებას გთხოვ. ახლა კი უნდა გამიგო, გვერდში ამომიდგე. ასე არასოდეს გამჭირვებია, როგორც დღეს მიჭირს... და თამუნამ ისეთი შემზარავი რამ მოისმინა, ახლაც უკვირს, როგორ არ გამისკდა გულიო. ნარკოტიკის ზედმეტი დოზისგან ერთ-ერთი სტუმარი ცუდად გამხდარა, ვერაფრით გამოუყვანიათ მდგომარეობიდან, ვერც სასწრაფოსთვის დაურეკავთ მიზეზთა გამო და 27 წლის ახალგაზრდა კაცი ხელში ჩაკვდომიათ.

იმ საღამოს მიცვალებული თავის სახლში გადაასვენეს, გია შინ აღარ მობრუნებულა. მეორე დღეს კი პოლიცია დაადგა თავს თამუნას და ჩხრეკა დაიწყეს. ვერაფერი იპოვეს, რადგან გიას ყველანაირი კვალი წაეშალა.

ორ კვირაში გია სვანეთში იპოვეს და დააპატიმრეს. ამის მერე უცნობი შავოსანი ქალი ესტუმრა თამუნას და უთხრა, დიდხანს გეძებდითო. ქალი ხონის ერთ-ერთი სოფლიდან იყო. აფხაზეთში წასვლამდე გია რამდენიმე დღით ხონის იმ სოფელში დარჩენილა. იმ ქალის ოჯახში რამდენიმე სამხედროფორმიანთან ერთად მისულა და უთქვამს: სანამ თქვენი მშვიდობიანი ცხოვრებისთვის საბრძოლველად წავალთ, კეთილი ინებეთ და გვიმასპინძლეთო. რა უნდა ექნათ? მოძალადე სტუმრებს სუფრა გაუშალეს, საღამოს კი — ლოგინი. ნარკოტიკით გაბრუებულ „მეომრებს" შებინდებულზე სროლა აუტეხიათ. ერთ-ერთს მასპინძლის 18 წლის გოგონასთვის დაუდგამს თვალი. ოთახში შეათრია თურმე, თან ჩასჩიჩინებდა, — სტუმრის ყველანაირად „გამასპინძლება" შენი მოვალეობააო. გაცეცხლებულ მამას გადაგვარებული ქართველისთვის თავი გაუჩეხია. გოგონას შემზარავ კივილს ფეხზე დაუყენებია სოფელი. გიას რომ დაუნახავს სისხლში მოცურავე მეგობარი, ოჯახის უფროსისთვის უსვრია, მერე დანარჩენებისთვის უბრძანებია, — აქედან დროზე უნდა წავიდეთო და თუ რამე ოქროულობა და ფული ებადა გამწარებულ „მასპინძლებს", წაურთმევიათ და სიბნელეში გაუჩინარებულან.

„მას მერე ორი წელი გავიდა. ჩემი გოგონა გონს ძლივს მოვიყვანე. აწი რა იქნება, არავინ უწყის. აღარც ოჯახის მარჩენალი დამრჩა, ასე გამაუბედურა შენმა ქმარმა, რაზედაც შენ და შენმა შვილებმა უნდა აგოთ პასუხიო", — ცივად მიმართა შავოსანმა. თამუნას გული წაუვიდა... როცა გონს მოვიდა, ერთ-ერთი კეთილი მეზობელი იმ ქალს უმტკიცებდა, თამუნაც მისი ქმრის ცოდვიანი საქმიანობის მსხვერპლიაო. ეტყობა, ქალს საბოლოოდ არ გასცივებოდა გული, კვლავაც შეეძლო ადამიანის შებრალება. ჩუმად შებრუნდა და წავიდა.

კოლონიიდან რამდენჯერმე მოსწერა წერილი გიამ. თამუნამ არც პასუხი გასცა, არც კოლონიაში მიაკითხა. დედის ბინაში გადავიდა საცხოვრებლად. სახლი უცხოელებს მიაქირავა და ამ შემოსავლით ცხოვრობს... თუმცა ცხოვრებას ვერ დაარქმევ შიშით და სევდით გალეულ დღეებს.

„რა ვქნა? რა გზას დავადგე? წარსული მზარავს, აწმყო მაშფოთებს, მომავალი კი უიმედოდ მეჩვენება. რა ვუთხრა შვილებს... ან მათთან ვინ იმეგობრებს, როცა გაიგებენ მამის ვინაობას?" — შეწუხებული მეკითხება ახალგაზრდა ქალი.

მე კი ის შემიძლია ვუთხრა თამუნას, რომ ამ ცისქვეშეთში ცოდვა თუ მრავლადაა, მადლიც ბევრი ტრიალებს. აკი, თვითონვე მიამბო მისი ქმრისგან გაუბედურებული ოჯახის დედის გულმოწყალების შესახებ?! ჩემო თამუნა, ერთეულები არ არიან ისეთები, რომლებსაც საკუთარი დარდის მიუხედავად, სხვის სიხარულზე მაინც შეუძლიათ გაღიმება, თავისი გაჭირვების მიუხედავად მაინც შეუძლიათ სხვისთვის დახმარების ხელის გაწვდენა. შვილები კი მშობლების გამო არ აგებენ პასუხს...

***მარინა ბაბუნაშვილი***

# სილამაზე ცქერით როდი გაცვდება

## ნინო წერეთელი- ჩოლოყაშვილი (1847-1922)



ნინო წერეთელი იმერთა მეფის, დავითის შვილიშვილი გახლდათ და დედოფლური დიდებულება ამკობდა.

არ მოიძებნებოდა საქველმოქმედო საქმე, ქვეყნისთვის საჭირო და აუცილებელი, რომლის სათავესთან ნინო წერეთელი არ გაჩენილიყო.

ნინოს ოჯახი ჯერ ქუთაისში, შემდეგ თბილისში ერთ-ერთი რჩეულთაგანი იყო, სადაც თავს იყრიდა მაშინდელი ბრწყინვალე საზოგადოება, შესანიშნავი ინტელიგენცია, რომელიც მსჯელობდა სამშობლოს ბედ-იღბალზე... ნინო წერეთლის მეუღლე გახლდათ ცნობილი საზოგადო მოღვაწე, გენერალი, მრავალი ომის გმირი ბიძინა ჩოლოყაშვილი — შთამომავალი დიდი სეხნიისა, რომელმაც თავი დასდო სამშობლოს გადასარჩენად.

ნინო წერეთელი-ჩოლოყაშვილი აღფრთოვანებული შეხვდა დიდი ილიასა და მოწინავე ქართველთა განზრახვას, შოთა რუსთაველის



„ვეფხისტყაოსნის" ილუსტრირებული გამოცემის თაობაზე. ეს მომხიბლავი ქალბატონიც იყო უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის მასპინძელი და შემოქმედებითი მუზა. ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნის" დასასურათებლად ზიჩი ქართულ ტიპაჟს მთელ საქართველოში დაეძებდა. მხატვარი დაატყვევა ნინოს მშვიდმა სილამაზემ და სიდარბაისლემ და ჯერ ნესტან-დარეჯანის, შემდეგ კი თამარ მეფის პროტოტიპად გამოიყენა. სწორედ ნინო წერეთელი გახლდათ თაოსანი მთელ საქართველოში „ვეფხისტყაოსნის" ცოცხალი სურათების დადგმისა და ჩვენებისა, რომელსაც ძალზე დიდი ეროვნულ-პატრიოტული და კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა.

ნინო არა მარტო მხატვართა მუზა იყო — პოეტებსაც აჯადოებდა. მას ლექსები უძღვნეს დიდმა აკაკიმ, გიორგი შერვაშიძემ და სხვებმა.

...სასხდომად ტახტად აგებ გკადრებდი,
გვირგვინად მზესა თავს დაგადგამდი,
ვარსკვლავებითა გათამაშებდი.
სპეტაკთა ფეხთა დასაბიჯებლად
მოგიგორებდი სავსე მთვარესა.
შარასა რძისა მდინარედ ვხდიდი,
მით მოგირწყავდი არე-მარესა
რომ ვიყო მეფე, ჩემსა სამეფოს
მუხლმოდრეკითა გიძღვნიდი სრულად,
სკიპტრას, პორფირსა ფეხ-ქვეშ გიფენდი,
თვით დავრჩებოდი მსახურ ერთგულად, —

წერდა გიორგი შერვაშიძე.

ნინო წერეთელი-ჩოლოყაშვილი მეუღლესთან ერთად დაკრძალულია ქაშვეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში.

**P.S. ფოტო მოგვაწოდა ქალბატონმა დამანა მდივნიშვილმა**

# უმდიდრესი მანდილოსნეში

***ევროპის ყველაზე მდიდარი ქალბატონია კოსმეტიკის დედოფალი ლილიან ბეტინკური.***



**ლილიან ბეტინკური**

ჟურნალმა EURO BUSINESS-მა გამოაქვეყნა გასული წლის ევროპის უმდიდრეს ადამიანთა სია. ქალთა საამაყოდ უნდა აღინიშოს, რომ რეიტინგში გამარჯვებულთა ნახევარი სუსტი სქესის წარმომადგენლები არიან.

დიდებისა და სიმდიდრის მწვერვალზე აღმოჩნდა 76 წლის ფრანგი ქალბატონი ლილიან ბეტინკური — კოსმეტიკური იმპერია ლ'ორეალ-ის დამფუძნებლის ქალიშვილი, მისი ქონება 18 მლრდ დოლარს შეადგენს.

გერმანული ავტოგიგანტის BMW-ს თოფ-მენეჯერ იოანა კანდტს მე-8 ადგილი უკავია, მისი კაპიტალი 6,6 მლრდ დოლარია. ნიდერლანდების დედოფალი ბეატრიქსი ყველაზე მდიდარი მონარქია ევროპაში (3,6 მილიარდი დოლარი) — იგი 2,3 მლრდ დოლარით წინ უსწრებს ელისაბედ II-ს.

ნუსხაში სულ 76 ქალი მოხვდა, ორი წლის წინ კი 51 იყო. ყველაზე სქელჯიბიანი ადამიანები გერმანიაში ცხოვრობენ (77). ინგლისში — 72, საფრანგეთში — 56, იტალიაში — 47.

400 ევროპელი მდიდრის საერთო შემოსავალი ჟურნალმა 707 მილიარდ დოლარად შეაფასა.

# სოკოიანი ღვეზელი

150 გ ფქვილით, 50 გ მარგარინით, მწიკვი მარილითა და 50 გ წყლით მოზილეთ ცომი და 30 წთ-ით მაცივარში შედეთ.

150 გ სოკო დაჭერით, შეურიეთ 2 ჩ/კ ქინძი და მოშუშეთ ზეთში. მოხარშეთ 200 გ სპაგეტი, წვრილად დაჭერით მოხარშული ლორი, გახეხეთ 100 გ ყველი, ნახევარს მოაყარეთ წიწაკა, ნახევარი ცალკე ჭურჭელში ათქვიფეთ 3 კვერცხსა და 150 გ არაჟანთან ერთად.



ცომი გააბრტყელეთ, ჩადეთ ფორმაში, მოაწყვეთ ფენა-ფენა სპაგეტი, ლორი და სოკო, მოასხით კვერცხი და მოაყარეთ ყველი.

გამოაცხვეთ 200°C-ზე გაცხელებულ ღუმელში.

## იუმორი

**— გავიგე, ოქროს ქორწილის გადახდას აპირებ. ცოლს რა უნდა აჩუქო?**

**— ვერცხლის ქორწილზე კონგოში წავიყვანე დასასვენებლად. წავალ, ჩამოვიყვან და საჩუქარიც ეს იქნება.**

# ყველა სასმელს თავისი სასმისი აქვს



**წითელი მშრალი ღვინო** მიირთვით მაღალფეხიანი ფუჟერით, **თეთრი** — ამგვარივე, ოღონდ მომცროთი.

**სადესერტო** ღვინო — მცირე მრგვალი ბოკალით, წვრილით — ხერესის ტიპისა.

**შამპანურს** უხდება მაღალფეხიანი წვრილი ან ჯამის ფორმის ფუჟერი.

**აპერიტივის, კოქტეილის, ლიქიორის ან კონიაკის** სირჩები შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმის, მაგრამ უსათუოდ მომცრო.

**ვისკის** სირჩა სქელძირიანი უნდა იყოს, რათა მასში ჩასხმული ცოტაოდენი სასმელიც კი, მეტი გამოჩნდეს.

**არყისთვის** პატარა სასმისია საჭირო.

**გროგისა და პუნშის** სასმისები უნდა იყოს სქელი, ფართო და მაღალი, რათა ცხელმა სასმელმა არ გახეთქოს.

**უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლებისთვის** განკუთვნილია ჭიქის ფორმის მაღალი სასმისი.

CMYK

# კვაშალები, დეკანოსიძეები — ბუღაძეების მეზობლები ყოფილან...

**— ბატონო გია, ბავშვობიდან ყველაზე ხშირად რას იხსენებთ ხოლმე?**

— ყველაზე მეტად მცხეთა მახსენდება. ჩემი მშობლები ექიმები იყვნენ და მცხეთაში მუშაობდნენ. ამიტომაც იქ ხშირად მიწევდა სიარული. მახსოვს, სამთავროს ეზოში ბალახი ჩემზე მაღალი რომ იყო. ესაა ჩემი პირველი შეგრძნება და განცდა. სუსტი ბავშვი ვიყავი, ძალიან მიხაროდა, როცა მაღალი სიცხე მქონდა, რადგან ვიცოდი, დედ-მამა საჩუქრებით ამავსებდა.

**— თინეიჯერული პერიოდი როგორღა გახსენდებათ?**

— მას შემდეგ, როგორც კი გავარკვიე, რომ კაცი ვარ, ლამაზი გოგოებისკენ გამირბოდა თვალი. ყოველთვის ჩემზე უფროსები მიყვარდა. განსაკუთრებით მომწონდა სკოლაში ერთი გოგონა, რომელსაც ყოველთვის თეთრი წინსაფარი ეკეთა. წესისამებრ, ფორმა ყავისფერი იყო, წინსაფარი კი — შავი. ძალიან მსუქანი ბავშვი ვიყავი და ერთხელაც თეთრწინსაფრიანმა გოგომ ჩემს დანახვაზე შესძახა: აუ, რა მსუქანი ბავშვიაო. მახსოვს, იმ დღეს დედაჩემს გამოვუცხადე, საღამოს აღარაფერს შევჭამმეთქი. ჩვენი სახლის ქვემოთ რაჭველები აცხობდნენ ძალიან კარგ პურს. ვიყიდდი, გავჭრიდი შუაზე, კარაქს ბლომად წავუსვამდი და შევექცეოდი გემრიელად. თეთრწინსაფრიანი გოგონას რეპლიკის შემდეგ ამ სიამოვნებაზე უარი ვთქვი.

**— ვინ იყო თქვენი პირველი ნახატების პირველი შემფასებელი?**

— პირველად დედას ვანახვებდი ხოლმე ნახატებს. მოგვიანებით, როცა სიყმაწვილეს გადავაბიჯე, იგი ჩემს მეგობრად იქცა. როცა ვხატავდი და არ გამომდიოდა, დედას დავუძახებდი ხოლმე. წინასწარ ვიყავით შეთანხმებულები, შემოსვლისას არაფერი უნდა ეთქვა, მხოლოდ უნდა შეეხედა ნახატისთვის და მეც თითქოს მიახლდებოდა მზერა...

**— რაიმე ექსტრავაგანტური საქციელი თუ ჩაგიდენიათ?**

— სტუდენტობისას ჩემს ნახატებს ვხევდი და ამას ვაკეთებდი არტისტულად, გოგოებისა და მეგობრების დასანახად. პირველი გულწრფელი სიყვარულისას, როცა გოგომ უარი მითხრა, ავდექი და (16 წლის ვიყავი მაშინ) უზმოზე ღვინო დავლიე, მერე საპარიკმახეროში შევედი და ასაქაფებელი ფუნჯები მოვიპარე. ახლაც არ ვიცი, რატომ. მერე საშინლად მრცხვენოდა, მეორე დღეს იქვე, შორიახლოს დავაწყვე ყველა. სხვათა შორის, ის პირველი სიყვარული დღეს ჩემი ცოლია.



ინტერვიუ გია ბუღაძესთან

**— თქვენი ოჯახი?**

— მეუღლე ანა კლდიაშვილი ხელოვნებათმცოდნეა. ვამაყობ ჩემი ვაჟით, ლაშა ბუღაძით და სავსებით ვეთანხმები ყველაფერში, რასაც ის ამბობს. ჩემი ქალიშვილი ნინო ბუღაძე 13 წლისაა, ისაა ჩემი სინაზე. ნინოს შემდეგ სულ სხვანაირად ვუყურებ ქალებს, უფრო მეტი მოკრძალებით, მეტი სიფაქიზით.

**— ლაშას ბავშვობაზე ხომ არ გაიხსენებდით რამეს?**

— სხვანაირი ბავშვი იყო. თუმცა ამიკრძალა, ჩემზე არსად არაფერი თქვაო, მაგრამ მაინც გეტყვით: იყო ძალიან წყნარი, ცნობისმოყვარე და არტისტული, სხვებისგან განსხვავებული. მისი დასჯის გენიალური საშუალება იყო სათამაშოდ ეზოში გაგდება... დიდი ინტერესით უყურებდა პოლიტბიუროს სხდომებს, მაშინ პოლიტბიუროს სხდომები ტელევიზიით გადაიცემოდა. უყურებდა და მერე ტიპაჟებს ქმნიდა. უცნაურ დოკუმენტებს წერდა, ვთქვათ, როგორ აჯილდოებს ბრეჟნევი ჩერნენკოს ან სხვას. ისე, ცხოვრება უცნაურობებითაა სავსე. აი, მაგალითად, ტელესერიალში „ძილის წინ“ რომ კვაშალებია, ისინი ჩვენი მეზობლები არიან, ზუსტად ჩვენს თავზე ცხოვრობენ. ლაშას სულ პატარაობიდანვე ესმოდა, რომ ერთ ოთახში ცხოვრობს ბევრი კვაშალი. დეკანოსიძეები კი სულაც ჩვენს პირდაპირ ცხოვრობენ... ერთ მშვენიერ დღეს კი მათ ტელესერიალში მოიყარეს თავი (მკითხველმა ალბათ იცის, რომ ტელესერიალის „ძილის წინ“ სცენარის ერთ-ერთი ავტორი ლაშა ბუღაძეც არის. — **ლკ**)... ლაშა იუმორის ოკეანეცაა, ოღონდ... თუ არ შია. ის ბებიასთან და ბაბუასთან ცხოვრობს.

**— როგორი მამა ხართ და რით ჰგავხართ ერთმანეთს თქვენ და ლაშა?**

— მე ჩემი შვილების ცხოვრებით ვცხოვრობ. მე და ლაშას გვიყვარს მუსიკა. როცა სამშობიაროდან შინ მივიყვანეთ, მოცარტის 21-ე საფორტეპიანო კონცერტი ჩავრთე და ასე ვუკრავდი მანამ, სანამ ფირფიტა არ გაცვდა. ლაშას ერთი საოცარი თვისება აქვს. ვთქვათ, რაღაცას ვხატავ, პირველად მას ვანახვებ ხოლმე და ძალიან კრიტიკულია, ეს კი მომწონს. მოწონებას აღტაცებით გამოხატავს და ესეც ძალიან კარგია. ამას წინათ ვხატავდი და შემოვიდა... ოჰ, რა კარგიაო. უცებ ნახატის ერთ-ერთ ადგილს მიაჩერდა და მეუბნება: ეს რამ დაგახატვინა, ეს რა არის, აქ მომსვლელი აღარ ვარო და წავიდა. ვიჯექი ორი საათი და საკუთარ თავში ვეკამათებოდი ლაშას... მერე გადავაკეთე ნახატი.

**— როგორია გია ბუღაძე სუფრაზე, როგორი თამადა ხართ?**

— ცუდი, იმიტომ, რომ არ ვსვამ. ენა საკმაოდ გრძელი მაქვს და, აქედან გამომდინარე, შემიძლია თამადობა, მაგრამ აგერ უკვე 22 წელია, არ ვსვამ. იმისთვის, რომ მეგობარს ვუსურვო ბედნიერება და დიდხანს სიცოცხლე, რატომ უნდა შევწირო ჩემი გონების სიფხიზლე? არ მესმის.

**— ვთქვათ, აღარც ფუნჯი გაქვთ და აღარც ტილო, რას იზამთ?**

— წიგნიც არ არის?

**— არა.**

— რაღაცას მოვიფიქრებ, რაღაცას ამოვფხეკ ან აგურს მოვატეხ. მაგალითად, ზღვაზე ყოფნისას გამიკეთებია — ქვიშაზე ვხატავდი, სანამ ტალღა წაშლიდა... ამას პიკასოც აკეთებდა... მაინტერესებდა, სანამ ტალღა დაარტყამდა, მოვასწრებდი თუ არა ფიგურის დახატვას, ეს ერთგვარი აზარტიც იყო...

***ლელა კვირკველია***

# გრანდიოზული დღე იყო — თან საქმე, თან გართობა, ცოტა ცეკვა, ცოტა... სმაც...

*მასზე ხშირად ამბობენ, რომ ნიჭიერია, მაგრამ ცოტა გაუმართლა კიდეც — იმ მსახიობთა შორის მოხვდა, ვისაც რობერტ სტურუა თითქმის ყოველ სპექტაკლში აძლევს როლს. მისთვის კი სულერთია, რას იტყვიან. მთავარია, მყარად იდგეს სცენაზე, ყოველ როლზე დაიხარჯოს... მისი დებიუტი კი კინოში შედგა.*

**— თუ არ ვცდები, თქვენ იმ მცირერიცხოვან მსახიობთა ჯგუფს განეკუთვნებით, ვისი კარიერაც კინოთი დაიწყო.**

— ლევან თუთბერიძე იღებდა ისტორიულ-სათავგადასავლო ჟანრის ფილმს „წარსულის აჩრდილები“. სინჯებზე მიმიწვიეს. ფოტოები გადავიღე და ქალაქიდან გავემგზავრე — მაშინ ბატონი გია მატარაძე მიღებდა „მოკვეთილში“ ერთ-ერთ ეპიზოდურ როლში... ერთ კვირაში მომივიდა ამბავი — ლევანმა როლზე დაგამტკიცაო. აღარ დაველოდე „მოკვეთილის“ დასრულებას და რამდენიმე საათში თბილისში გავჩნდი.



**— ლევანი ძალიან დიდხანს იღებდაო ამ ფილმს...**

— ხუთი წელი. ამ პერიოდში რა აღარ მოხდა — ომი, ნგრევა, ფულის შეცვლა... ამან, რა თქმა უნდა, თავისი დაღი დაასვა ფილმს. სხვათა შორის, დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ კინოსურათის დასაწყისში ბევრად ახალგაზრდა ვარ, ვიდრე ბოლოს.

**— სცენაზე თქვენი დებიუტი რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში შედგა...**

— ეს იყო 1994 წელს. ამერიკულ პიესაში „თავისუფალი პეპლები“ ბრმის როლი შევასრულე. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად და ოთხი წლის განმავლობაში ანშლაგით მიდიოდა... მერე დიდ სცენაზე გადავინაცვლე და მას შემდეგ წელი არ გასულა, რაიმე ახალი როლი რომ არ შემესრულებინა...

**— სხვათა შორის, ხშირად მსმენია, დათო დარჩია რობერტ სტურუას საყვარელ მსახიობთა რიცხვს განეკუთვნებაო...**

— ამ ხნის მანძილზე ბატონ რობერტსა და ჩემ შორის ძალიან ახლო ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ალბათ, ასე თუ ისე, ვუმართლებ იმედს, ყოველ ახალ სპექტაკლში როლებს ტყუილად არავის ურიგებს... გარდა ამისა, დავნათესავდით კიდეც — ბატონმა რობიკომ შვილი მომინათლა...

**— ერთი პერიოდი თბილისში ჭორი დადიოდა — დათო დარჩია თეატრიდან წავიდაო...**

— ვერ დავმალავ — იყო ასეთი პერიოდი. ოთხი თვე რუსთაველის თეატრის შტატში აღარ ვირიცხებოდი, მაგრამ აქედან სამი თვე საზაფხულო დასვენებას დაემთხვა... მოდი, საიდუმლოდ დავტოვოთ ის, რაც მაშინ მოხდა, თუმცა ერთს კი ვიტყოდი — ალბათ მეც დამნაშავე ვიყავი და მოპირისპირე მხარეც... მთავარი ისაა, რომ სეზონის გახსნიდანვე ჩემს თეატრს დავუბრუნდი.

**— ერთხანს ბარის მეპატრონეც იყავით ფალიაშვილის ქუჩაზე...**

— ჩვენს ბარს „არტ-კაფე“ ერქვა, იქ მართლაც ბევრი ლამაზი ღონისძიება ჩატარდა — კონცერტები, გამოფენები, პოეზიის საღამოები, მსახიობებთან შეხვედრები... ვინ არ მივიწვიეთ — კოტე ყუბანეიშვილი, ნიკუშა გომელაური, გიო მგელაძე, დათო ევგენიძე, მირიან შველიძე, „ინსაიტი“, — რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო...

**— მერე, რატომ დახურეთ ბარი?**

— ამ საქმეს დიდი დრო და ენერგია მიჰქონდა. მე კი ოჯახისთვის უნდა მიმეხედა, თეატრისთვის ყურადღება არ უნდა მომეკლო. ჩემი პარტნიორებიც დაკავებულები იყვნენ... ბოლოს, ასე გამოვიდა — დავიხურეთ.

**— ისე მოხდა, რომ ბოლო რამდენიმე სპექტაკლს ერთი და იგივე გუნდი თამაშობთ — მეგობრები ცხოვრებაში, უცვლელი პარტნიორები სცენაზე...**

— ბედნიერება მხვდა წილად ისეთ მსახიობებთან ერთად მეთამაშა, როგორებიც არიან ნანა ფაჩუაშვილი, თათული დოლიძე, კახი კავსაძე, დათო პაპუაშვილი, ჟანრი ლოლაშვილი — მეშინია, ვინმე არ გამომრჩეს... მაგრამ, რაც შეეხება ბოლო სპექტაკლებს, მათში მართლაც ჩემი სამეგობროა დაკავებული — ზაზა პაპუაშვილი, ლევან ბერიკაშვილი, ნინო კასრაძე, ლელა ალიბეგაშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, მალხაზ ქვრივიშვილი... რა თქმა უნდა, სასიამოვნოა კარგი შედეგი, მაგრამ მე უფრო მუშაობის პროცესი მომწონს...

**— თეატრს და კინოს მაყურებელი ტელევიზიამ წაართვა. სამწუხაროდ, ფაქტია — მას შემდეგ, რაც ტელეეკრანებზე გამოჩნდით, გაცილებით პოპულარული გახდით (და არა მარტო თქვენ)...**

— ჩვენში კინოს გადაღება ძალიან გაძნელდა. კინოსტუდიაში ორმოცამდე ფილმია დაკონსერვებული. რამდენიმე მათგანში მეც ვმონაწილეობ. მართალია, თეატრი ჩემთვის ყველაფერია, მაგრამ კამერის წინ მუშაობაც საინტერესოა.... ამიტომ დიდხანს არ მიყოყმანია, როცა ანდრო ენუქიძემ „წვრილვარსკვლავთა ღამეში“ მიმიწვია. სერიალების დიდი მოტრფიალე არ გახლავართ, მაგრამ, როცა სახლში ვარ, სიამოვნებით ვუყურებ, მაგალითად, „სასწრაფოს“. ჩვენშიც რომ დაიხვეწებოდეს ეს ჟანრი, მოხარული ვიქნებოდი. რაც შეეხება პოპულარობას, რასაკვირველია, ტელევიზიით უფრო მოდის, ვიდრე თეატრით... სერიალის შემდეგ ქუჩაში ხალხი ნიკუშას მეძახდა, მიღიმოდა — თავისთავად სასიამოვნო გრძნობაა. თუმცა რა დასამალია, — მე თეატრალური როლებით მირჩევნია გავხდე ცნობილი, ვიდრე ტელეროლებით.

**სერიალის შემდეგ ქუჩაში ხალხი ნიკუშას მეძახდა, მიღიმოდა — თავისთავად სასიამოვნო გრძნობაა. თუმცა რა დასამალია, — მე თეატრალური როლებით მირჩევნია გავხდე ცნობილი, ვიდრე ტელეროლებით.**

**— რეკლამა?**

— რომ გითხრათ, დიდად განებივრებული ვარ რეკლამებით-მეთქი, ტყუილი იქნება. ყველაზე კარგი, ალბათ, „აიეტის“ რეკლამა გამოვიდა...

**— საახალწლოდ უცნობის „ვაგონშიც“ მოხვდით...**

— გრანდიოზული დღე იყო — თან საქმე, თან გართობა, ცოტა ცეკვა, ცოტა... სმაც... მე ყველაზე დიდხანს მომიწია გადასაღებ მოედანზე ყოფნა. ჩემი ეპიზოდი კლიპის თავში კია, მაგრამ სულ ბოლოს გადაიღეს — საღამოს წასული დილას დავბრუნდი შინ, ნამდვილად კარგი გამოვიდა — მე ძალიან მომწონს...

**— ახალს და კარგს თუ ელოდებით რამეს?**

— აპრილის დასაწყისში მოსკოვში დიდ გასტროლებზე მივდივართ. ძალიან მომენატრა მოსკოვი და ერთი სული მაქვს, როდის ჩავალთ იქ ყველა ერთად. გარდა ამისა, ნიკუშა შველიძე დგამს აკა მორჩილაძის „ალუბლის კურკას“, სადაც ერთ-ერთ მთავარ როლს შევასრულებ... სხვათა შორის, მალე შეიძლება სატელევიზიო პროექტიც გამომიჩნდეს, თუმცა, ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა.

***ეკა მახარაშვილი***

# ლიფტში გიჟივით მარტოდმარტო ვხარხარებდი

*I არხის გადაცემების „ალიონისა“ და „ნაშუადღევის“ უმშვენიერესი წამყვანი ნინო შუბლაძე ალბათ ერთადერთია ჩემს რესპოდენდენტებს შორის, ვინც კურიოზებზე ლაპარაკს არ გაურბის. უფრო მეტიც, წუხს კიდეც იმის გამო, რომ განსაკუთრებულს ვერაფერს იხსენებს. თუმცა, ასე მხოლოდ თავად ფიქრობს, სინამდვილეში კი მეგობრები „სათავგადასავლო სიტუაციების შექმნის დიდოსტატს“ უწოდებენ.*



***ჩვენი ბაბუა-ბებიების საყვარელი ტელეწამყვანი***

— ერთი უცნაური თვისება მაქვს. ხშირად მეჩვენება, რომ სრულიად უცნობ ადამიანს საიდანღაც ვიცნობ, ვესალმები და ვეკითხები, უკაცრავად, იქნებ გამახსენოთ, საიდან გიცნობთ და ა.შ. უამრავი ასეთი შემთხვევის გამო კურიოზულ მდგომარეობაში ვვარდები და მერე ჩემზე ანეკდოტებს ჰყვებიან.

**— ერთს ვერ გაიხსენებ?**

— მაშინ საკუთარი ავტომანქანა არ მყავდა. ტელევიზიის წინ ტრანსპორტს ველოდებოდი. გაჩერდა ცისფერი „ნივა“ და მძღოლი (სავსებით დარწმუნებული ვიყავი იმ დროს, რომ ის ბიჭი მერაბ ბერაძის ვაჟი გიორგი იყო) მეკითხება, — ნინო, როგორა ხარ, საით მიდიხარო? გგონიათ ვუპასუხე? მძღოლის გვერდზე მჯდომი მისი მეგობარი მივწიე, „გიორგის“ ჩავეხუტე, გადავკოცნე და მანქანაში ჩავხტი. გაოცება კი შევამჩნიე, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია, ვიფიქრე, ცოტა შეცვლილა-მეთქი.

**— ასე რომ, თავისუფლად შეძლებდნენ შენს მოტაცებასაც.**

— მოტაცებას კი არა, ჯერ დაიბნენ ბიჭები, მერე ჩემს ლაპარაკზე ეცინებოდათ, ვერაფერს ვხვდებოდი და ვქაქანებდი. „გიორგი“ მეკითხებოდა ოჯახის შესახებ, მეც ალალად ვუყვებოდი ჩემიანებზე. მერე მკითხა, — სად ცხოვრობ, მისამართი დამავიწყდაო. შენ რა გითხარი, ეგ როგორ მოგივიდა-მეთქი და შევახსენე. „გიორგიმ“ ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე საქმე მოიმიზეზა, თურმე დროს აჭიანურებდა, დღისს რომ მივუახლოვდით, მეკითხება — ტელევიზიაში როგორაა საქმეო. მამაშენის შვილი მაგას მე მეკითხები-მეთქი? — გავიკვირვე. უცებ მანქანა გააჩერა, მომიბრუნდა და მეკითხება, — აბა მითხარი, ვინ ვარ და რა მქვიაო. ვაა, ეს რა მესმის, მივხვდი, რომ „იქ არ მოვხვდი“. ალისფერი მომედო სახეზე. ვინმე ლევან ქორიძე გიორგი ბერაძეში ამერია. მობოდიშება დავიწყე და თან „ნივაში“ უკან მსხდომთ ვეხვეწებოდი, გადამიშვით, ცუდი გოგო არ გეგონოთ-მეთქი. სიცილით კვდებოდნენ. სახლამდე მიმიყვანეს. არასოდეს დამავიწყდება, ლიფტში გიჟივით მარტო რომ ვხარხარებდი. ერთი კვირა ვხალისობდით ამ ამბით... ერთხანს მაგთი GSM-ის ოფისშიც ვმუშაობდი. იქ სხვებზე ვხალისობდი. ერთხელ ნერვიული ტიპი შემოვიდა. ტელეფონის ყიდვა სურდა, უფრო სწორად, არ იცოდა, რა უნდოდა. ჩვენ ტელეფონების ვიტრინისკენ მივუთითეთ. მარტო ვერ შევარჩევო, წავყევით. გადაირია, თავზე ნუ მადგახართო. ცოტა ხანში მოვიდა და გაბრაზებულმა გვითხრა, რაც მე მინდა, რატომ ის არა გაქვთო? რა გნებავთ-მეთქი. ანანასის ტელეფონიო. თურმე ნოკიას „ბანანის“ ტელეფონი უნდოდა.

**— შენი გარეგნობის პატრონმა, გასაკვირია, თეატრალურ ინსტიტუტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტი რომ აირჩიე და მსახიობი არ გახდი.**

— შემოქმედებითად აქტიური დღეს ჟურნალისტი უფროა, ვიდრე მსახიობი. ვიცოდი, წელიწადში ერთი როლი რომ არ „მეყოფოდა“ და ამიტომაც ავირჩიე ჟურნალისტიკა.

**— კინოში რომ მიგიწვიონ, ალბათ სიამოვნებით გაიქცევი.**

— რა თქმა უნდა. გადამიღეს კიდეც რამდენიმე ფილმში, ყველგან ორწუთიან როლს ვთამაშობ. გადასაღებ მოედანზე დიდ სიამოვნებას ვღებულობ.

**— მგონი, რეჟისორობაც გინდოდა და ფილმიც კი გადაიღე.**

— რეჟისორობა ბავშვობიდან მიზიდავს. კამერის სიყვარული „პიონერფილმმა“ და გრიშა ჩიგოგიძემ გამიჩინეს. სცენაზე ბატონმა გრიშამ დამაყენა პირველად. კინომოყვარულთა ფესტივალზეც, სადაც ჩემი ათწუთიანი ფილმი წარვადგინე, მისი წყალობით მოვხვდი. TBC-ის სტუდიაშიც ვმუშაობდი, სადაც ბატონი ზაზა შენგელია იყო ხელმძღვანელი. სტუდენტობის დროს საკუთარი გადაცემა — „თვითმხილველიც“ მქონდა. საბავშვო რედაქციაში პირველი თოქ-შოუ „ვინ ვინ არის“ ჩემი გადაცემა იყო. მერე „მაგთიში“ მოვხვდი, იქ აღმომაჩინა ბატონმა ოთარ შაორშაძემ და უკვე ორი წელია, „ალიონში“ ვარ.

**— ადრე შენი პარტნიორი ზაალ უდუმაშვილი იყო, მისი „მოამბეში“ გადასვლის შემდეგ, ახალ „მეწყვილესთან“ თავს როგორ გრძნობთ?**

— გული კი დამწყდა ზაალის წასვლის გამო, მაგრამ არც ალექსანდრესთან ვგრძნობ თავს ცუდად. ერთი უცნაური რამ დამჩემდა: თუ რაღაც შეგვეშალა, გულიანად ვხარხარებ და ალექსანდრე ველარ მაწყნარებს. უხერხულად გაშლის ხოლმე ხელებს და იტყვის, ძვირფასო ტელემაყურებლებო, ვერ ვაწყნარებ, ეტყობა, კარგ გუნებაზეაო.

**— ეთერში სტუმართაგან ყველაზე მეტად ვინ დაგამახსოვრდა?**

— ჩემი პედაგოგები კოტე მახარაძე და მანანა ითონიშვილი. ძნელი ყოფილა პირდაპირ ეთერში პედაგოგების გვერდით გადაცემის წაყვანა. იმდენი ვინერვიულე, რომ კინაღამ მოვკვდი. ქალბატონ მანანასთან მეტყველების პრობლემასთან დაკავშირებით გვქონდა საუბარი. ყველა ბგერას ვაკონტროლებდი. ტელეწამყვანების ცუდი მეტყველების გამო მართლაც სერიოზული პრობლემა იქმნება. ცუდია, როცა მეტყველებას ინტონაციით ამახინჯებ, მაგრამ ტრაგედიაა, როცა მშობლიურ ენას არ ვუფრთხილდებით.

***ეკა ლომიძე***

# როგორ მივიღოთ აბაზანა



***ზამთარში, სამსახურის შემდეგ, ადამიანს ებადება ბუნებრივი სურვილი — გათბობისა და დასვენებისა. შესაძლებლობიდან და ცხოვრების წესიდან გამომდინარე, არსებობს ამ სურვილის ასრულების რამდენიმე საშუალება. თუმცა, ოდითგანვე ხალხური მედიცინა გვთავაზობს ყველაზე ეფექტურ საშუალებას — აბაზანის მიღებას.***

***თუ აბაზანას სწორად იღებთ, ნამდვილად მოახერხებთ გათბობას, დაისვენებთ და საჭირბოროტო საკითხებსაც დროებით დაივიწყებთ.***

***აქვე იბადება კითხვა: შეიძლება აბაზანის მიღების პროცესი არასწორი იყოს? რა თქმა უნდა, თუ ისე არ მოვიქცევით, როგორც საჭიროა...***

### რა არ უნდა გავაკეთოთ:

— არ მივიღოთ აბაზანა დილაობით, სამსახურში წასვლის წინ. აბაზანა ადუნებს ადამიანს — შხაპი კი, ძალას მატებს;

— რაც არ უნდა გაყინული იყოთ, არ ჩაჯდეთ ცხელ წყალში. არ შეგეკამათებით — გათბებით, მაგრამ ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება წნევას აგიწევთ და გულს გადაგიღლით;

— ნუ ჩაწვებით აბაზანაში საათობით წიგნით ხელში და, მით უმეტეს, სიგარეტით ან არყის ჭიქით; არ ჩაყვინთოთ აბაზანაში ნოყიერი ვახშმის შემდეგ — შესაძლოა ამან კუჭის აშლა გამოიწვიოს;

— კვირაში მხოლოდ სამჯერ მიიღეთ აბაზანა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩამორეცხავთ კანის მთელ სასარგებლო დამცველ ფენას;

— ნულარ დაიბანთ ტანს აბაზანის მიღების შემდეგ, თორემ ჩამოიბანთ ყველა სასარგებლო ნივთიერებას, რომელიც წყალში გახსენით აბაზანის მისაღებად.

### რა უნდა გავაკეთოთ:

— აბაზანა გაგათბობთ და დაგამშვიდებთ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მასში უბრალო წყალია. თუ წყალში გახსნით სხვადასხვა საშუალებას, მიაღწევთ კოსმეტიკურ და სამკურნალო ეფექტსაც კი. აბაზანაში უნდა იყოს 36-38°C წყალი;

აბაზანა არსებობს თბილი და ცხელი. პირველი — 36-37°C, 10-15 წუთით — ადუნებს, ხსნის დაძაბულობას, უზრუნველყოფს ნორმალურ ძილს, მეორე — 40°C და მეტი 5-7 წუთით — გაგათბობთ, ამ დროს ფართოვდება სისხლძარღვები, აქტიურდება ნივთიერებათა ცვლა.

**გახსოვდეთ:** ცხელმა წყალმა არ უნდა დაგიფაროთ გულის არე. ამისთვის საჭიროა იქონიოთ წყლის თერმომეტრი. იმისათვის, რომ აბაზანამ გვარგოს, საჭიროა ნებივრობა მხოლოდ 20 წუთით. პროცედურის ბოლოს ექიმები გვირჩევენ მასაჟს: ხელისგულების წრიული მოძრაობა გულის მიმართულებით — თავიდან, ფეხის წვერებიდან, შემდეგ ხელის მტევნებიდან. აბაზანის მიღების შემდეგ აღარ გადაისხათ წყალი, მოიცვით პირსახოცის ხალათი ან შემოიხვიეთ პირსახოცი.

### რა დავუმატოთ წყალს

ყველაზე მარტივი და უბრალო დანამატია — აბაზანის ქაფი. ის სასიამოვნოდ ეფერება კანს, მისი სურნელი ამშვიდებს სულს, ხოლო მისი შემცველელი დამატენიანებელი დანამატები, ხილისა და ბალახის ექსტრაქტები არბილებს კანს.

ქაფის აბაზანა შესანიშნავია მათთვის, ვისაც ცხიმიანი კანი აქვს. შესანიშნავია მარილის აბაზანა, ან რძის, თაფლის, რომელიც არბილებს კანს, ხსნის დაღლილობას, სიწითლეს, მაგრამ მის შემდეგ აუცილებელია შხაპის მიღება. აგრეთვე ძალიან ეფექტურია ძმრის და კვერცხის აბაზანა: 1 კვერცხი, ნახევარი ჭიქა შამპუნი და 1 ჩაის კოვზი ჟელატინი უნდა აითქვიფოს მიქსერით. ამ ქაფს ჰოლივუდის აბაზანას უწოდებენ.

***ტვ პარკი №4***

# როგორ გუნება-განწყობაზე ხართ?

დილიდანვე თავს დაღლილად გრძნობთ, თუმცა წინა ღამით 9 საათზე დაიძინეთ. სინამდვილეში თქვენ დაღლილი კი არ ხართ, არამედ სტრესს განიცდით. ნუ დაყრით ფარხმალს, ვინაიდან არ არის ძნელი გუნება-განწყობილების გამოკეთება და სტრესის მოცილება. ასე რომ, თქვენი მთავარი ამოცანაა:

**არ დაიტოვოთ თავისუფალი დრო,** მაგრამ არც თავიდან ფეხებამდე ჩაეფლოთ სამუშაოში. სხვის გასაკეთებელს ნუ გააკეთებთ. გახსოვდეთ: დღე სავსე უნდა იყოს მრავალფეროვნებით. ამიტომ უარი თქვით დამატებით დავალებებზე. ისწავლეთ უარის თქმა — არ გჭირდებათ ზედმეტი ტვირთი;

**შესანიშნავია ფიზკულტურა.** რეგულარული ფიზიკური დატვირთვა, დილის ვარჯიში ან საღამოს ერთსაათიანი სირბილი — საუკეთესო საშუალებაა სტრესის წინააღმდეგ. საუკეთესოა აუზში ცურვა თუნდაც ნახევარი საათი — კუნთები ინტენსიურად იტვირთება, წყალი კი ჩინებულად აწყნარებს ნერვებს. კარგი იქნება, თუ აუზში ცურვას და სპორტულ დარბაზში ვარჯიშს შეუთავსებთ სოლარიუმს ან საუნას, ხოლო შინ დროს გამონახავთ აბაზანისათვის;

**შეიცვალეთ გარემო.** რამდენიმე დღის შვებულება ძალიან გარგებთ, თუ დროს გაატარებთ სასიამოვნო მხიარულ კომპანიაში. თუ მარტოობა გირჩევნიათ, სჯობს შინიდან შორს არ წახვიდეთ. ძალიან სასარგებლოა ექსკურსია ქალაქგარეთ;

**იყიდეთ რაიმე.** შეიძინეთ ის, რაზეც დიდი ხანია ოცნებობთ. ახალი ნივთი, თუნდაც სულ უმნიშვნელო — ახალი დეტალია თქვენს ცხოვრებაში, რაც აუცილებლად გამოგიკეთებთ გუნებას. თუ ჯერ არ გადაგიწყვეტიათ რითი გაიხალისოთ თავი, დაიწყეთ ახლობლებით. საჩუქრების მირთმევა ხომ ისევე სასიამოვნოა, როგორც მიღება;

**იცინეთ.** ერთწუთიანი სიცილი ცვლის 45-წუთიან ვარჯიშს;



**საუკეთესო საშუალებაა სექსი.** ის გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე სპორტი ან სუფთა ჰაერზე გასეირნება.

**გაიკეთეთ ვარდისფერი მზის სათვალე.** ტრადიციული მედიცინა გვირჩევს: თუ დაქანცული ხართ, მუდმივად ძილის შეგრძნება გაქვთ, სცადეთ, ვარდისფერშუშებიანი სათვალის ტარება, ხოლო თუ ზედმეტად გაღიზიანდით, მწვანე ფერი ამჯობინეთ.

***კტო №21***

# ინფარქტის დროზე შეჩერება ადვილი არ არის!



გულის იშემიური დაავადება, რომელიც ინფარქტს იწვევს, ყოველთვის მოულოდნელად გვესხმის თავს: სისხლში ქოლესტერინის დონის გაზრდა, არტერიული წნევის მომატება და სისხლძარღვების სკლეროზი, შესაძლებელია შეუმჩნეველი დაგვრჩეს. ამიტომ, ექიმები გვირჩევენ, ადრევე მივაქციოთ ყურადღება ყველა სერიოზულ უსიამოვნო შეგრძნებებს. მაგალითად: თუ დილით ხშირად გტკივათ თავი, განსაკუთრებით კეფა, რეგულარულად გაიზომეთ წნევა და ჩაიწერეთ ყველა ჩვენება; პატარა მანძილზე გარბენის ან კიბეზე ასვლისას სუნთქვა გეკვრით, ქოშინს იწყებთ, გიჩქარდებათ გულის ცემა და მკერდში გიჭერთ? სასწრაფოდ გაიქეცით ექიმთან! ეს აუცილებელია, გააკეთოთ მაშინაც კი, თუ პატარა დატვირთვისასაც იღლებით, გეწყებათ მოულოდნელი ხველება, წვივების შეშუპება და ხშირი შარდვა, მკერდში ტკივილის შეგრძნება, რომელიც შეიძლება განვითარდეს ქვედა კიდურებში ან მარცხენა ხელში. თუ ტკივილი 5 წუთის განმავლობაში არ გაივლის, გამოიძახეთ „სასწრაფო", რათა ინფარქტი არ დაგემართოთ, თვალი ადევნეთ თქვენს წონას, უარი თქვით სიგარეტზე, მეტი იმოძრავეთ და რაც მთავარია, ყოველთვის იყავით კარგ გუნება-განწყობილებაზე.

***ოტდოხნი! №5***

# ბიბლიური შიდსი



შიდსს „XX ს-ის შავ ჭირს" უწოდებენ. მიკრობიოლოგების თვალსაზრისი ამ საშინელი სენის წარმომშობი მიზეზების თაობაზე განსხვავებულია. ერთი ვერსიის თანახმად, ეს საშინელი ვირუსი სპეციალურად შეიქმნა გენური ინჟინერიის მეშვეობით პენტაგონის საიდუმლო ლაბორატორიებში, საიდანაც მოხდა მისი უნებლიე გაჟონვა. ამას წინათ კი, არქეოლოგებმა დაადგინეს, რომ შიდსი არსებობდა ჯერ კიდევ ბიბლიურ ეპოქაში.

მდინარე იორდანეს ნაპირებზე, იმ ადგილას, სადაც ლეგენდარული ქალაქები სოდომი და გომორი უნდა ყოფილიყო გაშენებული, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს დიდი ქვის სარკოფაგი, რომელშიც იმყოფებოდა ახალგაზრდა მამაკაცის ბალზამირებული სხეული.

„მუმიის გამოკვლევამ აჩვენა, რომ ეს ახალგაზრდა მამაკაცი გარდაიცვალა რაღაც იმგვარი დაავადებით, რომელმაც გამოიწვია სასიცოცხლო ძალების დაშრეტა, — ამბობს ექსპედიციის ხელმძღვანელი პროფესორი კლოდ პონკერალი — საკითხმა, თუ რა უნდა ყოფილიყო ეს დაავადება, მეტად დააინტერესა მედიკოსები. მუმიის ხორხიდან აღებული ქსოვილის ნიმუში ელექტრომიკროსკოპის ქვეშ საგულდაგულოდ შეისწავლეს. შედეგი სენსაციური აღმოჩნდა".

ადვილი წარმოსადგენია სწავლულთა გაოცება, როცა გაირკვა, რომ ბიბლიური ქალაქის მცხოვრები შიდსით გარდაიცვალა!

„ეს გამაოგნებელი აღმოჩენა ნებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ქალაქები სოდომი და გომორი, რომლებშიც გამეფებული იყო გარყვნილება და უზნეობა, იქცნენ მომაკვდინებელი შიდსის ვირუსის კერებად — ამბობს პროფესორი პონკერალი. ამიტომ, სრულიად დასაშვებია, რომ უფალმა დაწვა ეს ქალაქები, რათა ეხსნა კაცობრიობა ამ საშინელი დაავადებისაგან... მართლაც იხსნა, მაგრამ სამწუხაროდ დროებით, მხოლოდ რამდენიმე ათასი წლით".

***ინტერპოლ ექსპრესი №2***

# როგორ შევუნარჩუნოთ ბოსტნეულს ყველა ვიტამინი



დიდი მნიშვნელობა აქვს ბოსტნეულის არა მარტო რაოდენობას, არამედ მის მოხმარებას, — თუ ზომაზე მეტად მოვხარშავთ, ის კარგავს სასარგებლო ნივთიერებებს.

ბოსტნეულში რომ C ვიტამინი შევინარჩუნოთ, უნდა ჩავუშვათ მდუღარეში ან ბულიონში და ვხარშოთ: კომბოსტო 20-35 წთ, სტაფილო 12-15 წუთი, პომიდორი და ისპანახი — 6-8 წუთი.

არის კიდევ ორი საიდუმლო — ბოსტნეული და მწვანილი უნდა დავჭრათ მჭრელი უჟანგავი ლითონის დანით — დაჭყლეტა და ჩვეულებრივი რკინის დანით დაჭრა ანადგურებს A და C ვიტამინებს, ძალიან დიდხანს რეცხვა აქვეითებს B ვიტამინის შემადგენლობას.

***ოტდოხნი! №6***

# ვინ „ქოქავს" შინაგან საათს

თურმე, ადამიანის დღის რეჟიმს განსაზღვრავს სადღეღამისო რიტმი, ხოლო ჩვენში არსებული „ავტომატური სისტემა" კი, იძლევა ბრძანებას, დავიძინოთ თუ არ დავიძინოთ. მაგრამ თუ როგორ შეეწყობა ჩვენი სხეული განსაზღვრულ რიტმს, ჯერჯერობით გაურკვეველია.

ჰარვარდელი მეცნიერები კი ამტკიცებენ, რომ ქიმიურ ჯაჭვში იპოვეს ნივთიერება, რომელიც გზავნის ძილის რიტმის მარეგულირებელ სიგნალებს. მათი აზრით, ეს მისცემს მეცნიერებას საშუალებას, შექმნან უძილობის ეფექტური წამალი.

ცხოველებზე ჩატარებულმა ცდებმა გამოავლინა, რომ ასეთი ქიმიური ნივთიერებაა ზრდის ფაქტორი TGF-alpha. იგი მდებარეობს ჰიპოთალამოსში და თავის ტვინის ქერქის იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია ძილღვიძილის ციკლის რეგულირებასთან.

***ლიზა №6***

# შეკითხვა ექიმს



**თირკმლებში მაქვს მარილები და პერიოდულად მემართება ქვიშის გავლა, რაც აუტანელი ტკივილის მიზეზი ხდება ხოლმე. იქნებ არსებობს პროფილაქტიკური საშუალებები ჩემი დაავადებისგან თავდასაცავად?**

***ლეილა ბობოხიძე***

ჩანს, რომ გაქვთ შარდკენჭოვანი დაავადება, რომელსაც იწვევს ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლის დარღვევა. გარკვეული მნიშვნელობა აქვს საშარდე სისტემაში მიმდინარე ანთებით პროცესებს. მარილების დალექვა ჩქარდება შეგუბებულ შარდში, ამიტომ დაავადების განვითარებისთვის მნიშვნელობა აქვს ისეთ ანომალიებს და დაავადებებს, რომლებიც ხელს უწყობენ შარდის შეგუბებას, მაგალითად, პროსტატის ადენომა, თირკმლის დაწევა და სხვ. შარდკენჭოვანი დაავადებებისთვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მემკვიდრეობას და ცხოვრების პირობებს.

საშარდე გზებში ილექება სხვადასხვა სახის მარილი. უფრო ხშირად გვხვდება შარდმჟავას მარილები — ურატები, შემდეგ მჟაუნმჟავას მარილები — ოქსალატები.

თუ თქვენ უკვე გქონდათ დაავადების შეტევა, საჭიროა ჩაიტაროთ სპეციალური პროფილაქტიკური ღონისძიებები. დიეტა დამოკიდებულია შარდის ანალიზის შედეგებზე. თუ შარდი მჟავე რეაქციისაა და შეიცავს ურატებს, ანუ შარდმჟავა მარილებს, საჭიროა შეიზღუდოს ხორცი, ღვიძლი, თევზეული, ხორცის ნახარში, ყავა, კაკაო, შოკოლადი. უნდა მიიღოთ პურეული, ცხიმი, ყველი, კვერცხი, ბევრი ბოსტნეული და ხილი. თუ შარდში გაქვთ კალციუმის მარილები — ოქსალატები, ფოსფატები და კარბონატები, უნდა შეზღუდოთ კალციუმით მდიდარი საკვები: რძე, ყველი, კარტოფილი; რეკომენდებულია ტკბილეული, ბრინჯი, ბურღულეული, ცხიმი, ხორცეული, თევზი, კიტრი, ლიმონი. ოქსალატების შემთხვევაში არ შეიძლება აგრეთვე მჟაუნის, სალათის, ჭარხლის, სტაფილოს ჭამა, რადგან ეს ყველაფერი მჟაუნმჟავას შეიცავს. საჭიროა დღეში 1,5-2 ლ-მდე სითხის მიღება. პერიოდულად უნდა მიიღოთ მცენარეული შარდმდენების ნაყენი. ასეთი მცენარეებია: შვიტა, მატიტელა, თირკმლის ჩაი, ჯორის ძუა, სიმინდის ფოჩი. ამ მცენარეთა ნაყენი გამორეცხს საშარდე გზებს, დაიცავს მათ ნალექისგან.

შეუდარებელ თერაპიულ ეფექტს იძლევა მინერალური წყლები, კერძოდ, საირმე. აგრეთვე კარგია კურორტული თერაპია.

**ორი კვირის წინ პირველად დამემართა ნაღვლის ბუშტის შეტევა, გამოვიძახე სასწრაფო დახმარება, მაგრამ ექიმის მოსვლამდე მეუღლემ გამიკეთა ანალგინის ინიექცია. სასწრაფოს ექიმი გამიბრაზდა ამის გამო. ისეთი რა დავაშავე?**

***ლევან აბზიანიძე***

როგორც ჩანს, თქვენ არათუ თვითმკურნალობას მიმართეთ, არამედ თავადაც დაისვით დიაგნოზი. ამგვარი საქციელით საფრთხის წინაშე დააყენეთ საკუთარი ჯანმრთელობა და ექიმის განრისხების მიზეზიც სწორედ ეს გახლდათ: მუცელი ჩვენი ორგანიზმის ის ნაწილია, რომელშიც სხვადასხვა ორგანოა მოთავსებული. მუცლის ტკივილით შეიძლება გამოიხატოს გულის, კუჭ-ნაწლავის, შარდის გამომყოფი სისტემის, ენდოკრინული, რეპროდუქციული ორგანოების და სისხლმბადი სისტემის პრობლემები. ამიტომ, ეს სიმპტომი ძალიან სერიოზულ მიდგომას საჭიროებს. ყოვლად დაუშვებელია გამაყუჩებლების მიღება გაურკვეველი წარმოშობის მუცლის ტკივილის დროს, რადგან ისინი ნიღბავენ ნამდვილ კლინიკურ სურათს, რაც შეიძლება ტრაგიკულად დამთავრდეს. იგივე ითქმის სათბურზე, რომლის დაუდევარმა გამოყენებამ შესაძლოა უკიდურესად გააღრმავოს მუცლის ტკივილის გამომწვევი არაერთი პათოლოგიური პროცესი. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს ტკივილის მიზეზი, რისთვისაც სათანადო ანალიზები და ექიმის კონსულტაციაა საჭირო. მეტი თვალსაჩინოებისთვის ერთი მაგალითი მოვიყვანოთ: ავადმყოფს ადვილად შეიძლება აერიოს ნაღვლის ბუშტის ანთების (ქოლეცისტიტის) შეტევა მწვავე აპენდიციტის (ჭიანაწლავის ანთების) ტიპური ფორმის შეტევაში. თუ იგი ასეთ დროს გაიკეთებს გამაყუჩებლებს და ტკივილის სიმპტომს წაშლის, შესაძლოა ექიმსაც აღარ მიმართოს. მწვავე აპენდიციტის კლინიკა კი ამით არ დამთავრდება, შესაძლოა მოხდეს ჭიანაწლავის პერფორაცია (გახეთქვა), განვითარდეს მუცლის ფარის ანთება (პერიტონიტი) და ყველაფერი სავალალო შედეგით დამთავრდეს. თვითმკურნალობა მუცლის ტკივილის დროს დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პაციენტმა დანამდვილებით იცის ტკივილის მიზეზი და ამავე დროს აქვს ექიმის მითითებები.

***თამარ მამაცაშვილი***

## მიირთვით კაკალი

ამერიკული კვების კვლევის ცენტრის დოქტორი ნელსონი სუსტი ძვლების მქონე ადამიანებს ურჩევს, ჭამონ მანგანუმითა და ბორით მდიდარი



სხვადასხვა ჯიშის კაკალი, რომელიც ხელს უწყობს ძვლის ქსოვილის გამაგრებას, აქვე აღნიშნავს, რომ მსგავსი თვისებებით ხასიათდება ლობიოც.

არც ისე დიდი ხნის წინ, იაპონელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ავოკადო არა მარტო ამცირებს სისხლში ქოლესტერინის რაოდენობას, არამედ ხელს უწყობს ვირუსული ჰეპატიტით დაავადებულთა გამოჯანმრთელებას.

***ოტდოხნი! №5***


ვმკურნალობთ

**ქრონიკულ პროსტატიტს**

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;

— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;

— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან). 10-14 სთ.**





**სისხლში შაქრის საზომი აპარატები**

სერტიფიცირებულია

კომპლექტი 95ლ

შარდის საერთო ანალიზის ტესტები, 100ც. — 50 ლ.

შპს „კონტრასტი“, ბორჯომის ქ. №4

☎ 35-44-05; 899-19-60-55


## მიომა

**მიომა** — ჰორმონდამოკიდებული კეთილთვისებიანი სიმსივნეა, რომელიც ჩვეულებრივ საშვილოსნოში ვითარდება. ის კუნთოვანი ქსოვილისა და შემაერთებელქსოვილოვანი ბოჭკოებისაგან შედგება. იმის მიხედვით თუ რომელი ელემენტი ჭარბობს, გამოყოფენ მიომის რამდენიმე ფორმას. ესენია: ფიბრომიომა, მიოფიბრომა, ლეიმიომა, ფიბრომა. ზოგჯერ დაავადება მიმდინარეობს ყოველგვარი სიმპტომების და გამოვლინების გარეშე. ზოგადი მდგომარეობა ამ დროს დამაკმაყოფილებელია.

**მიომის დიაგნოსტირება,** როგორც წესი, 30-40 წლის ასაკში ხდება, თუმცაღა, ის შესაძლოა უფრო ახალგაზრდა ასაკშიც განვითარდეს. მისი აღმოჩენა პროფილაქტიკური გამოკვლევების დროს ხდება, ზოგჯერ კი უნაყოფობის ჩივილით მისულ ქალებში ან ორსული ქალების გამოკვლევის დროს ფიქსირდება. ზოგჯერ ქალი გინეკოლოგს კონკრეტული ჩივილებით მიმართავს: საშვილოსნოდან სისხლდენა, მცირე მენჯის ღრუში ტკივილის შეგრძნება, მენსტრუალური ციკლის მოშლა, გახშირებული შარდვა, შეკრულობა. ყველა ეს სიმპტომი მიომის არსებობაზე მიუთითებს.

მიომის დიაგნოსტირების პარალელურად ხშირად ვლინდება სასქესო ორგანოების ანთებითი ცვლილებები, ენდომეტრიოზი. ყველა ეს პათოლოგიური მდგომარეობა ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

მიომის არსებობა ორგანიზმში მრავალ ცვლილებას განაპირობებს. ის მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქალის ზოგად მდგომარეობაზე. კერძოდ, პათოლოგიის არსებობას ხშირად თან ახლავს სისხლდენები, რომელსაც სისხლნაკლებობა — ანემია სდევს თან. მენსტრუალური ციკლის დარღვევას თან ახლავს ჰორმონალური დისბალანსი, ენდოკრინულ და ნერვულ სისტემებში არასასურველი ძვრები.

**მიომის მკურნალობის** ორი გზა არსებობს: ქირურგიული და კონსერვატიული. თუკი პათოლოგიის დიაგნოსტირება ადრეულ ეტაპზე მოხდა, მაშინ კონსერვატიული მკურნალობაა მიზანშეწონილი. ამასთან, აუცილებელია სხვა თანმხლები გინეკოლოგიური დაავადებების მკურნალობაც, ჰორმონალური ბალანსის აღდგენაც, ასევე მიმდინარეობს ანემიის პროფილაქტიკა და მკურნალობა. კონსერვატიული მკურნალობა 2-4-თვიანი კურსებით მიმდინარეობს. მკურნალობის დროს მნიშვნელობა ენიჭება დიეტას: ცხიმებისა და ნახშირწყლების შეზღუდვას, რაციონში ცილოვანი პროდუქტების სიჭარბეს, A, E, K, C და B ჯგუფის ვიტამინებს, მიკროელემენტებს (თუთია, რკინა, იოდი), ხილისა და ბოსტნეულის წვენებს.

ინიშნება ანემიის საწინააღმდეგო მკურნალობაც — რკინაშემცველი პრეპარატები. ჭარბი ან გახანგრძლივებული მენსტრუაციის დროს ჩვეულებრივ რეკომენდაციას უწევენ საშვილოსნოს შემკუმშავ პრეპარატებს.

ხშირად მიომას თან ახლავს ე.წ. ვეგეტოსისხლძარღვოვანი დარღვევები: ქალს ცუდად სძინავს, აღგზნებულია, აღენიშნება ემოციური ლაბილობა. ასეთი მდგომარეობა ხშირად მოითხოვს მედიკამენტურ თერაპიას. შეგიძლიათ მიიღოთ ელეუტეროკოკის 10-15 წვეთი 3-ჯერ დღეში, ნოვო-პასიტი — თუკი ქალის არტერიული წნევა ნორმალურია; შავბალახას ნაყენი 30-50 წვეთი სამჯერ დღეში — თუ არტერიული წნევა მაღალია. ეს მედიკამენტები 1-დან 3 თვემდე უნდა მიიღოთ.

**კონსერვატიული** მკურნალობა ჩვეულებრივ ფაქტორების არსებობასაც მოიცავს. ესენია: ელექტროფორეზი, დაბალი სიხშირის მაგნიტური ველი, იოდბრომიანი და რადონის აბაზანები.

კიდევ ერთი გზაა ჰორმონალური თერაპია. მას მიმართავენ იმ შემთხვევაში, თუკი მედიკამენტოზური და ფიზიკური ფაქტორებით თერაპია არაეფექტურია. ექიმი ჰორმონალური თერაპიის კურსს ორგანიზმის ჰორმონალური ფონის შესწავლის შემდეგ ნიშნავს (6-8-თვიანი კურსით). ჰორმონალური გესტაგენური პრეპარატები: ნორკოლუტი, დეპოპიოვერია და ა.შ. ის აფერხებს სიმსივნური წარმონაქმნის ზრდას, აღმოფხვრის ანემიას და არეგულირებს მენსტრუაციულ ციკლს. ჰორმონალური მკურნალობის კურსებს შორის რეკომენდებულია ვიტამინების მიღებაც.

**გაფრთხილებთ:** კონსერვატიული მკურნალობა მხოლოდ სპეციალისტ ონკო-გინეკოლოგის მიერ უნდა ჩატარდეს. ის შესაძლოა 2-3 წელიწადსაც გაგრძელდეს. თუ ამ ხნის შემდეგ ქალის ზოგადი მდგომარეობა არ უმჯობესდება, სიმსივნური წარმონაქმნი იზრდება, რეპროდუქციული (გამრავლების) ფუნქცია კვლავაც დარღვეულია — მიმართავენ ოპერაციულ მკურნალობას.



**ოპერაციული მკურნალობა** სულაც არ იგივდება საშვილოსნოს ამოკვეთასთან. ზოგ შემთხვევაში არსებობს შანსი ორგანოს შენარჩუნებისა, მიუხედავად სიმსივნური წარმონაქმნის ზომისა და ლოკალიზაციისა.

დამზოგველ კეთილთვისებიან მიომაზე ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, სტატისტიკური მონაცემებით 80%-ში, ხდება ნორმალური მენსტრუაციული ციკლის აღდგენა, შესაძლებელია დაორსულება, რაც ნებადართულია ოპერაციიდან ერთი წლის შემდეგ.

დამზოგველი ოპერაციის (საშვილოსნო შენარჩუნებულია) შემდეგ მიომის რეციდივი (განმეორება) 2%-ში აღინიშნება. ხოლო კლიმაქტერიულ პერიოდში ქალებში პათოლოგიის განვითარების ალბათობა კიდევ უფრო მცირდება.

რაც შეეხება რადიკალურ ოპერაციას, რაც საშვილოსნოს და მისი დანამატების ამოკვეთას გულისხმობს, მთლიანად გამოირიცხება ქალის შვილოსნობის ფუნქცია. ამ ოპერაციის შემდეგ ხშირად ვითარდება სისხლძარღვოვანი, ნეიროენდოკრინული და ფსიქოემოციური დარღვევები.

ნებისმიერი ოპერაციის შემდეგ რამდენიმე თვის მანძილზე აუცილებელია ექიმი ონკო-გინეკოლოგის კონტროლის ქვეშ ყოფნა. პათოლოგიის არსებობისას ყველა შემთხვევაში მკურნალობა ინდივიდუალურია. არსებობს ათეული ფაქტორი რომელთა განსაზღვრის შემდეგ განისაზღვრება მკურნალობის კონკრეტული ტაქტიკა. ძალზე მნიშვნელოვანია ამ ჩივილების არსებობისას (საშვილოსნოდან აციკლური სისხლდენა, გახშირებული შარდვა და ა.შ.) სასქესო ორგანოების ულტრაბგერითი გამოკვლევა, კონკრეტული ეჭვის შემთხვევაში კი, ონკო-გინეკოლოგთან ვიზიტი.

**გახსოვდეთ!** დაავადების ადრეულ სტადიაში პროგნოზი უფრო კეთილსაიმედოა.

***მაია მუხიგული***


ჰომეოპათიური მკურნალობა

**ჰომეოპათიური აკადემიის პრორექტორი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი**

თორნიკე ალაშვილი

აწარმოებს მიღებას წინასწარი ჩაწერით (ტ. 98 64 86)

ალ. ჭავჭავაძეს ქ.№2

№13 პოლიკლინიკა

სწავლების თაობაზე დარეკეთ: 29 43 65


## მზე გაცივებას იწვევს

ამერიკელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ „ჯანმრთელი გარუჯვა“ არ არსებობს. მზის სხივების მოქმედების შედეგად კანის პიგმენტაცია ტრავმას იწვევს. რაც უფრო მეტად ირუჯება ადამიანი, საშიშროებაც მატულობს.

„ხელოვნური მზე“ (სოლარიუმში) იწვევს მელანომის (ავთვისებიანი სიმსივნე) და კანის სხვა სიმსივნის წარმოქმნას. რეკლამები ხშირად გვამცნობენ, რომ ზამთრის გარუჯვა აუცილებელია ჩრდილო განედში, სადაც ნაკლები მზეა. მაგრამ ბევრი სპეციალისტის აზრით, ზამთრის პერიოდში, სოლარიუმში მელანინის გამომუშავების სტიმულირება სასარგებლო არ არის, რადგან ჩრდილოეთ რაიონის ბინადართა ორგანიზმის თავისებურებებს არ შეესაბამება.

ძალიან ხშირად, სოლარიუმი ვერ ეგუება ზოგიერთ წამალს. ულტრაიისფერ სხივებთან ურთიერთობით, ისეთი ნივთიერებები, როგორც გაცივების დროს გამოყენებული სულფანილამიდები (მაგ. ბისეპტოლი,) ქმნის ორგანიზმისთვის მავნე შენაერთს. ასევე მიუღებელია და შეუთავსებელია გარუჯვისთვის არაერთი ანტიბიოტიკი, ალერგიის საწინააღმდეგო წამალი, შარდმდენი პრეპარატები, ტრანკვილიზატორები, წნევის დასაწევი საშუალებები.

გრიპის დროს ულტრაიისფერის ზედმეტი დოზით მიღება თრგუნავს ადამიანის იმუნურ სისტემას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარუჯვის შემდეგ გაცივება ძალიან ადვილია, ხოლო ავადმყოფობა ხანგრძლივი და მძიმე იქნება.

***სობესედნიკი №3***


მიოზიტი, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი (მარილები), სქოლიოზი, კიფოზი (ხერხემლის გამრუდება, კისერმრუდობა), თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, მეწალისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა.



**ამ დაავადებებს მრავალი წლის განმავლობაში დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, რუსეთსა და საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდით: მანუალური თერაპია, ტრენაჟორები, მექანოთერაპია, აერობიკა.**

მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე ალმაშენებლის 60-ში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფო (ყოფ. მიხაილოვის), I სართ, მანუალური თერაპიის კაბინეტი. ტელ: 75-06-14; 877-44-01-08



სიახლე ენდოქირურგიისა და ლითოტრიფსიის ცენტრში

**კენჭების დაშლა**

ყველაზე მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიებით

ნაღვლის ბუშტის, თირკმლის, შარდსაწვეთის, შარდის ბუშტის მცირე და დიდი ზომის კენჭების დაშლა ქირურგიული კვეთისა და ტკივილის გარეშე.

ენდოსკოპიური ქირურგიისა და ლითოტრიფსიის ცენტრი

მის: ვაჟა-ფშაველას 29, რესპუბლიკური საავადმყოფოს VII სართ.

☎ 39-52-05 პროფესორი თემურ ტაბუცაძე



ისრაელ-საქართველოს სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „მიკროგენი“

გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას ისრაელის უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით: გინეკოლოგია, ანდროლოგია, ოსტეოპოროზი, ულტრასონოგრაფია, ლაბორატორიული ტესტები, კოსმეტოლოგია, სამკურნალო მასაჟი და მკვდარი ზღვის ტალახისა და მარილების აბაზანები.

მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. 32ა

☎ 94 07 08; 94 07 09; 98 39 76








SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი

SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა

SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები

SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია

SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

**ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!**

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

## შეთქმულება ბი-ბი-სი-ში

ბრიტანელებს ძალიან გაუკვირდათ, როცა შეიტყვეს, რომ თავისუფალ სიტყვას საფრთხე მარტო ზიმბაბვეში ან რუსეთში კი არ ემუქრება, არამედ ბრიტანეთშიც. ეს უსიამოვნო ფაქტი ტელეკორპორაცია ბი-ბი-სი-დან შეიტყვეს. ბი-ბი-სი-ს ჟურნალისტებმა საჯაროდ განაცხადეს, — ხელმძღვანელობა ცდილობს გვიკარნახოს, რა სახით უნდა გავაშუქოთ ბრიტანეთის ტახტზე ელისაბედ -ის ასვლის 50



წლისთავიო. საინტერესოა, რომ ბი-ბი-სი-ს ხელმძღვანელობა ჟურნალისტებისგან დედოფლისადმი დიდი სიყვარულის გამომჟღავნებას კი არ ითხოვს, არამედ კრიტიკულ დამოკიდებულებას. ბი-ბი-სი-ს ჟურნალისტებისთვის გამოშვებულ ცირკულარში, რომელიც აღშფოთების მიზეზი გახდა, ჟურნალისტებისგან იმიტომ ითხოვენ საიუბილეო შეხვედრებისა თუ დედოფლის მოღვაწეობის კრიტიკულ შეფასებას, რომ მიაჩნიათ — ეს სრულიად სამართლიანია და ასახავს ელისაბედ -ისადმი ბრიტანელთა ჭეშმარიტ დამოკიდებულებას.

აღშფოთებულმა ბი-ბი-სი-ს ჟურნალისტებმა საიდუმლო დოკუმენტი გამოაქვეყნეს, რითაც ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს ხელმძღვანელობა. ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაცია დედოფლის მიერ ნაბოძები ქარტიის შესაბამისად მოქმედებს. ასე რომ, ფორმალურად ბი-ბი-სი-ს თანამშრომლები არა მარტო დედოფლის ქვეშევრდომები არიან, არამედ მისი ერთგული მსახურნიც. ზოგიერთმა თავგამოდებულმა მონარქისტმა უკვე დაიწყო იურისტების ძებნა, რომელიც შეძლებს დაადანაშაულოს ცირკულარის ავტორები შეთქმულებაში.

*ვლასტი №5*

## სავალე მეთაურთა ახალი ფუნქცია

თალიბთაგან თავისუფალი ავღანეთი ახალ ცხოვრებას იწყებს. ქვეყანაში სიმშვიდე ისადგურებს. 38 წლის გენერალი ათიქულაჰ ბარიალი ავღანური არმიის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მეთაურია. მის გამგებლობაში ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთი პროვინციები შედის. გენერლის სიტყვას დღემდე უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ, მაგრამ როცა ბრძანა — მოსახლეობამ იარაღი ჩააბაროსო, — უსიტყვო მორჩილება მძაფრ წინააღმდეგობაში გადაიზარდა. თავად ბარიალი ასრულებს პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაის განკარგულებას, რადგან ქვეყანაში მართლაც უხვადაა იარაღი. აქ, საბჭოელთა ინტერვენციის პირველივე დღიდან მოყოლებული, კალაშნიკოვის ავტომატი მამაკაცის ისეთივე აუცილებელ ატრიბუტად იქცა, როგორადაც წვერი, ქუდი და სალოცავი ნოხი.

ავტომატი საუკეთესო საჩუქრად ითვლება. როცა ოჯახში ვაჟი ჩნდება, ავღანელი, რაც არ უნდა ღატაკი იყოს, ყოველ ღონეს ხმარობს და



მისთვის კალაშნიკოვს იძენს. სწორედ ამიტომ ადვილი წარმოსადგენია ის წინააღმდეგობა, რაც ბარიალსა და სხვა სამხედრო მაღალჩინოსნებს ხვდებათ. პატარა ქალაქ ქიალა-ალ-ზელის მთელი მოსახლეობა აჯანყდა, როცა მათ ბარიალის წარმომადგენელმა იარაღის ჩაბარება მოსთხოვა. შეიარაღებული აჯანყება ქვეყნის სხვა ქალაქებსა და რეგიონებს რომ არ გადადებოდა, გენერალმა ამბოხებულთა წინააღმდეგ 1000 ჯარისკაცი, ტანკები და არტილერია გაგზავნა. მათ კი ქიალა-ალ-ზელისგან მხოლოდ ნანგრევები დატოვეს. ეს კარგ მაგალითად იქცა ბარიალის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის. მათ სულ მცირე ხანში 20.000 ავტომატი ნებაყოფლობით ჩააბარეს. თუმცა ეს მხოლოდ მცირედია, იარაღის 80% ჯერ კიდევ მოსახლეობის ხელშია და „ომის ლორდებად" წოდებულ გენერალ ათიქულაჰ ბარიალისა და მის კოლეგებს დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ, რათა მშვიდობა ისევე წარმატებით დაამყარონ, როგორც ერთ დროს იბრძოდნენ.

*ნიუ ზუიქი*

## რა ელის კუბოკრულთავსაფრიან კაცს?

*თვეზე მეტია, რაც ისრაელის ტანკებმა იასირ არაფატი ქალაქ რამალაში, საკუთარ რეზიდენციაში გამოკეტეს. ევროპა მორცხვად დუმს. როგორია მოსკოვის პოზიცია?*

მოსკოვში არაფატი საბჭოთა ლიდერების გასაცნობად 1968 წელს ჩამოიყვანა „საბჭოთა ხალხის დიდმა მეგობარმა", ეგვიპტის პრეზიდენტმა ნასერმა, მაგრამ ფრთხილმა ბრეჟნევმა შეხვედრას თავი აარიდა. ისინი ერთმანეთს ჯერ 1977, მერე კი 1978 წლებში შეხვდნენ. ხალხმაც პირველად იხილა ტელევიზიით — ტანმორჩილი, გადმოკარკლულთვალებიანი, მიამიტი სახის პალესტინელი, რომელსაც თავზე კუბოკრული თავსაფარი — კუფია ეხურა. რუსეთთან მეგობრობა 30 წელზე მეტხანს გაგრძელდა. ჩე გევარას დაღუპვის შემდეგ არაფატი დასავლელი ამბოხებული ახალგაზრდობისათვის კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. არაფატი მდიდარი ვაჭრის ოჯახში დაიბადა, სახელად იასირი უწოდეს, რაც არაბულად „ბედნიერს" ნიშნავს. კაიროს უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ქუვეითში მუშაობდა. მალევე შეიძინა დიდი ქონება, მაგრამ მესიანური იდეა დაეუფლა — ებრაელების ხმელთაშუა ზღვაში გადაყრა მოინდომა. ბიძის — იერუსალიმის მუფთის გავლენით, სათავეში ჩაუდგა ისრაელელებისაგან პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას. ებრაელების საპასუხო ფორმულა იყო — არაბების უდაბნოში გარეკვა. მას მერე იასირმა ირწმუნა თავისი ისტორიული როლი. დიდი რევოლუციისთვის გადამიდვია თავი და ცოლს არასდროს შევირთავო, მაგრამ ფიცი გატეხა და მშვენიერ 27 წლის მდივან სუჰა რავილზე დაქორწინდა. ეს მაშინ მხოლოდ კგბ-ს აგენტებმა იცოდნენ, რომლებმაც არაფატის გარემოცვაშიც შეაღწიეს. 1992 წელს საიდუმლო გაცხადდა და არაბული სამყარო სახტად დარჩა. იგი გააოგნა იმ გაუგონარმა ამბავმა, რომ თურმე მათ სათაყვანო ბელადს ქრისტიანი ქალი მოეყვანა ცოლად.



ებრაელთა ახალშექმნილ სახელმწიფოზე ეგვიპტის, ლიბანის, სირიის, ერაყის და იორდანიის წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ რეგიონებში 700.000-ზე მეტი პალესტინელი დევნილი აღმოჩნდა. დაიწყო სისხლისმღვრელი ომი დაკარგული მიწების დასაბრუნებლად.

უსათუოდ გავიხსენოთ სტალინის პირქუში წინასწარმეტყველება. ცნობილი საბჭოთა დიპლომატი ო. გრინევსკი წერს: „როცა 1948 წელს პოლიტბიუროში დადგა ებრაელთა სახელმწიფო აღიარების საკითხი, სტალინი დიდხანს დუმდა, მერე კი თქვა, — „იქ მშვიდობა აღარ იქნება".

ქუვეითში ერაყის შეჭრის შემდეგ ამერიკელებმა ცხვირი აუბზუეს არაფატს, რადგან მაშინ მან ყველაზე სერიოზული შეცდომა დაუშვა — ჰუსეინს დაუჭირა მხარი. ამით არა მარტო აშშ-თან გაიფუჭა ურთიერთობა, არამედ სპარსეთის ყურის ნავთობშეიხებთანაც, რომლებმაც ფინანსური დახმარება შეუწყვიტეს.

ვაშინგტონმა გადაწყვიტა, საბოლოოდ „ჩამოწეროს" არაფატი. ბუშის თქმით, ის შეუბრალებელი ტერორისტია, რომლის ხელს ათასობით ადამიანის სისხლი სცხია და მას ბინ ლადენს ადარებენ. ცხადია, ეს განცხადება იმის მომასწავებელია, რომ პალესტინას ახალი ლიდერი სჭირდება.

მოსკოვის არაოფიციალურ წრეებსაც მიაჩნიათ, რომ „არაფატმა თავისი შესაძლებლობები ამოწურა". რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო უხერხულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი — არაფატი იმდენ ხანს ითვლებოდა რუსეთის მეგობრად, რომ მისი „ჩაშვება" იმიჯს შეულახავს ქვეყანას.

„ნიუზუიქმა" აშშ-ის პოზიცია ასე ჩამოაყალიბა — არაფატი ნასესხები დროით ცხოვრობსო. თუმცა, ისტორიული ლიდერის ერთი ხელის მოსმით „გადაგდება", იოლი როდია. არაფატმა უკვე დაასახელა შესაძლო მემკვიდრეების გვარები, მაგრამ ის არ უთქვამს, მათ როდის გაუთავისუფლებს ადგილს. თავისით ალბათ არ წავა. გარდა ამისა, ვის აქვს იმის გარანტია, რომ მის მერე არ მოვლენ „მაგარი ბიჭები", რომლებიც სისხლის ნაკადულებს სისხლის მდინარეებად არ აქცევენ? არის კი მზად ამისათვის ისრაელი?

*არგუმენტი ი ფაკტი №7*

## ა. კვაშნინს ინიციატივა ალბათ ძვირი დაუჯდება

კუბიდან რუსეთის სპეცსაიდუმლო დაზვერვის ცენტრის ევაკუაცია „საბრძოლო განგაშის" რეჟიმით მიმდინარეობდა. რუსეთს ეს ოპერაცია იმხელა ფული დაუჯდა, რომ სამხრეებიანი ფინანსისტები შოკში ჩაცვივდნენ. სამხედრო სპეციალისტები კუბიდან სასწრაფოდ გამოუშვეს თვითმფრინავებით. ჰავანაში გაფრინდა აგრეთვე რამდენიმე „რუსლანი" — მსოფლიოში ყველაზე დიდი სატვირთო თვითმფრინავები. მათ ლურდესის სამხედრო ბაზიდან წამოიღეს ყველაზე ფასეული აღჭურვილობა, დანარჩენი კი სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად გემებით გამოამგზავრეს სამშობლოსაკენ. მაგრამ შესაძლოა ისე მოხდეს, რომ უნიკალური სადაზვერვო აღჭურვილობა ისევ კუბაში დააბრუნონ. სამთავრობო კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის ფედერალური სააგენტოს ხელმძღვანელობამ და საგარეო დაზვერვის სამსახურებმა გრანდიოზული სკანდალი მოუწყვეს გენერალური შტაბის უფროსს, არმიის გენერალს ა. კვაშნინს — ლურდესიდან გამოსვლის ინიციატორს ხომ არავისთან შეუთანხმებია ეს საკითხი. რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებიდან აშშ-ის გამოსვლისა და კამრანში რუსეთის მიერ დატოვებულ ბაზაზე დაბრუნების განზრახვის გამჟღავნების შემდეგ ცხადი გახდა, რომ „დაზვერვის მარგალიტის" — ლურდესის სანაცვლოდ, რუსეთს არანაირი საპასუხო საჩუქარი არ მიუღია.

*ნოვაია გაზეტა №7*

## ბელიზის საპასპორტო მაგიდა დაიხურა

ბელიზი (1973 წლამდე ბრიტანეთის ჰონდურასი) დამოუკიდებელი სახელმწიფოა ბრიტანეთის თანამეგობრობაში. იგი ცენტრალური ამერიკის კარიბის ზღვის სანაპიროზე მდებარეობს, ესაზღვრება მექსიკასა და გვატემალას. მისი დედაქალაქია ბელმოპანი. მოსახლეობა დაახლოებით 204 ათასია, ოფიციალური ენა — ინგლისური.

ბელიზის მოქალაქეებს უვიზოდ შესვლის უფლება აქვთ ევროპის, აზიის, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის, კარიბის აუზის 80-ზე მეტ სახელმწიფოში.

აქამდე ამ სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება ძნელი არ იყო. 1987 წლამდე ოფიციალურად შეიძლებოდა ამ უფლების რამდენიმე ასეულ დოლარად ყიდვა. 1987 წლიდან ქვეყანაში ამოქმედდა უცხოელებისათვის მოქალაქეობის მინიჭების პროგრამა, რამაც დიდი როლი ითამაშა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ამ პროგრამის თანახმად, ბელიზელის წოდების მისაღებად ოჯახის მქონე უცხოელს 50 ათასი დოლარი უნდა გადაეხადა, მარტოსულს — 40 ათასი. ამის გარდა ის გარკვეულ თანხას უხდიდა სახელმწიფო საიმიგრაციო სამსახურსაც, რომელიც შესაბამის საბუთებს უმზადებდა. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის საიდ მუსას თქმით, ამ პროგრამამ 6 მილიონზე მეტი დოლარი შეიტანა ბელიზში.

ახლახან პრემიერ-მინისტრმა გამოაცხადა, რომ პროგრამა დაიხურა: მისი თქმით, 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ მთავრობას გაუჩნდა შიში, რომ ამ პროგრამით სარგებლობას მოინდომებენ საერთაშორისო ტერორისტები.

*კომერსანტი №24*

## მოკლედ

**სევერომორსკში** ძეგლს დაუდგამენ საზღვაო ავიაციის მეთაურის მოადგილეს, რუსეთის გმირს, გენერალ-მაიორ თემურ აფაქიძეს, რომელიც შარშან ფსკოვთან დაიღუპა საჩვენებელი გამოსვლების დროს. გარნიზონში „სევერომორსკი-3" დგას დივიზია, რომელსაც თემურ აფაქიძე ხელმძღვანელობდა, მისი სახელი უკვე მიენიჭა ქუჩას, საცხოვრებელ სახლზე კი მემორიალური დაფაა გაკრული.

**ირანში** კატასტროფა განიცადა ირანის ავიაკომპანიის კუთვნილმა სამგზავრო თვითმფრინავმა Ту-154-მა. დაიღუპა 105 მგზავრი და ეკიპაჟის 12 წევრი. თვითმფრინავი თეირანიდან ხორემაბადში მიფრინავდა.

**ჰააგაში** დაიწყო იუგოსლავიის ექსპრეზიდენტის სასამართლო პროცესი. იგი სახელმწიფოს მეთაურთაგან პირველია, ვინც საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე წარდგა.

**დიდი ბრიტანეთის** პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი კორუფციული სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა. გაზეთი Sunday Telegraph-ი იტყობინება, რომ ბლერი პირადად დაეხმარა თავისი პარტიის სპონსორს რუმინეთის დიდი ფოლადჩამომსხმელი კორპორაციის შესყიდვაში. ოპოზიციონერები ითხოვენ საპარლამენტო გამოძიების დაწყებას.

**არგენტინის** პრეზიდენტმა ედუარდო დუალდემ გამოაცხადა, ნავთობის ექსპორტიორები 20%-იან გადასახადს გადაიხდიანო. ეს გადაწყვეტილება არგენტინის ბიუჯეტის შესავსებად და არგენტინული პესოს დევალვაციის შემდეგ საბანკო სისტემის მხარდასაჭერად მიიღეს. ვარაუდობენ, რომ გადასახადი 5 წლის განმავლობაში იარსებებს და ქვეყანას წელიწადში 700 მლნ დოლარს შემატებს.

## ვ. პუტინი: „შავი სიების წინააღმდეგნი ვართ"

*ამონარიდი ამერიკული გაზეთის „უოლსტრიტ ჯორნელისათვის" მიცემული ინტერვიუდან*

**— პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ არსებობს „ბოროტების ღერძი" და დაასახელა სამი ქვეყანა — ერაყი, ირანი, ჩრდილოეთი კორეა. ეთანხმებით მის ნათქვამს?**

— თუ გვეეჭვება, რომ ერაყი აწარმოებს მასობრივი განადგურების იარაღს, მაშინ ეს პრობლემა უნდა გადავჭრათ. საამისოდ ბევრი გზა არსებობს. პირველ რიგში, ერაყში უნდა დაბრუნდნენ გაეროს დამკვირვებლები. ამიტომ მე ასე ვიტყოდი — ჩვენ წინააღმდეგნი ვართ „შავი სიების" შედგენისა, მაგრამ შეერთებულ შტატებთან ერთად საფრთხის გასანეიტრალებლად, რა თქმა უნდა, ვიმუშავებთ.

**— რა აზრის ხართ ბალტიის სახელმწიფოების ნატოში შესვლაზე?**

— ჰკითხეთ ნიუ-იორკელებს — უფრო უსაფრთხოდ იგრძნობენ თავს ლატვიის ლიტვის და ესტონეთის ნატოში შესვლით? ვფიქრობ, მათი პასუხი უარყოფითი იქნება. ყოველ შემთხვევაში, ბევრი მათგანი იკითხავს, — სად არის ეს ქვეყნებიო. ჩვენი მოქალაქეები კი ამგვარ კითხვაზე მოგიგებენ — რუსეთისთვის ცუდიაო.

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №22*

## გიბრალტარი დათანხმდება?

ათასობით ადამიანმა გიბრალტარის ქუჩებში მარშით ჩაიარა. ისინი წინააღმდეგნი არიან ლონდონში გამართული მოლაპარაკებისა, რომლის დროს ბრიტანეთისა და ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ჯეკ სტროომ და ხოსეფ პიკემ განიხილეს გიბრალტარისათვის „ესპანეთის ქვეშევრდომობის" მინიჭების საკითხი. ჰაერში ფრიალებდა გაერთიანებული სამეფოსა და გიბრალტარის დროშები, პლაკატებზე ეწერა: „გიბრალტარი ჩვენია". მიტინგზე გამოსულები ამბობდნენ, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან მათ ტერიტორიაზე ესპანეთის სუვერენიტეტის გავრცელებას. გიბრალტარი მხოლოდ მათ ეკუთვნით, ვინც ამ მიწაზე ცხოვრობს. ესპანეთს არა აქვს უფლება, ძალად შეგვიერთოს, ისევე როგორც ინგლისს არ შეუძლია ჩვენზე უარის თქმაო.



სტრომ და პიკემ შეახსენეს გიბრალტარელებს, რომ 1713 წლის ხელშეკრულებით, ლონდონის თანხმობის შემთხვევაში, ეს მიწა შესაძლოა კვლავ ესპანეთისა გახდეს. გადაწყდა, რომ გიბრალტარის საკითხს ზაფხულში ლონდონში გამართული რეფერენდუმი გადაწყვეტს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, თუ იგი ესპანეთს გადაეცა, ეს უკანასკნელი მადლიერების ნიშნად დიდ ბრიტანეთს ევროკავშირში დაუჭერს მხარს.

*ნოვიე იზვესტია №23*

## ჩეხი ჯარისკაცი ატომურ ბომბსაც გაყიდდა...

გასულ კვირას მსოფლიომ შეიტყო ის, რაც კარგა ხანია ცნობილია საერთაშორისო ტერორისტებისათვის: ჩეხი ჯარისკაცები და ოფიცრები გამალებით ვაჭრობენ იარაღით. ჩეხეთის სპეცსამსახურების მოხსენებაში კი, რომელიც პრაღის გაზეთ Lidove noviny-ში დაიბეჭდა, ნათქვამია, რომ პლასტიკური ასაფეთქებელი ნივთიერების Semtex-ის (ჩეხოსლოვაკია თავის დროზე ისევე იყო ცნობილი ამ



ნივთიერებით, როგორც საბჭოთა კავშირი — ავტომატ „კალაშნიკოვით") დიდი მარაგი გაყიდულია. ყველაზე მეტად გახმაურდა ორი ოფიცრის მიერ ნახევარი ცენტნერი Semtex-ის გატაცების მცდელობა. დამნაშავეები დააპატიმრეს. სპეცსამსახურების მონაცემებით, ჯარის საწყობებში ამჟამად 60 ტ ასაფეთქებელი ნივთიერება ინახება, 1991 წლის დამდეგს კი გაცილებით მეტი იყო — 170 ტ. ერთ-ერთი ჩეხი ჟურნალისტი აცხადებს, — რა გასაკვირია, რომ ასაფეთქებელ ნივთიერებათა რაოდენობა განახევრდა, ჩეხი ჯარისკაცი ყველაფერს გაყიდის, ბირთვული იარაღის გარდა, ისიც იმიტომ, რომ ჩეხეთს არა აქვსო.

*შტერნი*

## ქვეყნის ეკონომიკა ციფრებში

# რა შემოსავალი აქვთ ქართულ ოჯახებს

დღეს საკმაოდ რთულია, განსაზღვრო საქართველოს თითოეული ოჯახის შემოსავალი. ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს — დასაქმებულთა დაახლოებით 25%-ს დამატებითი, ე.წ. არაფორმალური სამუშაო აქვს, რაც თავისთავად ართულებს მათი ანაზღაურების აღნუსხვას. ამასთანავე, თვითდასაქმებულთა თითქმის 78% სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს ეწევა და ამისათვის რაიმე სისტემურ ანაზღაურებას არ იღებს. მთლიანობაში, ეკონომიკურად აქტიური საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩართულია, ასე ვთქვათ, არაფორმალურ ეკონომიკაში. სწორედ ამიტომ არის, რომ ოფიციალური მონაცემების მიხედვით, დიდი შეუსაბამობაა საქართველოს მოსახლეობის მთლიან ფულად შემოსავალსა და ხარჯებს შორის. სხვათა შორის, 1995-1996 წლებში ხარჯები შემოსავლებს შეესაბამებოდა, მაგრამ 1997 წლიდან მოყოლებული დღემდე რეგისტრირებული ხარჯები გაცილებით აღემატება ასევე ოფიციალურად რეგისტრირებულ შემოსავლებს.

სტატისტიკოსები დღეს აფიქსირებენ შემოსავლების ორ უკიდურეს ზღვარს — ეს არის, როცა შემოსავალი 0-10 ლარია (?!) და როცა შემოსავალი 1000 ლარს აჭარბებს. მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილის, ანუ 21.6%-ის ყოველთვიური შემოსავალი 200 ლარიდან 400 ლარამდე მერყეობს.

სტატისტიკური გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ყველაზე მაღალ ხელფასს იღებენ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფირმებში დასაქმებული ადამიანები. ყველაზე დაბალ ხელფასს კი — ჯანმრთელობისა და განათლების სისტემის მუშაკები. ამასთანავე იგრძნობა რეალური ხელფასის ზრდის ტენდენცია, თუმცა ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება. სხვათა შორის, სხვაობა მამაკაცთა და ქალთა ხელფასებს შორის თითქმის 50%-ია.

რაც შეეხება ხარჯებს, ბოლო ხუთი წელია, ჩვენი მოსახლეობა ყველაზე მეტ ხარჯს წევს სურსათზე და შემდეგ — ავტომანქანაზე. შემდეგ მოდის: ტანისამოსი, ელექტროენერგია და გათბობა. საკმაოდ სწრაფად იზრდება ჯანმრთელობასა და განათლებაზე მოსახლეობის მიერ გაწეული ხარჯი. თუკი 1997 წელს ერთი ოჯახი ჯანმრთელობისთვის ყოველთვიურად ხარჯავდა 6.0 ლარს, დღეს მას თავისი ჯანმრთელობა უკვე 15.0 ლარი „უჯდება“.

საკმაოდ უცნაურია, რომ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისის, გადაუხდელი ხელფასებისა და პენსიების, მცირე ხელფასების ფონზე, სტატისტიკოსები საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების შესამჩნევ ტენდენციას აფიქსირებენ.

### საქართველოს მოსახლეობის ოჯახების პროცენტული დაყოფა შემოსავლების მიხედვით:






## მკითხველს ბევრი რამ აინტერესებს...

### ნარინჯისფერი თოვლი

**— ჩემმა მოსკოველმა ნათესავმა მომწერა, ჩვენთან ნარინჯისფერი თოვლი მოდის. ეტყობა, ქიმიური მრეწველობის გამონაბოლქვით შეღებილი თოვლი გვაცვივა თავზეო. გთხოვთ, გვიპასუხოთ, მართლა არსებობს თუ არა ბუნებაში ნარინჯისფერი თოვლი და თუ არსებობს, მავნე ხომ არ არის ადამიანისათვის?**

***ჯუმბერ კ.-შვილი, თბილისი***

— ბოლო დროს ნარინჯისფერი თოვლი დროდადრო აოცებს ხოლმე დსთ-ის ქვეყნების მცხოვრებთ. შარშან ასეთი მოვლენა ყაზახეთსა და ყირგიზეთშიც დაფიქსირდა. ხალხი შეშინდა. მეცნიერებმა დაიწყეს ამ მოვლენის შესწავლა. მაგრამ როგორც გაირკვა, იმ პერიოდში მონგოლეთსა და ჩინეთში ქვიშიანი გრიგალები მძვინვარებდა და საკმაოდ შორ მანძილზე გადაჰქონდა ქვიშის ნაწილაკები, რომლებიც ამა თუ იმ გეოგრაფიული არეალის მცენარეულ საფარზე ილექებოდა. ზამთარში კი, როცა ნალექები ხეებს ეფინება, თან ჩააქვს მიწაზე უცნაურად შეფერილი ფიფქები. ასე რომ, ნარინჯისფერი (ან სხვა ფერის) თოვლი ზოგჯერ მართლაც შეიძლება შეგხვდეთ სხვადასხვა გეოგრაფიულ წერტილში, მაგრამ იგი ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში არ არის.

### საიდან მოდის ათენგენობა?

**— იქნებ მიპასუხოთ, საიდან მოდის ათენგენობის დღესასწაული ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში. რომელი წმინდანის სახელს უკავშირდება და ზუსტად როდის აღინიშნება?**

***გიორგი პაპა, „კვირის პალიტრის“ მკითხველი***

— ათენგენობა ბერძენი წმინდანის — წამებული ათენეგენე სებასტიელის მოსახსენებელი დღესასწაულია, რომელიც დაუწესებიათ  საუკუნის დასასრულსა და V საუკუნის დასაწყისში. ათენგენობა მოძრავი დღესასწაული ყოფილა და აღდგომის 98-ე დღეს აღინიშნებოდა. მას მრავალ ქრისტიანულ სახელმწიფოში დღესასწაულობდნენ და მათ შორის, საქართველოსა და სომხეთშიც.

დროთა განმავლობაში ათენგენობის დღესასწაული მიივიწყეს და იგი მხოლოდ საქართველოს მთაში შემორჩა. თუშეთში მას ათნიგენობას უწოდებენ, ხევსურეთში და ფშავში — ათენგენობას. მთაში ათენგენობის დღესასწაული უფრო წარმართული ხასიათისაა, ვიდრე ქრისტიანული. ამ დღესასწაულს ივნისის მეორე ნახევრიდან იწყებენ, ათენგენობას მთის მოსახლეობა დღესაც უძველესი რიტუალების შესრულებით და ხატში საკლავის შეწირვით აღნიშნავს.

***კ-კეკელიძის ლიტერატურული ეტიუდების მიხედვით „კვირის პალიტრა“***

როდესაც საუბარია საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობის მოპოვების შესახებ, შეიძლება გავიხსენოთ 1981-85 წლები, როცა ჯერ კიდევ საკავშირო დაქვემდებარების ტრესტი „საქნავთობი“ წელიწადში 3.300.000 ტონა ნავთობს მოიპოვებდა. ბოლო რამდენიმე წელი კი საქართველოში ნავთობის მოპოვება 70 ათასი ტონიდან 110 ათას ტონამდე მერყეობს. თუმცა არსებობს ოპტიმისტური პროგნოზიც, რომ ახლო მომავალში საქართველოში მოპოვებული ნავთობი ქვეყნის მოთხოვნილებას ნავთობპროდუქტებზე აბსოლუტურად დააკმაყოფილებს. დღევანდელი გათვლებით საქართველო ყოველწლიურად მოიხმარს დაახლოებით 3 მილიონ ტონა ნავთობს, ბენზინს, დიზელს, მაზუთს...



# „ასეთი რამ არაბეთის ქვეყნებშიც არ ხდება“

## ნავთობი საქართველოშიც მოიპოვება

საინტერესოა, რა ხდება დღეს ქართული ნავთობის მოპოვების ბაზარზე?

დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს მთელი ტერიტორია დღეს დაყოფილია 12 სანავთობო-სალიცენზიო ბლოკად ანუ ეს ის ტერიტორიებია, სადაც ნავთობისა და გაზის რესურსებია დაფიქსირებული. მარტის თვის ბოლოს „ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს“ მიერ დაგეგმილი საერთაშორისო ტენდერი, ფაქტობრივად, დაასრულებს საქართველოს ნავთობით მდიდარი ტერიტორიების გადანაწილების პროცესს. სააგენტო ტენდერზე გამოიტანს სახელმწიფოს ანუ „საქნავთობის“ საკუთრებაში დარჩენილ 5 სანავთობო-სალიცენზიო ბლოკს. კომპანიებს ნავთობის მოძიებისა და მოპოვების უფლება ანუ ლიცენზია დაახლოებით 40 ათასი დოლარი უჯდებათ. ამ თანხის მეშვეობით თითოეული კომპანია მთელი 25 წლის მანძილზე ლიცენზიის შესაბამისად, გარკვეულ ტერიტორიაზე არსებული ნავთობის მფლობელი ხდება. დღეს ქართული ნავთობის მოპოვების ბაზარი ძირითადად ამერიკულ კომპანიებს ეკუთვნის. პირველი, ვინც საქართველოში შემოვიდა, სწორედ ამერიკული კომპანია „ჯეი-ქეი-ექს ოილი“ იყო. კომპანია „ფრონტერაც“ ამერიკული წარმოშობისაა. სულ ახლახან კი კიდევ ერთი ამერიკული კომპანია „ანადარკო“ გამოჩნდა. ბაზარზე საკმაოდ სოლიდური ადგილი უკავია კანადურ კომპანია „კანარგოს“, რომელიც ასევე აქტიურად ეწევა ბენზინის იმპორტს საქართველოში. ქართული ნავთობის მოპოვების ბაზარზე უკვე რამდენიმე წელია, რაც მუშაობს შვეიცარიული კომპანია „ემპელი“ და ინგლისური „რამკო“. თუმცა, როცა საუბარია უშუალოდ ქართული ნავთობის შესახებ, ფიგურირებს დასახელებები — „იორის ველი“, „ნორიო“, „კახეთის ოილი“, „ნინოწმინდა“... ამ ერთობლივ საწარმოებს უცხოური კომპანიები ლიცენზიების მიღების შემდეგ „საქნავთობთან“ ერთად ქმნიან. დღეს ასეთი 9 საწარმოა. პარტნიორებს შორის ფორმდება „წილობრივი განაწილების ხელშეკრულება“, რომლითაც ნაწილდება ის ნავთობი, რომელსაც კომპანია 25 წლის მანძილზე მოიპოვებს.

ამოღებული ნავთობის უდიდესი ნაწილი ინვესტორს ეკუთვნის მანამ, სანამ ის არ აინაზღაურებს ჩადებულ ინვესტიციებს, მხოლოდ ამის შემდეგ იზრდება სახელმწიფოს წილი ამოღებულ ნავთობში.

**ზურაბ ქუთელია** — გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტის თავმჯდომარე:

— იცით, ძალიან ძნელია გააკონტროლო რეალურად ჩადებული ინვესტიციების რაოდენობა. კომპანიას შეუძლია მთელი 25 წლის მანძილზე თქვას და დაამტკიცოს კიდეც, რომ მას ინვესტიციები, უბრალოდ, ჯერ არ ამოუღია.

**გია ითონიშვილი** — ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსი:

— ლიცენზიის მფლობელი კომპანია, ფაქტობრივად, ორმაგი კონტროლის ქვეშ არის. ჩვენ შევქმენით სპეციალური ჯგუფი, რომელიც აკონტროლებს გარემოს დაცვას, უსაფრთხოებას და ნავთობის მოპოვების უზრუნველყოფას. რაც შეეხება კომერციულ კონტროლს, ამის უფლება მთლიანად „საქნავთობმა“ აიღო თავის თავზე. მინდა გითხრათ, რომ სააგენტოს აქვს აბსოლუტური უფლება, კომპანიას ლიცენზია ჩამოართვას, თუკი ის ნაკისრ ვალდებულებას არ შეასრულებს.

**ალექსანდრე თვალჭრელიძე** — ეკონომისტ-ექსპერტი:

— რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, არ ხდება საუდის არაბეთის ქვეყნებშიც კი. ყველა ნორმალურ ქვეყანაში, სადაც კი ინვესტორი შედის და იღებს ნავთობისა თუ გაზის ძიებისა და მოპოვების ლიცენზიას, იხდის ბონუსს. ბონუსი — ეს არის ერთი მხრივ, საფასური ლიცენზიაზე, ხოლო მეორე მხრივ, ამ საფასურად სახელმწიფოს გადაეცემა აქციები. ნუ დაგვავიწყდება, რომ ნავთობმომპოვებელი კომპანიების მოგების 90% აქციებზე და მათი კურსის ცვალებადობაზე მოდის, ჩვენ კი რაღაც პატარა კომერციული ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტებზე ვსაუბრობთ. თქვენ რა, მართლა ხომ არ გგონიათ, რომ უცხოურ კომპანიებს ნამდვილად აინტერესებთ კვლევების ჩატარება ან ნავთობის მოპოვება? ნურას უკაცრავად. მათ ურჩევნიათ, ბირჟაზე ნავთობის რესურსზე იყოს არასწორი ინფორმაცია, ხოლო ჭაბურღილებმა ნავთობი არ ამოიღონ. განა ასე არ მოგვექცა „ფრონტერა“? ჭაბურღილი ხომ გაბურღა, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტსაც ხომ გააჭრევინა წითელი ლენტი. მას შემდეგ ორი წელი გავიდა, მაგრამ სად არის დაპირებული ნახევარი მილიარდი ტონა ნავთობი? არც იქნება. ზუსტად მაშინ „ფრონტერა“ მთელი მსოფლიოს გასაგონად რომ გაიძახოდა საქართველოში ნახევარ მილიარდ ტონა ნავთობს ამოვიღებო, მისი აქციების ფასმა მკვეთრად აიწია და ორ დღეში ჯიბეში მილიონები ჩაიდო, ნავთობის მოპოვება და მით უმეტეს გაყიდვა არც გახსენებია. ასევე მოიქცევა „ანადარკოც“. მისთვის შავი ზღვის აკვატორიაში ერთი ჭაბურღილის გაბურღვა დიდ პრობლემას არ წარმოადგენს“.

ქართული ნავთობის მოპოვების საქმეში შავი ზღვის აკვატორიას ცენტრალური ადგილი უკავია. აქ, დაუზუსტებელი მონაცემებით, ნავთობის ყველაზე დიდი რესურსია — დაახლოებით 2 მილიარდი ტონა. ამ სიმდიდრით ჯერჯერობით მხოლოდ ამერიკულმა კომპანიამ „ჯეი-ქეი-ექს ოილმა“ „ისარგებლა“. კომპანია შავი ზღვის აკვატორიაში ნავთობის ძიებისა და მოპოვების ლიცენზიას ჯერ კიდევ 1996 წელს დაეპატრონა. სხვათა შორის, სეისმური ზონდირება ანუ ძიება-გამოკვლევა გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე ჭაბურღილის გაბურღვა (ზღვაზე ერთი ჭაბურღილის გასაბურღად 25-30 მილიონი დოლარია საჭირო).

როგორც ალექსანდრე თვალჭრელიძე აცხადებს, შავი ზღვის აკვატორიაში არავითარი გამოკვლევები არ ჩატარებულა და „ჯეი-ქეი-ექს ოილს“ ლიცენზია წლების მანძილზე „დაკონსერვებული“ ჰქონდა. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ აღნიშნულმა კომპანიამ, რა თქმა უნდა, „საქნავთობთან“ შეთანხმებით, ლიცენზია ამერიკულ კომპანია „ანადარკოს“ გადაულოცა, ამ უკანასკნელს მოუხდა საკმაოდ სოლიდური თანხა გადაეხადა საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელ სახელმწიფო სააგენტოშიც. ასე გახდა „ანადარკო“ შავი ზღვის აკვატორიაში სამი სალიცენზიო ბლოკის (სულ არის ხუთი) მფლობელი. თავად „საქნავთობი“, რომელიც 1996 წელს საქართველოს სათბობენერგეტიკის სამინისტროს მიერ დაფუძნდა, როგორც სახაზინო საწარმო, განზე ყოფნას სულაც არ აპირებს. დღეს საქართველოში მოპოვებული ნავთობის 27% „საქნავთობის“ წილად მოდის.

ასე რომ, დღეისათვის საქართველოს ნავთობის მოპოვების განაწილების პროცესი სრულდება. თამაშის წესებიც უკვე განსაზღვრულია (მას უკვე ველარ შეცვლი) და ახლა ყველაფერი იმ მოთამაშეთა სინდის-ნამუსზეა დამოკიდებული, რომელთა ხელშიც აღმოჩნდა ხვალინდელი ქართული ნავთობის ბედი.

***ლელა წითლანაძე***

ნდობის ტელეფონი
822-009044
დღე-ღამის განმავლობაში
(18 წლიდან)

ბეჭდები, შტამპები, ფლექსოგრაფიული ფორმა, სავიზიტო ბარათები, წებოვანი ეტიკეტები
გამსახურდიას 17ა (შესასვლელი საბურთალოს ქუჩიდან)
☎ 23 26 25; 38 34 17

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 16 თებერვლიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,2200 |
| გერმანული მარკა | 0,9898 |
| ინგლ. ფუნტი | 3,1734 |
| ევრო | 1,9358 |
| რუსული რუბლი | 0,0719 |
| თურქული ლირა (10.000) | 0,0164 |

საუკეთესო ასლგადამღები აპარატები
გარანტიით, ფასდაკლებით
შესაძლებელია: განვადება ლიზინგი (იჯარა)

საუკეთესო ქსეროასლები
შავ-თეთრი
2 თეთრიდან 5 თეთრამდე
ტირაჟის და ქაღალდის მიხედვით
ფერადი — 1 ლარი
ფერადი და შავ-თეთრი ქსეროასლების ბეჭდვა კომპიუტერიდან

თბილისი, აღმაშენებლის 99/1, მოზარდ მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შეროზიას ქუჩის მხრიდან. ტ: 96 32 89

„ელიზაჩთოჯონ“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 34-49-40; 61-32-37 (საღამოს); 899-51-51-09; 899-902-091

შპს „გეოკორი“ აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02



## თარაზულად:

5

„1001 ზღაპრის„ მთავარი გმირი

7

ვაჭარი (ფრანგულად)

10

კავკასიის ქედზე იყო ... მიჯაჭვული, ყვავ-ყორანი ეხვეოდა, დაფლეთილი ჰქონდა გული

11


რადიოტალღების მიმღები მოწყობილობა

12


ნუგბარი ქოქოსისაგან

16

ფარულად გადატანილი საქონელი

18

მცენარეთა სამყარო

19

მადამ პომპადურის საყვარელი ღვინო

20

მონათა აჯანყების მეთაური

21

მწვანილი

25

რუსი მომღერალი

26

დიონისეს დღესასწაული

27

„სასწაულმოქმედი“

30

გრიმალდების სამფლობელო

33

სახელმწიფო ჩრდილოეთ აფრიკაში

34

„დიროლის“ ალტერნატივა

35

პერსონაჟი, რომელმაც პოპულარული გახადა მანამდე უცნობი მსახიობი კრაჩკოვსკაია

36

შემსწავლელი მეცნიერი

6

საფრენი აპარატი

8


დუმილი, მდუმარება

9

სავალი ნაწილი ფეხით მოსიარულეთათვის

13

საფეიქრო მრეწველობა

14
კონფორმიზმის მომხრე, მიმდევარი

15

ორგანული ნაერთი, საწვავი აირი

17

მაღალფეხიანი სანათი მოწყობილობა

22

სიჩქარის საზომი ხელსაწყო

23

მაღალი ხარისხის ნაყინი

24

ქალთა ექიმი

28

სასპორტო იარაღი

29

(სტილი)

31

ნახევრად ძვირფასი ქვა, რომლითაც განთქმულია ბალტიისპირეთი

32

იოგთა სავარჯიშო პოზა

## შვეულად:

1

ქართველი მომღერალი, მოსკოვის დიდი თეატრის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი

2

პირველი ადამიანი დედამიწაზე

3
მეოთხე სახარების ავტორი

4

ამერიკელი კინომსახიობი

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №6 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. სათამაშო; 6. კოქტეილი; 9. ჟღრიალი; 10. ყინული; 11. სტატუა; 15. ჰერალდიკა; 17. კრონა; 18. კალია; 19. გოგირდი; 20. კოდექსი; 24. ბაფთა; 25. ბლითი; 26. ნიკოლსონი; 29. კიტელი; 32. ბალეტი; 33. დარვინი; 34. ოდისევსი; 35. პლასტიკა.

**შვეულად:** 1. მარილი; 2. აშული; 3. სოული; 4. ბერეტი; 5. სნაიპერი; 7. ინტუიცია; 8. ჰიმალაი; 12. დეკორაცია; 13. აკორდეონი; 14. ინდოეთი; 16. კაფსული; 21. ბალღინჯო; 22. მილოცვა; 23. ათლეტიკა; 27. კლიფსი; 28. კაპოტე; 30. საქსი; 31. ხნული.

# მითი რეზო ლაღიძის შესახებ

## ორ საათში შექმნილი „თბილისოსთვის“ მთელი ცხოვრება ემზადებოდა

ვერანაირ ჩარჩოებში ვერ ეტეოდა. მისთვის უცხო იყო ყოველგვარი დღის რეჟიმი. წინასწარ არასდროს იცოდა, როდის ეწვეოდა მუზა. შეეძლო, ერთ ღამეში შეექმნა შედევრი. დანარჩენ დროს კი მანქანის საჭესთან ატარებდა, ალმა-დალმა დაქროდა, ყველაზე დიდ სიამოვნებას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობა ანიჭებდა — ყოველი კუთხე-კუნჭული ფეხით ჰქონდა დავლილი. უცხოეთი არ იზიდავდა. პატარა ბავშვივით უხაროდა უბრალო ადამიანებისაგან აღიარება. მუდამ აინტერესებდა, რამდენად იყო მისი მუსიკა ხალხში გასული. დროდადრო კი კოლეგებს საკუთარ ნაწარმოებებს წარუდგენდა, თავისი ნიჭით აღაფრთოვანებდა... ალბათ ამიტომ მძვინვარებდა დიდხანს მოსკოვში კომპოზიტორთა კავშირის პლენუმზე ერთ-ერთი გამომსვლელი რეზო ლაღიძის „საჭიდაოს“ მოსმენის შემდეგ: “Он преступник, настоящий преступник! Его надо запереть в комнату, пусть сидит и пишет музыку!“ (აქაოდა, დროს სხვა რამეზე ნუ ხარჯავსო). დიმიტრი შოსტაკოვიჩი კი „გამოქომაგებია“ ბატონ რეზოს, — ყველა კომპოზიტორს ვურჩევდი თევზაობით გატაცებას, თუკი ბადეში „საჭიდაოს“ მსგავსი რამ გაეხვევაო! შთაბეჭდილებებით გაბრუებული როდიონ შჩედრინი კი წერდა: „ამ მზიურმა, ტემპერამენტიანმა, საოცრად შთამბეჭდავმა ნაწარმოებმა გაიტაცა მთელი ორკესტრი. ეს გატაცება გადაედო მსმენელსაც, რომელიც ერთბაშად შთანთქა ცეცხლოვანმა რიტმებმა, ელვარე მელოდიებმა, უჩვეულო, ჰარმონიულმა სვლებმა... ხანგრძლივი ოვაციების შემდეგ დარბაზიდან გამოემართა „საჭიდაოს“ ავტორი, მკვრივი აღნაგობის კაცი არწივისებური პროფილით და ღია მწვანე თვალებით. მისი გარეგნობა საოცრად ერწყმოდა რამდენიმე წუთის წინ აჟღერებულ მუსიკას...“

რას წარმოიდგენდა მაშინ როდიონ შჩედრინი, რომ სულ ცოტა ხანში რეზო ლაღიძე მის უახლოეს მეგობრად იქცეოდა და ერთ მშვენიერ დღეს მისთვის ჩვეული ერთ-ერთი პატარა ოდისეის თანამონაწილეც გახდებოდა არაჩვეულებრივ მაია პლისეცკაიასთან ერთად: „რეზო ლაღიძე უსაზღვროდ იყო გატაცებული ნადირობით და თევზაობით. ამ გატაცებას მხოლოდ რეზოს ცხოვრების მთავარი ვნება — მუსიკა ეცილებოდა. ერთხელ რეზომ მაია პლისეცკაია და მე სათევზაოდ გაგვიყოლა, მერე კი თავისი ნაცრისფერი



მისგან მხოლოდ დადებითი იმპულსები მოდიოდა...

„ვოლგა“ მთებისკენ გააქროლა. დიდხანს მივქროდით სოფელ-სოფელ. მანქანა შეაჩერა ერთ ჩვეულებრივ სოფლურ სახლთან, სადაც სოხუმელი მებადურის ნათესავები ეგულებოდა. სიხარულითა და აღფრთოვანებით მიიღო ამ ოჯახმა მოულოდნელი სტუმარი. მსხლის დიდი ხის ქვეშ სუფრა გაიშალა. საოცარი სიზუსტით მახსოვს რეზოსთან გატარებული ამ განუმეორებელი ჯადოსნური დღის ყოველი დეტალი. მის მიერ ნამღერი ხალხური სიმღერები, მის მიერ იმიტირებული ქართული დასარტყმელი საკრავების ჟღერადობა, მახვილგონივრული იუმორითა და დიდი ნიჭიერებით წარმოთქმული სადღეგრძელოები. იშვიათად შევხვედრივარ ადამიანს, რომელიც ასე ამაყობდეს თავისი მშობლიური კულტურით“.

**ლელა ლაღიძე:** — ნადირობის და თევზაობის სეზონი რომ მოვიდოდა, იწყებოდა მგზავრობისთვის მზადება. ნანადირევს თითქმის არც ეკარებოდა — თვითონ პროცესი მოსწონდა, თავგადასავალი. ნაბიჯ-ნაბიჯ ჰქონდა მოვლილი საქართველო. ენატრებოდა ტყე, მთა, წყალი. სხვანაირად ცხოვრება არ შეეძლო. ქალაქგარეთ გასულს ხშირად თოფის ნაცვლად, ფანქარი და სანოტო რვეული აუღია ხელში... მხოლოდ გარეულ იხვს და მწყერს თუ მოინადირებდა. არავითარ შემთხვევაში არ ესროდა შველს, დათვს. უფრო თევზაობა ხიბლავდა, ბადის სროლა. უამრავი ადამიანისთვის გაუზიარებია საკუთარი გატაცება. დიდი სიამოვნებით იხსენებდა, როგორ წაუყვანია სათევზაოდ ანდრია ბალანჩივაძე, სულხან ცინცაძე... უხაროდა, ვინმეს ბადის სროლას რომ ასწავლიდა...



გვერდით ჰყავდა თბილისში ერთ-ერთი უმშვენიერესი ქალბატონი, თინა...

იშვიათად თუ უხდება კაცს ასე საკუთარი გვარი. სილაღე ალბათ გენეტიკურად სისხლში ჰქონდა გამჯდარი. ყველა, ვინც მას იცნობდა, ერთხმად აღნიშნავს, რომ იყო ძალიან კომუნიკაბელური, უშუალობით აბამდა ურთიერთობას ადამიანებთან — ქართველი იქნებოდა თუ უცხოელი. არაჩვეულებრივად ლამაზად ფიქრობდა და საუბრობდა. მისი აზრები პატარა ჩანახატებს თუ ნოველებს ჰგვანან. ზოგჯერ ისეთ შედარებას მოიყვანდა, გაგაოცებდათ. ერთხელ ასეთი რამ უთქვამს: „მოდერნისტულ რიტმებში ხანდახან არის ხოლმე რაღაც, რაც ესთეტიკის მიღმა, პირდაპირ ფიზიოლოგიაზე მოქმედებს. მე მოვიყვანდი ასეთ შედარებას, რომელსაც ალბათ წმინდა ქართულად ჩათვლიან. ავტომატურად დამპყრობელი მუსიკა იცით როგორ მოქმედებს? როგორც მაგარი სპირტიანი სასმელი, მაგალითად, ჭაჭა. მაგრამ ღვინოს საკუთარი ემოციური მნიშვნელობა აქვს: ცქრიალა — სიხარულის გამომხატველია, მშრალი ღვინის სხვადასხვა სახეობა — სევდისა და ნაღვლის, არაყი — სასოწარკვეთილების.

რისგან კეთდება ღვინო? გრადუსებისგან და მზისგან და ყველა, ვინც გასინჯავს მას, ირჩევს, რაც უნდა: ზოგი — გრადუსებს, ზოგიც მზის სინათლეს.

მაპატიეთ, რომ ხელოვნებაზე მსგავს შედარებებს ვაკეთებ, მაგრამ მაიაკოვსკიც (რომელიც ჩემი თანასოფლელია და ორივენი მთის მდინარის — ხანისწყლის ნაპირებზე გავიზარდეთ) ხომ ამბობდა „Вино и поэзия. И если ее хоть раз по настоящему испили рты, ее не заменит никакое питье, никакие пива, никакие спирты“.

აი, ასე ვფიქრობ მუსიკაზე და ამიტომაც ვწერ“.

რეზო ლაღიძის შემოქმედებას სიყვარული წარმართავდა, მისი სიმბოლო და მუზა კი მეუღლე, ქალბატონი თინათინ შატბერაშვილი გახლდათ. სულ პატარა გაუცნია ბატონ რეზოს მომავალი მეუღლე და დიდხანს, ძალიან დიდხანს, ჩუმად და მოკრძალებით უტარებია გულით უზარმაზარი გრძნობა.

„თოთხმეტი წლის ვიყავი, როცა რეზომ თავისი პირველი ნაწარმოები მომიძღვნა — „მე შენ გიმღერ“. იგი არასდროს შესრულებულა და სათუთად ვინახავ არქივში... 1953 წელს ჩემს მეგობრებთან ერთად მიმიპატიჟა სიმფონიური პოემის „საჭიდაოს“ პრემიერაზე, რომელსაც შალვა აზმაიფარაშვილი დირიჟორობდა. წარმატება დიდი იყო... არ დაგიმალავთ, მაშინ ვიგრძენი, რომ ამ დღემ გააცისკროვნა ჩემი სულიერი სამყარო“ — იხსენებდა შემდეგ ქალბატონი თინათინი.

**ლელა ლაღიძე:** — ამაყობდა დიდი ოჯახით. უხაროდა, რომ მის სახლში ბევრი ადამიანი ცხოვრობდა, რომ არც ერთ საღამოს არ შეიძლებოდა უსტუმროდ ჩაევლო. იყო ერთი ჟივილხივილი. ყოველდღე დიდი სუფრა იშლებოდა. მამაც დიდი სიამოვნებით მასპინძლობდა ყველას... ხალხმრავლობა ხელს არ უშლიდა. პირიქით, ბედნიერი და ემოციური იყო ამ დროს... უმეგობროდ წუთითაც ვერ ძლებდა...

**მანანა ახმეტელი:** — ჩვენი მეგობრობა მაშინ დაიწყო, როცა მას 50 წელი შეუსრულდა. მე კი — ახალგაზრდა მუსიკათმცოდნემ ამ თარიღის აღსანიშნავად დავწერე წერილი. იმავე ზაფხულს ერთად აღმოვჩნდით სოხუმში, კომპოზიტორთა სახლში. რეზო ძალიან ემოციურად განეწყო ჩემ მიმართ და იქიდან მოყოლებული მუდამ ვგრძნობდი მის მზრუნველობას. ჩემი დიდი გულშემატკივარი იყო... არაჩვეულებრივად მდიდარი სულიერი სამყარო ჰქონდა. მისგან მხოლოდ დადებითი იმპულსები მოდიოდა... ჩემს ბიჭს ძალიან უყვარდა ნამცხვარი. რეზო ყოველ საღამოს დამირეკავდა, გამომივლიდა, ჩაგვსვამდა მანქანაში მე და გიორგის, მიგვიყვანდა საკონდიტრო „ფრანციასთან“, დაიტვირთებოდა ნამცხვრებით და თავისთან სახლში წაგვიყვანდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი გიორგი ლაღიძეების ოჯახში გაიზარდა და უდიდესი სითბო და მზრუნველობა ახსოვს მათგან. მეც ასეთი სიყვარული ჩემი მშობლების შემდეგ არავისგან მიგრძნია. რეზოს ბუნებამ თავი იჩინა მის შემოქმედებაში — იშვიათად შემხვედრია ასეთი იდენტურობა პიროვნულ და შემოქმედებით სამყაროთა შორის. შეიძლება არ გცნობოდა რეზო და მისი მუსიკის საშუალებით წარმოგედგინა მისი პორტრეტი... როცა ოპერაზე მუშაობდა, ნაწყვეტებს მასმენინებდა. შესრულებისას ჩემ წინ საოცარი გარდასახვა ხდებოდა — ეცვლებოდა სახე, თვალები... დიდხანს და მღელვარედ მუშაობდა ამ ოპერაზე. მე ამ შთაგონების წუთების მომსწრე ვარ. ჩემ თვალწინ ხდებოდა ყველაფერი — ოპერა დაიდგა, საქართველოს ფარგლებს გარეთ გავიდა, საოცარი აღიარება ხვდა წილად... არაჩვეულებრივი მამა იყო, არაჩვეულებრივი ბაბუა და, რა თქმა უნდა, არაჩვეულებრივი მეუღლე. გვერდით ჰყავდა თბილისში ერთ-ერთი უმშვენიერესი ქალბატონი თინა, რომელიც ძალიან უყვარდა... მისი ბოლო დღეებიც მახსოვს... რეზო დიდხანს ავადმყოფობდა. სიკვდილის წინა საღამოს ქალბატონ სესილია თაყაიშვილთან ერთად ვესტუმრე. ძალიან გაეხარდა ჩვენი მისვლა, დიდხანს ვსაუბრობდით... ეს რეზოს ბოლო საღამო აღმოჩნდა. გარდაიცვალა სამოცი წლის ასაკში... ბევრი რამის გაკეთება ვერ მოასწრო, უამრავი გეგმა დარჩა განუხორციელებელი... ჩემი და ქალბატონ თინას მეგობრობა კი გრძელდებოდა...

ოპერა „ლელა“ მისი შემოქმედების გვირგვინია. სამწუხაროდ, ეს ერთადერთი ოპერა მისი უკანასკნელი ნამუშევართაგანი აღმოჩნდა.

**ლელა ლაღიძე:** — ბავშვობაში, რამეს რომ დავაშავებდი, ხშირად მეუბნებოდა — ნუ ცელქობ, თორემ ჩემს ოპერას სახელს შევუცვლიო... ერთხელ კი ინტერვიუში ასეთი რამ თქვა — ლელა ოპერის სეხნიაა, შეიძლება ოპერაა ლელას სეხნია, არ ვიცი...

ბერდოს პარტია ბატონმა რეზომ თავის უახლოეს მეგობარს ზურაბ ანჯაფარიძეს მიანდო. აღფრთოვანებული ბატონი ზურაბი შემდეგ წერდა: „ბედნიერი ვარ, რომ მის გვერდით მიწევდა ცხოვრება და პირადის გარდა შემოქმედებითი მეგობრობა გვაკავშირებდა. თავის შესანიშნავ ოპერა „ლელაში“ ჩემთვის დაწერა, მე მომანდო ბერდოს პარტია, რომელიც ძალიან მიყვარს. ჩემთვის დაწერილი ეს დიდებული მუსიკა მთელი ცხოვრება საამაყოდ გამყვება. დადიოდა რეპეტიციებზე, გვეხმარებოდა მუშაობაში. ერთხელ ვკითხე, როგორ გსურს ცნობილი არიის „ვოი საბრალოს“ შესრულება-მეთქი. ასე მიპასუხა: მყავს ერთი მეგობარი, სიმღერაც იცის და ის რომ შეასრულებდა, ისე მინდაო. ამ მეგობრად მე დამასახელა. წარმოიდგინეთ, რამოდენა სტიმულია ეს დიდი ნდობა შემსრულებლისთვის კომპოზიტორისაგან, რომელსაც ყოველი ტაქტი შესისხლხორცებული აქვს...“

ქართული კინოხელოვნება წარმოუდგენელია რეზო ლაღიძის მუსიკის გარეშე. უამრავ ქართულ ფილმს აკუთილშობილებს მისი მელოდიები. ხშირად სწორედ ამ მელოდიებს გამოუწვევია მაყურებლის ის რეაქცია, რასაც რეჟისორი ესწრაფვოდა. არ ვიცი, ეს როდის იყო... მახსოვს, ძალიან პატარა ვიყავი, როცა პირველად ვნახე მიხეილ ჭიაურელის ფილმი „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. მე ყოველთვის მგონია, რომ სწორედ მაშინ შემოვიდა ჩემში მარადიულობის განცდა... ეს ყველაფერი მოხდა ბატონი რეზოს არაჩვეულებრივი მუსიკის წყალობით — ალბათ ყველას ახსოვს ფილმის ფინალური აკორდები, რომლებიც მართლაც მარადიულობის ლაიტმოტივად აღიქმება... თვითონ კი ყველაზე მეტად „საბუდარელი ჭაბუკისთვის“ შექმნილი მუსიკა მოსწონდა თურმე: „ეს სიმღერა 1955 თუ 1957 წელსაა დაწერილი, მაგრამ არ მბეზრდება. რამდენიც არ უნდა ვუსმინო, ვისი შესრულებითაც არ უნდა გავიგონო. ზოგჯერ ზუსტად არ მღერიან ხოლმე, და მაინც ძალიან მომწონს...“



იშვიათად თუ უხდება კაცს ასე საკუთარი გვარი...

საერთოდ, რეზო ლაღიძე ვოკალური მუსიკის კომპოზიტორად ითვლება, მაგრამ რასაც ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერი გამოსდიოდა. „საჭიდაო“ ბრწყინვალე საორკესტრო პარტიტურაა. „რონდო-ტოკატა“ კი უნიკალური ნაწარმოები აღმოჩნდა, ქართული საფორტეპიანო მუსიკის მარგალიტი...

„ჩემო კარგო ქვეყანავ“, „ელეგია“, „მელის ვარძია“, „ჰიმნი დედაენას“ — სამშობლოს როგორი სიყვარული, ისტორიის როგორი ცოდნა, რამხელა იმედი გამოსჭვივის თითოეული მუსიკალური ფრაზიდან.

„ღამენათევი რევაზ ლაღიძე ანთებული თვალებით ჰყვებოდა: ბევრი ვიწვალე, მაგრამ მგონი მიზანს მივაღწიე, ბავშვთა სიმებივით წკრიალა ხმები ჟღერენ: „აი ია, აი თითი“. შემდეგ გაისმის სრულიად საქართველოს ვაჟკაცური მოძახილი — გაფრთხილება „ოი, დედაენა“. აქ უნდა იგრძნობოდეს მუქარა და სიძლიერე, რომ ავის მდომთ არ დავუთმობთ დედაენას“ — იხსენებს ქალბატონი ნათელა პაიკიძე — რევაზ ლაღიძის მუზეუმის გამგე...

„ნეტავ სად არის კიდევ ცა...“ რა ენაზე არ აჟღერებულა ამ ულამაზესი სიმღერის სტრიქონები, ვის არ შეუსრულებია, რა ეპითეტებით არ შეუმკიათ... საოცარია, შეიქმნა შედევრი, მთელმა მსოფლიომ შეიყვარა სიმღერა, ბატონი რეზო კი ერთ მშვენიერ დღეს დაწერს:

„აღიარება? — რა უნდა ჩაითვალოს აღიარებად? სიმღერა თბილისზე? მაგრამ მე ხომ მას მხოლოდ ორი საათის განმავლობაში ვწერდი, რა, მთელი დანარჩენი დრო არ ითვლება? არ არის სწორი. ალბათ, უფრო მართალი ის იქნება, რომ ვთქვა — ვქმნიდი მთელი ცხოვრება და ორი საათის განმავლობაში მხოლოდ ვიწერდი...“

საბედნიეროდ, არსებობს მარადიული ფასეულობები, რომელთაც ყავლი არასდროს გასდით. არ შეიძლება მოუსმინო რეზო ლაღიძის მუსიკას და გულგრილი დარჩე. მითი რეზო ლაღიძის შესახებ მუდამ იარსებებს მის უსაყვარლეს ქალაქში, რამდენი თაობაც არ უნდა წავიდეს, რამდენი თაობაც არ უნდა მოვიდეს...

*ეკა მახარაშვილი*


ღია კარის დღე ამერიკულ აკადემიაში

20 თებერვალს 17 საათზე ჩატარდება ღია კარის დღე 2002-2003 სასწავლო წელს ამერიკული აკადემიის მე-9 კლასში სწავლის გაგრძელების მსურველებისა და მათი მშობლებისათვის. მის: ჭავჭავაძის გამზ. 37ა (ახალი ეკლესიის უკან). ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელ.: 22 74 41; 22 78 89



გეპატიჟებათ გუდაურში სასტუმრო „ოზონი“

ორჯერადი კვება, მანქანით მომსახურება საბაგირომდე. ბარი და საუნა თქვენს განკარგულებაშია.

☎ 899 54 54 87


CMYK

## მილოცვა



**ბაქარ ხაჩიძეს!**

გილოცავთ 6 წლის იუბილეს. გაიზარდე საქართველოს სახახელო შვილი. იყავი ჯანმრთელი და ბედნიერი მარადჟამს. გვარავდეს ღმერთი.

*შენი დედ-მამა და და-ძმა – რუსუდან და ბექა ხაჩიძეები*

ხაშურის საქრესის უფროსს, ქალბატონ **ლია კიკაძეს!**

გილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას! ნატო კიკაძეს და თენგო ლომიძეს ვუსურვებთ ოჯახის სიმრავლეს და უღევ სიხარულს.

*საქრესის თანამშრომლები*

**ავთანდილ არაბულს!**

ავთო, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. იყავი ბედნიერი, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

*დიდი სიყვარულით ამირანი, ნაზი, ნათია*

ჩემს საყვარელ **მაიკო და თამთა კალანდაძეებს** ვულოცავ ოქროს დაბადების დღეს – 18 წლის შესრულებას. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სურვილების შესრულებას, დიდ სიყვარულს და უღევ სიხარულს ამქვეყნად.

*ლალი, ხინო და ნიკა*

## ბინები

[illegible] მოპირკეთებული, 3 ოთახიანი ბინა, 2 სართულიანი სახლის I სართულზე, ლოჯიით, ტელეფონით, ხარდაჯით, [illegible] ფასი $ 16.000. მის: ნუცუბიძის რ-ნი, [illegible] ქ. №30. ტ: 96-71-53

3 ოთახიანი, გარემონტებული ბინა, ლოჯიით, ტელეფონით. მის: მე-3 მასივი, მე-5 კვარტალი, მე-12 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-3 სართული, ბინა №45. ფასი $8.000 (შეთანხმებით). ტელ: 76-09-66

საჩქაროდ! ან იცვლება 3 ოთახიანი, გარემონტებული ბინა, მე-2 სართულზე. რკინის კარით, მუდმივი დენით, ბ/აირით, ხარდაჯით და მანქანის სადგომით, ნუცუბიძის ქუჩაზე, მილიციასთან. ტელ: 32-72-16

ან იცვლება თბილისში, ნებისმიერ უბანში აგარაკი ბურიანიდან (კოჯორ-ასურეთის გზაზე გადამხული), საგურამოდან 10 კმ-ში, ულამაზეს ადგილას, დაწყებული მშენებლობით, I სართული – ამოყვანილი კედლებით, II სართულის იატაკი – დასხმული, 800 კვმ მიწით. ფასი 1500$. ტელ: 23-07-65

## ქირავდება

სილამაზის სალონისთვის, ოფისის ან მაღაზიისთვის, უმაღლეს დონეზე გარემონტებული ფართი, იოსებიძის №53-ში (№161 სკოლის წინ), სველი წერტილებით, ბ/აირით. ფასი $250. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168

1 და 3 ოთახიანი ბინები, პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქ. №9-ში – როგორც კერძო, საოჯახო სასტუმრო, რაიონიდან ჩამოსულებზე, უცხოელებზე და ადგილობრივ მცხოვრებლებზე. ფასი: 1 დღე-ღამე, 1 კაცი – $10-დან $50-ის ჩათვლით. ტელ: 22-03-85; 99-94-67; 893 33-03-86. სტუმრების მიღება – ნებისმიერ დროს.

## გთავაზობთ სამუშაოს

ვიწვევთ ახალგაზრდა გოგონებს დილერის პროფესიის შემსწავლელ კურსებზე, შემდგომი დასაქმებით. მის: თამარ მეფის გამზ. №17. ტელ: 96-74-81

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯები). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი მიხეილი

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში – 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18

გაიხსნა ახალი ოფისი – სამი ვაკანსია. გვჭირდება 17-38 წლის თანამშრომლები – უმაღლესი განათლებით, ენერგიული, სალაღ მოაზროვნე. გამომუშავება 200 ლარი. მის: მ. „რუსთაველი", ჭოველიძის ქ. №2. IV სართ. №13. ტელ: 93-18-84; 67-95-46. ქალბატონი ელისო

## მომსახურება

გეპატიჟებით ბავშვთა სადღესასწაულო ცენტრი „ჩიპოლინო"!. საუკეთესო მენიუ, გართობა და დაბალი ფასები. მის: გამსახურდიას (ყოფ. პეკინის) გამზირი, №33ა. ყოველდღე, 10-19 სთ. ტელ: 38-00-03; 33-76-50; 96-88-82; 899 58-67-29; 877 49-44-35

ვთარგმნით ნებისმიერი სირთულის ტექსტს ქართულიდან რუსულად და ინგლისურად და პირიქით – სწრაფად და რეალურ ფასად, კომპიუტერზე ტექსტის აკრეფით. ტელ: 52-44-47

ავიწყობთ და დავაკაბადონებთ წიგნებს, ბუკლეტებს, ბროშურებს, გაზეთებს; ყველა სირთულის მათემატიკურ ტექსტებს; ნოტებს – რეალურ ფასად. ტელ: 61-51-17

კომპიუტერული კომპანია „Pulsar"-ი გთავაზობთ: ქორწილებისა და სხვა სადღესასწაულო ვიდეოკასეტიდან ციფრულ ფორმატში კომპაქტდისკებზე (CD) ჩაწერას, გაფორმებას, გამოსახულების კომპიუტერულ დამუშავებას. გახსოვდეთ! ვიდეოკასეტისაგან განსხვავებით, კომპაქტდისკი მოგემსახურებათ გაცილებით დიდხანს და ხარისხიანად! მის: ვაჟა-ფშაველას გამზირი, №16. I სართ. ტელ: 33-08-71

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეცვლა-აღდგენა-განახლებას, მატრასების, სკამების აღდგენას. ვღებავ გერმანულ ტყავის სამეულებს. ტელ. 94-08-10. ვალერი

ვამზადებ ყველანაირ ავეჯს, ლამინირებულ ДСП-სა და მასიური ხისგან. უმაღლესი ხარისხით და შედარებით შეღავათიან ფასად. ტელ: 60-75-20 (22 სთ-ის მერე); 899 16-92-51. გიორგი

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას (აღდგენა-განახლება); კარადებსა და მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე, ლეიბებსა და სამეულებზე შალითების გადაკვრა-დარბილებას სრული გარანტიით. ტელ: 69-45-18. გიორგი

„ცხრაკლიტული"! საკეტების დამატება, გამოცვლა, გარემონტება; კარზე ტყავის გადაკვრა; ხის კარის რკინებით ისე გამაგრება, რომ რკინისას არ ჩამოუვარდება. მომსახურება დაუყოვნებლივ! ტელ: 53-34-69; 899 56-39-69

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია სამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. დაიმახსოვრეთ! არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! ტელ: 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

გახდომა უდიეტოდ და ეს ყველაფერი – სამკურნალო მცენარეების საშუალებით. ცელულიტების დაშლა კრემითა და მასაჟით. სიმაღლეში ზრდა 2-დან 20 წლამდე, თვეში – 2-4 სმ-ის მომატებით. მის: მ. „რუსთაველი", ბელინსკის №2. IV სართ. ოთახი №415. ტელ: 93-38-46. ლელა

## მკურნალობა

მუშაობას შეუდგა არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სპეციალისტი, დიპლომირებული, ექსტრასენსორიკული და სენსორული დიაგნოსტიკის პირველი კატეგორიის ექსტრასენსი *ველინა ლოლაძე*. მუშაობისას იგი მიმართავს დისტანციურ მკურნალობას თვალით (სუგესტია), ფსიქოთერაპიას, სამკურნალო პაპნოზს, ინდურ ჩაკრებს. ექსტრასენსი მკურნალობს შორ მანძილზეც. ვისაც გაწუხებთ თავის ტკივილები, შაკიკი, დეპრესია, ნევროზები, სამწვერა ნერვის ანთება, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, რადიკულიტი, იშიაზი, სიმსუქნე, უნებლიე შარდვა – მიმართეთ ველინა ლოლაძეს. მიღება ყოველდღე, 11-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. №45, შესასვლელი ეზოდან, II სართ. ტელ: 95-00-83

მწვანე მცენარეებით ვმკურნალობ ბუასილის შემდეგ სახეობებს: პოლიპები, სისხლდენა, ნაპრალი, ქავილი, სწორი ნაწლავის მოდუნება. გართულებული სიტუაციის შემთხვევაშიც – შედეგი 5 დღეში. მის: რუსთავი, XVI მ/რ, კორპ 5, ბინა №33. ლალი გოგოლაძე (ვაგზლის მოედნიდან – სამარშრუტო ტაქსი. ბოლო გაჩერება რუსთავში).

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, სამკურნალო მცენარეებისა და თაფლის ნაწარმისგან ამზადებს მალამოებს, საფუნებს და ხსნარებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, ართროზს, სამწვერა ნერვს, რადიკულიტს, პოლიართრიტს, სახსრების ანთებას, ქოლეცისტიტს, გასტრიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში სრული გარანტიით. მის: ფიფიას (ყოფ. ვორონინის) ქ. №25, II სართ. („დინამოს" პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ.)

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხეხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. ანონიმურობის სრული გარანტიით. ტელ: 96-62-58

ისრაელში შექმნილი ელექტრონული აპარატურის საშუალებით იკურნება გარანტიით სქოლიოზი, ნეკთა კუზი, ოსტეოქონდროზი, ქრონიკული უძილობა, შაკიკი, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, კიფოზი, ენურეზი, კარდიალგიები, ტკივილები ბეჭებს შორის, ბრონქიტი, დაავადების შემდეგ გამოწვეული უშვილობა. მკურნალი ანატოლი შავიძე. მის. ძმები ზარიშვილების ქ. 18 (მ. „გურამიშვილთან"). ტელ: 61-65-03 (მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა)

არტერიული ჰიპერტონიის არაფარმაკოლოგიური (აპარატ „ელექტროეფექტორის" საშუალებით) და ფარმაკოლოგიური (მედიკამენტების გაცემა უფასოა) მკურნალობა სამედიცინო უნივერსიტეტის ცენტრალურ კლინიკაში. მის: ვაჟა-ფშაველას №29. ტელ: 66-04-67 (17-18 სთ). წინასწარი ჩაწერა

სამედიცინო ცენტრი „დელფინი" გთავაზობთ: 1) დიაგნოსტიკა და მკურნალობა 0-დან 15 წლამდე; 2) ახალშობილთა და ჩვილ ბავშვთა სამკურნალო ვარჯიშები წყალში, ცურვა, მასაჟები; 3) მოზრდილ ბავშვთა რეაბილიტაცია (მასაჟები, ვარჯიშები, სუნთქვითი ვარჯიშები), რეფლექსოთერაპია; 4) ჰომეოპათია; 5) ფსიქოლოგ-ლოგოპედი. აქვე იხსნება სამკურნალო ბაგა-ბაღი. მის: ცოტნე დადიანის ქ. №134, სპორტული კომპლექსის შენობა, III სართ. (მ. „ნაძალადევთან"). ტელ: 69-57-76 (დღისით); 36-40-65; 38-29-63 (საღამოს)

სიახლე გინეკოლოგიური დაავადებების მკურნალობაში: საშვილოსნოსა და დანამატების ანთება; ეროზიები, უნაყოფობა, კლიმაქტერიული სინდრომი, აბორტისა და მშობიარობის შემდგომი გართულებები; უახლესი ტექნოლოგიები, მაღალი ეფექტი, მისაღები ფასები. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი". მის: ბახტრიონის ქ. №18. ტელ: 53-63-05; 38-27-52

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მოვამზადებ ინგლისურში აბიტურიენტებს, უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. ტელ: 51-68-61

დავეხმარები სკოლის მოსწავლეებს მათემატიკისა და სხვა საგნების მომზადებაში, ბინაზე მისვლით. მაქვს ბავშვებთან მუშაობის 15 წლის გამოცდილება. ტელ: 76-27-12

იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრი, გერმანიის ბოშის ფონდთან ერთად, ატარებს გერმანული ენის შემსწავლელ სამთვიან კურსს იურისტებისათვის. კურსის დასასრულს, ჯგუფიდან შერჩეული მსმენელები გაემგზავრებიან გერმანიაში, პრაქტიკის გასავლელად, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების ფინანსური მხარდაჭერით. საბუთების მიღება წარმოებს 2002 წლის 23 თებერვლამდე, იუსტიციის სასწავლო ცენტრში. მის: იუსტიციის სამინისტრო, რუსთაველის №30. ტელ: 98-42-69

კომპიუტერული სტუდია – „დავი" კომპიუტერი, გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

პირველად საქართველოში, „Pulsar"-ი გთავაზობთ სიახლეს: კომპიუტერული ტექნიკის აწყობის, შეკეთებისა და მოდერნიზაციის შემსწავლელ კურსებს. გამოცდის ჩაბარების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი. სკოლის მოსწავლეებისათვის, რომლებიც მოვლენ ჯგუფურად (50-10 კაცი), გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი შეღავათები. მის: ვაჟა-ფშაველას გამზირი, №16. I სართ. ტელ: 33-08-71

ნაძალადევის კულტურის სასახლე აცხადებს მიღებას კოსმეტიკის კურსებზე, დაჩქარებული მეთოდით. შეისწავლება: კანის დეფექტები, მკურნალობა, კანის გაწმენდა, მასაჟი, ეპილაცია, მალამოები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), ნიღბები, ლოსიონები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის: „ნაძალადევი", მ. „ვაგზლის მოედანი", დადიანის ქ. №26. ტელ: 66-53-56; 893 33-09-66

## იყიდება

ძველებური, გერმანული ვიტრინა, ზედა ნაწილი – სამმხრივი ბროლის მინით, 2 კარიანი, ქვემოთ – 2 კარიანი. $200. ტელ: 23-07-65

იაფად, კომპიუტერის მაგიდა, კომპიუტერი IBM, პრინტერი ეპსონი. ტელ: 58-68-88

მასიური წაბლის ახალი, დიდი ბილიარდი, მარმარილოს ზედაპირით, ბელგიური მაუდით, ლამაზი დიზაინით. ტელ: 37-77-46

იყიდება ჩაის და სადილის კობალტის სერვიზი – ლურჯი, „რაკუშკა" – 6 კაცზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 96-09-35; 96-19-40 ლეილა

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრ. რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ, დასვენება შაბათ-კვირას.

## ხსოვნა

**ლევიკო კილაძის მონატრება**



ორმოცი დღეა, რაც ამ ქვეყნიდან იმქვეყნიურ სასუფეველში გადაინაცვლე. ამ ხნის მანძილზე, ცრემლი და ლოცვა არ მოგკლებია.

წასვლით ჩვენგან და დაგვიტოვე გაუხელებული ტკივილი. ვერ იტევს გული ამდენ მწუხარებას. ისევე, როგორც შენი გული ვერ იტევდა უსაზღვრო სიყვარულს და სიკეთეს.

ამბობენ, სიკვდილი, პირველ რიგში, მხოლოდ კარგებს ირჩევსო, ღმერთსაც თავისთან რჩეულები მიჰყავსო. შენ დაგვარწმუნე ამ გამონათქვამის ჭეშმარიტებაში. შენმა წასვლამ თითქოს რაღაც შეცვალა სამყაროში, რისი გამოსწორებაც სიტყვიერად შეუძლებელია.

ნეტავ იცოდე, როგორ ძალიან გვენატრები და როგორ გვტკივა გული. ყველას გვიჭირს იმის დაჯერება, რომ შენ ჩვენ გვერდით აღარ ხარ და მხოლოდ ისღა გვანუგეშებს, რომ გვჯერა, სამარადისოდ დაიმკვიდრე ადგილი ზეციურ სასუფეველში. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*როლანდ კილაძის და ხანდრო ჯაფარიძის ოჯახები*

**ზვიად დადვანის მონატრება**



ზვიად, ერთი წელი გავიდა შენი და გიის დაღუპვიდან. 23 წლის ასაკში ჩაიფერფლა თქვენი უმანკო სიცოცხლე.

ზვიად, ჩემო ლეთისნიერო ბიჭო, როგორ შეცვალე ჩვენი ცხოვრების აზრი. არარსებად ვიქეცით მთელი ოჯახი – ჩვენთვის ხომ მთელი სამყარო შენ იყავი. ბედნიერები ვიყავით შენით და უბედურები ვართ უშენოდ. ნეტავ, არ გვეთქვა უბედური მამა, შენგან დატოვებულ სიცარიელეს რომ ვერასოდეს ვერაფერი შეავსებს; შენი გამზრდელი მამიდა, და-ძმა. შენი ქმრობა და ქორწილი გვენატრებოდა.

საოცარია, რა მაძლიერებს შენს დამკარგავ დედას. ჩვენი ცხოვრების ანთებული ლამპარი იყავი და სიბნელეში დაგვტოვე. ვიცი, შვილო, შენს ლამაზ სულს რომ ვამძიმებ, მაგრამ ძნელია უშენობა.

იმაზე საშინელი არაფერია, დედას რომ შვილი უკვდება. თავს იმით ვინუგეშებ, ზვიად, რომ მალე შეგხვდები. მაშინ ვეღარაფერი დაგვაშორებს, ჩემო ანგელოზო.

ღმერთო, შენ შეეწიე ჩემს შვილს, შენ დაუმკვიდრე სამარადისო სასუფეველი.

*უბედური დედა*

**ჟუჟუნა ბერიკიშვილი-ხუროშვილის გახსენება**



უკვე ერთი წელი გავიდა, ჩემო საყვარელო დედა, რაც შენი ტკბილი სულითა და შენი ფასდაუდებელი ამაგით დაგვტოვე.

გაუსაძლისი ყოფილა უშენობა, ყველას დაგვეტყო შენი არყოფნა.

შენს სიკვდილს ხომ ვერავინ იფიქრებდა, მაგრამ უცებ მოგერია უკურნებელი სენი და სამ თვეში მიგვატოვე. ალბათ ღმერთმაც თავისთვის გისურვა, ალალი და მართალი. შენგან გაუბედურებულ მეუღლეს და შვილებს კი დაგვიტოვე უტკბილესი მოგონებების ზღვა. ყოველი დილა, ჩვენს ოჯახში შენი გახსენებით იწყება და შენი მონატრებით მთავრდება. გვენატრები და გვჯერა, შენი სიმართლით გავლილი ცხოვრების გზა საწინდარი იქნება შენი სულის სამოთხეში დამკვიდრებისა.

*შენი ოჯახი. შენი თამთა*

**ოთარ (ოთო) ბაქრაძის მონატრება**



მოულოდნელი და შემზარავი იყო შენი ტრაგიკული სიკვდილი. ტკივილით სავსე, მძიმე თვე გავიდა, შვილო.

დარდისაგან დაუძლურებული შენი მშობლები და შენი ერთადერთი ძმა, ექვსი თვეა, თავზარდაცემულები დავდივართ. არაფერი შეგვეძლება შენ გარეშე, ჩემო სიცოცხლევ, ყველაფერი შენ ყოფილხარ. წახვედი ჩვენგან და თან გაიყოლე მრავალი აუხდენელი ოცნება. უზომოდ გვენატრები, შვილო. სასაფლაოზე გავრბივართ და ქვაზე ვკოცნით შენს ლამაზ სახეს, ჩემო ოთო. შენი სულის მარადიულობისათვის ვლოცულობთ მთელი ოჯახი, სანთლებს ვინთებთ. რომ არა რწმენა და დიდი სიყვარული ღვთისა, შენი ოჯახი ამას ვერ გადაიტანდა.

24 თებერვალს მოვალთ შენს საფლავთან, 25 სანთელს დავანთებთ და მოგილოცავთ დაბადების დღეს, რომელსაც უშენოდ პირველად შევხვდებით. დედა მოგიკვდეს, შვილო, ოთო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული. ფაფუკი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა.

*შენი გულმკვდარი მშობლები და ძმა*

**ნინიკო ქართველიშვილს!**



24 თებერვალს ტკივილით სავსე და მძიმე 40 დღე შესრულდება, რაც წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო მონატრება, ჩემო საყვარელო ნინიკო.

შენი ხანმოკლე სიცოცხლის ბილიკი ისე გაიარე, არასდროს დაგვიწყებია, რომ მხოლოდ სიკეთე და სახელი რჩება ამქვეყნად ადამიანს. აკი, ამიტომაც შეხვდი სიკვდილს მედგრად, მძიმე ავადმყოფობამაც არ გაგტეხა და სარეცელზე მიჯაჭვული, მუდამ ლოცვაში იყავი, მუდამ მოღიმარი თვალებით. უფალს ადიდებდი. ღმერთმა შეისმინოს შენი ლოცვა და დალოცოს შენი პატარა შვილები, უშენობით გულგატეხილი მშობლები და მეგობრები. ღმერთმა დაგიმკვიდროს საუკუნო სასუფეველი.

*შენი ნათლული გიორგი ბიჩნიგაური*

**ნინო ქართველიშვილის მოგონება**



საოცარი ადამიანის საოცარი ამბავი... სიყვარულით გამთბარი, მაგრამ მაინც სევდიანი თვალები... ლოდივით მძიმე და გაუსაძლისი ტკივილი, ღვთაებრივი სიმშვიდე, მაინც მოღიმარი თვალები, სევდიანი გამოხედვით; მიტევება და სიყვარული – აი, რა იყო მისი ცხოვრებისეული კრედო, არ შეეძლო სიძულვილი... ეს ხომ რჩეულთა ხვედრია.

ღმერთს საუკეთესო უყვარსო, – თქვა ბრძენმა... ამიტომაც წაიყვანა უფალმა. ალბათ სურდა, გვერდით ჰყოლოდა, კალთის ქვეშ ამოფარებული. წაიყვანა და დატოვა უამრავი გულმოკლული ადამიანი. მათ გულებში, ნინოს დავიწყება არ უწერია... ეს იყო ადამიანი უნაკლო, რომელიც ყველას უყვარდა... მათი სიყვარული გაჰყვება ღვთისკენ მიმავალ გზაზე და ლამპარივით გაუნათებს გზას...

ნათელში იყოს შენი სული, ნინო...

*თანამშრომლები*

**ზურაბ ყუსენაშვილის მონატრება**



გუშინ შენი დაბადების დღე იყო, 12-ში ზურა ბურნაძის. როგორ მაკლიხართ, სიზმრებშიღა გხედავ. როცა მიჭირს, მნახულობ, როცა კი მილხინს, ვერ გხედავ.

*ძ. ჯაყელი*

**ლენა შენგელიას ხსოვნას!**

გავიდა ორმოცი ტკივილიანი დღე. რა ძნელი ყოფილა უშენობა. მშვიდად, მორიდებულად ცხოვრობდი და ასევე ჩუმად დაგვტოვე. წახვედი იქ, სადაც გელოდნენ შენი თამაზი და ნოდარი, მშობლები, ახლობლები. სიცოცხლის ბოლო წუთამდე სიკეთეს თესდი. ალბათ ამიტომაც დასწყვიტე გული უცხოეთში წასულ შენიანებს, რომლებსაც სიყვარულით ვლოდებოდი თავს. ბავშვები თურმე ერთმანეთს ეკითხებიან, ნუთუ ველარ ვნახავთ ჩვენს ლენა ბებოსო. ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

*შენი ოჯახი*

**არჩილ იკაშვილის მონატრება**



ჩვენო საყვარელო არჩილ! გავიდა დარდითა და ტკივილით სავსე ორი წელიწადი. მკაცრი და შეუვალია უფლის განაჩენი. 19 თებერვალს ბოროტმა ხელმა შეაჩერა შენი წლების მარკა. წაართვა ოჯახს უსაყვარლესი ადამიანი. შენს ლამაზ სიცოცხლესთან ერთად, ჩაიფერფლა მრავალი აუხდენელი ნატვრა და ოცნება. შენისთანა კეთილი გულის ადამიანები იშვიათად იბადებიან. ლამაზ სხეულს ლამაზი სული ამშვენებდა. დაცარიელდა ოჯახი უშენოდ. შენი შვილები რომ არა, გაუსაძლისი იქნებოდა სიცოცხლე. შენეული ცისფერი თვალებით შემოგვყურებს შენი პატარა სოფიკო და არა გვაქვს უფლება, ამ თვალებს ვუღალატოთ. შენს ვაჟკაცებს – არჩილსა და ნოეს უმამობას არ ვაგრძნობინებთ, რომლებსაც ასე ძალიან უყვარდი და ენატრები. მარადჟამს ვილოცებთ ძვირფასო, შენი ლამაზი სულისთვის. გვიყვარხარ და უზომოდ გვენატრები.

*შენი საყვარელი ირმა, ოჯახი*

**ჩვენო სოფიკო!**



უმძიმესია ჩვენთვის შენი წარსულში მოხსენიება, უმძიმესი და წარმოუდგენელი. შენ ხომ თავად სიცოცხლე იყავი – ხალისითა და ბედნიერებით სავსე, ნიჭიერებითა და გონიერებით დაჯილდოებული, ყველა ცნობილი, შენი კობიაშვილისა და თენგიზ გიგილაძის ოჯახის ღირსეული შვილი, თავადაც პატარა, ლამაზი ოჯახის შემქმნელი.

როგორ შეხაროდი შენს პატარა შვილებს... შენი გვიკო წელს უშენოდ დაამთავრებს სკოლას. ვერც შენ გაიხარე მისი სიხარულით და მისი ბედნიერებაც სხივნაკლული იქნება უდედობის გამო...

შენი ხუთი წლის სალომეს კი, მხოლოდ ლამაზ სიზმრად დაამახსოვრდება დედის თბილი ღიმილი და ნაზი ალერსი.

40 ცრემლით სავსე დღე გავიდა, შენი ამქვეყნიდან წასვლით. უფრო და უფრო მძიმდება ტკივილი. მხოლოდ იმით ვინუგეშებთ თავს, რომ ცათა სასუფეველში ხარ, ერთ ლამაზ ვარსკვლავად ანთიხარ და იქიდან ლოცულობ შენი შვილებისათვის.

*შენით დამწუხრებული დეიდები: ეთერი, ნანული, ქეთინო, ბელა კობიაშვილები*

**ლევან მეგრელაძის გახსენება**



18 თებერვალს, შენს დაბადების დღეს, უკვე მესამედ, უშენოდ ვხვდებით, ჩვენო ლამაზო ბიჭუნა! უსაზღვროა შენი მონატრებით გამოწვეული ჩვენი გულისტკივილი – შენ ხომ ჩვენი შვილიც იყავი, ერთად იზრდებოდით მთელი სამეზობლოს ბავშვები. ამაოდ გეძებთ თანატოლებს შორის, შენ კი ღმერთთან ხარ – უცოდველი და უმწეო. გვენატრები, ჩვენო ლევან, ძალიან! ყოველთვის ვილოცებთ შენთვის, ლევან, ყოველთვის გვეყვარები.

*მეზობლები*

**დოდო მკერვალიშვილი-გიორგაძის მონატრება**



რით ვუშველოთ ტკივილს, დედასთან განშორებამ რომ განგვაცდევინა? როგორ დავამშვიდო მამა, როცა გვერდით ვერ ხედავს მეუღლეს?

18 თებერვალს, 70 წელი შეგისრულდებოდა, ჩვენო ტკბილო, თბილო, კეთილო დედა.

ჩვენთვის იყავი დედა, უბრალოდ, დედა და ამ სიტყვების განუზომელ სიმძაფრეს მაშინ ჩავწვდით, როცა უკვე აღარ ხარ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული, დედა.

*მეუღლე რეზო გიორგაძე, შვილები ლია და ნანა*

**გოგი ახრახაძის ხსოვნას!**



აგერ, უკვე რვა თვე გადის, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ. ყოველი დღე უშენოდ – ტანჯვა და დარდი, სევდა და ცრემლია. შენი სიკვდილი წარმოუდგენელია – როგორ შეიძლებოდა, ასეთი იუმორის მქონე ადამიანს გული გასჩერებოდა.

ჩემო გოგი, ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. შენ დიდი დანაკლისი ხარ ოჯახისათვის, მეგობრებისათვის, შენი ანსამბლი – „კოლხეთისათვის" და რაც ყველაზე მთავარია, შენი შვილებისათვის – პატარა ლედისა და ჯაბასთვის, რომლებსაც ახლა უნდოდათ მამის სითბო და სიყვარული.

ძალიან ძნელია, იცხოვრო შენი სიმღერის, იუმორის, რონრონის გარეშე. შენ ხომ ღვთისგან იყავი დაჯილდოებული უღალატო მეგობრით, უანგარო ხასიათით და პატიოსნებით.

19 თებერვალს შენ 50 წელი შეგისრულდებოდა.

ჩემო ძვირფასო! შენ შენი ცხოვრება ლამაზად და კაცურად გაატარე! შენი კაცობის სანთელ-საკმეველი მანდაც არ დაკარგავს გზას.

*მეუღლე ნანა როსტიაშვილი, შვილები ლედი და ჯაბა*

**ზაზა მუჯირიშვილის მონატრება**



ზუსტად 20 წლის წინ, 22 თებერვალს 19 წლის ასაკში ტრაგიკულად შეწყდა შენი ლამაზი სიცოცხლე. აღარ გვაშფოთებ შენი უჩვეულო ოცნებებით, აღარც დილის ხეივანში სეირნობ მეგობრებთან და შენს განუყრელ ძაღლთან ერთად, შენი წასვლის შემდეგ დიდხანს რომ არ უცოცხლია. ნუთუ ოცი წელი გავიდა... არადა, თითქოს ახლა, ამ წუთებში დატრიალდა უბედურება.

ჩემო ჭკვიანო და კეთილო შვილო, ზაზუკა, როგორ მენატრები. ჩემთვის ეს მწუხარება მოუშუშებელია.

თითქოს შენი ლამაზი ლექსების სტრიქონებს გაჰყვა შენი უიღბლო სიყვარულიც:

გაფრინდი, გაქრი, ჰოი, ზმანებავ...
ზღვა გიხმობს ისევ ლურჯი და მშვიდი,
მიირწეოდი და თილილ თითებით,
ჩემი ოცნების სანათურს ფშვნიდი...
უფალს ვევედრები, ნათელში მიმყოფოს შენი სული.

*შენი უბედური დედა მერი ნარმანია*

**დალი პაქსაშვილის ხსოვნას!**



თავზარდამცემი იყო მეხივით გავარდნილი ხმა დალი დეიდას მოულოდნელი გარდაცვალების შესახებ. მთელი ჩვენი კლასი გაოგნებულები ვართ, არ ვიცით, როგორ ვანუგეშოთ ჩვენი თანაკლასელი ლევან გოგოჭური, რომელმაც ასე ახალგაზრდა და მოსიყვარულე დედა დაკარგა. ქალბატონი დალი ჩვენი კლასის უპირველესი გულშემატკივარი იყო, კეთილი და არაჩვეულებრივი ქალბატონი. ასეთად დარჩება იგი ჩვენს ხსოვნაში. მისი სიკეთე სანთელივით წარუძღვება წინ მთელს ჩვენს კლასს. არც ჩვენ ვუღალატებთ ლევანს, მის გვერდით ვიქნებით ჭირშიც და ლხინშიც.

სასუფეველი დაგიმკვიდროთ უფალმა, დალი დეიდა...

*თბილისის 179-ე საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეები.*

# ზღაპარი მძინარე მზეთუნახავზე სულაც არ ყოფილა ზღაპარი

**ათწლეულების წინ დაიწყეს ადამიანების გაყინვა ათი ან მეტი წლით. ყინავდნენ იმ ავადმყოფებს, რომელთა განკურნება მეცნიერებს არ შეეძლოთ. ვარაუდობდნენ, რომ მაშინ გაალღობდნენ, როცა მათ განსაკურნებელ წამლებს გამოიგონებდნენ. ამ მიზნით შეიქმნა უამრავი კორპორაცია და, რასაკვირველია, ამაზე მხოლოდ მდიდრებს მიუწვდებოდათ ხელი. ვერავინ იტყოდა — გამღღვალი ადამიანი ინტელექტუალურად სრულყოფილი დარჩებოდა თუ მხოლოდ გამდნარი ხორცი.**

## წმინდანები თუ ვამპირები?

მრავალი ზღაპარი წაგვიკითხავს „მძინარე მზეთუნახავზე“. მას კი, თურმე ისტორიული პროტოტიპებიც ჰყოლია. შუა საუკუნეების მემატიანენი მოიხსენიებენ მიცვალებულებს, რომლებიც ასწლეულობით განუხრწნელნი იყვნენ და მძინარესავით გამოიყურებოდნენ. ერთნი ფიქრობდნენ, რომ ისინი წმინდანები იყვნენ, მეორენი კი პირიქით, ჯადოქრობასა და ვამპირობას სწამებდნენ.

1485 წელს იტალიაში, სანტა-მარია-ნუოვას ტაძრის მშენებლებმა იპოვეს სარკოფაგი, რომელშიც ყმაწვილი ქალი ესვენა. გოგონა ცოცხალს ჰგავდა, ისე ილიმებოდა, თითქოს მშვენიერ სიზმრებს ხედავსო. საიდან აღარ მოდიოდნენ ამ საოცრების სანახავად. მძინარე გოგონას სახელიც კი შეარქვეს — ტულია. სარკოფაგი ვატიკანის მუზეუმის მცველის სახლში გადაიტანეს. დღედაღამ ხალხი ირეოდა ამ სახლის გარშემო და იყო გაუთავებელი სჯა-ბაასი.



იმ დროში მიცვალებულთა ანატომიური გამოკვლევები აკრძალული იყო და მძინარე მზეთუნახავის საიდუმლოც ვერავინ ამოიცნო. პაპს შეეშინდა ხალხის მღელვარებისა და ბრძანა, გოგონა დაესაფლავებინათ ღამით, სრულიად საიდუმლოდ.

## მუმიად იქცა...

კიდევ უფრო საოცარი ამბავი შეემთხვა საფრანგეთის ლა სელ რუბოს მონასტრის მონაზვნის როზალინას ცხედარს.

დედა როზალინა 60 წლის ასაკში 1329 წელს უეცრად გარდაიცვალა, მაგრამ ცოცხალს ჰგავდა: კანი რბილი ჰქონდა, თვალები კი უბრწყინავდა. ექიმებმა ლეთარგიული ძილი გამორიცხეს და ქალი ეკლესიის სასაფლაოზე დაკრძალეს, მაგრამ მონაზვნები ვერ ისვენებდნენ. ხუთი წლის შემდეგ კუბო ამოთხარეს, გახსნეს და შეძრწუნებულებმა ნახეს, რომ მიცვალებული უწინდებურად ცოცხალივით გამოიყურებოდა.

ეს ამბავი რომის პაპს მოახსენეს. პაპმა ბრძანა ცხედრის მონასტრის ეკლესიაში გადასვენება და მინის კუბოში მოთავსება.

გაიარა სამასმა წელმა. მონასტერს საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV ეწვია დედა-დედოფალ ანა ავსტრიელთან ერთად. მეფე დააკვირდა მონაზვნის თვალებს და იქვე მდგომ თავის ექიმს ერთი თვალის გახვრეტა უბრძანა. ექიმმა ბრძანება შეასრულა. მონაზვნის თვალმა ცოცხალი ადამიანის თვალივით მოახდინა რეაგირება: დავიწროვდა, დაკარგა ელვარება, ნაჩხვლეტიდან კი ვარდისფერმა სითხემ გამოჟონა. ამის შემდეგ მეფემაც ირწმუნა სასწაული.

1887 წელს ოთხმა ექიმმა დაადასტურა ცხედრის უხრწნელობა და ხელი მოაწერა დასკვნას, სადაც ნათქვამი იყო, რომ მონაზვნის კანი მოქნილი და ქორფაა, ხელ-ფეხი არ გაჰქვავებია და ადვილად იხრება.

ამ ამბიდან ზუსტად 7 წლის შემდეგ ცხედარი მუმიად გადაიქცა.

***ვოტ ტაკ! №2***

# ჩვენ გვწერენ

# მფარველი საიქიოდან მოვიდა...

ეს ამბავი მეორე მსოფლიო ომის დროს მოხდა.

ლეჩხუმის ერთი პატარა სოფლის ოთხწლიანი სკოლის მასწავლებელმა ელიკომ საქმრო ფრონტზე გააცილა. ახალგაზრდებს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. ქალიშვილი ყოველ ცისმარე, ღმერთს ევედრებოდა — მშვიდობით დამიბრუნე ჩემი ვახტანგიო.



ერთ დილას გაიღვიძა და მის საწოლთან მდგარი ვეებერთელა, თვალცეცხლა შავი ძაღლი დაინახა. ცხოველი დაკვირვებით დასჩერებოდა ქალს, ლაშებიდან მოწითალო დორბლი ჩამოსდიოდა. შეშინება ვერც მოასწრო, რომ ძაღლი გაქრა. ელიკოს გულმა რეჩხი უყო, — როგორ ჰგავდა ცერბერს... რა ეშმაკად მომელანდა ეს სულეთის მცველიო. მაგრამ იატაკზე ძაღლის ნაკვალევი რომ შენიშნა, უსიამოვნება მოეძალა.

ეს ამბავი მეგობრებს უამბო. ეტყობა, წუხელ ბერძნულ მითებს კითხულობდიო, — დაამშვიდეს.

ერთი კვირის მერე შეკივლებამ შეძრა ზემო უბანი. ელიკომ ვახტანგის დედის ხმას მიამსგავსა...

ვახტანგი თურმე იმ დღეს დაღუპულა, ელიკოს ძაღლი რომ გამოეცხადა...

გულდათუთქული დაჰქვითინებდა საქმროს სურათს. უცებ იგრძნო, ვილაცამ თავზე მძიმედ დაადო ხელი და ვახტანგის ხმა ჩაესმა, — ნუ ტირი, გენაცვალე, დამშვიდდი, მაპატიე, რომ გაგამწარე. ჩემი სიკვდილი ჩემი ბრალია. გერმანელების სანგარში ჩანთა ვიპოვე, ხელი მოვკიდე. თურმე ყუმბარა იდო შიგ, აფეთქდა და ჩემი სიცოცხლეც წაიღოო. ელიკოს რატომღაც შიში არ უგრძნია. იმ დღის შემდეგ ვახტანგს არ მიუტოვებია საცოლე, ხშირად ეცხადებოდა, ესაუბრებოდა, რჩევებსაც არ იშურებდა. სწორედ მან სთხოვა, სწავლა გაეგრძელებინა. ელიკოს სიხარულით და სიცოცხლით ავსებდა მისი ხმის გაგონება. არაერთხელ გადაურჩენია განსაცდელისგან ვახტანგს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ელიკო აჭარაში გაამწესეს მასწავლებლად.

ერთხელ მის გაკვეთილზე გული წაუვიდა მოსწავლეს. ბავშვი გონს ვერ მოიყვანეს. სასოწარკვეთილი ელიკო ღმერთს შეევედრა შველას. ანაზდად ვახტანგის ხმა ჩაესმა — როგორმე კრიჭა გაუხსენით და პირში სული ჩაბერეთო... ბავშვი გადარჩა...

მეზობელი სოფლიდან მომავალ ელიკოსა და მის კოლეგას გზაში შემოაღამდათ. შამბნარი უნდა გაევლოთ. შორიდან ტურების კივილი და მგლების ყმუილი ისმოდა. ბილიკი რომ ჩამოათავეს, წინ ნაკვერჩხლებივით მოელვარე წერტილები შეეფეთათ. უნებლიეთ კივილი აღმოხდათ. წერტილები კი ახლოვდებოდა... თითქოს ნადირის სუნთქვაც იგრძნეს... ერთმა მგელმა კამარა შეჰკრა და უცებ საშინელი ხრიალით ძირს დაენარცხა. ხროვა დაფრთხა. ქალიშვილები სახტად დარჩნენ.

— ნუ გეშინიათ, ნადირი ვერაფერს დაგაკლებთ, — ჩაესმა ვახტანგის ხმა ელიკოს. გაუქრა შიში. მიხვდა, ვახტანგმა დააფრთხო მგლები. ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ვახტანგის ხმა მისმა თანამგზავრმაც მკაფიოდ გაიგონა...

ეგ იყო მხოლოდ — ელიკოს ბედი დაენავსა, ვერ გათხოვდა. ისე, არც უცდია მაინცდამაინც. რამდენიმე წლის შემდეგ თბილისში გადასახლდა, დისერტაციაც დაიცვა, ერთი ობოლი ბიჭუნაც იშვილა.

გარდაცვლილი საქმროს აჩრდილი დღემდე აკითხავს...

***ნაირა შაინიძე***

# „საზალღო–სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. რებუსი**

ავს ნუ იზამ და ავისა ნუ გეშინიაო.

**II.** არწივი.

# უცნაური წინასწარმეტყველება

**(P.S წაიკითხეთ ყველამ!)**



ადამიანი დასაბამიდან ცნობისმოყვარეა. რას არ გაიღებს, ოღონდ შეიტყოს, რას უქადის ხვალინდელი დღე. მისნობა და მისანი დიდ ინტერესს იწვევდა ყოველ დროში. ზოგს გულწრფელად სწამდა, ზოგს ეშინოდა, ზოგიც აინუნში არ აგდებდა პითიათა ნაწინასწარმეტყველებს. ახლახან აღესრულა ცნობილი ბულგარელი ნათელმხილველი ვანგა, რომლის ყოველი სიტყვა სრულდებოდა. აგერ, რუსეთშიც ყოფილა ერთი 86 წელს მიტანებული ბაბუა გრიგორი. იგი, თურმე შავი დედლის დახმარებით იგებს, რა მოგველის უახლოეს დღეებში. მაინც როგორ? აიღებს ერთ მუჭა ბრინჯს და ქათამს თითო-თითო მარცვალს უგდებს. პირველი — თვის პირველ რიცხვს შეესაბამება, მეორე — მეორეს, ოცდამეათე — ოცდამეათეს... თუ ქათამმა მარცვალი აკენკა — ჩაფიქრებული დღე მშვიდად ჩაივლის, თუ არ გაეკარა — „რაღაც ფარსაგი მოხდებაო“. თუ, ღმერთმა ნუ ქნას და, მარცვლის დანახვაზე გაიქცა — უბედურებას ვერ ასცდები.

— ერთხელაც არ შევმცდარვარ, — ამბობს ბაბუა გრიგორი, — ამას წინათ თებერვლის თვეზე ვიმკითხავე. ერთი გადავუგდე, მეორე... მეოცეც გადავაგდე და ეძგერა ჩემი დედალი. აკენკა თუ არა, აკანკალდა. მერე თითქოს ამოიჩხავლა, განზე გახტა, წრიულად დაიწყო სირბილი და მალე სულიც განუტევა. კაცს რომ რამე გადასცდება სასულეში და დაიხრჩობა, სწორედ ისე მოუვიდა. არ ვიცი, ასეთი რა ეტაკა, ამისთანა არაფერი მინახავს. პირკატა მეცა — გამოდის, რომ 20 თებერვალს რაღაც უბედურება უნდა დატრიალდეს. ქაღალდზე დავწერე ციფრი 20, მივუწერე ახლანდელი წელი და თვალს არ დავუჯერე: **20.02.2002!**

ეშმაკის ნახელავს ჰგავს — რიცხვი, თვესთან ერთად, თითქოს წელს იწვევს, აჯავრებს. წელი ხომ საეჭვოა და საეჭვო: გინდ მარჯვნიდან წაიკითხავ და გინდ მარცხნიდან, ამას 20 რიცხვიც დაამატეთ. ერთი სიტყვით, მე ასე მგონია: 20 თებერვალს, ოთხშაბათს, ისეთი რამ მოხდება, ადამიანის მოდგმას რომ სამუდამოდ დაამახსოვრებს თავს. მომხდარს შეიძლება ერთბაშად დიდი მნიშვნელობა არ მივანიჭოთ, მაგრამ მისგან გამოლებული მწარე ნაყოფი ბევრჯერ მოგვკვეთს კბილს. ჩემი ქათამი არ შემცდარა, თავისი სიცოცხლის ფასად გაგაფრთხილათ.

***მეგაპოლის-ექსპრესი №6***

**P.S.** ზემოთ მოთხრობილით რომ ვერაფრით დაგამშვიდებთ, ცხადია... ახლა კიდევ ერთი უფრო ,,საჩვენო“ და თითქოსდა მოსალოდნელი განსაცდელის შესახებაც უნდა გიამბოთ...

რედაქციას ერთი ძველი ნაცნობი ეწვია, რომელიც, როგორც თვითონ ამბობს, სიზმრად ხედავს იმ საშიშროებას, რაც მოსახდენია და რაც, კვლავ მისივე თქმით, უცილობლად სრულდება (ამის დასამტკიცებლად რამდენიმე უკვე მომხდარ ფაქტს ასახელებს... სხვათა შორის, ერთ-ერთი — ადრე რედაქციას ტელეფონით ამცნო და ის ნაწილობრივ ასრულდა), ამიტომ ახლა დროა, ფინალისკენ წავიდეთ...

გურამ ალოევი ამბობს, რომ სიზმრად ნახა დანგრეული ქალაქი... მან იცოდა — ეს თბილისი იყო... შემხვედრ კაცს ჰკითხა, — როდის მოხდა ესო. 20 თებერვალს, — იყო პასუხი... რომელ საათზე? — 8 სთ-სა და 20 წუთზე...

გურამი სთხოვს ყველას — იყავით ფხიზლად! შეხვდით ამ დილას გარეთ, ნუ იქნებით შენობებში...

ჩვენი მხრივ დავძენთ — მოგვიტევეთ, თუ აგაფორიაქეთ... მაგრამ განა გვქონდა უფლება, არ გაგვენდო მკითხველისთვის ასეთი დაჟინებითი თხოვნა?..

ერთი ადამიანის სიცოცხლესაც კი რომ საფრთხე შეექმნეს ამ უთქმელობით, სინდისი შეგვაწუხებს... ღმერთმა დაგვიფაროს და გვიხსნას განსაცდელისაგან... ისე, დრო სულ კატაკლიზმებით დაიხუნძლა...

რა გითხრათ? არ არსებობს განსაცდელი, რომელიც ღვთის ნებით არ აგვშორდება... მხოლოდ ჩვენი დაუცხრომელი ლოცვით შეისმენს უფალი ვედრებას... შეგვეწევა დედაღვთისმშობელი.

დაიძინეთ პირჯვრით და ,,უფალო, შეგვიწყალენ“ სამჯერ წარმოთქვით მაინც...

ინებოს უფალმა მშვიდობით მივეგებოთ 20 თებერვლის დილას. ა მ ი ნ!

...სხვათა შორის, ამ დღეებში ძლიერმა ქარებმა დედაქალაქის სხვადასხვა უბანში სახლები დააზიანა. იქნებ სწორედ ამას ნიშნავს გურამის სიზმარი.

# შექსპირი დაბრუნდა?



რეინკარნაციის, სულის გადასახლების შესახებ აღმოსავლური სწავლების მართებულება კიდევ ერთხელ და საფუძვლიანად დამტკიცდა 5 წლის შვედი ინგრიდ ლუნდის სახით. გოგონამ უილიამ შექსპირის ყველა ნაწარმოები ზეპირად იცის.

ნორჩმა ვუნდერკინდმა თავადაც დაწერა სამი პიესა — ორი, როგორც რეჟისორმა უკვე წარუდგინა მაყურებელს ინგმარ ბერგმანის თეატრში. „ხასიათის მძაფრი შეგრძნება და ენა ავტორისა, საოცრად ჰგავს დიდი შექსპირისას“, — წერდა ერთი თეატრალური კრიტიკოსი.

ინგრიდ ლუნდი სავსებით ეთანხმება ამ შედარებას, რადგან დარწმუნებულია, რომ იგი შექსპირის განსხეულებაა. „სული ბევრ ინკარნაციას გადის, — ამბობს გოგონა, — მე ვარ სული, რომელსაც ერთ დროს უილიამ შექსპირი ერქვა. ამ ქვეყანას ამჯერად ინგრიდ ლუნდის სახელით მოვევლინე. რა თქმა უნდა, ბევრს არ სჯერა ჩემი. ამქვეყნად ცხოვრების მანძილზე გაცილებით მეტ პიესას დავწერ, ვიდრე შექსპირი“.

სკეპტიკოსები, რომლებიც უარყოფენ რეინკარნაციას, ამბობენ, რომ ინგრიდი მხოლოდ და მხოლოდ გონიერი, ასაკთან შეუფერებლად განვითარებული გოგონაა ცოცხალი წარმოსახვით. მაგრამ ცნობილი შექსპიროლოგი მარვინ კელონისი ამ აზრს არ ეთანხმება.

„არასოდეს მჯეროდა რეინკარნაციისა, — აღიარებს მკვლევარი, — მაგრამ, როცა ამ პატარა გოგონას თარგმანებს გავეცანი, დავრწმუნდი — ისინი მხოლოდ ერთ ავტორს უნდა დაეწერა — უდიდეს დრამატურგს, იმას, რომელსაც უილიამ შექსპირს უწოდებენ“.

***ინტერპოლ-ექსპრესი №2***

# იცით?.. იცით?.. იცით?..



**რისთვის არის საჭირო სიზმრები.** მეცნიერები ფრიად გააოცა იმ აღმოჩენამ, რომ დედის მუცელში მყოფი 25 კვირის ნაყოფი განუწყვეტლივ ხედავს სიზმრებს, ხოლო დაბადების შემდეგ სიზმართა რაოდენობა მცირდება.

კოლუმბიის უნივერსიტეტში გამოიკვლიეს, რომ თურმე ადამიანის თავის ტვინის განსავითარებლად აუცილებელია სიზმარი. რადგან დედის მუცელში მყოფ ბავშვს არ ჰყოფნის შთაბეჭდილებები, მისი გონება იწყებს ფანტაზიორობას“. მოხუცებულობაში კი ადამიანს ან ცოტა, ან აღარაფერი ესიზმრება, რადგან ტვინის მახსოვრობის მექანიზმი ცვდება.

**მთალუმელა.** ტაჯიკეთში, იანგობის ხეობაში არის ერთი უცნაური მთა, რომელიც დღედაღამ ცეცხლივით ელვარებს და საოცარ მხურვალებას გამოსცემს. საკმარისია ნახევარ მეტრზე მიიტანო თივა ან ფიჩხი, რომ უმალ აინთება.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მთის შიგნით არის ქვანახშირის საბადო, რომელიც რაღაც მიზეზით აალდა და დღემდე იწვის.

**დაუჯერებელია, მაგრამ... ნამდვილია!** სამხრეთ ამერიკაში ხარობს ერთგვარი გიგანტური ბალახი, რომელსაც ინდიელები აგუტი კაოს ეძახიან. იგი თვალის დახამხამებაში იზრდება, ერთ ღამეში სამ მეტრზე მეტადაც კი! ამ ბალახის შესწავლა განიზრახა ევროპელ მეცნიერთა ჯგუფმა.

ერთ ღამეს მინდორში ექსპედიციის ხელმძღვანელს შლაპა დარჩა. დილით ბევრი ეძება, მაგრამ ვერსად იპოვა. შემთხვევით თავი ასწია და თავისი თავსარქმელი სამმეტრიანი ღონიერი ბალახის ღერზე მოყელყელავე დაინახა! ჯერ ეგონა, ვიღაც გამეხუმრაო, მაგრამ შემცბარი კოლეგების შემყურემ, ეს აზრი უკუაგდო. მეცნიერებმა ჩაატარეს ცდა — რამდენიმე საათს უთვალთვალებდნენ ბალახზე დადებულ ჩალის ქუდს, რომელიც ნელ-ნელა იწევდა მაღლა.

***პრიროდა ი ჩელოვეკ №2***

# როგორ დაიღუპა „მზიური ველის სერენადის" მეფე?!

ჯაზის მეფე, დიდი ამერიკელი მუსიკოსი გლენ მილერი, რომელიც ფილმ „მზიური ველის სერენადის" შემდეგ ჩვენშიც ერთობ პოპულარული გახდა, ერთი იმათგანია, ვის ცხოვრებასაც ბიოგრაფები დაწვრილებით აღწერენ ხოლმე. ყველაფერია ნათქვამი გლენ მილერის შესახებაც, ოღონდ მისი გარდაცვალება კი, თითქმის 50 წელია, იდუმალებითაა მოცული.

მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, 1944 წლის 15 დეკემბერს, მსუბუქ, ერთძრავიან თვითმფრინავ „ნორდუნ ნორსმენით", რომელსაც გამოცდილი



მფრინავი მართავდა, 30-40-იანი წლების ყველაზე პოპულარული ამერიკელი მუსიკოსი ინგლისიდან პარიზს გაემგზავრა, რათა საფრანგეთის მხსნელებისათვის კონცერტი გაემართა.

აფრენიდან ორი წუთის შემდეგ „ნორსმენი" ნისლში მიიმალა. მას შემდეგ არც თვითმფრინავი, არც პილოტი და აღარც მილერი არავის უნახავს. დიდი მუსიკოსის ბედზე საკმაოზე მეტი ვერსია გაჩნდა. ყველაზე გავრცელებულით — თვითმფრინავი გერმანელებმა ჩამოაგდეს. ჰყვებოდნენ, რომ ზღვას გადარჩენილი მილერი ამოიყვანეს, ციხეში ჩააგდეს და წამებით მოკლეს. ზოგიერთები იმასაც ამბობდნენ, რომ გლენ მილერმა კონცერტის წინა საღამოს პარიზელი მეძავის მკლავებში დალია სული...

გლენ მილერის გარდაცვალების საიდუმლოს გახსნას მრავალი წელი მოანდომა როი ნესბიტმა, დიდი ბრიტანეთის ავიაციის ყველაზე ცნობილმა ისტორიკოსმა. ამჟამად იგი დარწმუნებულია, რომ მუსიკოსი მოვლენათა ტრაგიკული თანხვედრის მსხვერპლად იქცა.

იმავე ღამით, 15 დეკემბერს, ბრიტანულ ბომბდამშენთა არმადა „ლანკასტერი" ხელის მოცარვის შემდეგ გერმანიის ტერიტორიისკენ გაფრინდა. გამანადგურებლების გარეშე აღმოჩნდნენ და უკან დაბრუნდნენ. ბომბებით საკუთარ აეროდრომზე დაჯდომა მეტად სახიფათოა, ამიტომ მომაკვდინებელი ტვირთის ნარჩენებს დაბომბვების შემდეგ ინგლისელები, ჩვეულებრივ, ზღვაში ყრიდნენ. ასე მოიქცნენ იმ ღამესაც და აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ბომბები დაეცა შემთხვევით მათ ქვევით აღმოჩენილ თვითმფრინავს, რომელშიც გლენ მილერი იმყოფებოდა. ამ ტრაგიკული შემთხვევის მოწმე იყო ფრედ შოუ, „ლანკასტერის" ერთ-ერთი შტურმანი. „დეკემბრის იმ ღამემდე არ მენახა ბომბტყორცნა, — ჰყვება შოუ, — ამიტომ ფრთხილად მივედი ილუმინატორთან და ქვევით ჩავიხედე. დავინახე პატარა მონოპლანი — „ნორდუნ ნორსმენი". „ჩვენ ქვევით ვილაც არის", — გავძახე მსროლელ-რადისტს. „მართალი ხარ, მეც ვხედავ, — დამეთანხმა ის, — მაგრამ უკვე გვიანია, ვერაფერს ვიზამთ".

შოუმ ის ღამე მხოლოდ 12 წლის შემდეგ გაიხსენა, 1956 წელს, როცა ნახა ფილმი „გლენ მილერის ისტორია". მონოპლანის შესახებ უამბო სპეციალისტებს, მაგრამ მათ სასაცილოდ აიგდეს, — ყმაწვილს პოპულარობა მოუნდაო.

ამჟამად, როი ნესბიტი დარწმუნებულია, რომ გლენ მილერის გარდაცვალების საიდუმლო აღარ არსებობს, მაგრამ თავისი ვერსიის დამტკიცება არ შეუძლია. არ ჩანს მთავარი მოწმე — „ნორსმენი", რომელიც სადღაც, ლა-მანშის ფსკერზე განისვენებს. 50 წლის მანძილზე ალბათ უკვე დაშლიდა ზღვის მარილი, სილა და ძლიერი დინებები.

*ინტერპოლ-ექსპრესი №5*

# ძვლებით აგებული ეკლესია?



რას აღარ ნახავს კაცი ამქვეყნად! მაგრამ ის, რასაც ჩეხეთის ქალაქ კუტნა გორას ძველისძველი სასაფლაოს ადგილას იხილავთ, ყოველგვარ საზღვარს სცდება. აქ დგას სამრეკლო. მის კოშკს ამშვენებს არა ჯვარი, არამედ ადამიანის თავის ქალა, რომელიც ადამიანისავე ძვლებითაა „მორთულ-მოკაზმული". სამრეკლო შიგნიდან მთლიანად ადამიანის თავის ქალებითა და ძვლებითაა „მორთული" — კედლები, საკურთხეველი, კოლონები, ჭერიდან დაშვებული ორმეტრიანი ჭაღი. შეგზარავთ ეს სანახაობა! ყოველივე ეს კი 130 წლის წინ შექმნა ხეზე ჩუქურთმების მჭრელმა ფრანტიშეკ რინტმა. ამისათვის მან 40 ათასი მიცვალებულის ნეშტი გამოიყენა.

1278 წელს ბოჰემიის მეფე ოტანარმა, ბენედიქტური მონასტრის წინამძღვარი ჰაინრიხი დიპლომატიური მისიით იერუსალიმში გაგზავნა. სამშობლოში დაბრუნებულმა ჰაინრიხმა ტომსიკით გოლგოთის მიწა ჩამოიტანა და ძველი მონასტრის სასაფლაოზე მოაბნია. ცნობა, წმინდა მიწის შესახებ, სწრაფად გავრცელდა არა მხოლოდ მთელ ოლქში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც. მალე მონასტრის პატარა სასაფლაო წალეკა არა მხოლოდ ჩეხეთის სხვა რეგიონებიდან თუ მეზობელი ქვეყნებიდან, არამედ მთელი ევროპიდან ჩამოსვენებულმა გვამებმა.

ბევრი სასიკვდილოდ განწირული ადამიანი თავისი ფეხით ჩამოდიოდა აქ, რათა უკანასკნელი განსასვენებელი ეპოვა. განსაკუთრებით ბევრი ჩამოვიდა ევროპაში გავრცელებული ცნობილი შავი ჭირის ეპიდემიისას. 1318 წლის ბოლოს ამ ადგილებს ომებმა გადაუარა. ბერებმა საფლავებიდან ამოიღეს ძვლები, რათა ადგილი გაეთავისუფლებინათ ახალი მსხვერპლისთვის. თავის ქალებსა და ძვლებს სასაფლაოს სამრეკლოს მიწისქვეშა აკლდამაში აწყობდნენ. როცა იქაც აღარ დარჩა ადგილი, მონასტრის წინამძღვარმა მოიწვია ადგილობრივი ხელოსანი ფრანტიშეკ რინტი. ვის მოუვიდა აზრად, მოერთო თავის ქალებითა და ძვლებით სამრეკლო, უცნობია. მაგრამ საქმე გაკეთდა. „მასალა", რომელიც გამოუყენებელი დარჩა, ოსტატმა ლამაზად მოათავსა სამრეკლოს ცენტრალური დარბაზის ნიშებში. ამ ადგილის მფლობელი დიდი ხნის მანძილზე იყო პრინცი შვერცენბერგი, რომლის საგვარეულო გერბიც, ბუნებრივია, თავის ქალებითა და ძვლებით მორთული, კუტნა გორის უნიკალური სამრეკლოს მთავარი სამშვენისია.

*ექსპრეს-გაზეთა №2*




# ჯონ აპდაიკმა ფულის დასტა სანაგვეში მოისროლა



1963 წელს „ინოსტრანნაია ლიტერატურაში" დაიბეჭდა რომანი „კენტავრი". ჯონ აპდაიკი მაშინ 30 წლის იყო, ის მხოლოდ იწყებდა ლიტერატურულ კარიერას. რომანი კი უცებ იქცა მსოფლიო ბესტსელერად. მაშინ ეს ჟურნალი ერთადერთი იყო, რომელიც ჰონორარებს იხდიდა, თუმცა საბჭოთა ფულით. ამასთან დაკავშირებით, აპდაიკი მოსკოვში მოიწვიეს და საარაკო შეხვედრა მოუწყვეს! მისთვის ეს სრულიად უჩვეულო იყო. ერთი სიტყვით, აპდაიკი ყველაფრით უზომოდ კმაყოფილი იყო. თუმცა ჰონორარმა ვერ გაამართლა. ფული მაშინ მრავალნიშნიანი იყო და მწერალს ჩემოდნით მისცეს ჰონორარი. როცა ვკითხე, რისი ყიდვა სურდა, აპდაიკმა განაცხადა: „არა მაქვს თბილი პალტო, დრაფის პალტოს შევიძენდი". გავქანდი უნივერმაღში, მაგრამ მსგავსი ვერაფერი ვიშოვე. უამრავი მაღაზია მოვინახულე, დახურულ გამანაწილებლებშიც შევაღწიე — ვერაფერს გავხდი. ეს საშინელება იყო! როგორ ამეხსნა, რომ დიადი ქვეყნის დედაქალაქში მისთვის საჭირო პალტო არ იშოვება? ბოლოს და ბოლოს, წუხილი გამოვთქვი, რომ ყველა დრაფის პალტო გაყიდულია, რადგან სეზონი არ არისმეთქი. შევთავაზე, ცოლისთვის ეყიდა რამე ძვირფასი სამკაული, მაგრამ აპდაიკი უარზე დადგა: „რას ამბობთ! მე საკმაოდ მოკრძალებულად ვცხოვრობ, სახლიც უბრალო მაქვს, ცოლი კი სამშვენისებს არ ატარებს". ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ჯონი თავის ნომერში ავიდა, საწოლზე დაწვა, ჩემოდნიდან ფულის დასტები ამოიღო და შიგ ჩაეფლო. რამდენიმე ხანს ასე იწვა — ფულებში ჩაფლული, შემდეგ ამოიოხრა და... მთლიანად ნაგვის ყუთში გადაუძახა.

გავიდა ათი წელი. ამ ხნის მანძილზე ორჯერ შევხვდი ნიუ-იორკში. ის მუდმივად მიგზავნიდა ყველაფერს, რასაც წერდა. ერთხელ კი შემთხვევით ამერიკულ პრესაში წავიკითხე, რომ გამოსცა ახალი რომანი, უცნაური სათაურით — „ბეკ-წიგნი". რატომღაც სწორედ ეს წიგნი არ მიმიღია. ჟურნალის მეშვეობით მე თვითონ გამოვიწერე წიგნი ამერიკიდან. როცა წავიკითხე, გავოგნდი! ამ წიგნში აპდაიკი აღწერდა თავის ჩამოსვლას მოსკოვში და რასაც მაშინ მხურვალედ აქებდა, ახლა თავგამოდებით ლანძღავდა. აღმოჩნდა, რომ მოსკოვში იგი კგბ-ს გარემოცვაში იმყოფებოდა, საბრალო ფრიდა ლურიე კი, მისი თარჯიმანი, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ ჩასწოლოდა ლოგინში. ჩემ შესახებ სიტყვაც კი არ იყო ნათქვამი. ამის შემდეგ აპდაიკს აღშფოთებით აღსავსე წერილი გავუგზავნე. ბოლოს ისიც მივაწერე, რომ აღარ მსურდა მასთან ურთ-

**რასაც მაშინ მხურვალედ აქებდა, ახლა თავგამოდებით ლანძღავდა. აღმოჩნდა, რომ მოსკოვში იგი კგბ-ს გარემოცვაში იმყოფებოდა, საბრალო ფრიდა ლურიე კი, მისი თარჯიმანი, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ ჩასწოლოდა ლოგინში.**

იერთობის გაგრძელება. 1974 წელი იყო. ოთხი წლის შემდეგ კვლავ მომიხდა ამერიკაში გამგზავრება. ერთ ოფიციალურ ვახშამზე მიმიწვიეს. როცა ყველანი სუფრას მივუსხედით, ამ დროს დარბაზში აპდაიკი შემოვიდა. ეს უკვე სრულიად სხვა აპდაიკი იყო — ცნობილ მწერალს ტვიდის კოსტიუმი ეცვა და ძვირფასი ჰალსტუხი ეკეთა. ერთადერთი თავისუფალი სკამი ჩემ გვერდით იდგა და ისიც მომიჯდა. უხმოდ ვვახშმობდით, მაგრამ ბოლოს ვეღარ მოვითმინე და მივუბრუნდი: „ჯონ, ვერა მცნობთ?" „როგორ არა, მაშინვე გიცანით, ტანია". „მაშ, რატომ სდუმდით?" „დარწმუნებული არ ვიყავი, რომ გინდოდათ ჩემთან გამოლაპარაკება", — მიპასუხა მან. ცხადია, წიგნზე ჩამოვაგდე სიტყვა: „როგორ დაწერეთ ამგვარი რამ, არ მესმის". „ვერც გაიგებთ, — მომიგო, — თქვენ სხვა ქვეყანაში ცხოვრობთ, თითოეული ჩვენგანი კი იძულებულია თავის კანონებს დაემორჩილოს". შემდეგ დაამატა, რომ დიდი ოჯახი აქვს, — ჰყავს სამი შვილი, ახალი ცოლი, ყველა მისი სარჩენია. და მიუხედავად იმისა, რომ ის მსოფლიო ბესტსელერების ავტორია, მაინც ბევრი შრომა უხდება, სხვადასხვა ჟურნალში რეცენზიებსაც ბეჭდავს...

იმ საღამოს შემდეგ აღარ შევხვედრივარ...

*ტატიანა კუდრიავცევა*
*ოგონიოკი №5*

# დანიის დედოფალს ქმარი გაექცა...

**(როგორ თუ დედოფალმა ჩემზე წინ ჩვენი უფროსი ვაჟი დააყენაო...)**

დანია თავზარდაცემულია. სასახლიდან გაიქცა პრინცი ჰენრიკი, დედოფალ მარგარეტ II-ის მეუღლე. სიტუაცია ძალიან ჰგავს კლასიკურ ფილმს „რომაული არდადეგები", მაგრამ იქ მონარქიის ბორკილებს ახალგაზრდა პრინცესა გაექცა. ამ შემთხვევაში კი, ლაპარაკია ხანდაზმულ პენსიონერზე, რომელიც 30 წელზე მეტია დედოფლის ქმარია. შეურაცხყოფილად გრძნობს თავს არა მარტო დედოფალი, არამედ მთელი დანია.

— დანიელები შესაბამისი პატივით არ მექცევიან, მრავალი წლის განმავლობაში დანიაში დედოფლის შემდეგ მე ვიყავი, ახლა კი მესამე ადგილზე გადამსვეს. თავი უმაქნის ნივთად ვიგრძენი და ძალიან შეურაცხყოფილი ვარ. მარტო დარჩენა მსურს, — განუცხადა ჟურნალისტებს ყოფილმა ფრანგმა ოფიცერმა და დიპლომატმა გრაფმა ანრი-მარი დე მონპეზმა, რომელიც 1967 წლიდან თავისი დანიელი რჩეულის ჩრდილი გახდა.

მართალია, პრინცი ჰენრიკი ამბობს, — მარგარეტის მიმართ გული არ გამგრილებია, კვლავაც ძველებურად მიყვარსო, მაგრამ სწორედ მას აბრალებს თავის „ჩამოლაბორანტებას" საახალწლო მიღებაზე, რომელზეც დანიის ელიტას იწვევენ ხოლმე მეფის სასახლეში. მარგარეტმა შეუძლოდ ყოფნის გამო დასწრება ვერ შეძლო. ქმარს ეგონა, როგორც იქნა, მეღირსა პირველობა, სტუმრებს მე მივიღებო, მაგრამ დედოფალმა კატეგორიულად მოითხოვა, ჩემს ადგილს ჩვენი უფროსი ვაჟი — ტახტის მემკვიდრე პრინცი ფრედრიკი დაიჭერსო.

პრინც ჰენრიკის მოთმინების ფიალა აივსო, ეტყობა, ეს ბოლო წვეთი იყო და ტოლსტოის მსგავსად ოჯახი დატოვა, სამხრეთ საფრანგეთში, საკუთარ კოშკს შეაფარა თავი. ის კი არა, ჰოლანდიის ტახტის მემკვიდრის ქორწილსაც კი არ დაესწრო ამსტერდამში, სადაც ევროპის ყველა მონარქიული ოჯახის თავკაცები და მათი მეუღლეები იყვნენ წვეულნი. პრინცს საფრანგეთში მარგარეტმა და ვაჟებმა ჩააკითხეს, მერე პრესის წარმომადგენლებიც მიიწვიეს. დედ-მამა და შვილები ერთმანეთს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, ერთი სიტყვით, ყველანაირად ცდილობდნენ ეჩვენებინათ, რომ ოჯახში სიყვარული და ურთიერთგაგება სუფევს.

ალბათ გაიყრებიან, — დაასკვნეს დანიელებმა, როცა შეიტყვეს, რომ ცოლ-ქმარს ცალ-ცალკე ცხოვრება აქვს განზრახული. დედოფალი ნორვეგიაში აპირებს დასასვენებლად წასვლას, მისი



დანიის დედოფალი და უკვე გაქცეული პრინცი ჰენრიკი

მეუღლე კი მალაიზიაში.

ქვეყნის პირველი წყვილი ოფიციალურად ჯერ არ გაყრილა, ხალხი კი უკვე თავის დედოფალს უჭერს მხარს. უმადურ ფრანგს მოჭარბებულ თავმოყვარეობასა და ქედმაღლობაში ადანაშაულებენ. იგი მაინცდამაინც არც ადრე უყვარდათ. საყვედურობდნენ, ამდენი წელია ჩვენი სიძეა და აქამდე დანიურიც ვერ ისწავლა წესიერადო.

უკვე იმას ანგარიშობენ, რას იზარალებს ამბოხებული ფრანგი გაყრის შემთხვევაში. სადღეისოდ სახელმწიფო პრინც ჰენრიკს წელიწადში დაუბეგრავ 600 ათას დოლარს უხდის. ამის გარდა, აქვს უამრავი პრივილეგია, რომელსაც გაყრისთანავე დაკარგავს. ის საგვარეულო კოშკილა დარჩება, სადაც ამჟამად იმყოფება.

დანიელებს ძალიან უკვირთ, — რას ჰგავს დედოფლის მეუღლის საქციელი, ბოლოს და ბოლოს, მეორე ადგილზე ხომ მისი ღვიძლი შვილიაო.

*ნოვიე იზვესტია №22*

# თამაში მოედანს მიღმა



გასულ პარასკევს, ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში, ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფის კალენდარი შეადგინეს, ანუ იმ ჯგუფისა, სადაც საქართველოს ნაკრები გამოდის. ირლანდიაში გამგზავრებამდე საშა ჩივაძეს იმედი ჰქონდა, ჩვენთვის სასურველ კალენდარს შევიმუშავებთო, იმასაც ამბობდნენ — ცხადია, გრაფიკი ყველასათვის იდეალური ვერ იქნება, მაგრამ შევეცდებით, ჩვენ ჩვენი გავიტანოთო. ამ კალენდრის შემხედვარე, ძნელი მისახვედრია, საერთოდ რისთვის წავიდნენ ჩვენები დუბლინში. შეიძლება, გარკვეულ ნიუანსებში გულშემატკივრისა და პროფესიონალების აზრი ერთმანეთს არ ემთხვეოდეს, მაგრამ ერთი შეხედვითაც და მსოფლიო ფეხბურთის პრაქტიკიდან გამომდინარეც ნათლად ჩანს, რომ ეს გრაფიკი ჩვენთვის დიდად ვერაფერი მოსაწონია.

აი, როგორ გამოიყურება ჯგუფის მატჩების გრაფიკი საქართველოს ნაკრებისათვის:

7 სექტემბერი, 2002
**შვეიცარია-საქართველო**
12 ოქტომბერი, 2002
**საქართველო-რუსეთი**
29 მარტი, 2003
**საქართველო-ირლანდია**
2 აპრილი, 2003
**საქართველო-შვეიცარია**
11 ივნისი, 2003
**ირლანდია-საქართველო**
6 სექტემბერი, 2003
**საქართველო-ალბანეთი**
10 სექტემბერი, 2003
**ალბანეთი-საქართველო**
11 ოქტომბერი, 2003
**რუსეთი-საქართველო**

პირველ მატჩს სტუმრად ვთამაშობთ შვეიცარიაში. შვეიცარიელებს, ჩვენი არ იყოს, არც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური სტადიისათვის მომზადება აწუხებთ და ამთავითვე მთელ ყურადღებას ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე გადაიტანენ. როგორ გგონიათ, ამ ტურნირის პირველ მატჩს შინ წააგებენ, თანაც საქართველოსთან? — საეჭვოა. ამის შემდეგ ზედიზედ სამი მატჩი გველის შინ, თანაც სამივე — იმ გუნდებთან, რომლებიც ჩვენგან განსხვავებით, ჯგუფის პოტენციურ ლიდერებად მოიაზრებიან. კალენდარს აგვირგვინებს ორი შეხვედრა — ჯერ ალბანეთში, სადაც ჩვენ კი არა, გერმანიას და ინგლისსაც უჭირს და ბოლოს, მოსკოვში რუსებთან! თუ ისე მოხდა, რომ ბოლო ტურის წინ გასვლის შანსი შეგვრჩა და ბოლო მატჩი რუსებისთვისაც პრინციპული გამოდგა, „ჩრდილოელი მეზობლები“ ვითომ ჩვენ გამოგვატანენ ევრო-2004-ის „საგზურებს“ მოსკოვიდან თბილისში? რა თქმა უნდა, წინასწარ ხელის ჩაქნევა კალენდრის უვარგისობის გამო არ შეიძლება და მთავარი, გრაფიკი კი არა თამაშია, მაგრამ მოედანზე კარგ თამაშს, მოედნის მიღმაც კარგი „თამაში“ სჭირდება. სხვაგვარად, ისეთი მიზნის მიღწევა, როგორიც ჩვენს ნაკრებს დაუსახავს, ფრიად გართულდება.

### 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის მეათე შესარჩევი ჯგუფის კალენდარი

| | |
|---|---|
| 1 | 7 სექტემბერი, 2002<br>შვეიცარია-საქართველო<br>რუსეთი-ირლანდია |
| 2 | 12 ოქტომბერი, 2002<br>საქართველო-რუსეთი<br>ალბანეთი-შვეიცარია |
| 3 | 16 ოქტომბერი, 2002<br>ირლანდია-შვეიცარია<br>რუსეთი-ალბანეთი |
| 4 | 29 მარტი, 2003<br>საქართველო-ირლანდია<br>ალბანეთი-რუსეთი |
| 5 | 2 აპრილი, 2003<br>საქართველო-შვეიცარია<br>ალბანეთი-ირლანდია |
| 6 | 7 ივნისი, 2003<br>შვეიცარია-რუსეთი<br>ირლანდია-ალბანეთი |
| 7 | 11 ივნისი, 2003<br>ირლანდია-საქართველო<br>შვეიცარია-ალბანეთი |
| 8 | 6 სექტემბერი, 2003<br>საქართველო-ალბანეთი<br>ირლანდია-რუსეთი |
| 9 | 10 სექტემბერი, 2003<br>ალბანეთი-საქართველო<br>რუსეთი-შვეიცარია |
| 10 | 11 ოქტომბერი, 2003<br>რუსეთი-საქართველო<br>შვეიცარია-ირლანდია |

# სანაკრებო „ფანჯარა“ ევროპაში

*მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში ეროვნული ჩემპიონატები გადამწყვეტ სტადიაში შედის და მსოფლიოს საფეხბურთო ცხოვრებაში მთელი ყურადღება საკლუბო ჩემპიონატებზეა გადატანილი, ეროვნულმა ნაკრებებმა მაინც გამონახეს დრო და გასულ ოთხშაბათს ამხანაგური მატჩები გამართეს.*

ცხადია, ჩვენთვის ყველაზე საინტერესო, ირლანდიაში გამართული შეხვედრა იყო. დუბლინის „ლენსდაუნ როუდზე“ საქართველოს ნაკრების ორი მომავალი მეტოქე — ირლანდიისა და რუსეთის ეროვნული გუნდები დაუპირისპირდა ერთმანეთს. რუსთა მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა სრულ საბრძოლო შემადგენლობას მოუყარა თავი, მისმა ირლანდიელმა კოლეგამ მიკ მაკარტიმ კი ახალბედებიც იხმო. შეხვედრის დებიუტში რიდისა და რობი კინის გატანილ გოლებს რუსებმა ვერაფრით უპასუხეს, მიუხედავად იმისა, რომ სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე საკმაო დროა და ცხადია, რუსებიც და ირლანდიელებიც ჯერ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე ფიქრობენ. თუმცა ახლავე შეიძლება ითქვას, რომ რუსეთისა და ირლანდიის სახით ჩვენს ნაკრებს ერთობ ძლიერი მეტოქეები ჰყავს. დუბლინში მატჩს ჩვენი გუნდის მწვრთნელი საშა ჩივაძეც დაესწრო და მეტოქეებზე გარკვეული წარმოდგენაც შეექმნა, რაც, იმედია, სასიკეთოდ წაადგება ჩვენს გუნდს.



ლუიშ ფიგუ ბარსელონაში „დაბრუნდა“

უდიდესი ინტერესი გამოიწვია ამსტერდამში ჰოლანდიისა და ინგლისის ნაკრებთა შეხვედრამ. 50000 მაყურებლის მხარდაჭერის მიუხედავად, „ნარინჯისფერებმა“, რომლებსაც „გლაზგო რეინჯერსიდან“ დაბრუნებული დიკ ადვოკაატი თავკაცობდა, მხოლოდ ფრეს მიაღწიეს, არადა საგოლე მომენტი მრავლად ჰქონდათ. მათი ერთადერთი შედეგიანი შეტევა პატრიკ კლიუვერტმა დააგვირგვინა, რასაც ინგლისელთა ახალწვეულმა დარიუს ვასელმა ულამაზესი გოლით უპასუხა. თამაშით კმაყოფილი დარჩა სვენ გორან ერიქსონი, დიკ ადვოკაატმა კი გამოუყენებელ მომენტებზე ისაუბრა და დააყოლა — მოგებაც შეგვეძლოო.



ფიოლერმა მიოლერნილსენს „მიუსამძიმრა“

ესპანეთისა და პორტუგალიის გუნდები ერთმანეთს ბარსელონაში დაუპირისპირდნენ. როგორ დახვდებოდა კატალონიური პუბლიკა ლუიშ ფიგუს, ადვილი წარმოსადგენია. ფიგუს ყოველ ბურთის მიღებას ტრიბუნებიდან გამაყრუებელი სტვენა მოსდევდა. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი მოედანზეც საუკეთესო იყო და ესპანელთა კარში გატანილ ერთადერთ გოლშიც ლომის წილი დაიდო. მასპინძელთაგან ფერნანდო მორიენტესმა გაუტანა სტუმართა მეკარე რიკარდუს და სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს მშვიდობიანად დაშორდა.

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა, საფრანგეთის ნაკრებმა, მსოფლიო ჩემპიონატის მიღმა დარჩენილ რუმინეთს უმასპინძლა და 2:1 მოუგო. მასპინძელთაგან გოლები ვიეირამ და პეტიმ გაიტანეს, რუმინელთაგან კი განეამ გამოიჩინა თავი. ფრანგთა თავკაცი როჟე ლემერი ერთობ უკმაყოფილო გახლდათ და აღიარა კიდეც, რომ შეხვედრამ უამრავი უპასუხო კითხვა დაუტოვა.

გოლების „წვიმა“ იხილა კაიზერსლაუტერნის „ფრიც ვალტერშტადიონის“ პუბლიკამ. გერმანიამ ისრაელს უმასპინძლა და არასაფეხბურთო ანგარიშით 7:1 მოუგო. არადა, ყველაფერი ებრაელთათვის სასიკეთოდ დაიწყო. ოლივერ კანის ავტოგოლი პირველ ტაიმში ერთადერთი გამოდგა და შესვენებაზე სტუმრები ერთბურთიანი უპირატესობით გავიდნენ. მეორე ტაიმის დაწყებასთან ერთად, გერმანელებმა ებრაელთა რბევა დაიწყეს — 28 წუთში 7(!) უპასუხო გოლი გაუტანეს და ასე აღნიშნეს ისრაელის ნაკრების პირველი სტუმრობა გერმანიაში. ჰეთთრიკი შეასრულა მიროსლავ კლოზემ, მის გარდა ჰამანმა, ასამოამ, რიკენმა და ბირჰოფმაც გამოიჩინეს თავი. ნამატჩევს რუდი ფიოლერმა თავის ბიჭებს მადლობა გადაუხადა და მსოფლიოს საფეხბურთო საზოგადოებას გერმანიის ნაკრების არსებობაც შეახსენა. აღსანიშნავია, რომ სტადიონს გერმანელ პოლიციელთა გაძლიერებული რაზმი იცავდა — ჰიტლერის მიმდევრებმა სტუმრებს რამე არ მოსწიონო. საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

ჯოვანი ტრაპატონის „სკუადრა აძურამ“ ალესანდრო დელ პიეროს კინკილა გოლით მოუგო შინ, აშშ-ის ნაკრებს. „დონ ტრაპი“ გაწბილებული დარჩა, — საკუთარ მაყურებელს საკადრისი პატივი ვერ მივაგეთო. იტალიის ნაკრები შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდა — ტრავმების გამო პაოლო მალდინი და ალესანდრო ნესტა ისვენებდნენ.

ფრიად საინტერესო გამოდგა კარდიფის „მილენიუმზე“ გამართული მატჩი უელსისა და არგენტინის ნაკრებებს შორის. უამრავი საგოლე მომენტის მიუხედავად, გუნდებმა მხოლოდ თითო გოლი გაიტანეს, უელსელი ბელამის მიერ 34-ე წუთზე გატანილ გოლს, არგენტინელმა კრუზმა 62-ე წუთზე უპასუხა. საინტერესოა, რომ არგენტინის ნაკრებში 1996 წლის შემდეგ პირველად ითამაშა კლაუდიო კანიჯამ.

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია ჩვენი მომავალი მეტოქის — შვეიცარიის ნაკრების გამარჯვება ჩვენსავე ყოფილ მეტოქესთან — უნგრეთის გუნდთან კვიპროსის ოთხთა ტურნირზე. ჩვენი შესარჩევი ჯგუფის კიდევ ერთი წარმომადგენელი — ალბანეთის ნაკრები სტუმრად ლუქსემბურგს დაუზავდა 0:0.

ეს ყველაფერი გასულ კვირაში იყო, უფრო მნიშვნელოვანი ამ კვირაში იქნება — სამშაბათს ევროპაში ჩემპიონთა ლიგა გახურდება...



სოლ კემპბელი და რუუდ ვან ნისტელროი

### 13-14 თებერვალი
## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ირლანდია-რუსეთი | 2:0 |
| ჰოლანდია-ინგლისი | 1:1 |
| საფრანგეთი-რუმინეთი | 2:1 |
| გერმანია-ისრაელი | 7:1 |
| ესპანეთი-პორტუგალია | 1:1 |
| უელსი-არგენტინა | 1:1 |
| იტალია-აშშ | 1:0 |
| ბელგია-ნორვეგია | 1:0 |
| ხორვატია-ბულგარეთი | 0:0 |
| ს. არაბეთი-დანია | 0:1 |
| პოლონეთი-ჩრ.ირლანდია | 4:1 |
| საბერძნეთი-შვედეთი | 2:2 |
| მექსიკა-იუგოსლავია | 1:2 |
| ლიხტენშტეინი-ფარერები | 0:1 |
| ურუგვაი-სამხ.კორეა | 2:1 |
| პარაგვაი-ბოლივია | 2:2 |
| ლუქსემბურგი-ალბანეთი | 0:0 |
| შვეიცარია-უნგრეთი | 2:1 |
| კვიპროსი-ჩეხეთი | 3:4 |

# რატომ დაგვცინეს ამერიკელებმა ოლიმპიადაზე

სოლტ-ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიადამ სტარტი ერთი კვირის წინ აიღო და ბუნებრივია, ვნებებიც გამძაფრდა.

მორმონთა ქალაქის თამაშებში პირველი გრანდიოზული მასშტაბის სკანდალი ქართველს უკავშირდება — სპორტულ ცეკვებში ფიგურული სრიალის ჩემპიონები ანტონ სიხარულიძე და ელენა ბერეჟნაია გახდნენ. თუმცა, სწორედ ამის გამო, ამ სახეობის საერთაშორისი ფედერაციის ხელმძღვანელობა აიძულეს, დაეწყოთ გამოძიება — თუ რა მოტივებით ანიჭებდნენ ამა თუ იმ სპორტსმენს მსაჯები ქულებს. გავრცელდა სკანდალური ინფორმაციებიც: თითქოს მსაჯები სპორტსმენებს სუბიექტური მოსაზრებებით აფასებენ — იგულისხმება ქვეყნის პოლიტიკური ინტერესები. თუმცა, ფრანგი მსაჯი, რომლის ხმამაც გახადა სიხარულიძე ჩემპიონი, შეჯიბრის შემდეგ ხელს საკუთარი ქვეყნის ფედერაციის პრეზიდენტისკენ იშვერდა — მან მაიძულა რუსებისთვის კარგი შეფასება დამეწერაო.

ასეა თუ ისე, ანტონ სიხარულიძესა და მის რუს პარტნიორ ქალს, ამერიკულმა მასმედიამ სიხარული ჯოჯოხეთად უქცია. არადა, ჩვენთვის საყურადღებო ფაქტია, რომ სიხარულიძე პირველი ქართველია, ვინც ზამთრის ოლიმპიადის ჩემპიონობა იზეიმა — თუკი ისევ ეზეიმება.



ბუნებრივია, თქვენს ინტერესს იწვევს მისი პიროვნება და შევეცდებით, ცნობისმოყვარეობა დაგიკმაყოფილოთ.

სიხარულიძე პეტერბურგში დაბადებულ-გაზრდილი სპორტსმენია. ეტყობა, ოჯახში დედის გენმა იძალა და ამიტომაც ქართული, საყველპუროდაც არ იცის. თქვენ წარმოიდგინეთ, თავის ისტორიულ სამშობლოში ერთხელაც არ არის ნამყოფი და ამიტომაც არც ქართველობაზე დებს თავს. თუმცა, საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი, ირაკლი ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ იგი ბუნებით ნამდვილი ქართველია, — ბევრჯერ გვიწევს ერთმანეთის ნახვა და თვალს არასდროს მარიდებსო. სხვათა შორის, ბატონი ირაკლის თქმით, ოლიმპიური და მსოფლიოს (ორგზის) ჩემპიონი საქართველოში ჩამოსვლით ძალიან არის დაინტერესებული, მაგრამ ეს დროის უქონლობის გამო ვერ მოახერხა.

ფიგურულ სრიალში ატეხილმა სკანდალმა ამერიკული მასმედია ყოფილი საბჭოელებისადმი აგრესიულად განაწყო. ეტყობა, ამითაც იყო გამოწვეული, 13 თებერვალს „ნიუ-იორკ თაიმსში“, შარლი ლედიუფის მიერ ქართველ ტრამპლინიდან მხტომელ კახა წაქაძეზე დაწერილი ცინიკური სტატია: „სპილო მიწაზე დაეშვა — აი, ყველაფერი“.

წაქაძემ 60 მონაწილეს შორის, 58-ე ადგილი დაიკავა და ბუნებრივია, ეს არავის გაგვხარებია, მაგრამ უცხოტომელის „ღადავი“ მეტისმეტად მოხვდა ისედაც ნატკენ ქართულ გულს. ლედიუფი ქართველს „მფრინავ სპილოს“ უწოდებს: „...ხალხი კითხულობს — ვინ არის იგი?.. ტრამპლინიდან ხტომები მსუბუქი მამაკაცებისთვის არის მოგონილი. წაქაძეს კი „მფრინავ სპილოს“ უწოდებენ. ის ცუდი მხტომელია, სხვანაირად ვერ იტყვი... მას, უბრალოდ, უხარია ამ თამაშებზემონაწილეობა“.

დამეთანხმებით, „ნიუ-იორკ თაიმსის“ დონის გაზეთი თავს ამდენის უფლებას არ უნდა აძლევდეს, თუმცა საქართველოს ოლიმპიურ მოძრაობაშიც უნდა იყოს სერიოზული განსჯა იმის თაობაზე, რომ ასეთი რანგის შეჯიბრებაში უფრო სოლიდურად წარმოჩინდეს ქვეყანა და მთელი დუნიის დასაცინი მაინც არ გავხდეთ. თუ არა და, ერთი საკბილოც და ისედაც იმიჯშერყეული ქვეყანა კიდევ უფრო შერცხვება.

ამიტომაც, ისმის კითხვა — რა მიზანი ამოძრავებს საქართველოს დელეგაციას ოლიმპიადაზე? ნუთუ, მართლა ასეთი მნიშვნელობისაა მასში უმოტივაციოდ ასპარეზობა? ზამთრის სახეობებიდან, საქართველოს ფიგურულ სრიალში, ჯერ კიდევ საბჭოურ პერიოდში ჰქონდა მცირედი წარმატებები, განსაკუთრებით — 60-70-იან წლებში. მაშინ წარმატებებს ქართველი სპორტსმენები ძირითადად ნიჭის წყალობით აღწევდნენ, მაგრამ ყინულის სასახლეების არქონამ მათ წარმატებებს წერტილი დაუსვა. ამიტომაც ღირს დაფიქრება, — თუკი ზამთრის ოლიმპიადაზე საქართველო მაინც წარდგება, სჯობს ერთი, ოღონდ კარგად მომზადებული სპორტსმენით გაემგზავროს დელეგაცია, რათა „ნიუ-იორკ თაიმსმა“ და სხვებმა კიდევ ერთხელ არ დაგვცინონ.

**ლაშა დუმბაძე**

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. მf1-g2!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ მატს **ოთხ** სვლაში.





# პლანეტის უმაღლესი ქალი

ამერიკელი სენდი ალენი გინესის წიგნშია შეტანილი, მისი სიმაღლე 231,5 სმ-ია, იწონის 180 კგ-ს, ატარებს 52 ზომის ფეხსაცმელს. იგი აკრომეგალიით — „გიგანტების სენით" არის დაავადებული. სენდი ალენი დაიბადა 2.900 გ, სრულიად ნორმალური ბავშვი გახლდათ. მისი სწრაფი ზრდა ჰიპოფიზის სიმსივნემ გამოიწვია. მე-6 კლასში თითქმის 2 მეტრი იყო და გინესის წიგნში შეიყვანეს, როგორც პლანეტის ყველაზე მაღალი ადამიანი. „მოულოდნელად ჩემი სიმაღლე ნაკლიდან ღირსებად იქცა — მიწვევდნენ ყველგან. ვიფიქრე, წავსულიყავი ტელევიზიაში და ცოტა ფული მეშოვა", — ამბობს სენდი. მომდევნო რამდენიმე წელს იგი მუშაობდა მუზეუმში და მოგზაურობდა ყველგან შოუატრაქციონთან ერთად. ცნობილმა ფედერიკო ფელინიმ გადაიღო განთქმულ სურათში „კაზანოვა", სადაც გოლიათის როლი ითამაშა. პირადი ცხოვრების მოწყობა გაუჭირდა. ერთხელ გამოუჩნდა თაყვანისმცემელი, მაგრამ იგი ცოლიანი აღმოჩნდა, მისი სენდისთან ურთიერთობა მხოლოდ ცნობისმოყვარეობით იყო გამოწვეული. ქალი ძალზე შეურაცხყოფილი დარჩა, ახლა კი ხუმრობს, — „რომელი კაცი დათანხმდება ორჯერ დიდი ზომის საქორწინო ბეჭდის ყიდვასო. 90-იან წლებში იგი დაბრუნდა ფერმაში, სადაც ერთ დროს მდივნად მუშაობდა, სანამ სახელს გაითქვამდა.

უკანასკნელი წლები მისთვის მძიმე გამოდგა. დაკარგა სამუშაო, შეერყა ჯანმრთელობა, უკვე წელიწადია, ველარ დადის, გარდაეცვალა საყვარელი ბებია. ბოლო წლებში სცადა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება — დაიწყო თავისი პორტრეტების გაყიდვა ავტოგრაფებით 45 დოლარად, ერთხანს თავის ავტობიოგრაფიას უწევდა რეკლამას. სენდი ოპტიმისტია, მიუხედავად ყველაფრისა, გულს არ იტეხს, იმედი აქვს, რომ ფეხზე დადგება და კვლავ შეძლებს სიარულს.

***მირ ნოვოსტეი №5***



# ყველაზე მძიმე მეფე

ხანდაზმული ადამიანები ათლეტურ აღნაგობაზე აღარ ზრუნავენ და არც აქვთ იმედი, რომ წლებს დაამარცხებენ და ახალგაზრდულ ფიგურას დაიბრუნებენ. ერთადერთი გამონაკლისია 83 წლის ტონგას მეფე ტაუფა აჰაუ ტუპოუ IV.

ამ ცოტა ხნის წინ მან სიკვდილიც კი დაამარცხა და თან შეინარჩუნა თავისი საოცნებო წონა 150 კგ, ოდესღაც იგი 209,5 კგ-ს იწონიდა და გინესის წიგნში შევიდა, როგორც მსოფლიოში უმძიმესი წონის მონარქი.

ტაუფა აჰაუ ყოველდღიურად დადის დედაქალაქის სპორტულ დარბაზში და თავისი მცველების თანდასწრებით ვარჯიშობს.

***შტერნი***

# ბერლინელებს მოსწონთ ცისფერი მერი

ცოტა ხნის წინ გერმანია შეაძრწუნა ბერლინის ქალაქის თავად ცისფერის არჩევამ. მაგრამ ახლა ყველამ აღიარა, რომ ბერლინელ პოლიტიკოსებს შორის ყველაზე ძლიერი მამაკაცია 48 წლის ჰომოსექსუალისტი კლაუს ვოვერაითი.

გაირკვა არანაკლებ მნიშვნელოვანი დეტალიც: თურმე, ცისფერი ბურგომისტრი ქალებმა აირჩიეს. მათ მოეწონათ ელეგანტური, მოსიყვარულე ახალგაზრდა კაცი, რომელიც აქეთ-იქით არიგებდა კოცნას და ვარდებს. სოციოლოგებმა და ფსიქოლოგებმა ასე თუ ისე ახსნეს ცისფერი ფენომენი, ეს გახლავთ სინაზისა და საქმის ბოლომდე მიყვანის ნიჭის შეხამება, რაც მანდილოსნებისთვის არის დამახასიათებელი. სწორედ ეს თვისება დაეხმარა ვოვერაითს მოენადირებინა კაცობრიობის სუსტი სქესის წარმომადგენელთა გულები.

ყველაფერი კარგია, მაგრამ მალე ბერლინის პირველი ლედის ამპლუაში გამოვა კლაუსის ოფიციალური პარტნიორი მამაკაცი, თუმცა ვევორაითს მდედრობითი სქესის მეუღლეც ჰყავს. გერმანელი ჩინოვნიკები ამშვიდებენ საზოგადოებას — „დრო იცვლებაო". ბურგომისტრის „მეორე ნახევარი" მასთან ერთად იმოგზაურებს საზღვარგარეთ ხაზინის ანგარიშზე.

ჯერ არ არის მოგვარებული საკითხი იმ პროგრამის შესახებ, რომელიც ეხება სახელმწიფო მოღვაწეთა მეუღლეებს. ჯერჯერობით, ვოვერაითის ორივე სქესის მეუღლე კომპრომისზე წავიდა — ოფიციალურ მიღებებზე ერთად მიდიან, მაგრამ სხვადასხვა ადგილას სხდებიან.

***ბერლინერ ცაიტუნგი №32***

# ცეხოლენა ჯალჯინს ჯახგა მონიფული ქალი შეუყვახლა



ბოლოს და ბოლოს, ბომონდის რეპორტიორებმა საკბილო იშოვეს. 20 წლის მაკოლეი შეყვარებულია. მისი რჩეული — ინგლისელი მსახიობი ჯოელი რიჩარდსონი 36 წლის არის. მათ ერთმანეთი პიესაზე („სკოლადამთავრებული") ერთობლივი მუშაობის დროს გაიცნეს. თავად კალკინი ამბობს, რომ ამ რომანს ძალიან სერიოზულად უყურებს. მისთვის მნიშვნელობა არა აქვს არც ასაკს და არც კიდევ უფრო თვალში საცემ განსხვავებას — ჯოელი კალკინზე 25 სმ-ით მაღალია.

***ექსპრეს-გაზეთა №6***

# რომის იმპერიას მაიმუნი მართავდა...



რომის იმპერია კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი სუპერსახელმწიფო იყო, ფაქტობრივად, იგი მთელ ანტიკურ სამყაროს განაგებდა. ჩვ.წ.აღ-ის I საუკუნეში, 39 წელს, იმპერატორი კალიგულა იჯდა ტახტზე. იგი ცნობილია თავისი უცნაურობებით. ბევრს არ სჯეროდა ლეგენდა იმის თაობაზე, რომ იმპერატორი კალიგულა წელიწადში ერთ დღეს იმპერიის გამგებლობას თავის საყვარელ მაიმუნს გადასცემდა ხოლმე. პლუტარქემ თარიღიც კი დაადგინა — ეს იყო 3 მარტი. მილანელმა არქეოლოგმა ემილიო ლანჩინიმ კატაკომბებში, სადაც მრავალი რომაელი იმპერატორია დაკრძალული, აღმოაჩინა სახელმწიფო ბეჭედი, სკიპტრა და ბრინჯაოს ფირფიტა წარწერით: „დიდება იმპერატორ რემუს I-ს". ემილიო ლანჩინის მუდამ სჯეროდა ამ ლეგენდისა. სწამდა, რომ კალიგულასაგან ეს სავსებით მოსალოდნელი იყო. მან ხომ იმდენი უცნაური და დაუჯერებელი რამ ჩაიდინა თავისი ოთხწლიანი იმპერატორობის პერიოდში, ათეული წლობით რომ ეყოფოდა „ნორმალურ" იმპერატორებს. მარტო ის რად ღირს, რომ თავის საყვარელ ცხენს სენატორობა მიანიჭა სენატის სხდომების დასწრების უფლებით.

***სანი***

# სამახსოვრო — მამის ზურგი

მშობლების ხსოვნას შვილები სხვადასხვანაირად ინახავენ. კოლორიტულმა ბაიკერმა კარლ უაითეიჯერმა ფრიად ორიგინალური გზა აირჩია მამის ხსოვნის უკვდავსაყოფად... „მამაჩემიც ბაიკერი იყო, მეორე გატაცება სვირინგი ჰქონდა. ოცნებობდა, მკვდარი თუ ცოცხალი საერთაშორისო „ტატუ-ფესტივალზე" უნდა მოვხვდეო. შვილმა მკვდარს მაინც აუხდინა ოცნება. 56 წლის ბარი უაითეიჯერი 1999 წელს გარდაიცვალა. დამწუხრებულმა კარლმა მიცვალებულის ზურგიდან არწივამოსვირინგებული კანის აძრობა ითხოვა. ჭირისუფალს თხოვნა შეუსრულეს, სვირინგის სანაქებო ოსტატებმა კანი საგანგებოდ დაამუშავეს, ჩარჩოში ჩასვეს და ამის შემდეგ კარლს ეს ოჯახური რელიკვია სხვადასხვა გამოფენაზე დააქვს. ავსტრალიაში პირველი პრემიაც მიიღო.

***კომსომოლსკაია პრავდა №24***



# სელინ დიონს შიმშილი აამღერებს?

ცნობილი კანადელი მომღერალი, ოსკაროსანი სელინ დიონი 2003 წელს სცენაზე დაბრუნებას გეგმავდა, მაგრამ მისი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, ის უფრო ადრე ამღერდება.

მომღერლის მეუღლე, პროდიუსერი რენე ანჯელილი თავგადაკლული ბანქოს მოთამაშე აღმოჩნდა. ბოლო 5 წლის მანძილზე მას 9 მილიონი დოლარი ჰქონია წაგებული.

ამბობენ, 1997 წელს ბანქოს მაგიდასთან გადაბმულად 6 დღე გაატარა და 4,5 მილიონი დოლარი წააგოო. ამჟამად, თუ გაკოტრებას გადაურჩა, სიღარიბე ნამდვილად ემუქრება მომღერლის ოჯახს.

***მკ ბულვარი №5***

# პრინცესამ მეოთხე ინსულტი ვეღარ გადაიტანა...



ლონდონში გარდაიცვალა დედოფალ ელისაბედ -ის უმცროსი და, 71 წლის პრინცესა მარგარეტი.

პრინცესა მარგარეტი ალკოჰოლისა და თამბაქოს დიდი მოყვარული იყო. დიდხანს იავადმყოფა, სამი ინსულტი გადაიტანა. ბოლო თვეებში მხოლოდ ხეიბრის ეტლით მოძრაობდა და თითქმის სულ დაბრმავდა. ექიმების დასკვნით, მას მეოთხედ დაემართა ინსულტი.

101 წლის დედა-დედოფალი ძალიან დარდობს შვილის გარდაცვალებას. დედოფალმა ელისაბედმა სთხოვა ტახტის მემკვიდრეს, პრინც ჩარლზს, წუთითაც არ მიატოვოს ბებია.

პრინცესას სიკვდილმა დაამწუხრა მისი ქმარყოფილი ლორდი სნოუდონი.

იმ დღეს, როცა ელისაბედ -ის და გარდაიცვალა, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი კანადიდან ვიზიტით უნდა გამგზავრებულიყო სიერა-ლეონეში. პრემიერს ვიზიტის გადადება უნდოდა, მაგრამ დედოფალმა დაარწმუნა, არ შეეწყვიტა მოგზაურობა. სიერა-ლეონეს აეროდრომზე თვითმფრინავიდან ჩამოსულ ტონი ბლერს უკვე სამგლოვიარო შავი ჰალსტუხი ეკეთა. მან თქვა, — დიდი ბრიტანეთი გლოვობს პრინცესა მარგარეტს. მას ყოველთვის გულთბილად გაიხსენებენ. ვიდრე ავადმყოფობა მოეძალებოდა, პრინცესა ერთგულად ემსახურა სამშობლოს. გლოვის ნიშნად ბუკინგემის სასახლეზე დაშვებულია დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო დროშა.

***კომერსანტი №24***

# მილისგუდა თვითმკვლელი

კაიროში, პოლიციის აზრით, ძალზე საინტერესო ფაქტი მოხდა. უმუშევრობითა და უფულობით შეჭირვებულმა ერთმა ეგვიპტელმა თავის მოკვლა გადაწყვიტა. ისე, დიდი ხანია იმუქრებოდა თურმე ცოლის გასაგონად — თავი უნდა მოვიკლაო. ჰოდა, ერთ საღამოს შინ დაბრუნებულ ცოლს ტაბურეტზე შესკუპებული და ყულფში თავგაყოფილი დახვდა.

ქალი პოლიციაში გაიქცა. მასთან ერთად მობრუნებულმა სამართალდამცველებმა თვითმკვლელი ლოგინში ნებიერად მიძინებული იხილეს.

ცრუ განგაშისათვის გაბრაზებულ პოლიციელებს კაცმა აუხსნა — სანამ იმქვეყნად გავემგზავრებოდი, ძილი მომერია და უფლის წინაშე წარდგომამდე კარგად გამოძინება გადავწყვიტეო.

***ოგონიოკი №4***

# ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კ | ვ | ი | რ | ი | ს | პ | ა | ლ | ი | ტ | რ | ა | შ | ე | ნ | ი | მ | ე | გ | ზ | უ | რ | ი | ა |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ა | ლ | ა | უ | ი | მ | ე | ს | ი | ს | ა | ი | ს | | ბ | რ | ე | ე | ო | ა | ე | ი | | უ | ო |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში გრიგოლ ორბელიანის ფრაზას ამოიკითხავთ.**

**კ.** რა ერქვა ბავშვს, რომელიც დურუ ხუნჭუას ყანაში გადაძვრა; **ვ.** იტალიელი კომპოზიტორი; **ი.** იაპონური მხატვრობა, რომელიც ყვავილების, ფოთლებისა და ტოტებისაგან სრულდება; **რ.** ბირმის დედაქალაქი; **ი.** ცისარტყელას ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; **ს.** მობილური ტელეფონების ფრანგული ფირმა; **პ.** ადამიანი, რომელმაც პირველმა შეაღწია გამოუკვლეველ ქვეყანაში და დასახლდა; **ა.** იანვრის ძველი ქართული სახელწოდება; **ლ.** ქალაქი ბელგიაში; **ი.** მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან; **ტ.** ვრცელი მინდორი; **რ.** ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **ა.** ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული თავდასხმა სხვა ქვეყანაზე მისი დაპყრობის მიზნით; **შ.** გზატკეცილი; **ე.** აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტი; **ნ.** საფრანგეთის პროვინცია; **ი.** საქართველოს კუთხე; **მ.** რა გვარი იყო რომეო; **ე.** ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი, სადაც მოკლედ არის გადმოცემული მოქმედ პირთა შემდგომი ბედი; **გ.** მხატვრული ფილმის „შერეკილების" მიხედვით სად „გადის" გარდაცვლილი კაცი; **ზ.** მდინარე აფრიკაში, რომელზეც მდებარეობს ჩანჩქერი ვიქტორია; **უ.** ტრანსპორტი, რომლის გადაბრუნებასაც, ანდაზის მიხედვით, გზის გამოჩენა მოჰყვება ხოლმე; **რ.** სამოცდაათიანი წლების ქართული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი; **ი.** ჰოლივუდის მსახიობი მამაკაცი; **ა.** რას ეძახიან ვაზის ლერწს, რომელზეც ყურძნის ორი მტევანია.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**კ.** კვაშალი; **ვ.** ვარიანი; **ი.** იაქე; **რ.** რეიგანი; **ი.** ისტორია; **ს.** სმერჩი; **პ.** პოქტია; **ა.** ანტალია; **ლ.** ლიუბეკი; **ი.** იურთა; **ტ.** ტრამალი; **რ.** რაგბი; **ა.** არარატი; **თ.** თიყვა; **ქ.** ქვირითი; **ვ.** ვენერა; **ე.** ეტუში; **ნ.** ნილოსი; **ი.** ისინდი; **გ.** გამბიტი; **ა.** ამური; **ზ.** ზესნახე; **ე.** ელიტა; **თ.** თიკუნი; **ი.** იმამატი; **ა.** ამალთეა.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **არქიტექტურა გაყინული მუსიკაა.**

CMYK

## №6 (280) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 768 მკითხველი გამოეხმაურა. 9 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 265-მა ქალმა და 494-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ვინ არის ყველაზე სკანდალური პოლიტიკოსი?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ყველაზე სკანდალური პოლიტიკოსი მიხეილ სააკაშვილია. რესპონდენტთა 58-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით. **6,88** საშუალო ქულით ახალგაზრდა რეფორმატორი პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე სკანდალური განცხადებების ავტორი ვახტანგ რჩეულიშვილია, საშუალო ქულაა 5,82. რესპონდენტთა 14-მა დაუწერა მას მაქსიმალური ქულა და უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ცოტა მინიმალური ქულების მფლობელიც (2,25) №1 სოციალისტია. ამ ნიშნით გამოირჩევა ასევე მიხეილ სააკაშვილიც (2,64).

რეიტინგში შალვა ნათელაშვილი მესამე ადგილზეა, საშუალო ქულაა 5,47. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ მაქსიმალური ქულების რაოდენობის (8,06) მიხედვით მას წინ ედპ-ისგან „გარიყული“ ჯონდი ბაღათურია (12,55) უსწრებს. სკანდალურ პოლიტიკოსთა რეიტინგში ჯონდი ბაღათურიას „საპატიო“ ადგილი უდავოდ ეროვნულ-დემოკრატების დამსახურებაა.

ჩვენი მკითხველების აზრით, აქ ჩამოთვლილ ხმაურიან პოლიტიკოსთა შორის „სკანდალურის“ ტიტულს შედარებით ნაკლებად იმსახურებენ მამუკა გიორგაძე, გიორგი ბარამიძე და ლევან გაჩეჩილაძე.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორები კი არიან: 27 წლის **ირაკლი თილოსანი,** 30 წლის **ირაკლი ბაბუაძე,** 58 წლის **გურამ ქორიძე** (სამივე თბილისიდან) და 54 წლის ქუთაისელი **უ. ჩომახიძე.**

მათ, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, გიორგი ბარამიძეს ორის ნაცვლად ერთი ქულა (მერვე ადგილი) მიაკუთვნეს, ხოლო ლევან გაჩეჩილაძეს — ერთის ნაცვლად — ორი (მეშვიდე ადგილი).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 20 თებერვალს, 17 საათზე.

## №7 (281) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის ლიცინეში*.

**№7 (281) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 20 თებერვლის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 21 თებერვლის 13 საათამდე.** © თბილისი

თემა №7 (281) — აფხაზეთი

**ყველაზე მეტად რომელი პიროვნების იმედი გაქვთ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

№7(281) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | პიროვნება | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ვლადიმირ პუტინი | |
| 2 | ედუარდ შევარდნაძე | |
| 3 | დიტერ ბოდენი | |
| 4 | ასლან აბაშიძე | |
| 5 | ბორის კაკუბავა | |
| 6 | კოფი ანანი | |
| 7 | თამაზ ნადარეიშვილი | |
| 8 | ჯორჯ ბუში | |

*მკითხველის ლიცინეი*

**დაასახელეთ თქვენი საყვარელი თანამედროვე ქართული ესტრადის მომღერალი**

✓ ________________

თქვენი სახელი, გვარი ________________

ქალაქი (რაიონი) ________________

ასაკი ________ ტელეფონი ________

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## დამატებითი კითხვის შედეგები

**ზარზანდელთან შედარებით საქართველოში კორუფციის დონე გაიზარდა, შემცირდა, თუ დარჩა იგივე?**




P.S. ზუსტად ერთი წლის წინანდელ გამოკითხვაში რესპონდენტთა 68-მა დააფიქსირა აზრი — ბოლო 3-4 წლის განმავლობაში საქართველოში კორუფციის დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა.

***დამატებით კითხვას 746-მა რესპონდენტმა უპასუხა.***

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

**რას დაარქმევდით?**

________________

________________

________________

________________

________________

თქვენი სახელი, გვარი ________________

ქალაქი (რაიონი) ________________



**ბორის კაკუბავა, ასლან აბაშიძე**



**ვლადიმირ პუტინი**

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 145 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

ზედმიწევნით კარგადა ფლობს
აღმოსავლურ ილეთებს,
როცა უნდა მაშინ დაგვსჯის
და თან დაგვაიმედებს.

***რევაზ რაზმაძე, თბილისი***

საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვალოდია, რამეთუ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა არტოშანი და შეერთო იგი ულმრთოთა.
(„შუშანიკის წამების“ მიხედვით)

***მამუკა ჩხიროძე, სამტრედია***

**ვ.პ.** — ედუარდ ამბროსიჩ, მომე გელაევი, თორემ გავუშვი ოფოფი...

***მახარე წიკლაური***

ღმერთო, შევარდნაძე მანახე ბერლინის კედელივით დანგრეული...

***პაატა ნაზღაიძე, რუსთავი***

**ვ.პ.** — დედაო ღვთისა,
წმინდა მარიამ,
გთხოვ, გეხვეწები, ძალზე ძალიან,
შენი წილხვედრი,
ლამაზი მხარე
ჩემი წილხვედრიც გახადე მალე.

***ანზორ ჩიჩუა, თბილისი***

**ვ.პ.** — ღმერთო, მითხარი როდის ეშველება რუსეთს?
**ღმერთი:** — 10 წელიწადში.
პუტინი ტირის.
**ვ.პ.** — ღმერთო, მითხარი, როდის ეშველება საქართველოს?
ღმერთი ტირის!

***ზაზა გობეჯიშვილი, (სოხუმი) თბილისი***

ვლადიმერ გაპუტინებული

***პუპუზა, თბილისი***

ჩემი 1000 თუმანი
კასპის ერთ დიდ კლდეში ძევსა.
გადაეცით შევარდნაძეს,
დაურიგოს მათხოვრებსა.

***ტ.ქ., თბილისი***

**ვ.პ.** — ღმერთო! საქართველოსთან შემაერთებინე რუსეთი! იქ ხომ ჩემი სამშობლო ყოფილა?
**ხმა ზემოდან:** — შესაწირი?!
**ვ.პ.** — ჟირინოვსკის დაგიკლავ.

***რ. ნაფეტვარიძე, ვანი***

- Серый волк невинен как дитя.

***მირიან დანგაძე, თბილისი***

**ვ.პ.** — ღმერთო, არ მისცე ქართველს ერთობა!

***კ. თაყაიშვილი, ბორჯომი***

**ვ.პ.** — (ფიქრობს) ღმერთო, ერთი ქულა მაინც აგვაღებინე საქართველოს ნაკრებთან ფეხბურთში.

***თამაზ ღონღაძე, წყალტუბო***

**ვ.პ.** — რა ვუყო, სად წავიყვანო ეს ჯარი?! აღმოსავლეთ ევროპიდან ხომ გამოიყვანა ედიკამ და ჰყავდეს ახლა.

***ნათია, თბილისი***

## ᲤᲝᲢᲝ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ



მშვიდობა ყოველთა




## ᲬᲘᲜᲐ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ



## ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲬᲐᲛᲐᲚ „ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲝᲡ" ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲡ ᲩᲘᲠᲥᲘ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲠᲑᲘᲚᲘ ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲘᲓᲐᲜ

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო" და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

„კვირის პალიტრის" ᲣᲤᲐᲡᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲘᲗᲠᲘᲗ შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია). „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐᲨᲘ" კი, ქვეყნდება მხოლოდ ᲤᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲘᲗᲠᲘᲗ შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დიდიძის ქუჩის კუთხეში; სამურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ხილიაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიღმის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში აღმაშენებლის ქ. 3 - ხურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; ლავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. კვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუხრანულის წინ, გაჩერებასთან; ჩოხინავას (სამტრის) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კი „საქართველოსთან", წერეთლის გამზ. ვაშლეების წინ, გაჩერებასთან, „თელასთან" და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვაჟაშველის დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".*

*ქალაქებში და რაიონებში: ᲛᲪᲮᲔᲗᲐ, ᲙᲐᲡᲞᲘ, ᲒᲝᲠᲘ, ᲥᲐᲠᲔᲚᲘ, ᲮᲐᲨᲣᲠᲘ, ᲡᲣᲠᲐᲛᲘ, ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ, ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ, ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ, ᲮᲝᲜᲘ, ᲐᲑᲐᲨᲐ, ᲡᲔᲜᲐᲙᲘ, ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ, ᲤᲝᲗᲘ, ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ, ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ, ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ, ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ, ᲬᲜᲝᲠᲘ, ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ, ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ, ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘ, ᲗᲔᲚᲐᲕᲘ, ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ, ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ – არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ᲐᲮᲛᲔᲢᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲨᲘ ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან. ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲨᲘ თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან. ᲟᲘᲜᲕᲐᲚᲡᲐ და ᲓᲣᲨᲔᲗᲨᲘ – თვის III კვირის ოთშაბათს.*

**ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ: „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ" (ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ) ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ (ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ) ᲧᲣᲗᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲠᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ.©**

### (7) ᲣᲤᲐᲡᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲘᲗᲐᲠᲘ

განცხადების ტექსტი ____________

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა – 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№7 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 21 თებერვლის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.




**თურმე...**

„ოსკარების" ყველაზე დიდი რაოდენობა მოპოვებული აქვს მულტფილმების ჯადოქარს უოლტ დისნეის. მან ოც ოქროს ფიგურას „მოუყარა" თავი. ჯერჯერობით ამ რეკორდის მოხსნა ვერავინ მოახერხა.

* * *



— კოტე, კვირას, რას აკეთებ?

— მე და ჩემი ბიჭი ქალაქგარეთ ვაპირებთ გასეირნებას, ცაში დრაკონები გვინდა გავუშვათ, შენ რას აპირებ?

— პრინციპში, მეც იგივე პროგრამა მაქვს, სიდედრი უნდა გავაცილო აეროდრომზე...

* * *



— წამო, ჭიჭიკია, ზანგები გავლახოთ...

— რატომ ვითომ?

— მაინტერესებს, „სინიაკები" თუ დააჩნდებათ...

* * *

სიძე და სიდედრი ბაზარში...

სიძე — გამყიდველს:



— ამიწონეთ 2კგ უხარისხო ხორცი.

— რისთვის გინდათ?

— ძაღლისთვის...

სიდედრი: — ჩვენ ძაღლი რომ არ გვყავს?

სიძე: — შენ გაჩუმდი და ნუ იყეფები მანდ...

**ᲤᲘᲠᲛᲐ „ᲒᲔᲠᲛᲣᲮᲐ"**



**ᲑᲠᲢᲧᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲣᲜᲣᲥᲘᲡ ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲫᲘᲠᲙᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲣᲖᲔᲑᲘᲡ ᲰᲘᲓᲠᲝᲡᲐᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲗ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ. ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐ 10 ᲬᲔᲚᲘ.**

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმობეჭდილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, ფურცლის განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲚᲐᲚᲘ ᲒᲣᲜᲗᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲗ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲔᲑᲘ: ᲜᲣᲪᲐ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲔᲓᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ.: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 98-74-44

palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge\kvirispalitra

ᲡᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ 1518

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ"©

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".